ევგენი ბლიაძე

ერეკლე II

(პოლიტიკური ბიოგრაფიის საკითხები)

ქუთაისი
2007

საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს

ა ვ ტ ო რ ი

რედაქტორი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი გურამ გაბუნია

რეცენზენტები:

ასოცირებული პროფესორი სულხან ბუბრაშვილი
ბოლიტოლოგი მიმი გურეშიძე

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 978-99940-52-60-8

რედაქტორის წინათქმა

2010 წელს შესრულდება 290 წელი ერეკლე მეორის დაბადებიდან, ხოლო უფრო ადრე, 2008 წელს––210 წელი მისი გარდაცვალებიდან. სწორედ ამ მნიშვნელოვანი თარიღების ფონზე მომზადდა გამოსაცემად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ევგენი ბლიაძის წიგნი „ერეკლე მეორე (პოლიტიკური ბიოგრაფიის საკითხები)“.

აეტორი მიზნად ისახავს მკითხველის წინაშე წარმოაჩინოს ერეკლე II–ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ე. ბლიაძე ერეკლე II–ს წარმოგვიდგენს როგორც დიდ მეფესა და პოლიტიკურ მოღვაწეს, შესანიშნავ სარდალსა და ქვეყნისთვის თავდადებულ მებრძოლს, რომელმაც სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს მოახმარა მთელი თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ერეკლე მეორე თხუთმეტი წლისა ჩაება მტერთან ბრძოლაში და სამოცდათხუთმეტი წლისამ ჩააგო მახვილი. ეს უკანასკნელი ბრძოლაც ერეკლეს გამარჯვებით დასრულდებოდა, მოღალატეს რომ კელავ ბრძოლისაკენ არ შემოებრუნებინა გასაქცევად გამზადებული საჭურისი ალა–მაჰმად–ხანი.

ცხოვრების მთელი სამოცი წელი მეფემ ომებში გაატაროს, ძალიან ძნელია. ყველა როდი გაუძლებდა ასეთ პირობებს. ამასთან ერეკლეს მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის კი არ უწევდა ბრძოლები, არამედ ირანის შაჰების მხარდამხარაც ხშირად იბრძოდა. სწორედ ასეთმა დაუსრულებელმა ომებმა და წარმატებებმა აქციეს ლეგენდად ქართლ–კახეთის მეფის სახელი. მის შესახებ წერდნენ და ლაპარაკობდნენ ევროპისა და აზიის ქვეყნების მონარქები, მისი წარმატებებით მოიხიბლა დიდი ფრანგი განმანათლებელი––ვოლტერი.

ბუნებრივია, იოლი არ იყო მეფისა და ხალხისათვის ყოველი მხრიდან შემოსეული მტრის მოგერიება. იგი ძალასა და ენერგიას აცლიდა მოსახლეობას. უნდა ითქვას, რომ ე. ბლიაძემ შეძლო მკითხველისათვის სათანადოდ ეჩვენებინა არა მარტო სოციალური ყოფის ეს მძიმე სურათები, არამედ დამაჯერებლად აესახა

ერეკლე II–ის მიერ მათ დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებებიც.

წიგნში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ერეკლე II–ის მიერ ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თუ კულტურული გარდაქმნებისათვის განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც მას წარმოაჩენს როგორც ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის დამფასებელს, ევროპულ ყაიდაზე თავისი ქვეყნის გარდაქმნის დიდ მოამაგეს. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ქვეყნად შექმნილი სიტუაცია საშუალებას არ აძლევდა, დასახული მიზნები ბოლომდე განეხორციელებინა. როგორც ავტორი მიგვანიშნებს, სწორედ ამ გარემოებათა გამო გახდა იძულებული ერეკლე II, რომ მფარველ–მოკავშირის ხანგრძლივი ძიების პროცესში ჩაბმულიყო.

ვფიქრობ, წარმოდგენილი მასალები და გაკეთებული დასკვნები საინტერესო უნდა იყოს არა მარტო დასმული პრობლემებით დაინტერესებული ადამიანების, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

გურამ გაბუნია

25 აპრილი, 2007 წელი

I. პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში ერეკლე II-ის გამეფებამდე

სამეფო–სამთავროებად ქვეყნის დაშლით დაიწყო გაუთავებელი ომები. ქვეყანა დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნიდა არა მარტო გარედან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება, არამედ მასზე ორგანულად გადანასკვული შინაური მტრების გაუვნებელყოფის პროცესიც. თავადების გაუთავებელი დაპირისპირება და პირველობისაკენ სწრაფვა ასუსტებდა სამეფო ხელისუფლებას, ძირს უთხრიდა ქვეყნის ერთიანობის გადაუდებელ საქმეს, წარმოშობდა უნდობლობისა და გაუტანლობის ტენდენციებს. ქართველი მეფეები იმდენად დიდი და ძნელად გადასაწყვეტი ამოცანების წინაშე დგებოდნენ, რომ ხშირად იძულებული იყვნენ გაუმართლებელ დათმობებზეც წასულიყვნენ იმ ფეოდალთა წინაშე, რომლებიც თავის მამულებში თავს ხშირად სრულ ბატონ–პატრონებად, მეფის თანასწორად მიიჩნევდნენ. სხვა პირობებში კი, ოღონდ დასახული მიზნისთვის მიეღწიათ და არაფრად მიიჩნევდნენ ქვეყნის მტერთანაც გამოენახათ საერთო ენა. ასეთი დაპირისპირების დროს, თავის მხრივ, კარგად სარგებლობდნენ ჩვენი მტრებიც და მზად იყვნენ თავისი სამსახური შეეთავაზებინათ იმ თავადებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ პირველსავე დაძახებაზე მხარში ამოდგომოდნენ ცენტრალიზებული ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს.

საქართველოს მტრები არასოდეს აკლდა, მაგრამ საშიშროება განსაკუთრებით დიდი იყო ირან–ოსმალეთისა და კავკასიის მთიელებთან მიმართებაში. ძალიან ხშირად ეს ძალები ერთობლივადაც იწყებდნენ მოქმედებას, ამ დროს ყველაფერი უკუღმა დატრიალდებოდა ხოლმე და არა მარტო თავის გადარჩენა, არამედ დანგრეული ქალაქების, გადამწვარი სოფლებისა და უამრავი დატყვევებულის ქვეყნიდან გაყვანის შედეგად დაცლილ ადგილებში იწყებოდა ურჯულოთა ჩამოსახლების საშინელი პროცესი. ასე ცდილობდა მტერი საქართველოს ტერიტორიის ქართველებისაგან გაწმენდის პოლიტიკის განხორციელებას. ამ

მიმართებით განსაკუთრებით აქტიურობდა ირანის ხელისუფლება. ძალიან ხშირად არც ისეთი ვითარება იყო გამონაკლისი, როცა მტრების დაპირისპირების პროცესში ქართველობას უნდა ეზღო მათი მარცხის შედეგებიც. ასეთი სურათი იყო თანხვედრი იმ პროცესებისა, როცა ირანი და ოსმალეთი ცდილობდნენ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად გამოეყენებინათ ქართველობის მხარდაჭერა. ამ პირობებში საქმე ეხებოდა გავლენის სფეროებად დანაწილებული ჩვენი ქვეყნის შემადგენელ ნაწილებზე მათ შეთანხმებას. ასეთი შეთანხმებები კი არც თუ იშვიათი იყო. 1555 წელს ირან–ოსმალეთს შორის ქ. ამასიაში დადებული ზავის შედეგად ოსმალეთს ერგო დასავლეთი საქართველო და სამცხე–საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი. აღმოსავლეთი საქართველო და სამცხე–საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანის წილხვედრი აღმოჩნდა (1:71).

ამ ზავის შემდეგ არა მარტო გაჭირდა დამპყრობელთა წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის წარმოება, არამედ კიდევ უფრო გართულდა ირან–ოსმალეთის წინააღმდეგობათა დაძლევაში ქართული სამეფო–სამთავროების მოქმედება. მიუხედავად ამისა, მტერთან ბრძოლაზე მაინც ხელი არ აუღიათ. კახეთი თუ დროებით დაჰყვა ირანის შაჰის ნებას, ქართლი კვლავ ბრძოლით ცდილობდა ყიზილბაშთა უღლისაგან გათავისუფლებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სიმონ I–ის (1556–1600) ბრძოლა. შაჰი შეეცადა ქართველების გათიშვას. მან სიმონ მეფის ძმა რენეგატი დავითი (დაუთ–ხანი) მეფედ დაამტკიცა. მართალია, მას მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა, მაგრამ, როცა 1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში მტერმა სიმონ მეფე დაატყვევა, 1578 წლამდე ქართლის მმართველი დაუთ–ხანი იყო. ასეთ ვითარებაში დაიწყო ირან–ოსმალეთის ახალი ომი, რომელიც 1590 წლამდე გრძელდებოდა (1:71). 1578 წელს სამცხე საათაბაგოში შეიჭრა ოსმალთა უზარმაზარი არმია, გაანადგურა ყიზილბაშთა ჯარი და შექმნა ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშო. იმავე წელს ოსმალებმა თბილისიც აიღეს. 1590 წელს ირან–ოსმალეთს შორის დადებული ზავით შაჰ–აბას I–მა (1587–1629) ოსმალეთის სამფლობელოდ

ცნო საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილისა და თალიშის გამოკლებით) ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი (1:71). 1595 წელს შეიქმნა ირანის, ქართლისა და კახეთის კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ. 1598 წლიდან სიმონ I–მა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. მომდევნო წელს მან გორის ციხეც აიღო. სულთანმა ქართველობის წინააღმდეგ დიდი ჯარი გამოგზავნა და სიმონ მეფის დატყვევებაც შეძლო (1:71). ამდენად, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა დაიპყრო სამცხე–საათაბაგო და ახალციხის საფაშოზე დაყრდნობით ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში ოსმალური წესების დამკვიდრება დაიწყო.

მტრების მიერ გავლენის სფეროებად განაწილებულ საქართველოში XVI საუკუნისათვის უკვე გვაქვს ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები. „თითოეულ სამეფო–სამთავროს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება, თავისი მმართველობის ორგანოები ჰქონდა; ამ სამეფო–სამთავროების სახელმწიფოებრივ წყობილებათა შორის მრავალი რამ საერთო იყო. ძირითადად სახელმწიფოებრივი წყობილების ინსტიტუტები მსგავსი იყო ყველა ამ სამეფო–სამთავროში, მაგრამ თითოეულ სამეფო–სამთავროს სახელმწიფოებრივ წყობილებას მაინც თავისებურება ჰქონდა“ (2:112). ის გარემოება, რომ სამეფო–სამთავროები ერთი სახელმწიფოს დაშლის შედეგად იყო წარმოშობილი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მათი მმართველობის მთელ სისტემაზე.

კიდევ უფრო მძიმე დადგა XVII საუკუნე ქართლისა და კახეთისათვის. ამჯერად იგი შაჰ–აბას I–ის მტარვალური პოლიტიკის გავლენის არეალში მოხვდა. აქედან იწყება მის მიერვე შემუშავებული ჯერ კახეთის, შემდეგ ქართლის მოსპობის გეგმის რეალიზაცია. შაჰ–აბასმა საუკუნის დასაწყისში შეძლო ქართლ–კახეთიდან ოსმალების განდევნა და მათი ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობით შეიცვალა. 1612 წელს დადებული ზავით შაჰმა ოსმალეთთან ამასიის 1555 წლის ზავის პირობების აღდგენას მიაღწია, მაგრამ შაჰი ქართლისა და კახეთის ვასალობას

არ ჯერდებოდა და სახანოებად მათ გადაქცევას ცდილობდა. შაჰის მტარვალურ პოლიტიკას კახეთსა და ქართლში განსაკუთრებული შეუვალობით შეხვდნენ. მტრის წინააღმდეგ დაიწყო შეუპოვარი ბრძოლები. ქართველებმა რამდენიმე შემთხვევაში წარმატებასაც მიაღწიეს, მაგრამ საერთო ჯამში ურიცხვი მტრის წინააღმდეგ საბოლოო წარმატების მოპოვება შეუძლებელი იყო. შაჰი განსაკუთრებით განარისხა 1615 წელს ირანის წინააღმდეგ კახეთში დაწყებულმა მოძრაობამ. ამიტომ დაიწყო მზადება საქართველოზე ახალი თავდასხმისათვის. ამჯერად მან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად ლეკებსაც მოუწოდა: „მე განზრახული მაქვს კახეთის განადგურება. დახოცეთ ყველა, დაატყვევეთ მთებში გაქცეულები“ (147:7). მართლაც 1616 წელს იგი კვლავ შემოესია კახეთსა და ქართლს. ამ ლაშქრობის შემდეგ, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, თითქმის სისხლიდან დაცალა და მიწასთან გაასწორა ქვეყანა. ამ სისასტიკის ერთი მომენტი, ამჯერად ირანელთა თვალით დანახული, ასე წარმოაჩინა ისქანდერ მუნშამ: „ლაზიებმა მათი საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ზაგემში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა მთელ კახეთში, სადაც თეიმურაზის ბედკრული უწესობისა და ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა და ნგრევა ქვეყნისა და გაერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათ მამული ასე აოხრებულიყო. მოკლულთა რიცხვი სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა. ზოლეიხას სილამაზის მქონე ქალწულები, უწვერული იოსებ (მშვენიერის) ღაწვებიანი, ხალებით დამშვენებული (ვაჟები) და სხვანი და ბავშვები, რომლებიც გატარებული იქნენ მისი უავგუსტოესობის წინაშე, ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი. მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით, ოცდაათი ათასი კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ ყოფილან აღრიცხული“ (3:107). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მტერი თავის ნაქმნარზე გადაჭარბებით გვაწვდიდეს ცნობებს,

მაგრამ ქართულ მასალასაც თუ მოვიშველიებთ, აშკარა გახდება ჩვენი ქვეყნისათვის თავს დატეხილი საშინელება. ბრძოლა, რომელიც ქართლსა და კახეთში თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა, აღსავსეა გმირობისა და თავდადების ბრწყინვალე მაგალითებით, მაგრამ ასევე იგრძნობა სიმრავლე მტრის მიერ ნაცარტუტად ქცეული ქართული ცხოვრებისაც. შაჰის ბრძანებით დაანგრიეს მრავალი ციხე-სიმაგრე, დააქციეს ეკლესია-მონასტრები და სასახლეები. აჩეხეს ბაღ-ვენახები, თუთისა და კაკლის ხეები, 100 ათასამდე ქართველი მტერს შეაკვდა, ამაზე მეტი აჰყარეს და გადაასახლეს ირანში, მათ ნაცვლად კი დაცარიელებულ ადგილებში თურქმანების ჩასახლება დაიწყეს. მართლაც მძიმედ შემოაბიჯა ჩვენს ქვეყანაში XVII საუკუნემ. ამით არის ნაკარნახევი იმ საშინელებათა გადმოცემაც, რომელსაც ისტორიკოსი გვამცნობს: „ჯერ არასოდეს საქართველოს არ ეხილა ამდენი და ამისთანა უბედურება. მარტო შაჰ-აბაზმა საქართველოს მოაკლო გადასახლებითა თუ აღწყვეტით 240 ათასამდე კაცი. ახლა რამდენი სული დაკარგა სამშობლომ ტყვეთა გაყიდვისა და შინაურ ამბოხებათა გამო... ამას გარდა არც ერთ საუკუნეში იმდენი კაცი არ წამებულა, რამდენიც ამ საუკუნეში. ამდენ ვაება-უბედურების მიზეზად შეიქმნენ უმთავრესად საქართველოსივე შორს განუჭვრეტელნი მეფენი და მებატონენი. ეს უკანასკნელნი ერთმანეთის ჯიბრით გარბოდნენ ყაენის და ხონთქარის წინაშე და აბეზღებდნენ ერთმანეთსა მოჰყვანდათ მტრის ლაშქარი და იკლებდნენ ერთმანეთის მამულებს, ანგრევდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას, ამხობდნენ მეფეებს, ღალატობდნენ თავის რჯულს და აგინებდნენ თავის მამა-პაპათა სალოცავებს... მათი შემაცქერელი მძლავრი მტერი კი შორიდან ბარაქალას მოსძახოდა ორივე მხარის მებრძოლთ და აქეზებდა ხან ერთს, ხან მეორეს. ხოლო ბრძოლის დასასრულს მიუხტებოდა მათ, გამარჯვებულს ციხეში ჩააგდებდა ანუ აწამებდა და დამარცხებულს ხალათს უბოძებდა“ (4:340-341). ასეთი იყო მწარე სინამდვილე, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა. შაჰმა კახეთის მოსახლეობის ამოწყვეტა, იქ ყიზილბაშური ტომების ჩასახლება, ხოლო ლუარსაბისა და თეიმურაზის მომხრე

თავადების ირანში გადასახლება გადაწყვიტა (1:72).

მტრის ძალმომრეობის მიუხედავად, ქართლსა და კახეთში გამოსელები მაინც გრძელდებოდა. დამპყრობლის სისასტიკე, თითქოს ახალი ენერგიის მოზღვავებას იწვევდა. იწყებოდა ახალი გამოსელები, ამ გაუთავებელ ორთაბრძოლებს ის შედეგი მოჰყვა, რომ პერიოდული მარცხის მიუხედავად, გამარჯვებაც არ იყო იშვიათი მოვლენა. შეიძლება მტრისაგან ერთდროული გათავისუფლება და სიმშვიდე არ დასადგურებულა ქვეყანაში, მაგრამ ერთი რამ ნათელი იყო: ირანი იძულებული გახდა თავის მთავარ გეგმაზე: ქართლ–კახეთის მოსპობა–განადგურებაზე ხელი აეღო. თუმცა იმას მაინც მიაღწია, რომ ტახტზე გა–მაჰმადიანებული როსტომის გამეფებით (1633–1658), ახალი ხანა დაიწყო. 1633–1744 წლებში ქართლის მეფეებად ირანის შაჰები მხოლოდ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებს ნიშნავდნენ, რომლებიც ვალის (შაჰის მოადგილე) ტიტულსაც ღებულობდნენ და შაჰის კარზე მაღალი თანამდებობებიც ჰქონდათ დაკავებული (2:117; 5:375–376).

როსტომი შაჰის კარზე გაზრდილი და საკმაო გამოცდილების მქონე იყო „იგი,–აღნიშნავს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი,– ამავე დროს სპარსეთის შაჰის მოადგილედ ითვლება. ეს ხანი სპარსეთშია დაბადებული. ვინაიდან მის მშობლებს სხვა შვილი არ ჰყავდათ, ამიტომ ქართლის სამეფო მას ეკუთვნის. მაგრამ იმ ხანად ქართლს თეიმურაზი განაგებდა; ამ მიზეზით იყო, რომ იგი ავჯანყების გზას დაადგა, რადგან სპარსეთის ხელმწიფემ უბრძანა მას აღნიშნული სამეფო ხსენებული ხანისთვის დაეთმო. ხანისაგან სპარსეთის ხელმწიფე დიდად დავალებული იყო, რადგან მისი მეშვეობით სპარსეთის ტახტზე ავიდა. სპარსელებს უკვე ჰყავდათ ხელმწიფე, და არ მოისურვეს შაჰსეფის ცნობა, რადგან მას ქართველი დედა ყავდა, რომელიც დღესაც ცოცხალია. შაჰსეფი ქართველების რაზმის დახმარებით დაეპატრონა ტახტს“ (17:34). როგორც ჩანს შაჰმა როსტომს სიკეთე „დაუმახსოვრა“ და უკვე დაკავებული სამეფო ტახტი შეთავაზა, რასაც, ბუნებრივია, თეიმურაზის მხრიდან სრულიად სამართლიანი წინააღმდეგობა მოჰყვა. როსტომმა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო

ქართლის თავადების მიმხრობა. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართლის ციხეების გამაგრებასა და საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებას. ამ ღონისძიებათა შედეგად როსტომი ისე განმტკიცდა, რომ ქართლის თავადაზნაურობა მის სამსახურში ჩადგა (6:372). შაჰის დასტურით როსტომმა ყიზილბაშები დაიხმარა და 1648 წელს კახეთზე გაილაშქრა. თეიმურაზმა ომი წააგო და იგი კახეთს გაეცალა. შაჰმა კახეთი სამმართველოდ როსტომს მისცა (7:12). ამდენად, როსტომი ქართლსა და კახეთს განაგებდა. რეალურად ეს იმას ნიშნავდა, რომ ორი ქართული სამეფო, მტრისაგან იავარქმნილი, მაგრამ ქვეყნის მომავლისათვის თანმიმდევრული მებრძოლი, ერთი მმართველის ხელში მოექცა. ყოველივე ეს არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე იყო და ქართული სახელმწიფოს გაძლიერების იმედს იძლეოდა, არამედ მოსახლეობის კელაე ფენზე დადგომისა და ქვეყნის აღმაველობის საქმესაც დიდად განაპირობებდა. აკად. ნ.ბერძენიშვილის აზრით, როსტომმა იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა, იგი „ქართულ საზოგადოებრიესა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას. გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობას ეღირსა. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში“ (8:348).

როსტომთან დამარცხების შემდეგ თეიმურაზს ტახტის დაბრუნებაზე ხელი არ აუღია. იგი კელაე განაგრძობდა ბრძოლას. თეიმურაზი დახმარებას იმერეთის მეფე ალექსანდრეს თხოვდა, მაგრამ მასაც არ ჰქონდა პირობები დახმარების აღმოჩენის, რადგან ლევან დადიანი არ აძლევდა მოსვენებას. მეფესა და დადიანს შორის ურთიერთობის მოგვარებას, ალბათ, ისიც უშლიდა ხელს, რომ თეიმურაზი როსტომ მეფეს ებრძოდა. როსტომმა, თავის მხრივ, გადაწყვიტა ლევან დადიანის დაზე, მარიამზე დაქორწინება. „ამ ხანმა (როსტომ მეფემ), სურდა რა ცოლის შერთვა, ყოველი გზა მოსინჯა (შეიძლება სახელმწიფოებრიეი მოსაზრებითაც), რომ დანათესავებოდა ოდიშის მთავარს დადიანს–

დაქორწინებულიყო მის დაზე- დადიანმა და როსტომ მეფემ გადაწყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა მერმე შუაზე გაიყონ ეს მხარე, იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხვეწილ თეიმურაზს იმერეთის მეფემ თავშესაფარი მისცა" (17:34). როგორც ვხედავთ, იტალიელ პატრს საკმაოდ გონებამახვილურად აქვს განსჯილი ქართველ მეფე-მთავართა დამოყვრება-დაპირისპირების მომენტები.

ბუნებრივია, ამ ქორწინებას პოლიტიკური სარჩული ედო. როგორც ნ. ნაკაშიძე აღნიშნავს, „განდევნილი თეიმურაზი ამ დროს იმერეთის მეფესთან იმყოფებოდა, რომლის შვილი თეიმურაზის სიძე, მისი ქალიშვილის ქმარი იყო. თეიმურაზის კავშირი იმერეთთან, მიმართული იყო როგორც როსტომის, ასევე დადიანის წინააღმდეგ. როსტომმა სწორად ამოირჩია მოკავშირე. ლევან დადიანის პატივმოყვარეობა და ძლიერდება როსტომისათვის ნამდვილად ერთგული მოკავშირე აღმოჩნდა" (9:140). ბუნებრივია, ამ გარემოებათა გამო თეიმურაზმა დადიანისა და იმერეთის მეფის შერიგება-დაზავება ვერ მოახერხა.

ამდენად, თეიმურაზი ცდილობდა ძალების მობილიზებას როსტომის წინააღმდეგ და დაკარგული ტახტის დაბრუნებას, მაგრამ ამ მისი გაკეთება მან ვერ შეძლო ან, უბრალოდ, მას მდგომარეობამ არ გაუმართლა. დაპირისპირების მიუხედავად, როსტომიც არ გამოდიოდა თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ მთელი ძალითა და განსაკუთრებული სისასტიკით, პირიქით, იგი თითქმის ლოიალურ პოლიტიკასაც კი ადგა, ხოლო როცა ირანში თეიმურაზის გამგზავრების საკითხი დაისვა, მან საკმაოდ დიდი გულუხვობაც კი გამოიჩინა. „როგორც ჩანს, თეიმურაზის გამუდმებული ბრძოლა როსტომის წინააღმდეგ ირანის შაჰთან პოლიტიკურ ურთიერთობასაც გარკვეულწილად აწესრიგებდა, რადგან კახეთში თუ ირანელი ხანი გამოიგზავნებოდა, როსტომსაც პრობლემები შეექმნებოდა, შეიძლება მას საერთოდ დაეკარგა სამფლობელო" (10:24).

1660 წელს თეიმურაზის ერთგული მოკავშირე იმერეთის მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა და იმერეთში არეულობა დაიწყო. თეიმურაზი მხოლოდ თავისი შვილიშვილის ერეკლეს

იმედად დარჩა, მაგრამ ისიც რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა. „ყოველი მხრით იმედგადაწურული უმიწაწყლო მეფე,–წერს ნ.ბერძენიშვილი, – დამორჩილდა ყაენს. თეიმურაზი შაჰს ეახლა. ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო. მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი გმირული ბრძოლის მესაჭე. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რუსეთის თავდადებული მომხრის შაჰისადმი დამორჩილება ირანის დიდი წარმატება იყო“ (8:351), მართალია შაჰმა პატივით მიიღო თეიმურაზი, მაგრამ იმაზე განრისხებულმა, რომ ერეკლე შაჰს არ ეახლა, თეიმურაზი ასტრაბადის ციხეში დაამწყვდია, სადაც იგი გარდაიცვალა 1663 წელს.

როსტომ მეფის მდგომარეობაც გაუარესდა. მას დიდ პრობლემას უქმნიდა ისიც, რომ მემკვიდრე არ ჰყავდა. პირდაპირი შტოს მემკვიდრეთა არჩევანში როსტომს არ გაუმართლა. მის კანდიდატურას თავადები არ იზიარებდნენ. ამიტომ „1653 წელს როსტომის მემკვიდრედ ამორჩეული იქნა ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი–ვახტანგი. იგი ამ მიზნით 1654 წელს ირანში გაიგზავნა, სადაც გაამაჰმადიანეს, მემკვიდრედ დაამტკიცეს, ქართლის გამგებლად დანიშნეს და საქართველოში დააბრუნეს (11:329). ღრმად მოხუცებული როსტომის ავადმყოფობის პერიოდში ქართლის საქმეებს ვახტანგი განაგებდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1658 წ.)ქართლის მეფობა შაჰმა ვახტანგ მუხრან ბატონს (შაჰ–ნავაზს) უბოძა.

ამრიგად, ქართლის ტახტი მუხრანბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელმა ვახტანგ V, ანუ შაჰ–ნავაზ I (1658–1675) დაიკავა. ვახტანგი თეიმურაზ მუხრანბატონის შვილი იყო. მას, ფაქტიურად, ფორმალურად ჰქონდა მიღებული მაჰმადიანობა. საგარეო პოლიტიკაში ვახტანგი ირანის ორიენტაციას ატარებდა, მაგრამ საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება უნდოდა. მის მიზანს შეადგენდა გაერთიანების ცენტრი ქართლი გამხდარიყო– „ამისათვის მას უხდებოდა ბრძოლა არა მარტო მეფეებისა და მთავრების, ერისთავეების წინააღმდეგაც“ (12 31). ქვეყნის შიგნით არსებულ ამ წინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ ჩვენი მტრებიც: სპარსელები და

ოსმალები. „ეს ორი აგრესიული ქვეყანა ყოველგვარ ხრიკებსა და საშუალებას იყენებდა, რათა ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა და წაექეზებინა ქართველი ფეოდალი მფლობელები. თავისი კარიერისა და ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით უგუნური და ბეცი ქართველი ფეოდალ–მფლობელები ადვილად ეგებოდნენ მტრის რჩევა–მოწოდებაზე, თავის მოძმე–მეტოქისაგან ქვას–ქვაზე არ ტოვებდნენ, ამით ქვეყნის ერთიანობასა და თავდაცვისუნარიანობას საფუძველსა და ძალას აცლიდნენ“, – აღნიშნავს პროფ. გ.გასვიანი (13:44).

თუმცა როსტომი ქართლ–კახეთს განაგებდა, ირანის შაჰმა შაჰ–აბას II–მ ვახტანგ V–ის გამეფების შემდეგ მას კახეთის მმართველობა ჩამოართვა და იგი საგამგებლოდ განჯის ხანს სელიმს მიანდო. ორი წლის მანძილზე მან კახეთში, ბახტრიონში, ალავერდსა და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში ჩამოასახლა თურქმანთა დიდი ურდოები. ამ ღონისძიებათა გატარებით რეალურად სურდათ კვლავ განეხორციელებინათ შაჰ–აბას I–ის მიერ დაწყებული ქვეყნის გათათარების პოლიტიკა. ამ ღონისძიებაში მტერი უპირველეს ყოვლისა კახეთის მოსახლეობის მიერ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყებებიდან თავის დაღწევას ცდილობდა. მტერს არც ამჯერად გაუმართლა. ქვეყნის პატრიოტებმა მაინც მოიკრიბეს ძალები და 1660 წელს კახეთში მრისხანე აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი მეთაურობდნენ. აჯანყების შედეგად სელიმ–ხანი გაიქცა, კახეთის მმართველი კი გახდა მურთუზაყული–ხანი (1660 წ), მან შეიპყრო ბიძინა, შალვა და ელიზბარი. წარუდგინა ყაენს, რომელმაც ისინი წამებით დახოცა (1661 წ.). „წამებულნი შერაცხეს წმინდანთა შორის“ (4:323). ამ გმირული ეპოპეის შემდეგ შაჰი იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს გათათრების დასახული გეგმის განხორციელებაზე.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო სრულმა ანარქიამ მოიცვა. ამით ისარგებლა ქართლის მეფე ვახტანგ V–მ (1658–1675) და ეამეყ II დადიანმა (1658–1660) და იმერეთი გაიყვეს (1660), მაგრამ მალე ვახტანგმა სამეგრელოში

თაეისი ერთგული ლეევან III (1661–1680) დასევა მთაერად, ხოლო იმერეთში საკუთარი ვაჟი 14 წლის არჩილი გაამეფა. ვახტანგ V–ის გაელენა კახეთზეც ვრცელდებოდა, მაგრამ ასეთი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ირან–ოსმალეთს შორის 1639 წელს დადებული ზაეით ფაქტიურად აღდგა 1555 წლის ამასიის ზაეის პირობები იმ განსხვაეებით, რომ ახლა არა მარტო დასაელეთ საქართველო, არამედ მთელი სამცხე–საათაბაგოც ოსმალეთს ერგო.

ამდენად, არჩილის იმერეთში გამეფება ოსმალეთმა ირანის მხრიდან მის საშინაო საქმეებში ჩარეევად მიიჩნია, ამიტომ ეს გადაწყვეტილება ირანისათეის მიუღებელი აღმოჩნდა. შაჰმა ვახტანგს არჩილის იმერეთიდან გამოწვეევა და ირანში გაგზავნა მოთხოვა. თანაც აღუთქვა, რომ არჩილს მაჰმადიანობას მიაღებინებდა და კახეთის ტახტს მისცემდა. ამრიგად, 1664–1675 წლებში არჩილი კახეთის მეფე იყო და ქართლსა და კახეთს მამა–შვილი განაგებდა (1:72). ისინი ძირითადად როსტომ მეფის პოლიტიკას განაგრძობდნენ. უფრო მოქნილი გახადეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკა, რითაც შედარებით თაეისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მიეცათ. ვახტანგი ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საქმეს, შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა თბილისსაც. ვახტანგის ასეთი საქმიანობა არ მოწონდათ ირანის ხელისუფალთ. ამაზე მეტყეელებს ისიც, რომ შაჰმა სულეიმანმა თაეისთან დაიბარა ერეკლე და კახეთის ტახტს დაპირდა. ფაქტობრივად შაჰმა იგი ვახტანგისა და არჩილის მეტოქედ ჩაიყვანა ირანში (11:349). 1674 წელს ერეკლე კახეთში დაბრუნდა. არჩილი იმერეთში გადაეიდა. იგი ოთხჯერ გამეფდა იმერეთში, მაგრამ საბოლოო განმტკიცება მაინც ვერ შეძლო და ბოლოს რუსეთში გადასახლდა.

არჩილის იმერეთში წასელის შემდეგ კახეთი კვლავ ვახტანგს მორჩილებდა. მალე მასაც გაურთულდა საქმე და ირანში გაიწვეიეს. წასელის წინ ქართლის გამგებლად თაეისი ვაჟი გიორგი დანიშნა. ირანში მიმავალი ვახტანგი 1675 წელს ხოშკარში გარდაიცვალა. იგი ირანში წაასვენეს და დაასაფლავეს ყუმში, სადაც მისი წინამორბედი როსტომი იყო დაკრძალული

(14: 275–276). მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქართლსა და კახეთში შეიძლებოდა ვითარება შაჰის საწინააღმდეგოდ შემობრუნებულიყო, ამიტომ „შაჰმა გიორგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, მუსლიმანობა მიაღებინა, შაჰ–ნავაზ ხანი უწოდა და 1677 წელს საქართველოში გამოისტუმრა (11:350),

გიორგი XI–ის, ანუ შაჰ ნავაზ II–ის მეფობა (1677–1688) უპირველეს ყოვლისა მეფის ხელისუფლების განმტკიცებისა და ქართლში სპარსელთა ბატონობის მოსპობისათვის საქმიანობის გაშლით აღინიშნა. მეფე საქართველოს გაერთიანებისათვის იღწვოდა. ემზადებოდა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებისათვის. მან ოსმალეთსაც თხოვა დახმარება. გიორგი XI 1688 წელს აუჯანყდა შაჰს, მაგრამ დამარცხდა. მისი მარცხის მიზეზი იმან განაპირობა, რომ მას ადგილობრივმა თავადებმა უღალატეს და ვერც ოსმალეთისაგან მიიღო შეპირებული დახმარება. შაჰმა გიორგი XI გადააყენა და 1688 წელს ქართლის მეფედ ახლად მუსლიმანობა მიღებული ერეკლე, ნაზარალი–ხანი, დანიშნა (15:184). იგი ქართლს 1688–1703 წლებში განაგებდა. მისი პოლიტიკით უმაყოფილო იყვნენ დიდი თავადები, რადგან მან ზოგიერთი წესის შეცვლა განიზრახა. ამ დაპირისპირების პროცესში აჯანყებული გიორგი შაჰს დამორჩილდა. ამჯერად უკვე ირანში იყო დაბაბული პოლიტიკური ვითარება, ამიტომ გიორგი მეფეს ყველაფერი აპატიეს. 1703 წელს გიორგის ქართლის მეფობა დაუბრუნეს, მაგრამ შაჰმა იგი თავისთან დაიტოვა. ყანდაარის (ავღანისტანი) ბეგლარ–ბეგადაც დანიშნეს და იქ აჯანყების ჩაქრობა დაავალეს. ქართლიდან გაწვეულ ნაზარალი–ხანს ყაენმა კახეთი უწყალობა. ამავე დროს იგი შაჰის სასახლის გვარდიის სარდლად დაინიშნა და ირანში დარჩა, ხოლო კახეთის მმართველობა მის შვილს დავითს, იმამყული–ხანს, უბოძა (1703წ.). როგორც ვხედავთ, კახეთში მეფის პრობლემა გადაწყდა, ქართლში კი ყველაფერი კვლავ მოსაგვარებელი იყო (16:28).

როგორც აღვნიშნეთ, შემორიგებული გიორგი XI შაჰმა თავისთან დაიტოვა. ველარ მოახერხა რა ქვეყანაში დაბრუნება, მეფე გიორგიმ ქართლში მოადგილედ თავისი ძმა ლევანი

გამოგზავნა. ლევანი მალე ქართლიდან უკანვე, სპარსეთში გაიწვიეს, ხოლო ქართლის მეფის მოადგილედ (ჯანიშინად), 1703 წელს მისი შვილი, გიორგი მეფის ძმისწული, ვახტანგ ლევანის ძე დანიშნეს.

გიორგი მეფე 1709 წელს ავღანელებთან ბრძოლას შეეწირა და ქართლის მეფობა მის ძმისწულს ქაიხოსრო ლევანის ძეს ერგო. დიდხანს არც მისი მეფობა გაგრძელებულა, რადგან გიორგის მსგავსად ისიც ავღანეთში დაიღუპა 1711 წელს, რის შემდეგ ვახტანგს დაუდგა ყაენის კარზე გამოცხადების ჯერი (18:282–283).

ამდენად, საქართველოსთვის მძიმე გამოდგა XVII საუკუნე, მან არა მარტო საშინელი ტრაგედიები გადაიტანა, არამედ საკმაოდ დაზარალდა ტერიტორიულადაც. მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს სახით მან თავისი ტერიტორიის თითქმის მესამედი დაჰკარგა (11:356).

ქვეყანამ განსაკუთრებული ზარალი განიცადა შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად. ამას ემატებოდა შინაომებიც. ყეენლაფრის მიუხედავად ქვეყანა მაინც ძალებს იკრებდა და დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად ემზადებოდა.

არც XVIII საუკუნე დაწყებულა საქართველოში ქვეყნისა და ხალხის დიდი იმედების მომცემად. პირველი რამდენიმე წელი (ვახტანგ VI-ის ჯანიშინობა)შეიძლება ჩაითვალოს იმ „ოქროს ხანად“, როცა ქვეყანამ დროებით ამოისუნთქა და წელში გაიმართა.

ვახუშტის აზრით, ვახტანგი იყო „ფრიად მოღვაწე... ქერიე-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალე, ეკლესიათა მშენებელი. ხატთა და ჯუართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი უხვი და მშვიდი“ (19:481). ვახტანგმა თავი გამოიჩინა ქვეყნის აღდგენა-განვითარების, მისი კულტურული აღმავლობისათვის ბრძოლაში, ქართული მეცნიერებისა და ქართული სამართლის, მწიგნობრობის, ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და გლეხობასთან დამოკიდებულების საქმეში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სტამბის დაარსებას. ვახტანგი თვითონ იყო

მეცნიერი და პოეტი. ამიტომ მის მიერ შექმნილი სკოლა საფუძველი გახდა ქართული კულტურული ტრადიციების განვითარება–აღორძინებისა და მათი შემდგომი სრულყოფისათვის.

1712 წელს ვახტანგი სპარსეთში გაემგზავრა, რათა დადგენილი წესისამებრ შაჰისაგან ქართლის ტახტზე ასვლის ნებართვა მიეღო. მისი დამტკიცების პროცესი უაღრესად მტკივნეული გამოდგა. სპარსეთში მას ქართლში გამეფების პირობად მუსლიმანობის მიღება წაუყენეს. ვახტანგი უარს ამბობდა, არ სურდა ქრისტიანობის დათმობა, ამიტომ სპარსეთში მას დიდხანს მოუწია ყოფნა. ამან ხელსაყრელი ვითარება შეუქმნა მის მტრებს. ქართლში ჯანიშინის მოწინააღმდეგე ფეოდალთა დასში ვახტანგის ძმები გამუსლიმანებული იესე და სეიმონიც აღმოჩნდნენ. ირანში გამგზავრების გამო ქართლში ვახტანგმა სეიმონი დატოვა როგორც ქართლის „განმგე“, მეფის მოადგილე. გამუსლიმანებული იესე მეთოფეთა მეთაური იყო და თბილისის ყიზილბაშურ მეციხოვნე ჯარში გაევლენა ჰქონდა. მან სწორედ მეციხოვნეები აუჯანყა ვახტანგს, თანაც ისეთ დროს, როცა ირანში მისი მდგომარეობა ისედაც ძალზე მძიმე იყო. ვახტანგ VI ყოველნაირად ცდილობდა რჯულის გამოუცვლელად მოეხერხებინა ქართლში გამეფება, ყველაფერი კი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა. შაჰმა ჯანიშინი ირანში დატოვა, ხოლო ქართლის მეფედ მისი გამაჰმადიანებული ძმა იესე დაამტკიცა.

ირანი მიზნად ისახავდა ქართლში სრულ გაბატონებას, ხოლო ქართლი მისგან სრულ გათავისუფლებას ფიქრობდა ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, ირანი ხელიდან არ უშვებდა თავის შესაძლებლობას და ამჯერადაც დიდად განსწავლულ ტახტის მემკვიდრეს ქართლის ტახტზე ასვლა და ტყვეობიდან გათავისუფლება ისე არ შეეძლო, თუ მაჰმადიანობას არ მიიღებდა. დიდხანს ჯიუტად იდგა თავის აზრზე ქართლის მომავალი მეფე, მაგრამ მტერმაც უკან არ დაიხია და საწადელს მიაღწია. ვახტანგ VI–მ ხანგრძლივი გასაჭირისა და მაჰმადიანობის მიღების შემდეგ 1716 წელს ქართლის მეფობა და ირანის სპასალარობა მიიღო, მაგრამ 1719 წლამდე ქართლში დაბრუნება მაინც ვერ შეძლო (20:334). ამდენად, ვახტანგის მეფობაში ორი

პერიოდია: პირველი, ჯანიშინად ყოფნის (1703–1714), მეორე, ირანიდან მისი დაბრუნების შემდეგ (1719–1724.) პირველი პერიოდი, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით მშვიდობიანი, აღმშენებლობითი ხასიათის, სამეცნიერო და კულტურული მოღვაწეობის გაცილებით ფართო ასპარეზი იყო ვახტანგ VI–ისათვის და, უნდა ითქვას, რომ მან მართლაც კარგად გამოიყენა იგი. მეფობის მეორე პერიოდში მის შეხედულებებში ქვეყნის შენარჩუნება–გადარჩენის პრობლემები იკავებს განსაკუთრებულ ადგილს და მის მოღვაწეობაში განმსაზღვრელი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ხდება. „ვახტანგის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ შეხედულებათა საფუძველს,–წერდა პროფ. დ. გერიტიშვილი,–ქვეყნის უკეთეს მერმისზე ზრუნვა წარმოადგენდა–მაგრამ რა გზითა და რა საშუალებით შეიძლებოდა ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა? ამ კითხვაზე ვახტანგიც ისეთ პასუხს იძლეოდა, როგორც არჩილი და სულხან–საბა: ორბელიანი–ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა მეფით სათავეში“ (21:74–75).

ქართლში დაბრუნების შემდეგ ვახტანგ VI–მ მართლაც დიდი ენთუზიაზმით დაიწყო ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ სასურველი მოკავშირის ძიებამ იგი პეტრე პირველთან დააკავშირა, რომელიც 1723 წელს გეგმავდა ირანზე გალაშქრებას და ვახტანგ VI–ს მხარდაჭერა თხოვა ამ ლაშქრობაში. ვახტანგი მართლაც დიდი იმედებით მიენდო რუსეთის იმპერატორს და ღრმად ირწმუნა ქრისტიანთა ხელმწიფის სიტყვა. პეტრე პირველმა ლაშქრობა 1722 წლისათვის გამოაცხადა და ვახტანგ VI–ს განჯასთან შეერთება თხოვა. ვახტანგ VI ბოლომდე პირნათლად და ვაჟკაცურად იცავდა მიცემულ სიტყვას, მაგრამ შექმნილ გარემოებათა გამო პეტრე დიდმა ირანს ლაშქრობა შეწყვიტა, უკან გამობრუნდა და ლაშქრობის გაგრძელება მომავალი წლისათვის გადადო. ასე მიატოვა მან ღვთის ანაბარად თავისი მოკავშირე. ვახტანგისათვის ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, რადგან რუსეთთან დაახლოების გამო თურქეთის სულთანიც გადაიკიდა და ირანის შაჰიც. ამ უკანასკნელმა ვახტანგს ქართლის ტახტი

ჩამოართვა და კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა, რომელმაც ლეკების დახმარებით 1723 წლის გაზაფხულზე გაძარცვა და აოხრა თბილისი. თუმცა ეს სიამოვნება დიდხანს არ დაცალდა, რადგან მალე ოსმალთა შემოტევაც დაიწყო და მათ თბილისი დაიკავეს. ასე დაიწყო ჩვენს ქვეყანაში ოსმალობა–ყიზილბაშობის ხანა – ქვეყნად სრული განუკითხაობის პერიოდი. ამ სიტუაციაში ვახტანგს ისღა დარჩენოდა, რომ ათას ორას კაციანი ამალით თავისი სამეფო და ხალხი დაეტოვებინა და თავი იმ იმპერატორთან შეეფარებინა, რომელმაც ასეთ განსაცდელში ჩააგდო. მართალია, ეს ნაბიჯი ქვეყანაზე ფიქრითა და რუსეთიდან დახმარების იმედით გადადგა ქართლის მეფემ, მაგრამ სინამდვილეში ეს კიდევ ერთი დიდი შეცდომა იყო, ერთმორწმუნე ქვეყნის მმართველის იმედად მყოფი მეფის მიერ დაშვებული.

II. თეიმურაზ II ტყვეობაში. ერეკლეს გაწვევა ნადირ-შაჰთან. ინდოეთში ლაშქრობა და სამშობლოში დაბრუნება

ერეკლე II დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს თეიმურაზ II–ის ოჯახში. მას ერეკლე მისი პაპის პატივსაცემად უწოდეს. ბავშვობა მკაცრი ცხოვრების პირობებში გაატარა. მძიმე ყოფამ კი არ გატეხა, არამედ უფრო მეტად გააკაჟა მისი ნებისყოფა. ლეკების გამუდმებულმა თარეშმა და თურქების ძალმომრეობამ კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული გახადა ფშავში გახიზნულიყო. ამ დროს ერეკლე ოთხი–ხუთი წლის იქნებოდა. მას თავის მშობლებთან და ბიძასთან ერთად ციხე–სიმაგრეებში უბრალო მწყემსების ჭოხების გვერდით უხდებოდა ცხოვრება. მის მეგობართა შორის გლეხის ბიჭებიც ბლომად ერიენენ. პატარა უფლისწული მათთან ერთად ნადირობდა, თევზებს იჭერდა, ბურთს თამაშობდა. ერთი სიტყვით, თავისი თანატოლების ცხოვრებით ცხოვრობდა. ერეკლე პატარაობიდანვე შეეჩვია ცხენზე ჯდომას და ყოველ ჯარობაში თავის ბაჩას დააქროლებდა (37:36).

ერეკლე ბავშვობიდანვე გაეცნო მდაბიო ხალხის ცხოერებას, მისი ლხინისა და ჭირის თანამოზიარე გახდა, მაგრამ იგი მაინც უფლისწულად და სამეფო ტახტის მემკვიდრედ იყო დაბადებული და სათანადო აღზრდა–განათლებაც უნდა მიეღო. როგორც სოლომონ დოდაშვილი წერს: „აღზრდა მეფის ირაკლისა ერწმუნა ბრძენთა მოძღვართა: კათალიკოსს ანტონის და მღვდელს ზაქარიას... მიიღო რა საჭირო განვითარება, იგი დარწმუნებული იყო ჭეშმარიტებასა მას შინა, რომელ ქრისტიანულსა სჯულსა აქვს დიდი მოქმედება ძლიერებასა ზედა სახელმწიფოისასა და ყოველი იგი, რაიცა არა შეესაბამების კანონთა მისთა არს საენებელი ერისა და სახელმწიფოისა“ (62:449).

როგორც ჩანს, ერეკლეს რამდენიმე მასწავლებელი უნდა ჰყოლოდა: საერთო მეცნიერებისთვის აბელ ანდრონიკაშვილი, ღვთისმეტყველებისთვის ონოფრე ბოდბელი, გალობისთვის მღვდელი დიმიტრი ხელაშვილი და სხვები.

ახალგაზრდა ერეკლე გარდა ამისა ეუფლებოდა ცხენოსნობას, სროლის საქმეს, ტანვარჯიშს.

ერეკლეს ბავშვობის ხანა ძალზე რთული იყო კახეთში. სამეფო კარზეც არ იყო ნორმალური ვითარება, მიმდინარეობდა ტახტის მემკვიდრეთა ცვლის პროცესი, რაც განპირობებული იყო ირანსა და ოსმალეთს შორის წამოჭრილი პრობლემებით, ერთის მხრივ და თვით ირანში არსებული პოლიტიკური ვითარებით, მეორეს მხრივ. 1722–1732 წლებში კახეთის მეფე კონსტანტინე II (მაჰმად–ყული ხანი) იყო, რომელიც იმამ–ყული–ხანის გარდაცვალების შემდეგ გახდა კახეთის მეფე. 1723 წელს, ვახტანგ VI–ის გადაყენების შემდეგ, ირანის შაჰმა თამაზმა ქართლის ტახტიც უბოძა მაჰმად–ყული ხანს, 4 მაისს კონსტანტინემ ლეკთა დაქირავებული ჯარით თბილისი აიღო. სულ რაღაც ერთი თვის მერე ქალაქი ოსმალებმა დაიკავეს. მათ ქართლის მმართველად ბაქარ ვახტანგის ძე დანიშნეს, კონსტანტინე კი შეიპყრეს (22:224–225). კახეთის მეფემ გაქცევა მოახერხა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. რამდენიმე ბრძოლა გაუმართა ოსმალებს, მაგრამ მარცხი იწვნია. 1721–1725 წლებში გამართული ბრძოლების

შემდეგ კონსტანტინე ისლამის სუნიტური მრწამსის მიმდევარი გახდა და ოსმალებს დაუზავდა. ამის შემდეგ კონსტანტინემ ოსმალებთან ერთად 1730 წელს ჭარელები დაამარცხა, 1731 წელს კი ხევისა და ხევსურეთის დაჭერა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ხანებში აშკარა გახდა, რომ კონსტანტინესა და ოსმალებს შორის ურთიერთობა საშიშროების წინაშე იდგა. 1732 წელს იუსუფ ფაშამ კონსტანტინე მოსალაპარაკებლად მიიწვია და ღალატით მოკლა (22:225). რა თქმა უნდა, ოსმალები მხოლოდ მეფის მოკვლას არ დასჯერდნენ და მასთან ერთად მრავალი თავადი და გლეხიც დაიღუპა.

ქართლის ვითარებაც უარესობისკენ შეიცვალა. 1724 წელს ვახტანგის რუსეთში გამგზავრებისას ბაქარიც მას გაჰყვა. ვახტანგის ძმა იესე გამაჰმადიანდა და ოსმალებმა იგი ქართლის ტახტზე დააბრუნეს. 1733 წელს იესე გარდაიცვალა (23:39). სწორედ ასეთ მომენტში, როგორც ომან ხერხეულიძე წერს, ოსმალებმა „გარნა კახეთი ვერა ნებისაებრ თვისისა დაიპყრეს და მაშინ მოინდვეს ძმა კახთ მეფისა მაჰმად-ყული ხანისა თეიმურაზ და მისცეს მეფობა კახეთისა ზაკვით, ვინათგან ნებავდათ დაპყრობა კახეთისა, მსგავსად ქართლისა“ (23:39). უსუფ ფაშა 1734 წელს დიდი ჯარით შემოადგა ქისიყს-მაღაროს, მაგრამ ამჯერად მეფე თეიმურაზმა მისი მზაკვრობა სწორად ამოიცნო, შეკრიბა კახთა ლაშქარი და ღამით თავს დაესხა მტერს. კახელთა გმირულ შეტევას მტერმა ვერარ გაუძლო და უსუფ ფაშა იძულებული შეიქმნა გაქცევით ეშველა თავისთვის. ამდენად, ოსმალებმა კახეთში შესვლა და მისი დაკავება ვერარ მოახერხეს. თეიმურაზის მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ დროებით შეცვალა მისი მდგომარეობა. თუმცა მისთვის ხელსაყრელი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. მართალია, ოსმალთაგან თითქოს დროებითი შვების საშუალება გამოჩნდა, მაგრამ ამჯერად ირანში შეიცვალა ვითარება. ირანში საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო, თუმცა ირანს შაჰ-თამაზ II (1722–1732)-შაჰ სულთან ჰუსეინის ძე განაგებდა, რეალური მმართველი მისი სარდალი თამაზ-ყული ხანი იყო, რომელმაც 1732 წელს დაატყვევა კიდეც შაჰ-თამაზი და ირანში საკმაოდ

ენერგიული გარდაქმნები დაიწყო. მალე მან ოსმალთაგან მიტაცებული ირანის პროვინციების დაბრუნებისთვის ბრძოლაც გააჩაღა.

როგორც სომეხი ისტორიკოსი აბრაამ ერევანცი წერს: „ყული–ხანი იმორჩილებს ოსმალთაგან მიტაცებულ ჰამადანს. ამავე დროს რუსეთს სთხოვს კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, რომელსაც უომრად ღებულობს 1732 წელს (რეშტის ტრაქტატი), ხოლო 1735 წელს რუსეთი ბაქო–დარუბანდსაც თმობს (განჯის ტრაქტატი). ამის შემდეგ ის მიემართება ამიერკავკასიისაკენ. იბრუნებს ერევანს, განჯას, შირვანს, ქართლ–კახეთს და აღადგენს ირანის ძველ საზღვრებს (24:12).

როგორც კი ყული–ხანმა ამიერკავკასიაში დაიწყო ბრძოლები, ქართველები ოსმალეთს აუჯანყდნენ. „და რა ესმათ ესე ქართველთა, უკუდგნენ ოსმალთაგან ქართველ–კახნი და განჯას თამაზ–ხანთან წარვიდნენ“ (23:39). როგორც კი ეს ამბავი ოსმალებისათვის გახდა ცნობილი, მათ არ აპატიეს ქართველებს განდგომა და მის მტერთან ირანთან შეკავშირება. ისინი ლეკებთან ერთად, გაერთიანებული ძალით, შეესიენ ქართლ–კახეთს და მისი აოხრება დაიწყეს. მათი მზაკვრობა და მათ მიერ მიყენებული ზარალი იმდენად თვალში საცემი იყო, რომ „აღარა იპოებოდა შენობა შინა თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა კიდე“ (23:39). ლეკთა და ოსმალთაგან შეწუხებულმა ქიზიყელებმა ველარ გაუძლეს მტრის თვითნებობას, აჯანყდნენ და მრავალი ლეკი გაწყვიტეს, ფშაეში მყოფი მეფე თეიმურაზი მოიყვანეს და კახეთის მეფედ დასვეს. ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა. კახეთის მეფე თეიმურაზი თაეს დაესხა შამახიისაკენ მიმავალ ოსმალთა ჯარს და აიძულა ის უკან დაბრუნებულიყო. განდგომილ ქართლელებს კი ყული–ხანმა ყიზილბაშთა რაზმები დაახმარა და ლეკ–ოსმალების წინააღმდეგ გაგზავნა. ქართლელები და კახელები წარმატებით ებრძოდნენ ოსმალებს და მათგან ქვეყანას ათავისუფლებდნენ“ (24:13).

მიუხედავად ოსმალთა წინააღმდეგ ქართველების ენერგიული ბრძოლისა „ყული–ხანი მათ მაინც ეჭვის თვალით უყურებდა. ალბათ, მან იცოდა იმ მიმოწერის შესახებ, ქართველი ფეოდალები

ვახტანგ მეფესთან რომ აწარმოებდნენ რუსეთში. ასევე ეცოდინებოდა მას თეიმურაზის რუსთმომხრეობაც. ოსმალებზე გამარჯვების შემდეგ ყული-ხანმა თეიმურაზი და სხვა ქართველი დიდებულები ერევანს დაიბარა, მათი დიდი ნაწილი დააპატიმრა, ხოლო ქართლ-კახეთის მმართველად იმამ ყული-ხანის (დავით ერეკლეს ძე) შვილი ალექსანდრე ანუ ალი მირზა დანიშნა" (24:14). სომეხი ისტორიკოსის ეს ვარაუდი რეალობას შეესაბამება, რადგან თეიმურაზი მართლაც იყო დაინტერესებული სხვა ქვეყანასთან საერთო ენის გამონახვით, თუმცა პირველი ცდები ამ მიმართებით მისთვის უშედეგოდ დასრულდა, მას ყული-ხანისათვის წინააღმდეგობის გაწევისაგან თავი არ შეუკავებია. სწორედ ურჩობისათვის წაართვა კახეთი ყული-ხანმა თეიმურაზს და მის ნაცვლად მისივე ძმისშვილი ალექსანდრე ანუ ალი-მირზა დანიშნა (24:15).

ლეკთა თარეში არ წყდებოდა. ისინი მათთვის ხელსაყრელ ყოველ მომენტს იყენებდნენ იმისათვის, რომ ქართლ-კახეთი დაერბიათ, მოსახლეობა გაეძარცვათ და ტყვეები წაეყვანათ. 1735 წელს, მაშინ ირაკლი 15 წლისა იყო, ლეკებმა ქიზიყი დაარბიეს. ირაკლიმ შეკრიბა ჯარი და შემოსეულ ლეკებს ნეიშენის მინდორში ძლიერი ბრძოლა გაუმართა „თვით ეს ყრმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინა წარიქციეს ჯარი ლეკისა, დაჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მაღაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარული იქმნენ კაცნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა" (23:40) ასე გადმოგვცემს მემატიანე 15 წლის ერეკლეს საბრძოლო ნათლობას.

ამავე წლის 19 მაისს შაჰ-ნადირმა დაამარცხა სერასკირი და 11 ივნისს თბილისში მყოფ ოსმალებს ნადირ-შაჰის წერილი მოუვიდათ: „სარასკარზე გავიმარჯვე თქვენც მზად იყავითო". 30 ივლისს ოსმალებმა თბილისი დატოვეს (23:40). ნადირ-შაჰმა დაიპყრო ყარსი და საქართველოსკენ დაიძრა. ოქტომბრის პირველ რიცხვებში იგი თბილისის მისადგომებთან, სეიდაბადში იყო.

სპარსელთა სისასტიკით შეშინებულმა თეიმურაზ მეორემ გადაწყვიტა თავისი დედაქალაქი ეხსნა მტრისაგან. სწორედ ამ მიზნით მან 6 ოქტომბერს საპატიო მიღება მოუწყო ნადირ-შაჰს (25:93). „ნადირ-შაჰ ქალაქს რომ შემობრძანდა, დაბლა მოედნის ბოლოს ციხის კარი იყო, იქიდამ არმის კარამდის ფეინდაზი გაუშალეს: 130 ფარჩა, თაეი 15, 600 დარა დიბა, მერე 6 დარა იბაეთი, ბოლო ყუთინი“... (26:565-566).

ისტორიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი ს. ქიშმიშევი ამ შეხვედრის შესახებ შემდეგს წერს: 1735 წელს, ნადირ-შაჰის ქალაქში შემოსვლის დღეს, თეიმურაზი მასთან შესახვედრად გაემართა თაეისი დიდებულებით, სამეფო კარის წევრებით, თავადებითა და ქალაქელთა დიდი ამალით, ქალაქი საზეიმოდ იყო მორთული, სახლები და ქუჩები ძვირფასი ხალიჩებით იყო დამშვენებული. დარბაზი, სადაც ნადირი დაახლოებით შუადღისთვის მოეიდა, მოწყობილი იყო საუკეთესოდ, დასასვენებლად საჭირო ყველა პირობის გათვალისწინებით. ასეთი მიღებით თეიმურაზმა ნამდვილად გადაარჩინა თბილისი, მაგრამ ვერ იხსნა დარბეისაგან მისი შემოგარენი, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: ნადირმა გაიგო, რომ მას არ შეხვდნენ თავადები გივი ამილახვარი, ქაიხოსრო ავალიშვილი, მუხრანელი და ქართლის სხეა დიდი თავადები. აღმოჩნდა, რომ მათ შეგნებულად აარიდეს თაეი სპარსელებთან შეხვედრას, რის გამოც გივი ამილახვარი იმერეთში შეეფარა, მუხრანელი ნაჩქარევად გაემგზაერა რუსეთში. დაინახა რა ამაში საკუთარი თაეისადმი უყურადღებობა, ნადირმა თბილისიდან გაუშვა ორი რაზმი. ერთი ამილახვრის სასახლისა და სოფლების, ხოლო მეორე არაგეის ხეობის დასარბეევად. ავტორი იმოწმებს ქართველი მემატიანის ცნობას და აღნიშნავს, რომ ამ რეიდის დროს ნადირ-შაჰის რაზმებმა გაანადგურეს ყველაფერი, დახოცეს მრავალი მცხოვრები, მათ შორის ბავშვები და მოხუცები. ამ ხოცვა-ულეტას იროდის დროინდელ ბავშვთა ხოცვას ადარებს. ამის გარდა რეა ათასამდე დატყვეებული წაიყვანეს, ეისაც სიარული აღარ შეეძლო ხოცავდნენ და ყრიდნენ მტკვარსა და არაგვში. მათ გაძარცვეს და დააზიანეს თითქმის ყველა ეკლესია. იმ საშინელი ტრაგედიის შესახებ,

რაც ნადირის რაზმებმა ქართლსა და არაგვის ხეობაში დაატრიალეს, თბილისში გაიგეს იმ გვამების მიხედვით, რომელიც სისხლით შეღებილ მტკვარს მოჰქონდა. არც კახეთი დარჩენილა უკეთეს მდგომარეობაში, სადაც ნადირი თეიმურაზთან ერთად გაემგზავრა 25 ოქტომბერს. აქაც დასაჯეს ისინი, ვინც სპარსელებს არ მიეგება, ალაზნის ორივე სანაპიროს სოფლები ცეცხლს მისცეს, მცხოვრებთა უმრავლესობა გაუჟლიტეს, ეკლესია-მონასტრები გაძარცვეს. განსაკუთრებით დაზარალდა ალავერდის მონასტერი, საიდანაც წაიღეს წლობით შენახული ძვირფასეულობა. კახეთიდან, ჭარ-ბელაქანისაკენ გაეშურნენ და იქაც იგივე საშინელება დაატრიალეს. მაგრამ მათ მიერ ჩადენილი სიმხეცე თითქმის არაფრად გამოჩნდა იმასთან შედარებით, რაც სპარსელებმა შემახში ჩაიდინეს. იგი შირვანის პროვინციაში შედიოდა, რომელმაც თავის დროზე, მხარი არ დაუჭირა ნადირს და ყირიმის ხანს დაუკავშირდა და ყირიმელ თათრებთან ერთად ნადირის წინააღმდეგ გამოვიდნენ. შემახში ქვა-ქვაზე არ დაუტოვებიათ, ისე გაასწორეს მიწასთან. მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი გაირეკეს და მონებად გაჰყიდეს შუა აზიასა და სპარსეთში. შემახთან ანგარიშის გასწორების შემდეგ 1735 წლის დეკემბერში ნადირი მუღანის სტეპისაკენ დაიძრა, სადაც ხანგრძლივად ყოფნას აპირებდა (25:94–95). ასეთი სისხლიანი კვალი დატოვა ჩვენს ქვეყანაში ყული-ხანმა შემდგომში ნადირ-შაჰად გამოცხადებულმა ირანის მმართველმა.

თბილისიდან გასელის შემდეგ, 25 ოქტომბერს, კახეთი ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ჩააბარა, ქართლის მეფობა კი მის ძმისწულს ალი-ხანს მისცა, რომელიც თან წაიყვანა, ხოლო თბილისში ყიზილბაში ხანი დატოვა მმართველად (23:40; 24:15).

მუღანის ველზე ნადირ-შაჰის შეჩერება გამოწვეული იყო იმით, რომ ხანგრძლივი ლაშქრობისა და მომავალში სალაშქროდ მოსამზადებლად საჭირო იყო ლაშქარს ძალა მოეკრიბა, ზამთარი დგებოდა და გამოზამთრებისათვის ღონისძიების გატარება იყო საჭირო. უამრავი ცხენების, მხედრებისა და იმ უზარმაზარი გამოსაზამთრებელი საშუალებებისათვის, რაც ადამიანებისა და ცხოველებისათვის საფურაჟე საშუალებათა შესავსებად და

შესანახად იყო საჭირო. ამასთანავე იგი ფიქრობდა შაჰად თავის გამოცხადებას და საამისოდ საჭირო ზეიმისათვის მომზადებას, ახალი წლის სათანადო აღნიშვნით. ნადირ-შაჰმა ამ ღონისძიებისათვის შეკრიბა უზარმაზარი მასა ადამიანებისა, რომელთა რაოდენობა მებრძოლებთან ერთად 100 ათას კაცს აღემატებოდა. ღონისძიების ჩატარების შემდეგ, ადრე გაზაფხულზე აპირებდა ისპაჰანში დაბრუნებას. მოწვეულთა შორის იყვნენ საქართველოს მეფე თეიმურაზ II, რუსეთისა და თურქეთის ელჩები, ცნობილი თავადები ორბელიანთა და თარხნიშვილთა გვარების წარმომადგენელნი, ზეიმზე მოწვეული იყო აგრეთვე ყველა ოლქის უფროსი, ქალაქის დეპუტატები, თითქმის მთელი სამმართველო აპარატი. ს.ქიშმიშევი იმოწმებს აბრაამ კრეტაცის სიტყვებს: „ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ, მულანის ველს არ ახსოვდა ასეთი შეკრება, სადაც ყველა ერთი პირის ნება-სურვილს ექვემდებარებოდა და მხოლოდ მასზე იყო მთლიანად დამოკიდებული თითოეული მათგანის სიკვდილ-სიცოცხლე“ (25:96). ხალხის ასეთი სიმრავლე განთავსების პრობლემებს უქმნიდა ადმინისტრაციას, თანაც იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ამ ცარიელ სტეპზე არაფითარი შენობა-ნაგებობა და ღამის გასათევი არ იყო. თანაც იმ პირობებში, როცა მრავალი საპატიო სტუმრისათვის უბრალოდ ღამის გასათევი კი არა სათანადო კომფორტიც გასათვალისწინებელი იყო. ნადირმა, თავისი სიძლიერის მისანიშნებლად, რამდენიმე დღეში ლერწმისა და ქეჩის გამოყენებით ისეთი შესანიშნავი ქალაქი ააგებინა, ნებისმიერი დონის სტუმრებს რომ შეეფერებოდა. თვით ნადირის ყოველმხრივ მოწყობილი სასახლე ნამდვილს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ირგვლივ უძვირფასესი სპარსული ხალიჩებით იყო დამშვენებული ყველაფერი. ნადირის სასახლის წინ კი მოიტანეს სპეციალური კარავი რომლის სიგრძე 110 არშინი, სიგანე 50 და სიმაღლე 10 ფუტს შეადგენდა: კარავი ეერცხლით დამშვენებულ ხის 12 ბოძს ეყრდნობოდა ორ რიგად, რომლებსაც წამოცმული ჰქონდა ძოწის ფერებით შემკული ვაშლის სიმსხო ვერცხლის ბურთულები. ღია ნაწილი ჰარემის შესასვლელს იწყებდა, ხოლო მის

მოპირდაპირე მხარეს ნადირის ლოჟა იყო განთავსებული (25:96–97).

ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე იყო გათვლილი, რომ მომსველელს და მნახველს მისი მომწყობის სიდიადეზე ეფიქრა, მის ძლიერებასა და შესაძლებლობაში დარწმუნებულიყო. ეს სიდიადე თავისებური ბრწოლის ატმოსფეროსაც ქმნიდა მის მნახველში და აშკარად წარმოშობდა შიშს, რომელიც ამ სიდიადის წინაშე მდგომს იპყრობდა. ეს ყველაფერი 1735 წლის დეკემბერსა და 1736 წლის დასაწყისში მოხდა, შემდეგ ნადირ–შაჰმა ჯერ საკუთარი ქვეყნის საქმეების მოგვარებას მიჰყო ხელი, მერე კი დაპყრობილი ქვეყნების პრობლემებით დაინტერესდა. იმავე წელს ნადირ–შაჰმა ქართლში სეფი–ხან სარდალი გამოგზავნა. მისი მოსვლა ქართველებისათვის უსიამოვნებით დაიწყო. უსიამოვნების მიზეზი კახეთში დაწყებული გამოსვლები იყო. მართალია, აჯანყებულები დამხმარე ძალების გარეშე დარჩნენ და მათ წინააღმდეგობას სასიკეთო შედეგის გამოღება უკვე ალარ შეეძლო, მაგრამ წესრიგის დასამყარებლად გამოგზავნილი ნადირ–შაჰის სარდალი სეფი–ხანი თავის საქმის გაკეთებას მაინც შეუდგა. სწორედ „ასეთ ვითარებაში, საქართველოში ყიზილბაშთა ჯარის სარდალმა სეფი–ხანმა, აჯანყების მოთავეებს პატიება, ყეენთან შუამდგომლობა და ხარკის შემცირება აღუთქვა და თავისთან მიიტყუა“ (30:62).

სეფი–ხანსა და ქართლ–კახეთის მმართველ ალექსანდრე დავითის ძეს (თეიმურაზის ძმისწულს) შორის უთანხმოების გამო ნადირმა ალექსანდრეს ქართლი ჩამოართვა და სამართავად იესეს გამაჰმადიანებულ ვაჟს არჩილს, ანუ აბდულა–ბეგს მისცა. ალექსანდრე კახეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა (30:62). სეფი–ხანმა კახეთიდან მოიწვია თეიმურაზი, ქართლიდანაც შეკრიბა ხალხი სოფ. ფხვენისში. სეფი–ხანმა ულალატა თეიმურაზს და შეიპყრო. მასთან ერთად ყიზილბაშებმა შეიპყრეს გივი ამილახვარი, არაგვის ერისთავი ბარამი, თარხანი ლუარსაბი, სახლთუხუცესი გივი ჩოლოყაშვილი და ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო და ყველანი სპარსეთში წაიყვანეს (23:40). ისპაჰანში რომ ჩაიყვანეს, ხუნდები ახსნეს და პატივით მიიღეს.

„გარნა იმჟამად შაჰ–ნადირ ყანდაარს წარვიდა და მეფე თეიმურაზცა თან წარიყვანა, რაიცა ქართლ–კახნი თან ახლდნენ ისინიც თან იახლნა ყანდაარს. და ოდეს მოაწიეს ყანდაარად, მაშინ აუწყეს განცხადებაც მეფე თეიმურაზს: „რომელ შენი შვილი დაიბარე და რა ის შთამოვა, შენ მაშინ დაგითხოვთო“ (23:40).

ბუნებრივია, ძნელი იყო მეფისთვის შაჰისაგან ასეთი სიტყვების მოსმენა. თეიმურაზმა დიდად განიცადა მოსალოდნელი საშიშროება, მაგრამ გამოსავალიც რომ არსაიდან იყო, ამასაც კარგად ხედავდა. ამიტომ იყო, რომ შესანიშნავმა პოეტმა, მოსმენილი და განცდილი პოეზიის ენაზე ამეტყველებული დაუტოვა შთამომავლობას. მან მაღალი განცდები და მეფური ბუნება ნამდვილ ადამიანურ გრძნობებად ჩამოაყალიბა და მკითხველი თანაზიარი გახადა იმ დიდი ადამიანური ტრაგედიისა, რომელიც შეიძლებოდა განეცადა ირანის შაჰთან მყოფს ჯერ პირადად და შემდეგ შვილის იმ ჯოჯოხეთში მოსელის მოლოდინით. ამიტომ როგორი რთულიც იყო საკუთარი ცხოვრება, ისევე მრავალფეროვანი, მდიდარი და ღრმად გააზრებულია პოეტური შემოქმედებაც. მისი წინამორბედი მეფე–პოეტები ხშირად იყვნენ ჩაფიქრებული სოფლის მარადიულობის პრობლემებით. თეიმურაზმაც ახლებური ჟღერადობა მიანიჭა ამ იდეას და ამჯერად იგი დღისა და ღამის დაპირისპირებაში წარმოსახა. მან შესანიშნავი ნაწარმოები „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“ ამ უაღრესად რთულ პრობლემას: დღისა და ღამის, ნათელისა და ბნელის დაპირისპირების ფილოსოფიური პრობლემის ახსნას მიუძღვნა. მასში სათანადო ასახვა ჰპოვა „მართლის თქმის“ იდეამ, ვინაიდან თვით ამ ნაწარმოების წერის პროცესიც იმ რეალობის გადმოცემას წარმოადგენდა, რომელიც ავტორის გადასახედიდან თუ შევაფასებდით, განცხრომაში მყოფი კაცის განებივრებული მეფის შექმნილი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი ავტორი ისეთივე მოუსვენარი მეფე გახლდათ, როგორი ცხოვრებითაც მისი ქვეყანა ცხოვრობდა. მკითხველი რომ მოულოდნელობისაგან იხსნას და სათქმელსაც შესაბამისი დამაჯერებლობა მისცეს, მეფე თეიმურაზი წერს:

„არ მოგეწონოსთ, იკითხეთ: “ესე ნათქვამი სად არი?“

ესწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი იქით და აქეთ, სად არი“ (27:2).

ამიტომაც, ბუნებრივია დღისა და ღამის გაპაექრება იოლად არ მთავრდება. ადამიანი, ერთი შეხედვით, უპირატესობას მიანიჭებს რომელიმე მათგანს, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერია. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ დღესა და ღამეს თავისი მისია აკისრიათ. ეს გაბაასება შეიძლება ზოგჯერ ისეც აღვიქვათ, როგორც ცხოვრებისეული სინამდვილე, ჩვენი ქვეყნის ისტორიის მწარე ფურცლები, რომლებიც სიბნელეს მიესადაგება და ის ნათელი ყოფაც, რომლის შესადარი მზიანი დღე თუ იქნება. ამიტომაც იწვევს ამ დავის სიღრმე დიდ ინტერესს. თვით ავტორის ყოფაც ხომ ამისი მსგავსია, მისი ცხოვრებაც ხომ ხშირად იყო დაპირისპირება და ჭიდილი, სიცოცხლესა და სიკვდილთან თვალის ერთნაირი გასწორება. შესაბამისად შაჰისაგან მოსმენილისა და გაგონილის გააზრება შესატყვისი რეაქცია იყო განსაცდელში ჩავარდნილისა. იმ ადამიანისა, რომელსაც ეს–ესაა ახსნეს ხელხუნდები და ახლა კიდევ მეტი საშინელების მოლოდინში არის. თეიმურაზს სწორედ საკუთარი განსაცდელი დაუდგა ჯერ თვალწინ და განცდაც სათანადო გაუჩნდა:

„როდეს ყენმან სეფიხან ჰყო საქართველოს მცველია,
ჩვენ გაბნეულნი ვიყვენით, საცა ტყე იყო, ველია,
ზაკვით გველფიცა, მიგვინდო, იგ კაცი იყო მელია,
მე, ამილახვარს, ერისთავს, თარხანს შეგვიკრეს ხელია“ (27:102).

მაგრამ ხელების შეკვრას არ დააჯერეს:

„ჩვენ გაგვგზავნეს ყენთანა შეპყრობილი ხელ–ხუნდებით“.

დატყვევებულ მეფეს თავისი სურვილით თან გაჰყვა რამდენიმე კაცი. თეიმურაზი მემატიანის სიზუსტით გადმოგვცემს მომხდარს. მისი თანამგზავრი რვა კაცი კახეთიდან არის, ორი კი ქართლიდან. მათ შორის იყვნენ თავადები და გლეხკაცები:

„ჩაგვიყვანეს ისპაანსა, ჩვენ სიკვდილსა მას დღეს ველი,
განვერენით სიკვდილისგან, ღმერთმან დაგვდვა საფარველი,
კელა სოფელმან უარესი მოაწია განსაცდელი:

შვილებს მთხოვენ, შემექმნების დღე უწყალოდ დასასჯელი“ (27:102).

მძიმეა მეფის განცდა და მოლოდინი, მის შვილებსაც ირანში უპირებენ მოყვანას და როგორ დატრიალდება ბედის ბორბალი არავინ უწყის:

„გაგზავნეს კახეთს ჩაფარი, არ ჩემთვის მოსალხენია,
მათ დამიბარეს ქალ–ვაჟი, დღე მქონდა მოსაწყენია,
სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია,
ალარეინ მრჩება ოჯახში, ეით მოვითმინო ძნელია–?!“

ოჯახის ტრაგედიით გულდამძიმებული მეფე–პოეტი შვილების ბედმა კიდევ უფრო მეტ საგონებელში ჩააგდო, ასეთ ვითარებაში ნუგეშის ნაცვლად შაჰის ბრძანება გაისმა:

„ყანდაარისკენ ელიდითა“! კიდევ ახალი სისხლის საღვრელად გამზადებული ლაშქარი გაემგზავრა და „ჩვენც თან წაგვასხმენ მაშვრალთა; არ იყვნენ კრძალვა რიდითა“ გზის საშინელებებით, სიცივე–სიცხით გაწამებულ თეიმურაზს მისი ქართველი თანამგზავრები აძლევენ შვებას და თავისებურად უქარვებენ კიდეც მძიმე სევდას. ყანდაარს მიაღწიეს ამ ყოფაში და ახალი უბედურების მაუწყებელი ამბავიც დახვდა:

„რაღას ვაგრძედლო? მომესმა ამბავი საზარონია,
მრქვეს: „მოიყვანეს მაშათსა შვილები შენნი ორნია“.
უმკვიდროდ გახდა კახეთი, ეს ჩემგან სააზრონია,
ვთქვი: „მომეახლა უცილოდ სულთა აღმოსვლის დღენია!“.

როგორც იტყვიან, განაჩენი გამოტანილია, ახლა მხოლოდ მისი გახმაურებაა საჭირო, ამიტომ მძიმე განცდებს ჰყავს შეპყრობილი თეიმურაზი, მოლოდინი დასრულდა, ამჯერად ავტორმა თვალი რეალობას უნდა გაუსწოროს. რეალობაც არ იგვიანებს:

„თვით ყენმაც უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი:
გამომართვა ქალი პირმზე, ვისგან ნათობს ღამე ბნელი,

ძმისწულს* მისცა შესართავად, კელა ბოძებას აღარ ველი,
მე მისისა მოშორებით დამიწყლულდა გული მრთელი“.

მოსმენილიც ბოლომდე წესიერად არ ჰქონდა გააზრებული, როცა კიდევ ერთი, უფრო უარესი ამბავი აცნობეს:

„იგი ძმისწული მაშათს ჰყვა, ქალი მას მისცა მთვარია
სახელად ერქვა ქეთევან, არს მზისა შესადარია,
ვაჟსა უწოდდი ერეკლეს, არვინ მყავს მისი დარია,
იგ თვით იახლა, მე დავრჩი სიცოცხლე დასაზარია“.

თეიმურაზი მართლაც დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, ქალიშვილი შაჰმა ძმისწულს (შემდეგში ადილ–შაჰი) შეართო ცოლად და მის სახლში დაბრუნებაზე ფიქრი უკვე ზედმეტი იყო, ხოლო ვაჟი კიდევ უფრო დიდი განსაცდელის, ნადირ–შაჰის ლაშქრობის მონაწილე უნდა გამხდარიყო, რაც რეალური სიკვდილ–სიცოცხლის ტოლ განსაცდელს მოასწავებდა.

თეიმურაზი აქვე საინტერესო ცნობას გვაწვდის ერეკლეს თანამგზავრების შესახებ. ეს მომენტი იმითაც არის საყურადღებო, რომ შემდგომში, მამაც და შვილიც სათანადოდ უფასებენ ამ ერთგულებას თანამგზავრებს, რაც შესაბამისი სიგელების

---

* თეიმურაზ მეორე გარკვევით წერს, რომ „თვით ყეენმა უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი, გამომართვა ქალი ბირმზე (ხაზი ჩვენია—ე.ბ.)... ძმისწულს მისცა შესართავად“. მომდევნო სტროფში ნათქვამია: „შვილებს მთხოვენ შემექმნების დღე უწყალოდ დასასჯელი“, შემდეგ „მათ დამიბარეს ქალ–ვაჟი“ და ბოლოს „მრქვეს“ მოიყვანეს მაშათსა შვილები შენნი ორნია“. როგორც ეხედავთ, თეიმურაზი გარკვევით არ ნიშნავს, რომ ყეენმა მას მოთხოვა შვილები. თეიმურაზს ორი შვილი ყავდა ქეთევანი და ერეკლე, ორივე შვილი ჩამოიყვანეს ნადირ–შაჰთან და ქეთევანი ამ უკანასკნელმა საკუთარ ძმიშვილს ცოლად შეართო. ეფიქრობ, ყველაფერი ზუსტად და გასაგებად არის ნათქვამი. თანაც ეს ყველაფერი თეიმურაზ მეორემ თავისი ხელით თარიღდასმული დატოვა და მიაწერა 1738 წელი. ქ–ნი უკე, ქეყნის მდგომარეობით იძულებული თეიმურაზ II 1747 წლის 10 მაისს გაემგზავრა ნადირ–შაჰთან. სწორედ ამ დროს მოკლეს იგი და ტახტზე ადილ–შაჰი დახვდა. ამას ზუსტად წერს დ.ჯანელიძე მონოგრაფიაში „საქართველო და აღმოსავლეთი“ (29:64), სადაც ადილ–შაჰს მოიხსენიებს თეიმურაზ II–ის სიძედ, მაგრამ იქვე, (29:71), მიუთითებს რომ „ამ მბრძანებელმა (ადილ–შაჰი—ე.ბ) გამეფებისთანავე შეირთო თეიმურაზ მეორის და თუ ცოლის და“. ფაქტობრივად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადილ შაჰმა ცოლად თეიმურაზის ქალიშვილი ქეთევანი შეირთო, თანაც არა გამეფებისთანავე, არამედ უფრო ადრე. ამდენად ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ეჭვის გამოთქმა ჭეშმარიტებას ნამდვილად მოკლებულია.

გაფორმებითა და მნიშვნელოვანი წყალობით აღინიშნა.

ერეკლეს გამცილებელთა შორის იყვნენ თავადები: „ომან, ჯიმშედ და გიორგი, ასლან ჰყვა თანახლებითა, ბარამ, დავით და შერმაზან, ზაალ არს თავის ნებითა, მღვდელი ჰყვა, დავით, დიაკვნად პართენ არს სახელდებითა.“ დაბალი წრის წარმომადგენელი თანმხლებლებიც იყვნენ მეფის მემკვიდრესთან, რომელთაც ასევე შესაბამისად მიუჩენს ადგილს ამ პოემაში. პატარკაცი და იოთამ ხამხაძე, გლეხკაცებია, მგელია ერთი ქართლიდამ, ისიც ამათთან მხლებია. დასახელებულები ქრისტიანები არიან კახეთიდან და ქართლიდან, მაგრამ თანამგზავრთა შორის ოთხი თათარიც ერია:

„აღალარი დილმაჯად ჰყვა, ქალბი ერქვა, ჯილაბდრობდა,
მუსა იყო მსწრაფლად მსრბოლი, იგი ფიცხად შათირობდა,
ადიგოზალ გაუყრელად სულ მუდამად ფარეშობდა,
ჩვენნი იყვნეს ეს თათრები, ერგულებით მოჰყვებოდა“.

როგორც ვნახეთ, თეიმურაზმა მართლაც შესანიშნავად გადმოსცა თავისი და მემკვიდრეების ერთი მეტად მძიმე, მაგრამ ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი დეტალი,

თანაც ისე, რომ მემატიანესავით არაფერი დაუკლია, არ შეულამაზებია, ისტორიული სიმართლით გააშუქა და ისტორიისათვის სასურთველ წყაროდაც აქცია ეს ამბავი. სწორედ მემატიანესავით, თარიღის დასმაც არ დავიწყებია ამ საინტერესო ისტორიული ცნობისათვის:

„ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ვსთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით,
იქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი **უნი, კანი და ვინობით**“ (28:89–91).

ეს ყველაფერი მემატიანეს სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხდა ქორონიკოს უკვ, ანუ 1738 წელს. ასე წარმოაჩინა მამამ, მეფემ და პოეტმა პირადი, ოჯახისა და ქვეყნის ტრაგედია. ისტორიულად კი – ეს მოვლენები ასე ვითარდებოდა: „ვინადგან ჰხედვიდა ქართველთ მხნედ,– აღნიშნავს ომან ხერხეულიძე,– ამისთვის თვით შაჰ–ნადირ მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლის და მასთან დაიბარა ქართველ–კახნი“ (23:40).

ნადირ-შაჰის წერილის მიღების შემდეგ კახეთის პოლიტიკოსთა შორის ბჭობა გაიმართა. რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მეფის მემკვიდრეთა შაჰთან გამგზავრება. განსაკუთრებულ დაფიქრებას ის გარემოება განაპირობებდა, რომ თეიმურაზი თეითონ ნადირ-შაჰთან იმყოფებოდა. ამჯერად კი მისი შვილებიც იმავე გზას უნდა დადგომოდნენ. რაც მთავარია „არავინ იცოდა, ვერაგი ნადირი შეასრულებდა თუ არა თეიმურაზისათვის მიცემულ სიტყვას სამშობლოში დაბრუნების თაობაზე“ (30:63). ამ სიტუაციაში ქართლ-კახეთის დიდებულებს სრული საფუძველი გააჩნდათ უნდობლობა გამოეცხადებინათ ირანის შაჰისათვის და მეფის მემკვიდრეთა გამგზავრებაზე უარი ეთქვათ. ერთი სიტყვით, ქართლ-კახელნი უარზე იდგნენ შაჰთან თეიმურაზის შვილების გაგზავნაზე. ვითარება ისევე ერეკლემ განმუხტა, რომელმაც, ომან ხერხეულიძის სიტყვებით, არაფრად ჩააგდო ამქვეყნიური პატივი და დიდება და პატივი სცა მამის ბრძანებას: „პატივ-სცემდე მამასა და დღეგრძელ იქმნე“, ამიტომ კატეგორიულად უარყო გამგზავრებაზე უარის თქმა, რადგან მან სრულად გაითავისა შექმნილი სიტუაცია და მამის მდგომარეობა, ის განწყობა, რომელიც მისი წაუსვლელობის შემთხვევაში შეიქმნებოდა. მან გადაჭრით განუცხადა შეკრებილთ: „მამაჩემი იქ უნდა ჰყავდესო და ჩემის იქ მისვლით გამოუტეევებდნენ და მე ამაზედ დავბრკოლდე და არა წარვიდე, ეს ჩემგან შეუძლო არისო“ (23:41).

1737 წლის თებერვალში ერეკლე და ქეთევანი ირანში გაემგზავრენ, მარტში კი ნადირ-შაჰთან გამოცხადდნენ, რომელსაც ყანდაარი უკვე აეღო. ეს იყო მისი პირველი შეხვედრა ნადირთან, რომელიც გამარჯვების შემდეგ კიდევ ახალი ლაშქრობისათვის მზადებაში მყოფი შეხვდა ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეს. ნადირ-შაჰი გაესაუბრა ერეკლეს და ბრძანების კილოთი და საშიში გამომეტყველებით ჰკითხა: „არ გასთათრდებიო“, და ვითარცა მოწამემან აღიარა მძლავრისა წინაშე ქრისტე და პასუხ-აგო წლითა და დღითა ყრმამან, ხოლო გონებითა ბრძენმან: „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერავის ძალუძსო და არც მე გავმაჰმადიანდებიო!“ (23:41) ასეთი თამამი პასუხის მოსმენის შემდეგ, ალბათ, პასუხით კმაყოფილმა ნადირ-შაჰმა

ბრძანა „ნუ გეშინინ, მე აღარ გაიძულებო“ (23:41). უფლისწულის პასუხით კმაყოფილმა მბრძანებელმა ერეკლეს უთხრა ადგილი ამალაში მისი მეორე შვილის ნარსულა მირზას შემდეგ დაეკავებინა, რომელიც მამას ინდოეთში მიაცილებდა (25:162).

ნადირმა სიტყვას ამჯერად არ უღალატა. მეორე დღეს თეიმურაზი და მისი თანმხლები ქართლელები და კახელები დაიბარა, თეიმურაზს კახეთის მეფობა უბოძა და სამშობლოში გამოისტუმრა. თვითონ ინდოეთს სალაშქროდ გაემგზავრა და ერეკლეც თან წაიყვანა. იგი ორ წელზე მეტ ხანს იმყოფებოდა ნადირ–შაჰის ლაშქრობაში. ძალზე მძიმე, სასტიკი ბრძოლებით მოპოვებულ გამარჯვებებში თითქმის ყოველთვის მხედველობის არეში ჰყავდა ნადირ–შაჰს ერეკლე. მამაცობისა და გმირობისათვის მან შეიყვარა იგი. აღფრთოვანებული იყო მისი მამაცობით. იგი იმდენად აფასებდა ნიჭიერ ახალგაზრდა მეომარს, რომ სამხედრო საბჭოს მუშაობაშიც აღებინებდა მონაწილეობას. სპარსელები მედგრად ებრძოდნენ ინდოელებს და ერეკლეც დიდ მხნეობას და მამაცობას იჩენდა. ამას მოწმობს წერილის შინაარსი, რომელიც ერეკლემ თაეის დას ანას მოსწერა: „ჯაბარედში მისვლის დროს, მე მივედი მენახა ის სპილოები, რომლებიც მტერს წავართვით. მისვლისას მე შემამჩნია დიდმა შაჰმა. მეფემ (ნადირმა) დამიძახა და მკითხა გაკვირვებულმა: „შენც აქ იმყოფები! აბა სად დაერჩებოდი? ვუპასუხე მე“. „უფალმან გაკურთხოს“ მითხრა მეფემ და მიმიწვია იმ კარავში, სადაც თვითონ იმყოფებოდა, მე მადლობა გადავუხადე მეფეს ყურადღებისათვის“ (31:8).

ამ ურთიერთობის ერთ–ერთ მნიშვნელოვან დეტალად გამოდგება ერთი გახმაურებული ამბავიც, რომელიც ინდოეთისა და სინდეთის* საზღვართან მოხდა. ამ ორ ქვეყანას სასაზღვრო დავა ჰქონდათ. როცა ნადირ–შაჰი ამ საზღვარზე აღმართულ ქვას მიადგა, რომელზეც იყო წარწერა: წყეულა–კრულეა ყველას, ვინც ამ საზღვარს დაარღვევსო. ნადირმა ეს სიტყვები წაიკითხა და გუნება გაუფუჭდა, რადგან სინდეთის დაპყრობის დიდი სურვილი

* ეს პატარა სახელმწიფო დელის იმპერიაში შედიოდა როგორც მისი ვასალური ნაწილი. მიუხედავად ამისა, მისი მფლობელი უარს ამბობდა როგორც კონტრიბუციის გადახდაზე, ისე ირანის ჯარისთვის დახმარების გაწევაზე.

ჰქონდა, მაგრამ სასაზღვრო ქვაზე არსებული წარწერა, კარგს არაფერს უქადდა. დაინტერესებულმა შაჰმა მასთან ახლოს მდგომი ერეკლე დაინახა და მას მიმართა: „შენ რასა იტყვი ქვისა ამისთვის, რომელსაცა ზედა წყევტა დიდი სწერია? უკუნქცევა სჯობს თუ ფიცის ამისა გატეხვა და სინდეთს შესვლა. ეს რომ მოისმინა, ერეკლე ცხენიდან სწრაფად ჩამოხტა, შაჰის წინაშე უშიშრად წარსდგა და უთხრა: „ხელმწიფეო, რად შეიჭირვებ საქმისა ამისთვის, თავმან თქვენმან, ეგონებ ქუა ესე არა იყოს ტეირთი მძიმე; სპილოთა ზედა შევსდვად, ვიდოდეს სპილო იგი ყოველთა წინ და მას შეუდგებოდეს მხედრობა თქვენი ვიდრეცა გენებოსთ. ამ სიტყვასა ზედა ფრიად მოხარული იქმნა ნადირ–შაჰ და ჯილდოდ უბოძა ირაკლის ოცი ათასი ოქრო. უბრძანა ალამში მოსვლა, უჩვენა მარჯვენით კერძო უპირველესი ადგილი ზემოთ ხანებისა და წყალობაცა მრავალი აღუთქვა, ხოლო მოხსენებასა მას მისსა ზედა უბრძანა ნადირ–შაჰმა ქვისა მის შედება სპილოსა ზედა და ეგრეთ იწინამძღვრა ქუა იგი და შეუდგა მხედრობა უკანით მისსა და შევიდნენ სინდეთსა და დაიპყრეს ყოველი სახელმწიფო სინდეთისა მრავლითა ბრძოლითა“ (23:41). ამდენად, როგორც მემატიანე განაგრძობს, ნადირ–შაჰმა დაიპყრო ინდოეთი და სინდეთი და მუდამ ფეალსაწიერზე ჰყავდა ერეკლე „და ამის სიმხნისა და სიკისკასისათვის ფრიად შეიყვარა“ (23:41).

ინდოეთს ლაშქრობა, რომელიც ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა, ნადირ–შაჰმა წარმატებით დაასრულა. 1739 წელს იგი ყანდაარში მივიდა. მან გამოჩენილი ერთგულებისა და ვაჟკაცობისათვის ერეკლესადმი მადლიერება გამოხატა, თავისთან იხმო და უთხრა: „მეფისა ძენ ირაკლი, შენ შენს ქვეყანას ეჭირვები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის წყალობის მოიმედე იყავო“. (23:42)

ერეკლემ თითქმის ორნახევარი წელი დაჰყო ნადირ–შაჰთან. ახალგაზრდა უფლისწულმა კარგად შეისწავლა ირანის სამხედრო ხელოვნება, სახელმწიფო წყობა. განსცლო აღმოსავლური დიპლომატიის კარგი სკოლა, გაეცნო მის პოლიტიკასა და სტრატეგიას. ასე რომ, ბრძოლებში გამობრძმედილი, ხანგრძლივ რთულ ლაშქრობებს შეჩვეული და წინააღმდეგობის დაძლევის

დიდი უნარის მქონე ტახტის მომავალი მემკვიდრე 1739 წლის 28 მაისს ყანდაარიდან წამოსული 13 სექტემბრის ღამის მეხუთე საათზე ალავერდში მოვიდა.

სამშობლოში დაბრუნებულ ერეკლეს საკმაოდ მძიმე ვითარება დაუხვდა,

ქვეყანა კვლავ ლეკთა და ოსმალთა თავდასხმებით იყო შეწუხებული. თბილისში მჯდომი ხანიც სიტუაციას ქართველების საწინააღმდეგოდ ართულებდა და ნადირ–შაჰთან დაპირისპირებას ცდილობდა. ამ დროისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა დედოფალი თამარი, თეიმურაზის მეუღლე ვახტანგ VI–ის ასული და ერეკლეს დედა. მან ჯერ კიდევ 1742 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო კათალიკოსის კურთხევის საქმეში. სწორედ ამ წელს, იანვრის თვეში გარდაიცვალა დომენტი კათალიკოსი. მან ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში მოითხოვა, რომ მისი შემცვლელი საეკლესიო კრებაზე აერჩიათ. „მას ჟამსა შინა დედოფალი კახეთისა, სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა (ასეთი ეპითეტებით ამკობს მემატიანე თამარს—ე.ბ.) თამარ ქალაქს ბრძანდებოდა, ვითაც ბიძა იყო კათალიკოზი სნეულებისათვის ჩამობრძანდა, მიცვალებასაც აქ დაესწრო, მიიღო კურთხევა სრული. შეკრიბა ეპისკოპოსნი დედოფალმან ქართლისა და კახეთისანი და კათალიკოზად, ვითაც მარჩობლად ღირსი იყო, ანტონი, ძე მეფისა იესესი, გამოარჩიეს, ვითარცა ამან ყმაწვილობიდგან გაუშვა სიმდიდრე, მეფობა ამა სოფლისა და ეტრფო ზენათა სასუფეველსა და აღიკვეცა ბერად, რამეთუ ისევ თვისსავე სიცოცხლესა შინა ბიძასაც უნდოდა თვისსა სანაცვლოდ პატრიარქად.“ (33:52). ანტონის კურთხევა კათალიკოსად თამარის მიერ კარგად მოფიქრებული ნაბიჯის გადადგმა იყო, რადგან ანტონ კათალიკოსი შემდგომში აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკაში. ქართლის სამეფო ტახტი სწორედ თამარს ეკუთვნოდა მემკვიდრეობით, რადგან მისი ოჯახის წევრები და ტახტის რეალური მემკვიდრეები რუსეთში იმყოფებოდნენ. თამარის აქტიურ ჩარევას ნამდვილად შეეძლო ვითარების შემობრუნება. თამარი თუ ენერგიულად არ ჩაერეოდა საქმეში, შესაძლო იყო თეიმურაზის ბედი უკუღმა

დატრიალებულიყო. რადგან თბილისს მჯდომმა ხანმა, რომელიც ქართველებთან გამუდმებულ ბრძოლასა და წინააღმდეგობაში იყო, ნადირ-შაჰს აცნობა, რომ ქართლის აჯანყებაში თეიმურაზიც მონაწილეობდა. ბუნებრივია, ნადირ-შაჰი „განძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთისა ერისა“ (23:42). ეს სწორედ ის დრო იყო, როცა ნადირ-შაჰი ინდოეთს ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ „თურქისტანზედ წაბრძანდა, ბალხი, ბუხარი, ორგანჯი, სამარყანდი და მრთლად თურქისტანი სრულად დაიპყრა“ (23:42) და თავისი ძლიერი ჯარებით დაღესტანში შევიდა, ლეკებს შეუტია და დიდი ზიანიც მიაყენა, თანაც ქართველებისგან მხარდაჭერას ითხოვდა. ფაქტობრივად ერეკლემ და თეიმურაზმა ყაენს არ უღალატეს. „ყაენის უთვალავი ლაშქარი იკვებებოდა იმ სურსათით, რომელსაც უზიდავდნენ ქართველნი საქართველოდანვე“ (32:5). ეს ამბები რომ გაიგო, თეიმურაზმა დედოფალი თამარი ნადირ-შაჰთან გაგზავნა „ვედრებად ყაენისა წინაშე, რათა არა ასწყვიდოს ქართლ-კახეთისა ხალხი და დასცხრესცა მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზედა“ (23:42). დედოფალი თამარი დაღესტანში შეხვდა ნადირ-შაჰს და შეევედრა ქართლ-კახეთი გადაერჩინა, უარი ეთქვა მისი დარბევის განზრახვაზე. ამასთანავე აცნობა, რომ არავითარი ბრალი თეიმურაზს არ მიუძღოდა შაჰის წინაშე, ხოლო მისი შვილი, ერეკლე მეორე, შაჰის ერთგული იყო ძველებურად. მოისმინა თუ არა ნადირ-შაჰმა თამარის სიტყვები და მის მიერ ერეკლეს ხსენება „მყის თანად ლმობიერ იქმნა მძლავრი იგი და პატივ-ჰსცა, ვითარცა დედასა და ყოველი თხოვილი მიანიჭა და გამოუტევა დიდითა ნიჭითა კახეთს და მოუწერა შაჰ-ნადირ ტფილისს მჯდომს ხანსა უკუმდგართა ქართველთა ზედა ბრძოლა და ოხრება“ (23:42).

თამარის დიპლომატიურმა მისიამ გაამართლა. შაჰის მიერ მამა-შვილისთვის გამოცხადებული ნდობა ბევრს ნიშნავდა მეფისა და ქვეყნისათვის. აშკარად ისახებოდა გზები დიდ პოლიტიკაში ერეკლეს მომავალი მოღვაწეობისათვის. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თამარის დაბრუნების შემდეგ თბილისში მყოფმა ხანმა ქსნის საერისთაოს შეუტია. ქსნის ერისთავის შანშეს და

მისი ძმის ოჯახები შეიპყრო. თეით შანშე ამ დროს ახალციხის ფაშასთან იმყოფებოდა. ყიზილბაშებმა მოთხოვეს ოსმალებს შანშეს გადაცემა, ოსმალებმაც გადმოსცეს ის და მისი ძმა იესე, რომლებიც ცოლ-შვილით ხორასანში გაგზავნეს. ქსნისა და არაგვის საერისთაოების დაპყრობა გიეი ამილახვარმა დაიწყო. იგი ყიზილბაშებს განუდგა (თავის დროზე ნადირ-შაჰთან ერთად გიეი ამილახვარიც იბრძოდა ინდოეთში), ოსმალთა ძალები მიიმხრო და შეუდგა საერისთაოების დაპყრობას. ეს ამბები ხანმა ნადირ-შაჰს ამცნო. მანვე გააგებინა თეიმურაზისა და მისი შვილის, ერეკლეს ერთგულების ამბებიც. „ხოლო შაჰ-ნადირ უბოძა არაგვის საერისთავო მეფეს თეიმურაზს და მოუმცნო ბრძოლა და კირთება გიეი ამილახორისა, რამეთუ გივს აქვნდა ქსნის ხევისა ციხენი განმაგრებული და ჰყვა ბიძაშვილი თავისი რევაზ“ (23:43).

თეიმურაზი და ერეკლე მოელაპარაკნენ რევაზს საიდუმლოდ, შეპირდნენ ძვირფას საჩუქრებს და თხოვეს საერისთავოს ციხეების გადმოცემა. რევაზმა მართლაც გადმოსცა ქსნის ხევის ციხეები და მამა-შვილმა ქსანიც დაიპყრეს.

ერეკლემ კიდევ მრავალი ბრძოლა გადაიხადა. ჯერ გიეი ამილახვართან და ოსმალებთან, რომლებსაც ლეკებიც უჭერდნენ მხარს, შემდეგ ლეკებთან. ამ ბრძოლებიდან საინტერესო იყო მის მიერ ირანის შაჰის ტახტის მაძიებლის, ძველი ყაენის შვილის დატყვევება. ფაქტიურად იგი ნადირ-შაჰს ეცილებოდა შაჰის ტახტზე და მხარდამჭერებიც ჰყავდა. იგი დაღესტანში იმყოფებოდა და ლეკებმა მისი ოსმალეთში, ხონთქართან, გაგზავნა გადაწყვიტეს. ტახტის მაძიებელი შაჰის მემკვიდრე გამოაცილეს ლეკებმა და ვინაიდან ქსანზე გიეი ამილახვარი ეგულებოდათ იქ მივიდნენ. ეს ამბავი ერეკლეს აცნობეს. „ჰსცნა ესე მეფისძემ ირაკლიმ, კახეთს მყოფმან, და ფიცხელად დევნა უყო, ეწია ყანჩაეთს და შეიპყრა იგი და მისთანანი, წარასხნა და ერედუს თავის მამას მიართვა“ (23:43). თეიმურაზმა ერეკლე სასწრაფოდ გაგზავნა ნადირ-შაჰთან და ყაენის შვილიც თან გაატანა. ნადირ-შაჰი ამ დროს ოსმალებს ებრძოდა და იქ მოუვიდა ცნობა, რომ „შირვანი უკუდგა, ყაენის შვილი მოიყვანეს და

დალისტანიც ითანხმეს და გაახელმწიფესო“ (2:44). ამ ‘ამბის გაგებისთანავე ნადირ–შაჰმა თავისი ვაჟი ნასრულ–მირზა გამოისტუმრა დიდი ჯარით. როცა იგი მტკვარს მიადგა შირვანში გადასასვლელად, ერეკლეც მივიდა მასთან და ყაენის შვილი შეპყრობილი ჩააბარა. ნასრულ–მირზამ (ნადირ–შაჰმა ინდოეთს ლაშქრობის დროს ერეკლეს სწორედ მის გვერდით მიუჩინა ადგილი––ე.ბ.) ჯერ დიდი მადლობა მოახსენა ერეკლეს, შემდეგ კი ყველაფერი მამამისს აცნობა. „ხოლო შაჰ–ნადირ მოსულით წამოსრულიყო და ესე ამბავი გზასა ზედა ემთხვია, რომელიცა ფრიად მადლიერ ექმნა მოსწერა წიგნი მადლობისა მეფე თეიმურაზს და მიუბოძა ათი ათასი ოქრო და მოუმცნო ტფილისს მჯდომს ხანს–ყიზილი ჯალი–ხანს: „მეფის თეიმურაზისთვის იხტიარობა მომიცია და ყველას საქმეს მაგას ჰკითხვიდესო“ (23:44). თავის მხრივ, ნასრულ–მირზამ ერეკლეს მადლობა მოახსენა, მრავალი საჩუქარი უბოძა და შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა: „შენ წარვედ, რადგან ახლა შენს ქვეყანას ეჭირვები, იქ მიეშველე და მაგიერს ჯილდოს მსწრაფლ მოელოდეო“ (23:44). ეს სიტყვები ფუჭი არ ყოფილა და მართლაც მალე მოხდა ის, რამაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა. სწორედ ამ მოვლენით დაედო სათავე ქართლ–კახეთის სამეფოს შექმნას, ე.ი. ორი ქართული სახელმწიფოს გაერთიანებას, რაც საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეის განხორციელების საქმეში გადადგმული პირველი საიმედო ნაბიჯი იყო.

III. ქრისტიანული წესით მეფეთა ჯვრთხევა. დედოფალი თამარი. ბრძოლა ქვეყნის გადარჩენისათვის.

სამშობლოში ერეკლეს დაბრუნება უკვე დიდი მოვლენა იყო. არა მარტო სამეფო ოჯახი გადაურჩა გამუდმებულ ფიქრს ტახტის მემკვიდრის შესახებ, არამედ მისი ნიჭი და საბრძოლო გამოცდილებაც დიდ ძალას წარმოადგენდა. ქვეყანა კი ნამდვილად საჭიროებდა გამჭრიახ და გმირ დამცველს. სწორედ ასეთი იყო ერეკლე. მისი დაბრუნება უაღრესად დროული გამოდგა ქვეყნისათვის. მართალია, მამა–შვილმა ნადირ–შაჰთან ურთიერთობა მოაგვარა და მისი ნდობაც დაიმსახურა, მაგრამ ქართლის თავადების დაპირისპირება ერთმანეთთან და მეფესთან კვლავ გრძელდებოდა. ამას ემატებოდა ოსმალეთისა თუ ირანის ძალების ქვეყნის საწინააღმდეგოდ გამოყენება. ძალიან ხშირად მეფის წინააღმდეგ გამოსული თავადები შეუკავშირდებოდნენ ხოლმე ჩვენს მტრებს და ისე იბრძოდნენ. ან კიდევ, ამ პირობებში არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა სპარსელებთან გაერთიანებულები ებრძოდნენ ოსმალეთთან ან ლეკებთან შეკავშირებულებს. ერთი სიტყვით, ქართველების დავაში მტრები ერთმანეთის შესაძლებლობებსაც ამოწმებდნენ და მოწინააღმდეგის ძალებსაც. ამისი ნათელი დადასტურება იყო ქსნისა და არაგვის საერისთაოებში წარმოქმნილი პრობლემები. ერთი სიტყვით, იყო გაუთავებელი დაპირისპირება და მტრის გამუდმებული თარეში, რაც მთელ ქართულ მოსახლეობას ძალზე მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

საქმეში აქტიურად ჩაება დედოფალი თამარიც. 1742 წელს იგი ქართლის თავადებს შეხვდა და სთხოვა ქართლის მართვის უფლება მისთვის მიეცათ რუსეთიდან მისი ძმების დაბრუნებამდე.

ალექსანდრე ამილახვარი ამ მომენტს ასე გადმოგვცემს: „კახეთიდან მოვიდა ქართლის მეფის ასული თამარი (რომელიც ჯერ კიდევ თავისი მამის, ვახტანგ მეფის, სიცოცხლეში მისთხოვდა კახეთის მფლობელს თეიმურაზს, ჩვენი ქვეყნის ამკლებლის, კონსტანტინეს ძმას). თამარმა, უწარჩინებულეს თავადიშვილებს

სთხოვა, ნება მომეცით სამეფოს მართვა–გამგეობა ვიკისრო, სანამ რუსეთიდან ჩემი ძმები დაბრუნდებოდნენო; ჩემი ქმარი და შვილი არ ჩაერევიან მმართველობის საქმეშიო. თამარმა იცოდა, რომ ქართლელები, განსაკუთრებით ჩვენი გვარის წევრები, წინააღმდეგნი იყვნენ მისი ქმრისა და შვილისა“ (35:42).

როგორც ვხედავთ, ალ. ამილახვრის აზრი ემთხვევა ისტორიულ ცნობას მომხდარი ფაქტის შესახებ. კიდევ მეტი სიზუსტისათვის მოვიყვანთ ერთ ადგილსაც: „ამ ქალმა თავისი მოხერხებული თხოვნითა და ალერსით ყველა დააჯერა, რომ შაჰისათვის მისი მმართველად დაყენება ჩაეგონებინათ. იგი გაემგზავრა სპარსეთში... და შაჰს სთხოვა, ნება მომეცი ჩემს ძმებს შენი და ჩემი სახელით მივწერო სამშობლოში დაბრუნდნენ და წინანდებურად იმეფონ სჯულის გამოუცვლელადო; ხოლო მათ დაბრუნებამდე, ქართლის მმართველად მე ვიქნებიო. რადგან შაჰმა, თავადების თანხმობით თამარს ამის ნება დართო ის ქართლში დაბრუნდა და მმართველი გახდა“ (35: 42–43).

ამდენად, დამოწმებული მასალა ნათლად ადასტურებს ამილახვრის ობიექტურ დამოკიდებულებას მომხდარი ამბისადმი. კახეთის ბაგრატიონთა შტოს ქართლში გამეფებას შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტი დაპირისპირება გამოეწვია და წინააღმდეგობა მოჰყოლოდა, რომ არა თამარის გამიზნული და ჭკვიანური ნაბიჯი. მას კარგად მოეხსენებოდა თავისი ოჯახის წევრების დამოკიდებულება ქართლში დაბრუნებაზე, შექმნილ სიტუაციაში ამის გაცხადებას კიდევ მეტი არეულობის გამოწვევა შეეძლო, ამიტომ თამარის გადადგმული ნაბიჯი არა მარტო შექმნილი ვითარების, არამედ ისტორიის თვალსაზრისითაც გამართლებული იყო. ქვეყნის ინტერესებისათვის უკეთესი გამოსავალი, ვიდრე ქართლში თეიმურაზის ოჯახის გამეფება არ არსებობდა. იგი არა მარტო თეიმურაზის ინტერესებს პასუხობდა ქართლის სამეფო ტახტის დაკავებაზე, არამედ ქვეყნის გაერთიანების გზაზე გადადგმული კარგი ნაბიჯიც იყო. მთელი მომდევნო პერიოდის ისტორიული ვითარება აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა, მაგრამ ამ რთული საკითხის მოგვარება დედოფალმა თამარმა უშუალოდ ნადირ–შაჰთან ვიზიტით კი არ

დაიწყო, არამედ ჯერ ქართლის თავადებთან მოსინჯა ნიადაგი, წინასწარ შეუთანხმდა მათ და მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრა ნადირ–შაჰთან და მისგან მიიღო ქართლის მართვის უფლება (34: 75), გივი ამილახვარი წინააღმდეგი იყო ქართლში თეიმურაზის მმართველობის, ამიტომ მას დედოფალი თამარი შეპირდა, რომ თეიმურაზი მონაწილეობას არ მიიღებდა ქართლის მართვაში. თეიმურაზი და გივი ამილახვარი შეთანხმდნენ და თამარი ქართლის მმართველად ცნეს (34: 79–80).

ამ მოლაპარაკების პროცესშიც საკმაოდ დიდი ძალების დაპირისპირება იყო. ამილახვარს ოსმალები და ლეკები უჭერდნენ მხარს. თეიმურაზს კი ნადირ–შაჰი. სწორედ ამ ძალთა დაპირისპირება იყო დიდი პრობლემა, რადგან, ფაქტიურად, ამ ძალთა დაპირისპირება უბრალოდ ტახტის პრობლემა კი არა, ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის ასვლას ნიშნავდა. გივი ამილახვარი კი ბრძოლას აწარმოებდა ქართლის ბაგრატიონთა შტოს სამეფო ტახტზე დასაბრუნებლად. ბუნებრივია, იგი სწორედ იმიტომ დაეთანხმა ქართლში თამარის, თეიმურაზის მეუღლის, მმართველობას, რომ თამარი ვახტანგ VI–ის ასული და, რეალურად შექმნილ ვითარებაში, სწორედ ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო. თუმცა, თავის მხრივ, თამარი თეიმურაზის ქართლში მმართველობას უწყობდა ხელს.

ქართლში მდგომარეობის შემდგომი გართულება ირანის შაჰისათვის არასასურველი იყო. იგი ოსმალეთს ეომებოდა, ოსმალები კი ახალციხის ფაშას მეშვეობით აშკარად მოქმედებდნენ და ქართლის დაუფლებას ცდილობდნენ. ამ ვითარებაში ნადირ–შაჰი თეიმურაზის აქტიურ მოქმედებას ხელს უწყობდა, ვინაიდან სწორედ ამ გზით შეეძლო შაჰს ქართლზე თავისი გავლენის შენარჩუნება. მან გაითვალისწინა თეიმურაზის თხოვნა და ისედაც გაჭირვებულ ხალხს, რომელიც მოუსავლიანობისა და დიდი გადასახადების გამო მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში იყო, გადასახადები შეუმცირა, თეიმურაზს კი წყალობის რაყამი გამოუგზავნა და პირადად დაავალა ყაზახ–ბორჩალოს საქმეზე პასუხისმგებლობა: „შენი უნებური არა იქნას რაო, როგორც შენ

მამსახურებ, ჩვენ შენ სიტყვას ვერ ვერთო“ (33:76). ამასთან ერთად „მოვიდნენ კახი ბატონის ჩაფრები და ებოძა ხალათი მძიმე და რაყამი წყალობისა და დაპირებოდა მიცემასა ქართლისასა... ქართლის ხანისათვის ებრძანა: „თეიმურაზ ხანთან მიდი და მაგის ბრძანების მორჩილი იყავო“ (33:76–77). ბუნებრივია, ასეთი ნდობა და პასუხისმგებლობის დაკისრება თეიმურაზისათვის უკვე დიდ აღიარებასაც ნიშნავდა, მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. ქართველთაც რაყამი მოუვიდათ: „მეფე თეიმურაზს შეეყარენითო და რაც თქვენი საქმე იყოს, ეგ მომახსენებდესო და მაგის სიტყვის მორჩილებით ახლავ ჩემს დიდებულს კარზედ ჩამოდით და თქვენი სიტყვა სწორე შემატყობინეთო“ (33:77). მართლაც, ქართლის დიდებულები აბდულა–ბეგი, სარდალი ქაიხოსრო, კონსტანტინე მუხრანბატონი, ამირინდო ამილახვარი და სხვები გაემგზავრენ შაჰთან, წაიღეს თეიმურაზის მოხმარების არზა და ნახჩევანში შეხვდნენ მას (33:77). გაერთიანებული ძალებით თეიმურაზმა შეძლო ქართლიდან ოსმალთა განდევნა. დიდად დაზარალებული უსუფ–ფაშა ახალციხეში გაბრუნდა.

ამდენად, თეიმურაზისა და ერეკლეს ერთობლივმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ქართლ–კახეთის ცხოვრებაში. ნადირ–შაჰთან თანამშრომლობამ ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგი გამოიღო. 1744 წლის ივლისში, როგორც პაპუნა ორბელიანი გვამცნობს: „მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფეს თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ძესა მეფისასა ერეკლესა. იყო სიხარული ქართლსა და კახეთსა, სიხარული უზომო. მოვიდა იბრეიმ–ბეგ, მხლებელი ყმა ხელმწიფისა და ხალათები და რაყმები მოუტანა მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს... მივიდა ეს იბრეიმ–ბეგ ყბარზე, გამოართო ალი–ხანს დროშა და მოხელენი კარისანი, მოართვა მეფეს თეიმურაზს და იქმნა მეფედ ქართლისად“ (33:81–82).

ქართლსა და კახეთში თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფება დიდი ისტორიული მოვლენა იყო. 1632 წლის შემდეგ პირველად, მეფობის სანაცვლოდ აღარ მოუთხოვიათ ბაგრატიონთა მემკვიდრეებისათვის გამაჰმადიანება. საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ კვლავ ქრისტიანული წესით ნაკურთხმა მეფეებმა

აიღეს ქვეყნის მართვის სადაყეები. ეს მართლაც დიდი სიხარული იყო ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასი იყო ქვეყნის ბედი და მართლმადიდებლობა – ქართველი ერის შვილთა მიერ უდიდესი ტანჯვა–წამებით შენარჩუნებული რწმენა. ამიტომაც გულიდან არის ამოსული 1745 წლის პირველ ოქტომბერს სვეტიცხოველში ქართლის მეფედ თეიმურაზ II–ის კურთხევისადმი მიძღვნილი იესე ბარათაშვილის სიტყვები: „რა მიგითხრა, რა სიხარული იყო ჩვენგან! ტყვეობის შიშით სამი თვე რომ სიონის აკლდამაში ვისხედით, ამოვედით. ქართველობა შეიქმნა, საყდრებში თათრების შიში აღარ იყო. ვექილები, ვეზირები, მუსტოფი რომ ქართველ ბატონს მსახურებდნენ და თავს დაუკრავდენ, გაგვიოცდის და გაგვიკვირდის. შიგნით არმის სასახლე რომ ვნახეთ და მეფეთ მეჯლისი და დილაზედ სალამი, უცხო რამ სიხარული იყო ყმაწვილის კაცისთვის“ (26:569).

სასიხარულო მართლაც დიდი იყო, რადგან თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფებით და ენერგიული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით მოკლე დროში მათი მმართველობის ქვეშ გაერთიანდა აგრეთვე ბორჩალო, ერევანი, ყაზახი, განჯა, შირვანი, მათთან მეგობრობა მოითხოვეს შუშის, შაქისა და ხოის ხანებმა. ამ დროისათვის მამა–შვილმა კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობის ბრძოლა გამართეს აჯანყებული გივი ამილახერის წინააღმდეგ, რომელიც სურამში იყო გამაგრებული. გივი ამილახვარი, ფაქტობრივად, სპარსელების წინააღმდეგ იყო აჯანყებული და მას ოსმალები უჭერდნენ მხარს. მის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ნადირ–შაჰის ინტერესებშიც შედიოდა, ამიტომ ამ ბრძოლის გამარჯვებით დასრულებაზე დიდად იყო დამოკიდებული როგორც შაჰის წინაშე ავტორიტეტის განმტკიცება, ისე ქართველი მეფეების შორს გამიზნული პოლიტიკა ქვეყნისათვის ახალციხის შემოერთების შესახებ. რა თქმა უნდა, ახალციხის შემოერთებაზე აშკარად გამიზნული ღონისძიებების გატარება ჯერ კიდევ ნაადრევი იყო, რადგან თვით ნადირ–შაჰსაც ოსმალეთთან ომის დასასრულის პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი და ყოველ ზედმეტ ინიციატივას მისი

მხარდამჭერების მხრიდან, შეიძლებოდა საქმისთვის ხელი შეეშალა.

ამის მიუხედავად, მაინც საჭირო და საინტერესო საქმე იყო მოსაგვარებელი და გივი ამილახვრის პრობლემის გადაწყვეტას მეფეები აქტიურად ცდილობდნენ. ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანი ამბავი თვით ერეკლეს ცხოვრებაში მოხდა, როგორც პაპუნა ორბელიანი გვამცნობს: "მობძანდა კახი ბატონი ერეკლე სურამს, გაგზავნეს კაცი იმერეთს და აბაშიძის ზაალის ქალი, შვენიერი და შემკული ყოველითა ბრწყინვალებითა, გარდმოიყვანეს ქვიშხეთს, ანუკა ბატონიშვილი, ვითაც მეფის ერეკლეს დედიდა იყო და ამან მოინდომა და მიათხოვა მეულლედ. წაბძანდნენ ორი მეფენი, სათნონი ღმრთისანი და საქებელნი კაცთანი, მიბძანდნენ ქვიშხეთს სახლსა ვახუშტი აბაშიძისასა, ვითაც ვახუშტის აბაშიძის ძმისწული ქალი იყო და ქორწილი თითონ გარდაიხადა. დაიწერა ჯვარი მეფე ერეკლემა და იქმნა ასული აბაშიძისა დედოფალი ანნა" (36:102). ეს ქორწილი სურამის ციხესთან ყუმბარების ყურთაწამლებ აფეთქებისა და ზარბაზნების გრუხუნის ფონზე მიმდინარეობდა. რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ გივი ამილახვართან საკითხის მოგვარება შორეული მომავლის საქმედ ალარ რჩებოდა.

მართლაც, ნადირ-შაჰმა სრული უფლებით აღჭურვა თეიმურაზი, საჭირო საომარი მასალებითა და ჯარით უზრუნველყო და სურამის ციხის აღების გეგმაც სათანადოდ დაუსახა. მალე თეიმურაზისთვის ცნობილი გახდა. რომ გივი ამილახვარს ისაყ-ფაშა დიდ დახმარებას ჰპირდებოდა, ამიტომ მიიღეს გადამჭრელი ზომები ხეობაში არსებული ციხეების ასაღებად და გზების შესაკრავად (33:95). როცა გივი ამილახვრის წინააღმდეგ საომარი მზადება მიმდინარეობდა, ერეკლემ დედოფალი ანა ქვიშხეთიდან თბილისში ჩაიყვანა: „იყო მეორე ქორწილი და განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაეწყობოდა" (33.95).

რაც შეეხება გივი ამილახვარს, მას კიდევ შეეძლო სურამის ციხის დაცვა, მაგრამ დედოფალ თამარის მოსვლა მოითხოვა, მხოლოდ მის სიტყვას გამოუცხადა ნდობა. მართლაც ჩამოიყვანეს დედოფალი თამარი სურამში „მაშინვე გამოვიდა ამილახვარი

გივი და იახლა ბატონ დედოფალს, მოართვა ძელი ჭეშმარიტი, თავისი საქონლის დაეთარი, ფიცი, რომ „თქვენი მოღალატე აღარ ვიყოო“. მისცეს ბატონებმაც პირი, რომ „არაფერი არც წახდენითა და არც სიკვდილით არ გიშავდეს რაო“. მოართვა ციხე სურამისა და წამობრძანდა ბატონი დედოფალი ქალაქს და თან წამოიყვანა ამილახორი გივი“ (12:96; 5:570), რომელიც ნადირ–შაჰთან გაგზავნეს. ასეთი დასასრული სურამის ციხის ალყისა თეიმურაზის წარმატება იყო.

მართალია, ქართლსა და კახეთს თავისი მეფე ჰყავდა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ თეიმურაზისა და ერეკლეს ურთიერთობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტიურად ქართლი და კახეთი ისე ცხოვრობდა, როგორც ერთი სამეფო. ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში მართლაც დიდი როლი შეასრულა დედოფალმა თამარმა. იგი არ შერიგებია არავითარ წინააღმდეგობას, თვით ნადირ–შაჰთან პირადად მისვლითა და თხოვნამდე, რომ სამეფო ქვეყნისათვის ნამდვილად ერთგულ მმართველს დარჩენოდა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით დედოფალმა თამარმა თავისი ისტორიული მისიაც პირნათლად შეასრულა და თავისი მამის, ვახტანგ VI–ის, საოცნებო იდეალიც – ქართლ–კახეთის გაერთიანებული სამეფოს შექმნისა, ამ ამბების შემდეგ მალე „სანატრელი და ყოელთა საქართველოთა დედა, კურთხეული თამარ დედოფალი დასნეულდა“ (26:571). ავადმყოფობის შემდეგ დედოფალ თამარს დიდხანს აღარ უცოცხლია 1746 წლის 12 აპრილს „სანატრელი და კურთხეით სახსენებელი დედოფალი თამარი მიიცვალა“ (26:571). ქვეყანა გლოვობდა თავის ერთგულ დედოფალს. თამარის გარდაცვალების გამო ალ. ამილახვარი წერს: „ბიძაჩემის (იგულისხმება გივი ამილახვარი–ე.ბ.) სპარსეთში გამგზავრების შემდეგ, დედოფალმა თამარმა მხოლოდ ერთი წელიწადი იმეფა. ხოლო მთელი მისი მეფობა ორ წელიწადზე ცოტა მეტი გაგრძელდა. სიკვდილის წინ მან დიდგვაროვან თავადიშვილებს სთხოვა, ჩემი მეუღლე დასტოვეთ სამეფო ტახტზე, სპარსელების ბატონობას მისი ბატონობა გირჩევნიათო“ (35:54).

თამარის გარდაცვალების შემდეგ იმის შიშით, რომ ყეენმა

„თათარი ცოლად არ გამომიგზავნოსო, მეფემ თეიმურაზმა, კათალიკოსის ანტონის განზრახვით და ზაქარია მოძღვრის მრავლის შრომით და ღვწით, ანახუმ, იოთამის შვილის ბეჟანის ქალი, დედოფლად მოიწოდა“ (26:572). როგორც ვხედავთ, თეიმურაზმა გარდაცვლილი მეუღლის გლოვისთვის გათვალისწინებულ დროზე ადრე იქორწინა. ამასთან დაკავშირებით ალ.ამილახვარი წერს: „როცა შაჰმა გაიგო, რომ დედოფალი თამარი გარდაიცვალა, ხოლო თეიმურაზმა ორმოცი დღის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან, თავად ციციშვილის ქვრივი შეირთო, დიდად განრისხდა და წამოიძახა: მე საქართველოს მმართველობა თამარს ვუბოძე და არა მის ქმარს, რომელმაც არც კი დაიცადა, რომ გლოვისთვის დაწესებულ ვადას გაევლოო. მოიმიზეზა რა დაქერიებული თეიმურაზის სულმოკლეობა, შაჰმა მას არბაბი (ხარკი, გამოსაღები –ე.ბ.) დაადო. სპარსეთის შაჰებს ჩვეულება აქვთ, რომ როცა ვინმეს გაურისხდებიან ჯერ არბაბს ადებენ, ხოლო შემდეგ სჯიან ფულის გადაუხდელობისათვის“ (35:54). არის კიდევ სხვა ცნობაც ამ ქორწინების შესახებ: „1746 წელს მოკუდა. დედოფალი თამარ, მეფის ვახტანგის ქალი და... თეიმურაზ იე (იე რომ ჰსწერია ამას ნიშნავს, რომ თეიმურაზ მეფემ თხუთმეტს დღის შემდგომ ქვრივმა ცოლი შეირთო, დ. ჩუბინაშვილი) დღის უკან შეირთო ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილებისა ბეჟან თაქალთიანის ქალი“ (36:391). უფრო სარწმუნო სწორედ ეს ცნობა უნდა იყოს. რამდენადაც თხუთმეტი დღის შემდეგ ცოლის შერთვა უფრო ასახავს მაშინდელ ვითარებას.

თეიმურაზი მართლაც არ დაელოდა გლოვისთვის განკუთვნილი დღეების გასვლას და ცოლი შეირთო, მაგრამ ისიცი ფაქტია, რომ 1747 წელს „შაჰ–ნადირ განრისხდა ყოველსა სამფლობელოსა ზედა თვისსა და საქართველოსაც არბაბი შემოაწერა, ვითარცა სხვათა ქვეყანათა“ (23:46).

როგორც ვხედავთ, თამარის გარდაცვალებისა და თეიმურაზის მიერ ცოლის შერთვის შემდეგ ნადირ–შაჰმა მართლაც შემოაწერა გადასახადი ქვეყანას, ალ.ამილახვრის ცნობით, საუბარია ორ მილიონზე, სხვა წყაროებიც ამოწმებენ ამ უაღრესად დიდ

გადასახადს, 200 ათას თუმანს. გაეიზიარებთ თუ არა ალ.ამილახვრის ცნობას ამ გადასახადის მიზეზის შესახებ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ამ დროისათვის ნადირ–შაჰი ისეთ ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ფაქტი ერთია, ასეთი გადასახადის გადახდის არავითარი საშუალება ქვეყანას არ გააჩნდა და თეიმურაზს რაიმე უნდა ეღონა თავისა და ხალხის გადასარჩენად.

ნადირ–შაჰმა ქართლ–კახეთზე გამოლაშქრებაც კი ბრძანა, მაგრამ შემდეგ ისევ ჩაფიქრება და იმისი გააზრება ამჯობინა, რა ძვირად უჯდებოდა ქართლის განდგომილ თავადებთან ანგარიშის გასწორება ირანის მბრძანებელს. ამჯერად კი საქმე არა ცალკეულ თავადებს, არამედ, მლიანად ქართლ–კახეთს ეხებოდა, ამიტომ უკანასკნელ მომენტში ისევ თავის შეკავება ამჯობინა "დამსჯელი ჯარი გზიდან უკან დააბრუნა და თეიმურაზსა და ერეკლეს „სიტკბოების და წყალობის რაყამი" მოსწერა. მხოლოდ ერეკლეს ისპაჰანში იბარებდა პირისპირ მოსალაპარაკებლად. ირანში ერეკლეს ხელახლა წასვლას თეიმურაზი წინააღუდგა: შენს მეტი ძე არ მყავს, გეყოფა რაც ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში ახლდი ხელმწიფეს, ახლა რომ რამე მოგვიიდეს, ქვეყანა უპატრონოთ დარჩებაო" (37:85). მართალია, თეიმურაზმა თავიდან ირანში გამგზავრებაზე უარი განაცხადა და მთელი ოჯახით მთაში გაიხიზნა, მაგრამ შემდეგ ისევ შაჰთან გამგზავრება გადაწყვიტა და სათანადო თადარიგიც დაიჭირა. როგორც პაპუნა ორბელიანი წერს „ბატონმა ასე ამჯობინა, რომ თავისი წაბძანება ბძანა: „ხელმწიფესთან წავალო, ჩემი თავი ქვეყნისათვის დამიდვიაო. თუ ქვეყანას უშველო რამე და ან ხელმწიფეს (ნადირ–შაჰს—ე.ბ.). ჩემი სიტყვა შევასმინე, ქართლს პირველს რიგზე დავაყენებო და თუ ვერ შევასმინე რაო, მერე ყველამ თქვენს თავს უშველეთო". გარდადვა თავი ქრისტიანობისათვის, წაბძანდა მეფე ცხებული, თეიმურაზ ერანში ყაენთან, რომელსა ეწოდებოდა სახელად შაჰ–ნადირ" (33:124–125). თეიმურაზ მეორე ირანში 1747 წლის 10 მაისს გაემგზავრა. წასვლის წინ უბძანა ქართველთა: „ბატონიშვილს აბდულა–ბეგს

ნუ გაეყრებითო და ჩვენის ერთგულებით ამისი სიტყვის გამბონნი იყავითო". აგრეთვე აბდულა-ბეგს უბრძანა "რადგან მეფე ერეკლე მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცლისო, ქართლს მოუარეთო და ერთმანეთის ნებით და შეკითხვით ორიე ქვეყნები მტრისაგან კარგა გამააგრეთო და ჩემდა მოსვლამდის მშვიდობიანად იყვნეთო" (33:125).

ამდენად, გამგზავრების წინ თეიმურაზმა ქართლი აბდულა-ბეგს ჩააბარა. აბდულა-ბეგი (არჩილი) იყო მეფე იესეს (ვახტანგ VI-ის გამაჰმადიანებული ძმა— ე.ბ.) შვილი „რომელიც უამსა მას დადრგენილ იყო განმგედ ბარათიანთა ზედა მეფის თეიმურაზისაგან" (38:3). ბუნებრივია, ერეკლე კახეთთან ერთად უყურადღებოდ ქართლსაც არ დატოვებდა. აბდულა-ბეგმა ვითარებით ისარგებლა და ძალები შეკრიბა ქართლის ხელში ჩასაგდებად, მან მიიმხრო ლეკები და ყიზილბაშთა თბილისში მდგომი ჯარები და ერეკლეს მისწერა: „კახეთს არ გედავები და ქართლს ნუ შემედავები, ჩემი სამკვიდროაო" (37:87). იმ მტრებთან ერთად, რომლებიც კახეთსა და ქართლს არ ასვენებდნენ, ერეკლეს აბდულა-ბეგის პრობლემაც გაუნჩდა. მან მოუყარა თავი საჭირო და ერთგულ ძალებს აბდულა-ბეგის წინააღმდეგ. აბდულა-ბეგის გამოსელის მიზეზი, როგორც ს.ქიშმიშევი წერს, შეიქმნა ის გარემოება, რომ ამდროისათვის გავრცელდა ხმები სპარსეთში თეიმურაზის მკვლელობის შესახებ. ეს ჭორი სწრაფად გავრცელდა მთელ ქართლში. დაიწყო მითქმა-მოთქმა იმაზე, თუ ვის უნდა დაეჭირა ქართლის სამეფო ტახტი. გამონახეს ადამიანები, რომლებიც სპარსეთში გაგზავნეს ვითარების გასარკვევად, მაგრამ სამი კაციდან უკან არავინ დაბრუნებულა, ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი აბდულა-ბეგის გამეფებას უჭერდა მხარს, რადგან თეიმურაზი ქართლის ტახტზე ძალად მოსულ მეფედ მიაჩნდათ, ვინაიდან სამეფო ტახტი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ. უკმაყოფილება თეიმურაზის გამეფებასთან დაკავშირებით თბილისსაც გადაედო. ამ განწყობით ისარგებლა აბდულა-ბეგმა, რომელმაც მოწოდებით მიმართა ხალხს და თეიმურაზის გარდაცვალების ამბის გავრცელების შემდეგ თავი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადა, მის

მოწოდებას მრავალი მხრიდან, უწინარეს ყოვლისა საბარათიანოდან და ბორჩალოელი თათრებიდან გამოეხმაურნენ. ლეკებმაც მზადყოფნა გამოაცხადეს. ამ ამბების შესახებ ერეკლემ თელავში გაიგო, იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა თბილისში და საჯაროდ ამცნო ხალხს მამის მიერ გამოგზავნილი წერილის შესახებ, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ თეიმურაზი ჯანმრთელად იყო, ყველა საქმე ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ გადაწყვიტა და ემზადებოდა უკან დასაბრუნებლად (39:40–41).

აბდულა–ბეგი სამშვილდეში იმყოფებოდა, სადაც ერეკლემ გაუგზავნა ეპისკოპოსი და მოითხოვა თავი შეეკავებინა, მაგრამ ეპისკოპოსი უარით გამოისტუმრა. აბდულა–ბეგმა საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარა თავი, გამაგრებული ჰქონდა ციხე და შეკრებილი ჰყავდა ჯარიც. თავის მხრივ, ერეკლეც ემზადებოდა ამბოხებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან თითქმის 20 ათასამდე კაცი შეკრიბა. ბრძოლები მართლაც მკაცრი გაიმართა, აბდულა–ბეგი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. ერეკლე დაეთანხმა სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტაზე იმ პირობით, თუ განაიარაღებდა გარნიზონს, ყველას სახლში გაუშვებდა და თვითონ სამშვილდეში დარჩებოდა თეიმურაზის დაბრუნებამდე. მაგრამ ვითარება შეცვალა ირანში მომხდარმა მოვლენებმა. კერძოდ, გამოსვლები დაიწყო აზერბაიჯანში, სადაც ყველაზე გაელენიანი ხანი ემირ–ასლანი შაჰად გამოაცხადეს. აბდულა–ბეგმა მას თხოვა დახმარება. თან ატყობინებდა, რომ ერეკლე ავიწროებდა და მის კუთვნილ ქართლის სამეფო ტახტზე ასვლის საშუალებას არ აძლევდა. ამირ–ასლანი დაეხმარა აბდულა–ბეგს, იგი ქართლის მეფედ გამოაცხადა და მხარდაჭერის დასტურად 8 ათასიანი რაზმის გამოგზავნასაც დაპირდა კასიმ–ხანის სარდლობით. ეს ფირმანი ხელთ იგდეს ერეკლეს მომხრეებმა და ყველაფერი ცნობილი გახდა. ამბოხებულებს დამხმარე ძალები შეუერთდა. ერეკლემ 1748 წლის 15 აპრილისთვის შეძლო თავისი ძალების შემოკრება და გადავიდა შეტევაზე თბილისს მომდგარი ამბოხებულების წინააღმდეგ. სპარსელთა მოსვლით განაწყენებულმა და საშინელების მომლოდინე ხალხმა, განსაკუთრებული შემართებით დაიწყო ბრძოლა. მტერი იძულებული გახდა გაქცეულიყო,

მრავალი დახოცეს, 1700 კაცი დაატყვევეს. აბდულა-ბეგი სამშვილდეში შეეფარა, მაგრამ შეიპყრეს, ხელბორკილით თბილისში მიიყვანეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ეს ბრძოლა, რომელიც წავკისის ბრძოლის სახელით დარჩა ისტორიაში, პაპუნა ორბელიანის სიტყვებით, ერეკლეს ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იყო (39:42-45). ამის შემდეგ თეიმურაზის დაბრუნებამდე ერეკლე ქართლ-კახეთს თვითონ განაგებდა.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ საკითხებზე ალ. ამილახვრის შეხედულებაც. თანაც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გარკვეული მიზეზების გამო მის აზრს საბჭოთა ეპოქის მკვლევარები ყურადღებით არ ეკიდებოდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ საყურადღებო მოსაზრება გააჩნია: „როგორც კი თეიმურაზმა გაიგო, რომ შაჰმა ორი მილიონის გადახდა დამაკისრაო, – წერს ალ.ამილახვარი, – მიხვდა, რომ იგი ჭასზე გამწყრალი იყო და თავისი ოჯახით კავკასიის მთებში გაიხიზნა. აქ მას აცნობეს, რომ შაჰმა გივი ამილახვარი გაათავისუფლა და ჯარით საქართველოში გზავნის შენს შესაპყრობადო. ამ ცნობამ თეიმურაზი სასოწარკვეთაში ჩააგდო, რადგანაც მან კარგად იცოდა, რომ ბიძაჩემს ვერსად დაემალებოდა და გადასწყვიტა ნებაყოფლობით გამოცხადებოდა შაჰს, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო უნდა ჰქონოდა შეწყალების იმედი“ (35: 55)..

ნადირ-შაჰმა მართლაც გაათავისუფლა გივი ამილახვარი და, თუმცა დავალების შესრულების დიდი სურვილი არ ჰქონდა, ბუნებრივია, შაჰს უარი ვერ გაუბედა. დავალება კი ასეთი მისცეს: „გაპატიებ ყოველივე შეცოდებას (შეცოდებები იმდენი ჰქონდა გივი ამილახვარს შაჰის წინაშე, რომ მემატიანეც კი გაკვირვებული იყო, როგორ გდაურჩა ცოცხალი—ებ), სამაგიეროდ შენც უნდა გვემსახურო. გაძლევ ოცდათოთხმეტ ათას ჯარისკაცს, წადი საქართველოში და სამეფოს მართვა-გამგეობა იკისრე. ხოლო თეიმურაზი მისი ვაჟი ერეკლეთურთ, დაიჭირე და გამომიგზავნეო“ (35:55).

ასე აფასებს ალექსანდრე ამილახვარი შექმნილ სიტუაციას. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნადირ-შაჰი უკმაყოფილო

იყო ქართლ–კახეთში არსებული ვითარებით, განსაკუთრებით მისი ფინანსური მდგომარეობის გამო და ეჭვით შეჰყურებდა როგორც ადგილობრივ, ასევე ირანიდან წარმოგზავნილ მოხელეებსაც და გადაწყვეტილებაც მიიღო ქართლ–კახეთში ჯარის გამოგზავნის შესახებ, მაშინ ალექსანდრე ამილახვრის ცნობები მეტ ინტერესს იწვევს. იგი არც სიმართლიდან უნდა იყოს დაშორებული და, რომ არა ირანში განვითარებული მოვლენები, ალბათ, საქმე შეიძლება სხვაგვარად დატრიალებულიყო. ირანში კი ნადირ–შაჰისადმი გულისწყრომა გაიზარდა, 1747 წლის 9 მაისს იგი მოკლეს და მისი ადგილი ადილ–შაჰმა დაიკავა, რომელიც თეიმურაზის სიძე იყო. „მან პატივით მიიღო სიმამრი და მასთან მყოფი ქართველებიც არ დაივიწყნია, ზურაბ სააკაძეს ვექილობა და სპასალარობა უბოძა ერანსა, ხორასანსა და ადირბეჟანზე, გივი ამილახვარს ყულარაღასობა და დიდი პატივი“ (26:573–574).

თეიმურაზი, როგორც აღვნიშნეთ, როცა ირანში წაბრძანდა ნადირ–შაჰთან, დედოფალი ანახანუმი ფეხმძიმედ იმყოფებოდა. 1747 წლის 24 მაისს მას ვაჟი–ბატონიშვილი სოლომონი შეეძინა (33:126), რომელიც იმავე წლის 18 ივლისს გარდაიცვალა (33:145).

თეიმურაზი, დიდი პატივით მიიღო ადილ–შაჰმა და თავისთან დაიტოვა. მანვე ერეკლეს საჩუქრები და წყალობის რაყამიც გამოუგზავნა: „რადგან მეფე თეიმურაზ ჩვენს სამსახურში არისო, ქართლსა და კახეთს ორსავე კარგად მოუარეო“ (33:134). ამდენად, ერეკლემ შაჰისაგან ქართლ–კახეთის მართვის ოფიციალური ნებართვა მიიღო. სწორედ თეიმურაზის ირანში ყოფნის პერიოდში კვლავ გართულდა ვითარება შაჰის კარზე.

1747 წლიდან ნადირ–შაჰის მოკვლის შემდეგ, ირანში საყოველთაო აჯანყება დაიწყო, რომელიც ქართლ–კახეთსაც არ ტოვებდა მშვიდად. „ირანის სახელმწიფო ანარქიამ მოიცვა,— აღნიშნავს პროფ. ნ. ასათიანი,—დაიწყო ხელისუფლებისათვის გაუთავებელი ბრძოლა. შექმნილ ვითარებაში ქართლ–კახეთის სამეფოები ფაქტიურად დამოუკიდებელნი შეიქმნენ. ირანის ტახტისათვის მებრძოლი პრეტენდენტები ცდილობდნენ ქართველი

მეფეების გულის მოგებას და მამა–შვილს პატივითა და წყალობით აესებდნენ“ (41:113). ირანში მყოფ თეიმურაზს ტახტზე ახლად ასული შაჰი არა თუ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას არ აძლევდა, არამედ გვერდიდან არ იშორებდა. ამჯერადაც ადილ–შაჰი და თეიმურაზი მაზანდარანში იყვნენ წასული, როცა „უკუდგა სპასალარი ამირ–ასლან–ხან ადილ–შაჰს და ამანაც მოინდომა ადრიბეჟანის ქვეყანაში ყაენობა“ (33:134). მალე ერეკლეს მოუვიდა ადილ–შაჰის ჩაფარი, რომელმაც მოართვა წყალობის რაყამი, სადაც ერეკლე მოხსენებული იყო „კახეთის ბატონობით და ქართლის ნაიბობით“. რაყამთან ერთად მას გადასცეს მეფე თეიმურაზის წერილები და ადილ–შაჰისაგან მრავალი საჩუქრის ბოძების ამბავი. მალე ამირ–ასლან–ხანი შეუკავშირდა ადილ–შაჰის უფროს ძმას, განუდგნენ მას და დაუპირისპირდნენ. თეიმურაზი ადილ–შაჰთან იმყოფებოდა. ბუნებრივია, რომ ამბოხებულებს ქართლის იმედი ჰქონდათ. ამიტომ იბრეიმ–მირზამ და ამირ–ასლან–ხანმა ბატონიშვილ აბდულა–ბეგს მისწერეს: „თუ ქართლს ჩვენ გვიმსახურებ, ქართლს შენს მეტს არავის ვაბატონებო“. მათვე ქალაქის ციხის მინბაშსაც აცნობეს: „ვინც ჩვენი ერთგული ყმა არ იქნებაო, ციხეს ნუ მიანდობთო“ (33:140–141). ერთი სიტყვით, ამბოხებულებმა თადარიგი დაიჭირეს და ადილ–შაჰის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ. ეს გადამწყვეტი შეტაკებაც მალე მოხდა. ორივე მხარეს საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავდა, მაგრამ საერთო მხარდაჭერა ამბოხებულებს მეტი ჰქონდათ. „შეიბნენ, გაემარჯვა ყაენზე იბრეიმ–მირზას და ადრიბეჟანის სარდალს, ამოუწყვიტეს (ლაშქარი—ე.ბ.) ადილ–შაჰ ყაენსა, წაართვეს ხაზინა, თითონ დაიჭირა და თვალები დასთხარა. დიახ, დიდი ხაზინა სადმე ჰქონდა, ნადირ–შაჰი რომ მოკლეს, იმისი დარჩომოდა“ (33:149). ეს ყველაფერი 1748 წელს მოხდა. ნადირ–შაჰის მოკვლის შემდეგ შექმნილ ქაოსში, რომელიც ტახტის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლებში წარმოიშვა და ტახტის პრეტენდენტობისათვის მებრძოლებიც შეიწირა, ფართო ასპარეზი ეხსნება თეიმურაზ–ერეკლეს პოლიტიკას. ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში „გურჯისტანის ვალის აქტიური მონაწილეობა მას ირანის

„უპირველეს წარმომადგენლად“ ხდის და შაჰის კარზე მყოფი თეიმურაზი ქართლ–კახეთში ერეკლეს წარმატებებს ხელს უწყობს. ქართლის მოცილე აბდულა–ბეგს ერეკლე არაერთგზის ამარცხებს მისი მოკავშირეებითურთ და თბილისის ციხეს ყიზილბაშებისაგან ათავისუფლებს“ (40:235). და, საერთოდ, ირანის ბატონობა ფაქტიურად შეწყდა ამიერკავკასიის ქვეყნებში. თეიმურაზი ადილ–შაჰის მოკვლამდე წამოვიდა. მას რამდენიმე თანამგზაერი გარდაეცვალა, გზაშიც პრობლემები შეექმნა, მაგრამ დიდი გაჭირვებით მაზანდარანს მიაღწია, სადაც გივი ამილახვარი იმყოფებოდა. მან თეიმურაზი კარგად მიიღო. ამასობაში იბრეიმ–მირზას მოეკითხა ქართლის ვალი: „მეფე თეიმურაზ ჩემს ძმასთან იყო, რა იქნაო, საცა ჩემს საბრძანებელში იყოს, მოიპოვნეთო“ (33:150). ეს ბრძანება მაზანდარანშიც მივიდა და თეიმურაზი წაიყვანეს იბრეიმ–მირზასთან.. ამ უკანასკნელმა დიდი პატივით მიიღო ქართლის მეფე, მრავალი საჩუქარიც უძღვნა და წყალობის რაყამიც გამოუგზავნა .მეფე ერეკლეს: „რადგან მამა შენი მეფე თეიმურაზ ჩვენს სამსახურში არის, შენ ქართლსა და კახეთს კარგად მოუარეო“ (33:150). ერეკლე ასეთ წყალობას არ მოელოდა, რადგან მას სპარსელებთან ომი მოუხდა აბდულა–ბეგთან დაპირისპირების დროს, ამიტომ რაყამის მიღება მისთვის დიდი მოულოდნელობა და ახალი ნდობის გამოცხადებაც იყო.

მალე იბრეიმ–მირზას ყოფილი მოკავშირე სარდალი ამირ–ასლან–ხანი განუდგა, მაგრამ იბრეიმ–მირზას ჯარმა სძლია მოწინააღმდეგეს და შეპყრობილი მოართვეს. გამარჯვებულმა დამარცხებულ მოწინააღმდეგეს თვალები დასთხარა, შემდეგ თაერიზში ჩავიდა, თავი ყაენად გამოაცხადა და სახელად შაჰ–სულთან იბრეიმი დაირქვა (33:151). ახალმა შაჰმა თეიმურაზი პატივით კვლავ ირანში დატოვა, ერეკლეს ახალი რაყამი და საჩუქრები გამოუგზავნა. თეიმურაზმა მხოლოდ 1749 წელს შეძლო სამშობლოში დაბრუნება. თან შაჰის სიგელი ჩამოიტანა, რომლის ძალითაც ყაზახ–ბორჩალო ქართლ–კახეთის სამეფოს კუთვნილება ხდება. დამოუკიდებელი ქართული სამეფოს ტერიტორია ამით მნიშვნელოვნად ფართოვდება, მისი სამხრეთ–

აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე აქსტაფის ხეობას სწვდება (40:235). მალე გიეი ამილახვარიც დაბრუნდა ირანიდან დიდი პატივითა და დიდებით. მეფეები კარგად შეხვდნენ მას, ირანში ყულარაღასობა უბოძეს და შაჰყულიხანს უწოდებდნენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქალაქის მოურავობა მისცეს. გამოირჩეოდა კეთილი ქცევით, ააშენა ქაშვეთის ეკლესია მთავარმოწამის გიორგის სახელზე (26:575). ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ღასასრულს ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები დაუდგა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ ჩვენი მეზობელი ჩაგრული ხალხებისთვისაც. კერძოდ, „ახალი ხანა“ იმედის მომცემი ჩანდა სომეხი ხალხისთვისაც. ამასთან დაკავშირებით, როგორც გ. მაისურაძე აღნიშნავს, „ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ლეო (არაქელ ბაბახანიანი) შენიშნავდა, რომ 1744–1745 წლების მოვლენები (თეიმურაზ–ერეკლეს ქრისტიანობით გამეფება) „ახალ გვერდს შლიდა საქართველოს ისტორიაში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომეხი ხალხისთვისაც. ბრუნდებოდა ვახტანგ VI-ის დროება, როდესაც ქართლსა და კახეთში ქრისტიანული პოლიტიკა ბატონობდა“ (40:241).

მართლაც, არ გასულა დიდი დრო, როცა ქართლ-კახეთის მეფეებმა ერევანს საჭირო და დროული დახმარება აღმოუჩინეს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე თეიმურაზი აქტიურად შეუდგა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მოწესრიგების საქმეს, უპირველეს ყოვლისა რამდენიმე ციხე სასწრაფოდ შეაკეთებინა ქართლსა და კახეთში. ირანში კვლავ არეულობა დაიწყო. ამის მიზეზი თეიმურაზის წამოსვლის შემდეგ იბრეიმ შაჰის მოკვლა იყო. შინა ომი კვლავ გაძლიერდა პირველობისათვის. კერძოდ, შექმნილ ვითარებაში აშკარად გამოირჩეოდა მაჰმად-ხანი „ადრიბეჟანის მხარეს განძლიერებული, მრავალსა ქვეყანასა აოხრებდა, რომლისათვის მოსწერეს ერევნელებმან მეფესა თეიმურაზს და მეფეს ირაკლის: „ირანში მეპატრონე აღარ არის და ეს მაჰმად-ხან ამ ქვეყანას აოხრებს. თქვენ მოგვეშველენით, ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გმსახურებთო“– აღნიშნავს ომან ხერხეულიძე

(23:48). ცნობის მიღებისთანავე თეიმურაზი და ერეკლე წავიდნენ ერევნის მისაშველებლად. ეს ამბავი მაჰმად-ხანსაც გაეგო, რომ ერევნელებმა დახმარება ქართველებს თხოვესო. თავის მხრივ, მაჰმად-ხანი დაემუქრა ქართველ მეფეებს, რამაც კიდევ უფრო საბრძოლოდ განაწყო ისინი. „ყაზახში რომ მიბძანდნენ, —წერს პაპუნა ორბელიანი,—მოუვიდათ განჯის ხანის კაცი და ედვა თავს სამსახური და ისიც შემოხვეწოდა მოხმარებასა, იქაც გამოჩენილიყო ერთი ჯავანშირელი კაცი სახელით ფანა, შეეყარა ჯარი და გლეჯდა განჯა-ყარაბაღის ქვეყნებსა. მოვიდნენ სიღნაღის მელიქის შვილებიც ასიოდ კაცით და ისინიც შემოეხვეწნენ ფანაზე მოხმარებასა, მაგრამ რადგან ერევანზე გამზადებული იყვნენ აღარ მოიშალეს. ამათაც მოხმარებას დაპირდნენ და წაბრძანდნენ ერევანს“ (33:161). ერევნელები დიდად გაახარა ქართველი მეფეების მისვლამ. მათ ყველაფერი აცნობეს მაჰმად-ხანის შესახებ, რომელიც ერევნის ციხეზე თავდასასხმელად უკვე გამზადებული იყო. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ქართლ-კახეთის ლაშქარი განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა. ბრძოლა თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. მაჰმად-ხანი შეკრთა და ბრძოლიდან პირი იბრუნა, გაქცეულ მტერს გამოუდგნენ ქართველები და მართლაც მუსრი გაავლეს. მაჰმად-ხანმა თავის ციხეში ცოლ-შვილთან შესვლაც ვეღარ მოახერხა. გამარჯვებული ერეკლე და თეიმურაზი ერევნის ციხეში დაბრუნდნენ. ერეკლემ ამით როდი დაასრულა იმ დღის ბრძოლა. „წაბძანდა მეფე ერეკლე იმავ ღამესვე ჯარით, მიუხდა მაჰმად-ხანის ციხეს, სადაც უდგა ცოლ-შვილი, აიღო ციხე, აიკლო ცოლ-შვილი, იავარ-ჰყო საქონელი, გამოიყვანა ძმა ერევნის ხანისა, რომელი პატიმარი ექმნა მაჰმად-ხანს“ (33:162). არც თეიმურაზი მისცემია განცხრომას. თავის მხრივ, ისიც მეორე ციხის დასალაშქრად გაემართა „წაბძანდა მეფე თეიმურაზ და აიღო ციხე, რომე რაც მაჰმად-ხანის სანდო კაცი იმაში იდგნენ, ტყვის დატყვევება და კაცის სიკვდილი კი აპატივა და საქონელი იავარ ჰყვეს“ (33:162), მალე ერეკლეც გამარჯვებული დაბრუნდა და თეიმურაზთან ერთად ქართველი მოლაშქრეები შეიკრიბნენ. ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო. მეფეებმა მოლაშქრეები

დაასაჩუქრეს და უკან გამობრუნდნენ დიდი ნადავლითა და ტყვეებით. გზაში გაიგეს, რომ ფანა-ხანი მაჰმად-ხანს შეკავშირებოდა და განჯასთან სურდათ უკან დაბრუნებულ ერეკლესა და თეიმურაზს დახვედროდნენ. ქართველ მეფეებს ჯვარის ახალი შევსებაც მოუვიდათ თეიმურაზის სიძის, დიმიტრი ორბელიანის სარდლობით. როგორც პაპუნა ორბელიანი წერს, ისეთი შევსება მიიღო ქართულმა ლაშქარმა, რომ მოყვარეს გაახარებდა და მტერს თვალთ დაუბნელებდა. ამ ვითარებაში მოწინააღმდეგემ მოლაპარაკების გზით შეთანხმება ამჯობინა. მართლაც მცირეოდენი წინააღმდეგობის შემდეგ ცოტა ქართველებმა დათმეს და უომრად შეურიგდნენ ფანა-ხანს. ტყვეების შესახებ კი პასუხი ასეთი მისცეს: „რადგან მაჰმად-ხან ერევნელი არისო, იმის ცოლ-შვილს ერევნის ხანს მივსცემო და ამან, ვისაც ენებოს, მისცეს“-ო (33:164).

ერთი სიტყვით, მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულსა და მეორე ნახევრის მიჯნაზე ქართლ-კახეთს შედარებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა. მართალია, მტერი და ბრძოლები არ მოკლებია, მაგრამ გამარჯვების სიხარულიც არ ყოფილა იშვიათი გამონაკლისი.

ამ გამარჯვების ფონზე მძიმე ოჯახური ტრაგედია ხვდა წილად მეფე ერეკლეს. 1749 წლის 7 დეკემბერს გარდაიცვალა კახეთის დედოფალი ანა.* „მიიღეს მცხეთას, იქნა გლოვა, მწუხარება ფრიადი, იქნა წმიდა კრება და აღმოფხვრეს ქართლისა ქვეყნისაგან საქმე ყოველი უჯერო, წმიდამან პატრიარქმან ანტონიმ განმართნა განდრეკილება და წინააღმდეგი სჯულისა, ტირილი და უჯერო კერპური გლოვა ყოველივე დააყენეს“ (33:164), აღნიშნავს მემატიანე.

ამრიგად, ქართლსა და კახეთში მამა-შვილის, თეიმურაზისა და ერეკლეს, გამეფებით, არსებითი ცვლილებები მოხდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტაში. პირველი და

* ანა, ზაალ აბაშიძის ასული, ერეკლეს მეორე ცოლი იყო, რომლისგანაც შეეძინა გიორგი და თამარი. ერეკლეს პირველ ცოლად ჰყავდა ქეთევანი, ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული. მისგან შვილი არ დარჩენია (42:82).

უმთავრესი, ეს იყო საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართლის სამეფო ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონთა მემკვიდრეების გამეფების დასასრული. მართალია, გამაჰმადიანებული მეფეების ტახტზე ასვლა არ ყოფილა ქვეყნის სრული პოლიტიკური აღსასრული და იგი კვლავაც მოიხსენებოდა ქართული სამეფოს სახელით, მაგრამ ირანის შაჰების მიერ ქართლის მომავალი მეფეებისთვის მაჰმადიანობის მიღების აუცილებლობა, ხშირ შემთხვევაში, მათი პირადი შეურაცხყოფის, პიროვნული ღირსების შელახვისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის გარკვეული უხერხულობის რეალური გამოვლინებაც იყო. თუმცა მეფობის ბევრი კანდიდატი მუსლიმანობას მხოლოდ სიტყვით აღიარებდა და საქმით მხოლოდ ქრისტიანული სულით მოღვაწეობას განაგრძობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, თუმცა იშვიათად, როცა მთელი არსებით დიდი ხელმწიფის ერთგულებასა და მის სამსახურში ყოფნას აღიარებდნენ. ასეთი მმართველები კიდევ ერთი ზედმეტი საზრუნავი ხდებოდა მტრებისაგან ისედაც გატანჯული მოსახლეობისათვის, რომელიც არასოდეს შეგუებია არც ყიზილბაშობას და არც ოსმალობას. იგი ქართველად იყო დაბადებული და ქართველად სიკვდილს ამჯობინებდა.

თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობამ, ტახტზე ასვლისას ქრისტიანულად მათმა კურთხევამ, არსებითად შეცვალა ქართველი კაცის გუნება-განწყობა. იმედი მისცა მას არამარტო ქვეყნის გაძლიერება-განვითარების, არამედ მისი „გამოხსნა-აღდგომისთვისაც“ პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად. ორი სამეფოს მესვეურთა მოღვაწეობა სწორედ აქეთ იყო მიმართული და მტრისა და მოყვრისათვის ქართლ-კახეთი ფაქტობრივად ერთიან სახელმწიფოდ აღიქმებოდა. პერსპექტივაში ეს ერთიანობა იყო ის დიდი სურვილი და მისწრაფება, რომელიც მომავალი ბრძოლების მოლოდინში მყოფ ხალხს იმედის ნათელი სხივით აცისკროვნებდა.

IV. მძიმე სოციალური ყოფა. ჯანონიერების დაცვის ღონისძიებები

1749 წელს ირანიდან თეიმურაზის დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო აქტიური გახდა ერეკლეს ცხოვრება. გაუთავებელი ომების მიუხედავად, იგი სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მიეცა შვება ხალხისთვის და რა ღონისძიებები გაეტარებინა მტრის გამუდმებული თავდასხმების აღსაკვეთად, როგორ მოეხდინა სახელმწიფო ხელისუფლების სრულყოფა.

რაკი მამა და შვილი ქართლსა და კახეთს საკმაოდ შეთანხმებულად განაგებდნენ, მათ შორის ფაქტიურად აღარ რჩებოდა განსხვავებული, მით უმეტეს დამაპირისპირებელი პრობლემები. კახეთის მტრები ქართლის მტრებიც იყვნენ და პირიქით. ასეთი ურთიერთობა კიდევ უფრო მრავალმხრივ კავშირებსა და დასახული მიზნის მისაღწევად ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვდა.

ერეკლე მთელ თავის მოქმედებაში, სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება–გაძლიერების თვალსაზრისით, ერთიანი, ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფოსათვის იბრძოდა. მისთვის ნათელი იყო, რომ სათავადოებად დაშლილ, მტრის გაელენის სფეროებად დანაწილებულ ქვეყანაში წარმატების მიღწევა მხოლოდ ძლიერ ხელისუფალს, გაერთიანებულ ქვეყანას შეეძლო. ის გაუთავებელი ბრძოლები, რომლებსაც ერეკლესთვის ხშირად დიდი წარმატება, მაგრამ ზოგჯერ სევდიანი მარცხიც მოჰყვებოდა ხოლმე, მის წინაშე გადაჭრით აყენებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პრობლემების ზედმიწევნით გააზრებისა და მათი გადაწყვეტისათვის საჭირო ძალთა მობილიზების აუცილებლობას.

ერეკლეს წინაშე მთელი სიგრძე–სიგანით დგებოდა მტრისაგან ქვეყნის გამოხსნისა და მისი აღდგომის, ქრისტიანული რელიგიის დაცვისა და მუსლიმანური გარემოცვის პირობებში მისი გადარჩენის ძნელად გადასაწყვეტი ამოცანებიც.

გაუთავებელი ომების შედეგად ინგრეოდა, იწვოდა და ნადგურდებოდა არა მარტო საუკუნეობით ნაშენ–ნაამაგარი, არამედ მწარმოებელი ძალაც. გამუდმებულმა თავდასხმებმა, განსაკუთრებით ლეკთა მარბიელი ლაშქრის თარეშებმა, ხალხის დატყვევებამ, გატაცებამ და ქვეყნის გადარჩენისათვის თავგანწირვამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობა. მართალია, მტერმა ვერ მიაღწია საწადელს, ვერც ქართული მოსახლეობა გააქრო და ვერც მისთვის სასურველი არა ქართული მოსახლეობის ჩამოსახლების გეგმა განახორციელა, რასაც შედეგად ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ მიტაცება და ხელისუფლების სრული დაკარგვა უნდა მოჰყოლოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული სამეფოს ადგილზე სახანოები და საფაშოები წარმოიქმნებოდა, მათი მმართველები კი უშუალოდ ამ ქვეყნების მესვეურები იქნებოდნენ. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მტკიცედ იდგა ფეხზე ქართული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანას ქართული სამეფო გვარის, ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები მართავდნენ. ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ იყო, ბაგრატიონთა რომელი შტოს მემკვიდრეები იქნებოდნენ ქვეყნის საჭეთმპყრობელები, არამედ როგორი მემკვიდრეები იქნებოდნენ ტახტზე ასული და რის გაკეთებას შეძლებდნენ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

თეიმურაზმაც და ერეკლემაც მთელი თავისი საქმიანობით დაადასტურეს ქვეყნის ერთგულება და მოიპოვეს მისი ინტერესებისათვის განუხრელი მებრძოლის ბრწყინვალე სახელიც. ამას ისტორია ცოტა უფრო ნათლად მაშინ გამოამჟღავნებს, როცა ერეკლეს „პატარა კახის“ სახელით მოიხსენიებენ. მანამდე კი წინ დიდი ბრძოლის ასპარეზი და მრავალი მტკივნეული პრობლემის გადაჭრა იყო საჭირო. ცხოვრების თითქმის ყველა სფერო შესაბამის გარდაქმნას და ახალი სასიცოცხლო სულის შთაბერვას მოითხოვდა. ერთი სიტყვით, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი სასიკეთოს ბევრს არაფერს უქადდა ქვეყანასა და მის მესვეურებს, მაგრამ მისი ერთგულებისათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითს მისთვის შვებისა და ნუგეშის მოტანა ნამდვილად შეეძლო.

ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის ამაღლება ერეკლე მეორის საქმიანობის ერთ–ერთი უმთავრესი მიმართულება იყო. არა თუ დროებითი მშვიდობისა და მოსახლეობის მიერ ამოსუნთქვის პერიოდში, არამედ თვით მტრის მოგერიების პროცესშიც მიმდინარეობდა ქართული ციხეების შეკეთება–აღდგენის სამუშაოები. ამისი ნათელი დადასტურებაა თვით მეფე ერეკლეს მიერ დაშვებული ბრძანებები, სიგელები, წერილები და ა.შ.

ერეკლემ, ელოდებოდა რა მტრის შემოსევებს, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა გორის ციხის დროულად შეკეთებისა და ჩაბარების, ჯარის შეკრებისა და გზებზე ყარაულების დაყენების შესახებ (44). ეს და სხვა მსგავსი ღონისძიებები უწყვეტ ციკლად მიმდინარეობდა. სპეციალური ბრძანებით ერეკლემ დაავალა მინბაშ დიმიტრი დიასამიძეს გორში ჩასვლა და გორის ციხის სრულ წესრიგში მოყვანა, ოთარ ამილახვარს კი მისი ციხეში შეშვება და საქმის სრული მოწესრიგებისათვის ყურადღების მიქცევა (45). როგორც ჩანს, ვითარება უფრო მეტად საჭიროებდა გორის ციხის მოწესრიგების საქმეს, რისთვისაც ერეკლეს კვლავ დაჭირდა ბრძანების გაცემა, სამწუხაროდ ტექსტის დაზიანების გამო მისი სრულად წაკითხვა არ ხერხდება, თუმცა ის კი იკითხება, რომ ყველაფერს კარგად უნდა მიხედონ, რაც საქმისთვის საჭირო იქნება ამილახვარს დროულად შეატყობინოს. თვითონაც სულ ციხეში უნდა იყოს „როგორათაც კურთხეულ შენს ძმას ებარა ციხე, ისე შენ გაბარია ნურც მეტათ დაიჭერ საქმესა და ნურც ნაკლებადა“ (46). ასევე მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ჯარის სურსათ–სანოვაგითა და აუცილებელი საჭიროებით უზრუნველყოფა. ტვირთის გადაზიდვისთვის ხარ–ურმის მომზადება. მეფე ამილახვარისაგან მოითხოვდა ასი უღელი ხარის შეკრებას და სათანადო საფასურის გადახდის გზით მათ დაქირავებას (47).

თავდაცვის საქმის მოწესრიგებაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა თოფის წამლის წარმოებას. სპეციალური ბრძანებით 1796 წლის 1 აპრილს ისაიაღა თაყუაშვილს ქალაქში ჭირიანობის დროს ხალხის მოვლისა და თოფის წამლის ქარხნის ასაშენებლად უწყალობა სოლოლაკში „დოსტუმის

ქარხნის“ ტერიტორია და შესაბამისად მოთხოვა ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად გადამწვარი თოფის წამლის ქარხნის აღდგენა (48). ერეკლეს მოღვაწეობაში იშვიათი არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა საჭირო ადამიანს, პროფესიონალს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და ზრუნავდა მისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ერთი ამ ღონისძიებათაგანია ერეკლე მეორის 1792 წლის 20 სექტემბრის ბრძანება, რომლითაც გაბრიელ მაიორს ავალებდა „ივანეს არტილერიაში ჩარიცხვას, მისთვის სათანადო ჯამაგირისა და ულუფის დანიშვნას“ (49).

ჯერ თეიმურაზისა და ერეკლეს, შემდეგ კი ერეკლე მეორის ძალისხმევა მიმართული იყო ქვეყნის სოციალური პრობლემების მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელებისაკენ. ამ მიმართებით არსებული სოციალური ვითარების შესატყვისად ფართო მასშტაბიანი ღონისძიებები იყო გასატარებული, რადგან თვით შექმნილი პირობები ისეთი მრავალფეროვანი და გაუთვალისწინებელი იყო, რომ წინასწარ სიტუაციის შესაბამისი გადაწყვეტილების დაგეგმვა შეუძლებელი ხდებოდა. ხშირად პრობლემატური იყო ის გარემოებაც, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საქართველოს მეფის უფლებას მხოლოდ მის სიცოცხლის დროს ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა, სიკვდილის შემდეგ კი მარტო იმ შემთხვევაში, როცა მოადგილე დაამტკიცებდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ და არსებითად ავიწროებდა და ზღუდავდა მეფის უფლებას“ (50:51). ე.ი. რეალურად ყოველ ახალ მეფეს ხელახლა უნდა დაემტკიცებინა მისი წინამორბედის მიერ მემკვიდრეობისა თუ საკუთრების დამადასტურებელი ყველა საბუთი.

1738 წლის 12 ნოემბერს თეიმურაზ II-მ წიგნი მისცა მახარობელ ჩალანთას შვილს „მეფე თეიმურაზი და მისი მეუღლე თამარი, შვილი ერეკლე, ძმისშვილი ასან-მირზა-გიბოძეთ ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და აუცილებელი სამკვიდროთ და საბოლოოთ გამოსადეგი აზატობისა და სითარხნის წყალობის წიგნი. გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და დიდათ ნამსახურსა ყმასა ჩვენსა კარდანახელს ჩალანთას შვილს-მახარობელს, ძმასა შენსა მუსას, კაციას

ძმისწულსა შენსა სეიმონს, გიორგის, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ასე რომ შენ ჩვენს შვილს ერეკლესთან ყენის კარზე გაგგზავნეთ. ეს წყალობა გვიქნია, გაგვიაზატებიხარ. ასე, რომ არაფერი საჩვენო და სასახელმწიფო გამოსაღები არა გამოგერთოს რა“ (51:402–403).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ნადირ–შაჰთან ერეკლეს წასვლისას გამცილებელთა შორის იყვნენ გლეხებიც. დაბრუნების შემდეგ ერთგული სამსახურისათვის მეფე თეიმურაზმა ერთ–ერთ მათგანს მისცა სითარხნის აღნიშნული წიგნი, რომელიც თანაბრად ეხებოდა „შვილთა და მომავალთა სახლისა“ ისინი გათავისუფლებული იყვნენ ყველა და ყოველგვარი გადასახადისაგან. მოხელეებს ნაბრძანები ჰქონდათ ყველაფრის ზუსტად შესრულება. ამის მიუხედავად საჭირო გახდა თეიმურაზ მეფის მიერ გაცემული საბუთის ხელახლა დამტკიცება. 1793 წლის 13 ნოემბერს ეს დოკუმენტი თავისი ხელმოწერით დაამტკიცა ერეკლე II–მ: „ვამტკიცებ ნეტარხსენებულის ბატონის მამის ჩვენისაგან ბოძებულს სითარხნის წიგნსა“, ე.ი. 55 წლის შემდეგ. ამავე დოკუმენტს თავისი ხელმოწერით ადასტურებენ სამეფო ოჯახის წევრებიც: „მის უმაღლესობის ბატონის ბრძანებას ვამტკიცებთ“, დედოფალი დარეჯანი 1793 წლის 30 ნოემბერი და ბოლოს „საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი ნეტარადღსენებულის ცხებულის მეფის ბატონის პაპის ჩვენისაგან ბოძებულს სითარხნის სიგელს ამას ვამტკიცებთ“, 1794 წლის 14 ივლისი. თითქმის ყველა შინაარსისა და ფორმის დოკუმენტი ექვემდებარებოდა განახლებას.

1776 წლის 19 ივლისს ერეკლე მეორემ დაამტკიცა თეიმურაზ მეორის მიერ 1749 წლის 15 აგვისტოს შედგენილი ოქმი კავთისხევის მოღალე გლეხების შესახებ, სადაც მოხელეებისაგან მოითხოვს, რომ გლეხს არ გამოართვან „ღალა–კულუხი... რადგან ჩვენს სამსახურში არის“–ო (51:342).

ზოგჯერ მეფეები ერთმანეთსაც გადასცემდნენ ხოლმე გადასაწყვეტ საკითხს. 1749 წლის 1 ივნისს თეიმურაზ II–მ ერეკლეს რეაგირებისათვის გადასცა მასალა, სადაც არა მხოლოდ დასმული საკითხი იქცევს ჩვენს ყურადღებას, არამედ მეფე

მამის შვილთან ურთიერთობაც: ამ წერილის შინაარსი ასეთია: „შენი ჭირი მამა თქვენს მეფეს თეიმურაზს, ჩემო აუარებელო ღუთის წყალობავ შვილო ბატონო მეფევ. მრავალი კარგათ ყოფა და ადრე შეყრის სიხარული მომიხსენებია. მერმე გრიგოლ სახლთუხუცესს თქვენთვის მოუხსენებია, ავთანდილის ყმა გვინდაძე ბერი მამათქვენმა მე მომცაო. ამის კაცს იმათ რათ მივცემდით? ჩვენ ტყვილათ მოუფადილებიყართ, ჩვენგან მიცემული არ არის. სამართალი თქვენ უყავით“ (51–410). მეფეების ასეთი ურთიერთობა, ბუნებრივია, პოლიტიკურ კლიმატზეც სათანადო გაელენას ახდენდა და ქართლ–კახეთის სამეფოს ერთობლივი მოქმედების, ერთ სახელმწიფოდ წარმოჩენის დიდ შესაძლებლობასა და რთული საყოფაცხოერებო პრობლემების გადაწყვეტისადმი მეფეების გულისხმიერების მაჩვენებელიც იყო. ამის დადასტურებაა თეიმურაზის მიერ 1745 წლის 12 მაისსა და 13 ივნისს გამოცემული დოკუმენტები. პირველი მიცემული აქვს ნიკოლოზ აბაშიძეს და შესაბამისად წარმოადგენს მიმართვას სურამისა და ალის მოსახლეობისადმი: „თქვენი მოურაობა ნიკოლოზ აბაშიძისთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია, რომელიც მოურავის წესი და რიგი იყოს, ისე ამისი სიტყვის მორჩილი იყავით. ჩვენს ერთგულად სამსახურს ყველას გაუგონებდეთ. ესეც თქვენს კარგად მოვლას და შემატებას ეცდება, ძალასა და უსამართლოს არავის აქნევინებს. ნიკოლოზ აბაშიძევ, შენ ამათს სახელმწიფოს მალიათთან ხელი ნუ გაქვს. მალიათისა ომალომ იცის. გლეხის კაცის მოყვანას და სოფლის აშენებას ეცადე და კარგად მოუარე. რომელიც მოურავის რიგი იყოს, ისე იქცეოდე და უსამართლოს გლეხის კაცისთვის ნურავის აქნევინებ“ (51:325).

ამდენად, ისუთ მძიმე ვითარებაშიც კი, რომელიც თეიმურაზს სამშობლოსა და სამეფო ტახტზე დაბრუნებისას დახვდა, იგი გლეხი კაცისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და მისადმი სამართლიან დამოკიდებულებას მოითხოვდა.

შესაბამისად იქცეოდა თვითონაც, როცა საკითხი იყო გადასაწყვეტი. მეორე დოკუმენტი სწორედ ამაზე მიგვანიშნებს: „ქართველობაში ქრცხინვალელს მურადაშვილს და იმის მეზობელს

ნიქოზს რხეით მამული ეყიდათ. იქიდამ ამ თარიღამდი (1745 წლის 13 ივნისი,—ე.ბ.) ამათ სჭეროდა. ამისი ბარა ქრცხინვალის მალუჯათში ეძლიათ. ამ წელიწადს მოსულიყო ფანელიშვილი; ნიქოზი ჩემი არის, ამ მამულის ბარას მე ავიღეფო ძალათ წაერთმიათ. მოვიდენ სამართალში ილაპარაკეს. ჩვენ მოკითხული ვქენით. ქრცხინვალელებმა ქართველი და თათარი მოწმე მოიყვანეს, ეს მამული რა გვიყიდია არც ქართველობაში, არც ურუმობაში, არც ყიზილბაშობაში თქვენ ბარა არ გამოგირთმევიათ, უსამართლობით წელს გამოგვართვითო. ფანელიშვილებსაც მოწმეები ვსთხოვეთ იმათ ვერ იშოვეს. სამართლით ის მამული დარჩა ქარცხინვალელთ. ფანელიშვილებს ხელი არა აქვთ. თუ რამ გამოურთმევიათ, ისევ უნდა ქრცხინვალელებს მისცენ“ (51:326).

მართალია, იყო შემთხვევები, როცა თვით მეფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც არ სურდათ შეესრულებინათ მხარეებს,განსაკუთრებით თავადები არიდებდნენ ხოლმე თავს გლეხების მიმართ მიღებულ დადებითი გადაწყვეტილების შესრულებას, მაგრამ, ფაქტი ერთია, მეფე საკითხის სამართლიანად გადაჭრას მოითხოვდა ყველასგან.

ზოგჯერ მეფის ოჯახის სხვა წევრებიც იღებდნენ გადაწყვეტილებას და ისინიც ცდილობდნენ სამართლიანი ყოფილიყვნენ. თვალს ადევნებდნენ მათ მიერ შედგენილი დოკუმენტების მოთხოვნათა განუხრელ შესრულებას.

სანიმუშოდ დავასახელებთ დედოფალ ანა ხანუმის 1749 წლის 4 აგვისტოს ბრძანებას ოთარ გერმანოზის შვილისადმი: „ჩვენი ბრძანება არის გერმანოზის შვილო ოთარო! მერმე ორსავე ეგრისებში, ჩამძერალას და ქციას ჭანდარს ჩვენს სახასოში ვისაც ჭირნახული ედგას–პური თუ ქერი, ფეტვი თუ რამ ფერი, ყველაზე სამართლიანის საქმით ღალა აიღეთ საჩვენოთ. ძალასა და უსამართლოს ნურავის უზამ“ (51:343). აქაც ყურადსაღებია უმთავრესი, უსამართლოდ არავის მოექცეთო. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იდეალურ სამართლებრივ ურთიერთობათა დამკვიდრებისაგან, მაგრამ უმთავრესი, რომ თვითონ ბრძანების გამომცემელის სურვილი საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა

არის, მაინც ბევრს ნიშნავს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა შინაური და გარეშე მტრის მოძალების ვითარებაში, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისა და სიცოცხლის გადასარჩენად ხშირად ტოვებდა ყველაფერს და მთებში გარბოდა.

საზოგადოებაში, ბუნებრივია, ზემოქმედების დიდი ძალა ჰქონდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. იგი ზრდიდა მოქალაქეების ნდობას, აღუძრავდა მათ იმედს, მიმართული იყო იმ ურთიერთობათა აღდგენისაკენ, რომელსაც ხალხი უნდა განეწყო სასიკეთო ცვლილებებისათვის. ამისი დასტურია ჩამორთმეული ქონების, ყმა გლეხების უკან დაბრუნება, წართმეული უფლების, მემკვიდრეობის აღდგენა და ა.შ. ერეკლე მეორე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ასეთ საკითხებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა გადაწყვეტილების მიმღები ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდა, მაგრამ გარკვეული დროის გასვლისა და სიტუაციის განმუხტვის შემდეგ... საჭიროდ და სასურველად მიაჩნდა ცვლილებების შეტანა მიღებულ გადაწყვეტილებაში. ასე მოიქცა მეფე ერეკლე დიმიტრი ამილახვარისა და მისი შვილების მიმართ. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევა იშვიათი გამონაკლისი არ ყოფილა.

1748 წლის 1 მაისით დათარიღებული ერეკლე II-ის გადაწყვეტილება ავთანდილ ჯავახიშვილისადმი გვაუწყებდა: „შენის განაყოფის ვახტანგის მამული შენთვის გეიბოძებია, ბატონს მამა ჩვენს ეს მამული ქვემო ციცის-შვილისთვის ფარსადანისათვის ებოძებინა თავისის მამულის თელეთის სამაგიეროდ და თელეთი აბდულა – ბეგისთვის მიეცა. რადგან აბდულა-ბეგმა ხაინობა ქნა და ჩვენზე ბევრი სტყუა, ფარსადანს ისევ თავის მამულს თელეთს უბოძებთ და შენის განაყოფის მამული ისევ შნთვის წყალობა გვიქნია. ვინცა ვინ ვახტანგის კერძო გლეხი იყოთ, ავთანდილს მსახურეთ“ (51:337)ეს სწორედ ის დრო იყო, როცა ერეკლემ მოიგერია ქართლის ტახტზე დროებით დატოვებული აბდულა-ბეგის იერიშები და დააკარგვინა სურვილი სამეფო ტახტის ძალით დაკავებისა.

დღევანდელი გადასახედიდან ამ პერიოდის ძალზე მძიმე

ვითარებად უნდა ჩავთვალოთ ადამიანების, ცალკეული პიროვნებებისა და მთელი ოჯახების, ზოგჯერ სოფლების გადაცემა-ჩუქების, ზოგჯერ კი ადამიანებით ვაჭრობის (ტყვეებით ვაჭრობა მხედველობაში არ გვაქვს) შემთხვევები:

1749 წლის 3 მარტს შედგენილი „ჩუქების წიგნი" გვამცნობს, რომ ბიძინა ამბაროსას შვილმა ზურაბამ და სხვა ხუციშვილებს აჩუქა ძუძუთა ბავშვი. ვაჟის მიმცემი აღნიშნავს, რომ გარდაეცვალა მეუღლე და დარჩა სამი თვის ვაჟი, მამას შვილის გაზრდის არავითარი საშუალება არ გააჩნდა და მოწმეთა თანდასწრებით (ოქმს ხელს აწერს 8 მოწმე) ვაჟიშვილი სხვას აჩუქა (51:338).

ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ძნელბედობის დასტური იყო განსაკუთრებული შემთხვევა საკუთარი თავის გაყიდვისა. როგორც ჩანს, ასეთი ფორმაც მისაღებად ითვლებოდა, ვინაიდან ოფიციალურად ხდებოდა მისი გაფორმება და მოწმეების მიერ დადასტურება.

1748 წლის თებერვლის ბოლოს შედგენილი „ნასყიდობის წიგნი" გვამცნობს: „ესე ამიერითგან და უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკუიდროთ და საბოლოოდ გამოსადეგი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, მახარე ბლიაძის შვილმა დათუნამ შენ, ხურო პაპუნას შვილს შიოს! ასე რომ უწინაც შენი ნასყიდი ვიყავ. ახლა ავდეგ და მოვედ ჩემის ნება-წადილით და შემოგეხვეწე. მოვალე სწუხებდა, ვალი დამედვა, სხვა ღონე არა მქონდა შენს მეტი და მოგყიდე ჩემი თავი და ავიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი თავი შეგჯერდებოდა. საქმე მიჭირდა, ბატონის იასაული მადგა მოასილათ მარტყოფის მოურავი და შენ დამიხსენ. არა დარჩა რა ჩემი შენზედა არცა ერთი იოტის ფასი. მომიცია და მომიყიდია ჩემი თავი სახლისა ჩემისა და შვილის მომავლით. არავინ იყოს შენი მცილე და მოდავე ღვთის მეტი. არა ბატონი, არა ყმა, არა ჩემი სახლის კაცი, არა ჩემი მონათესავე. თუ ამაში წამოგედაოს ვინმე, პირობა და პასუხის გამცემი მე ვიყო. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩემი თავი, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს ჰყოლოდეს და მოეხმარებინოს ერთგულად ერთსულად გემსახურო, როგორათაც შენი სიამოვნე იყოს-

არიან ამისი მოწამენი თავად ღმერთი და შეიდი მოწმე" (51: 336).

თითქმის მთლიანად წარმოდგენილი ეს დოკუმენტი ქვეყნისა და ადამიანის დიდი ტრაგედია არის. ტრაგედია არა პირადი დაუდევრობით დატრიალებული, არამედ იმ ყოფის ფონზე ჩამოყალიბებული, როცა ირგვლივ მხოლოდ საშინელება ტრიალებს. აი სწორედ ასეთ მძაფრ პირობებში უნდა ეკეთებინა მეფეს ქვეყნისა და ხალხის საქმე. დამოუკიდებლობაც შეენარჩუნებინა, რწმენაც და მამულიც. როგორ მოახერხებდა ამას, ეს მთლიანად ქვეყნის საჭეთმპყრობელის პიროვნებაზე იყო დამოკიდებული. ერეკლეს მიერ გლეხთა პირობების გაუმჯობესების და მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შორის უნდა დაეასახელოთ წახალისება, როგორც მატერიალური დახმარების საშუალება. ეს ეხება გადასახადების გადამხდელთა მდგომარეობას. კერძოდ, ერთგული სამსახურისათვის მეფე სტიმულს აძლევდა გლეხებს. 1783 და 1785 წლებში ერეკლეს ბრძანებით ერთგულად მომსახურე გლეხები გათავისუფლებულია ღვინის გადასახადისაგან (53).

დაცლილი და დაცარიელოებული სოფლების აღსადგენად მეფე ერეკლე ხშირად მიმართავდა გლეხობის ჩასახლების პოლიტიკას. ეს ეხებოდა არა მარტო ქართველობას, არამედ სხვა ეროვნების მოსახლეობის გლეხებსაც. საყურადღებოა ერეკლე II–ის 1790 წლის დეკემბრის მანიფესტი „სხვადასხვა სახელმწიფოებში მცხოვრები სომხებისადმი, საქართველოში დაბრუნებისა და მათდამი მფარველობის აღმოჩენის შესახებ" (54).

საქართველოს სოფლებში მართალია მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ ერეკლე მეორე მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა დაცარიელებული ადგილების შესაევსებად. კვლავ ხდებოდა ნასოფლარების აღდგენა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიმართული იყო აყრილ–დაკარგულთა, ხიზან–ბოგანოთა შემცირებისაკენ, სამშობლოს დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ გამომღებ მიწის მუშათა გამრავლებისაკენ, ბატონყმობის გაჯანსაღებისაკენ, მისთვის განვითარებისა და ნაყოფიერების უნარის დაბრუნებისაკენ,

საქართველოს ხსნისაკენ", --წერდა პროფესორი ნ. ბერძენიშვილი (18:409).

განსაკუთრებული გასაჭირის დროს ხსნის ერთ-ერთ საშუალებად რჩებოდა საკუთარი შვილის გაყიდვა. მრავლად არის ამის დამადასტურებელი დოკუმენტები, რადგან ისინი ყველაფერი წესისამებრ ფორმდებოდა. ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ასეთია № 453, 22 იანვარი 1757 წელი: „მე იდაიელმა შალუაშვილმა მამაჯანამ შენ, ჯავახიშვილს მდივანს, მას ყამს ოდეს დამეჭირა და შიმშილობისაგან ილაჯი აღარ მქონდა და მოგყიდე ჩემი შვილი პაპა ყოლის კაცის უცილებართა, ავიღევი ფასი სრული და უკლებარი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა" დოკუმენტი გაფორმებულია მოწმეების ხელმოწერით (145:426). მართალია, ასეთი გაყიდვის ფაქტები შესაბამისი დოკუმენტებით არის დადასტურებული და დამოწმებული, მაგრამ თვითონ ფაქტი, ადამიანებით თაეისუფალი ვაჭრობისა, არსებობისათვის შვილის გაყიდვისა არის ქვეყნის გასაჭირისა და ბედუკუღმართობის შედეგი.

ამავე პერიოდში ჩვეულებრივი იყო შემთხვევები გატაცებულთა და დატყვევებულთა გამოსყიდვისა, რა თქმა უნდა, წინა ფაქტისგან განსხვავებით ეს გაცილებით უფრო ჰუმანური აქტია და ტყვეობიდან დამხსნელს შეეძლო დახსნილი მიეყიდა მისთვის სასურველი პირისათვის. შემსყიდველის როლში ამ პირობებში ყველას შეეძლო გამოსვლა თვით მეფესაც. 1760 წლის თებერვალში მეფე თეიმურაზ II-მ ლეკებისაგან ათ თუმნათ „გამოისყიდა გატაცებული ბეუანა დანდლიშვილი, რომელიც ეკუთვნოდა ციციშვილებს", 1760 წლის 14 თებერვალს ციციშვილებმა მიცეს „პირობის წიგნი, რომ თუ შეძლებენ თანხის გადახდას გამოისყიდიან, ჩვენ გვიბოძე, აღნიშნულია დოკუმენტში – თუ ვერ შეეძლოთ დახსნა თქვენ დაგიხსნიათ და ღმერთმა თქვენ მოგახმაროთ" (145:14–15).

ისეთი შემთხვევებიც არ ყოფილა იშვიათი, როცა ქართველ ტყვეებს არა ქართველი გამოისყიდდა, შემდეგ კი მისი პატრონთან დაბრუნება მაინც სათანადოდ უნდა გაეფორმებინათ. დოკუმენტებში

არის ერეკლე II–ის 1764 წლის 28 თებერვლის ბრძანება, რომელიც ეხება გიორგი გეგელის შვილის ლეკების მიერ დატყვევებას. ამბის მოწმე შემთხვევით გახდა ლეკი, რომელიც შემორიგებული ყავდათ ქართველებს. მას ლეკისაგან დაუხსნია ქართველი და „ქალაქში მოუყვანია, სახსარი ეღარ უშოვნია, თანვე მიყოლებია ცოლითა და შვილითა, ეკითხულობთ მეფის ბრძანებაში,–ბატონს მამაჩვენს თქვენთვის უბძანებია ბოქაულთა ხუცის პირით, რომ თქვენ დაიხსენით და თქვენი იყოსო, და ან ვინც დაიხსნის იმისი იყოსო, თქვენ არ დაგიხსნიათ, სხვას დაუხსნია მადლისთვის და გაუშვია. ახლა რადგან ასე ყოფილა არას დიღმის მოხელეს და არას დიღმელს კაცსთან ხელი არავისა გაქვსთ. აქ ქალაქში არის ჩემის შვილის ლევანის ხელდებულია,საცა უნდოდეს იქ შეინახოს, სხვას ხელი არავის აქვს“ (145:364).

მრავალად არის ისეთი შემთხვევები, როცა სათანადო დოკუმენტის გაფორმებისას ერეკლე მეორე ითვალისწინებს პირობებს და ცდილობს გადაწყვეტილების გამოტანისას, შესაძლებლობის ფარგლებში, დაუშვას გამონაკლისიც იმ პიროვნების სასარგებლოდ, ვის მიმართაც გადაწყვეტილებას ღებულობს. ასეთი დოკუმენტებიდან ჩანს მეფის კეთილი სურვილი. 1768 წლის 7 მარტს უმოკაანთ ოსეფას არზაზე ერეკლე II–ეს მიუწერია: „ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონი, თუ იქნებოდეს, ახლა ზამთარი არის, ამ დროს სად გააგდებ, ცოტა ხანს კიდევ ქირით დააყენე, მანამდის სახლის ფიქრს იქმოდეს. ამას ბძანებით კი არ გიბძანებთ, შუამავლობასავით გეუბნებით, რომ ჩვენის გულისათვის ასე ქნა“ (145:6). ერთი სიტყვით, მეფემ გაითვალისწინა იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც სახლიდან უნდა გამოესახლებინათ და თხოვა პატრონს ღამის გასათევის მოძებნამდე თავშესაფარი დროებით მიეცა.

გარკვეულ პირობებში გადაწყვეტილებას სამეფო ოჯახის წევრებიც, მათ შორის დედოფალი დარეჯანიც, იღებდნენ.

დოკუმენტებში არის 1781 წლის 7 მაისით დათარიღებული ზაალ გურამიშვილის არზა დარეჯან დედოფლის სახელზე, სადაც იუწყება მამულის გამო ძმებთან დიდი დაპირისპირების

შესახებ, არ მაცოცხლებენო, ამიტომ დედოფალს თხოვს: ის მამული თქვენთვის სახასოთ დადევით, ჩემი წილი მამული ღმერთმა თქვენ მოგახმაროთ და ამათ უსამართლოს ნურას აქნევინებთ ჩემთვისა“ (145: №526). დოკუმენტი დედოფალმა გიორგის დააწერა: ჩვენო ღვთისწყალობავ, შვილო გიორგი! ამ ზაალს და მის სახლის კაცებს სამართალი უსაჯეთ. ბატონი წამლის დალევას აპირებს და საზღვარი არ იქნება. თქვენგან დიდი იმედი მაქვს, რომ კარგად გასინჯავთ და სამართალს უსჯით. დიაღ მადლობელი ვიქნები, რომ ესენი გააშვეთო.

მეფე ამტკიცებდა თავდახსნილობის სიგელებსაც. 1782 წლის 8 იანვარს გაიცა ასეთი სიგელი, რომელსაც სუფრაჯმა ზურაბ ზურაბიშვილმა მიცა გურგენა რამაზიშვილს და მის შვილებს. გურგენას პაპა მისულა ზურაბიშვილის აზნაურის ყულიაშვილის მამულში და იქ უცხოერია. მრავალი წელი ემსახურებოდა რევაზ ყულიაშვილს. „მასკვან დასტყვევდი,–აღნიშნულია სიგელში,– შენი თავი ტყვეობიდამ შენვე დაიხსენ, არც რა ჩვენ, არც რა ყულიაშვილს შენზედ არა დაგვიხარჯავს რა. ყულიაშვილი რევაზა მოკვდა და უშვილოთ ამოვარდა. მოხველ და შემეხვეწე და განთავისუფლების წიგნი მთხოვე. რადგან ხელმწიფის ბრძანებაც ასე არის, რომ ტყვეობიდამ მოსული კაცი თავისუფალი შეიქმნება, ამის მიზეზით მეც ეს წიგნი მოგეცი, არას კაცს შენთან ხელი არავისა აქვს. და ყულიაშვილიც ამოვარდა, არც იმას ჰქონდა საბატონოთ შენთან ხელი. ეს წიგნი მომიცია და გამითავისუფლებიხარ“ (145:20–22). თავდახსნილობის სიგელს ამტკიცებს მეფე ერეკლე––1782 წლის 25 მაისს, დედოფალი დარეჯანი—1783 წლის 28 თებერვალს, ბატონიშვილი გიორგი–– 1783 წლის 24 მაისს და ბატონიშვილი იულონი—1787 წლის 26 მაისს. როგორც ვხედავთ, თავდახსნილობის სიგელი სამეფო ოჯახის წევრთა მიერ მტკიცდებოდა, თანაც დრო საკმაოდ ხანგრძლივი იყო, მთელი ერთი წელიწადი.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის იდიდესი ნაწილის მდგომარეობა მაინც მძიმე და აუტანელი იყო. გლეხობის საარსებო საშუალებად, სამწუხაროდ ის მიწის ნაკვეთი იყო, რომლის დამუშავებასა და მოსავლის მიღებასაც კი ეღარ ახერხებდა

ზოგჯერ. ამ პირობებში კიდევ უფრო გახშირდა ჯერ ისედაც მცირე მიწის ნაკვეთის მქონე გლეხთა მიერ მიწების გაყიდვის შემთხვევები. როგორც წესი, ამ პერიოდისათვის მიწებით თავისუფალი ვაჭრობა იყო, მაგრამ გამყიდველის როლში უპირატესად გლეხები გამოდიოდნენ. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლ–კახეთის სამეფოში აღრიცხული მიწების გაყიდვის 1303 შემთხვევიდან გლეხობაზე მოდიოდა 50,6 პროცენტი (52:84). თუ გავითვალისწინებთ, რომ გამუდმებული ბრძოლები ძალასა და ენერგიას აცლიდა მოსახლეობას, მტერი ან ანადგურებდა ადამიანებს, ან ტყვედ მიჰყავდა და ყიდდა, სოფლად მრავალი გადაუჭრელი პრობლემა იყო მოსაგვარებელი. ქართველი მეფეები ერთობლივი ძალებით ახდენდნენ ქვეყნის აღმშენებლობისა და თავდაცვითი საკითხების მოგვარებას.

1750 წლისათვის ერეკლემ მესამედ იქორწინა. „წარავლინეს იმერეთად ხორაშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინო წმინდელი საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან მეფის ერეკლესათვის. წამოიყვანეს სახლით მეფისა ალექსანდრესით და მოიყვანეს სურამს. ქალაქიდამ წაბრძანდა მეფე ერეკლე, თან გაჰყვა პატრიარქი ანტონი ბატონიშვილი, მიბძანდენ სურამს, ნახა ქალი მეფემ, დიდად მოეწონა შვენიერება მისი და წამოიყვანეს“ (33:180).

მეფე ერეკლემ თბილისში იქორწინა.

ქართლი და კახეთი ფაქტიურად ერთი სამეფოს დონეზე იყო. როგორც პაპუნა ორბელიანი წერს: „მას ჟამსა გაერთნეს ქართლი და კახეთი, იურვიდენ საქმეთა ორისავე ქვეყნისას ერთად. ვითაც მამა–შვილნი იყვნეს მეფენი ჩვენნი, სახელმწიფონიც გაერთნეს, დაადგინა მეფემ ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახლსა მამისა თვისისა“ (33:180).

ერთობლივი მოქმედებით მამა–შვილმა დიდ წარმატებას მიაღწია, როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. 1750 წელს თეიმურაზმა და ერეკლემ დაამარცხეს ყარაბაღის მმართველი ფანა–ხანი. მომდევნო წელს კი ქართლისა და კახეთის გაერთიანებული ჯარი ჭარის დასამორჩილებლად დაიძრა, 15 თებერვალს მდ. აგირჩაის ნაპირზე ქართველები დამარცხდნენ.

იელისში ერეკლემ 3 ათასიანი ლაშქრით დაამარცხა აზატ-ხანის 18 ათასიანი ჯარი. აზატ-ხანი კი, რომელიც ირანის შაჰობას უმიზნებდა, იძულებული გახდა ზავი დაედო ერეკლესთან (22:226). 1752 წლის 1 სექტემბერს ერეკლემ მოახერხა რევანშის აღება, როცა სასტიკი მარცხი აწვნია ავჭი-ჩელებს. ამ და მომდევნო ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებით გზა ეხსნებოდა მეფე ერეკლეს დიდ გარდაქმნით მოღვაწეობას, რომელმაც გარკვეული დროით კვლავ წელში გამართა ქვეყანა.

V. გარდაქმნები ქვეყანაში. ღონისძიებანი სამეფო-სამთავროების შეერთებისა და რუსეთთან კავშირის დამყარებისთვის. ქართლ-კახეთის გაერთიანება. შეთქმულება ერეკლეს წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფეებმა მოღვაწეობა მართალია ციხქმის გაერთიანებული ქართული სამეფოს პირობებში დაიწყეს, მაგრამ ისეთი პრობლემები იდგა მათ წინაშე, რომ „გამოხსნა-აღდგომის“ საქმის წარმატებისათვის კიდევ მრავალი ბრძოლა და გარდაქმნა იყო საჭირო. ამის აუცილებლობას თვით ქვეყნად არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება აყენებდა. თუმცა ქართლი და კახეთი გაერთიანებული ძალებით მოქმედებდა, მტრის ხელში ჯერ კიდევ დიდი ტერიტორია რჩებოდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს: „სამხრეთ საქართველო ახალციხის საფაშოდ იყო ქცეული და ოსმალო აგრესორის დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი ნაწილების დასამონებლად; საფაშოდვე იყო ქცეული აფხაზეთი—ოსმალო აგრესორის მეორე დასაყრდენი (დასავლეთის მხრიდან); იგივე ოსმალები დაუფლებოდნენ დანარჩენ ზღვისპირეთსაც, რომელიც ფოთის ფაშის გამგებლობაში შედიოდა, ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული ქვემო გურია ბათომით და იმერეთის ციხეები: ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი, ბაღდათი,

აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში მართალია, უცხო დამპყრობლები აღარ ისხდნენ, სამაგიეროდ აქ სხვა რიგის ზიანი აჩნდა ქვეყანას. „ოსმალობა“--„ყიზილბაშობასთან“ ოცდახუთწლოვან ბრძოლაში მძიმედ დაზიანებული ქართლი და განსაკუთრებით, მისი სამხრეთი ნაწილი. ზოგიერთი კუთხე, სულ დაცლილიყო მოსახლეობისაგან, ზოგან კი ქართველთა ნამოსახლარზე თურქმანი მომთაბარენი ჩამომსხდარიყვნენ. მძიმე იყო მდგომარეობა კახეთშიც, მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაღესტანელებს დაეპყრათ და ის საქართველოს მარბიელ აბრაგთა ბუნაგად ექციათ“ (55:136). ერთი შეხედვით, თითქოს ერცელი მასალის დამოწმება მოგვეწია, მაგრამ შექმნილი ვითარების სათანადოდ გააზრებისათვის რომ აუცილებლობას წარმოადგენდა, ესეც ფაქტია. ამასთან, ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა სწორედ იმ გადაუდებელ საკითხთა მოგვარებას გულისხმობდა, რაც თანაბრად იყო დაკავშირებული ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირებისა და დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებთან.

მეფე ერეკლე ასეთ რთულ პერიოდში უნდა გამკლავებოდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძნელადგადასაჭრელ პრობლემებსაც და მტრის ხელყოფისაგან ქვეყნის დაცვასაც. ამასთან ორივე ისეთი მტკივნეული და გადასაჭრელად ერთდროული ღონისძიება იყო, რომ არჩევანის ერთ მათგანზე გადატანა და მეორეზე თუნდაც დროებით ყურადღების მოდუნება შეუძლებელი იყო, როგორც იტყვიან „სახელმწიფო რეფორმის საკითხს უკავშირდებოდა ქვეყნის გაერთიანების, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების, ქვეყნის აღდგენისა და ბარბაროსული გარემოცვიდან მისი გამოხსნის ამოცანები“ (56:164). ბუნებრივია, ასეთ პირობებში, თუკი მეფეს ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება და გასაჭირიდან ქვეყნის გამოყვანა სურდა, უნდა დაეწყო ფართო მასშტაბიანი რეფორმები. უპირველეს ყოვლისა იმ უმთავრესი პრობლემების გადაჭრით უნდა დაეწყო, რომელიც წინ ეღობებოდა და აბრკოლებდა სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ასეთი დაუმორჩილებელი ძალის გამოხატულება ქვეყანაში სათავადოთა

სისტემა იყო. მთელი ის პრობლემები, რომლებიც მეფის ხელისუფლების განმტკიცებასთან, ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენასთან და მტრის წინააღმდეგობის დაძლევასთან იყო დაკავშირებული, სწორედ თავადების საქმიანობასთან იყო უშუალოდ გადანასკვული.

ამ მიმართებით პირველი სასიკეთო ნაბიჯი 1743–1744 წლებში თეიმურაზმა და ერეკლემ გადადგეს არაგვის საერისთაოს გაუქმებით. ასეთი არჩევანის გაკეთება სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი. კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის, თეიმურაზის, ქართლის სამეფო ტახტზე ასვლა ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლებთან წინააღმდეგობის საფუძველი ხდებოდა. ეს უკანასკნელნი თვალს ჩრდილოეთს აპყრობდნენ და იქიდან ვახტანგ VI–ის მემკვიდრეთა დაბრუნებას ელოდებოდნენ. „ამიტომ თეიმურაზი და ერეკლე სიფრთხილეს იჩენდნენ, ერთგულ კახელ არისტოკრატიის წარმომადგენლებს აწინაურებდნენ ქართლშიც. მეფეებს განსაკუთრებით აფიქრებდათ არაგვის გზა, იგი ხომ საქართველოს რუსეთთან აკავშირებდა. ჩრდილოეთში გადახვეწილ ქართლელ ბაგრატიონებს რომ სამშობლოში დაბრუნება და გამეფება არ შეძლებოდათ, არაგვის საერისთაოს ციხე–სიმაგრეში კახელი ჯიმშერ ჩოლოყაშვილი ჩააყენეს“ (57:93). ამ გზით მეფეებმა, ერთის მხრივ, არაგვის საშიში ერისთავი ჩამოიცილეს გზიდან, მეორეს მხრივ, თავიანთი ერთგული კაცი გადმოიყვანეს ქართლში და ამით მდგომარეობა გაცილებით უფრო საიმედო და სტაბილური გახადეს. ეს ვითარება არა თუ ქართლის თავადებს, საქართველოში ჩამოსულ რუსეთის მოხელეებსაც არ გამოპარვიათ მხედველობიდან. ისინიც კარგად ერკვეოდნენ არსებულ სიტუაციებში და თავის პატრონებს აწვდიდნენ საჭირო ცნობებს. „მეფეს სრული საფუძველი ჰქონდა იმისა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინა– რადგან ქართლელებს ერეკლე არ უყვარდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი უპირატესობას თავის კახელ ქვეშევრდომებს ანიჭებს“ (58:19). როგორიც არ უნდა ყოფილიყო უცხოელი დამკვირვებლის თვალი და მისი შეხედულება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ჩვენთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა

არა აქვს, რადგან რასაც ერეკლე აკეთებდა ქვეყნისთვის, ხალხისთვის, საქართველოს მომავლისთვის გადაუდებელი და აუცილებელი იყო. სწორედ ამან განაპირობა ისიც, რომ არაგვის საერისთაოს გაუქმების შემდეგ ქსნის საერისთაოსაც იგივე ბედი ეწია. „ამ ორი უძლიერესი სათავადოს გაუქმებით სამეფო ხელისუფლებამ თავისი პოზიციები განამტკიცა, ხოლო სათავადოთა მამულების ხაზინაში გადარიცხვით კი ცენტრალური ხელისუფლების ეკონომიკური ბაზა გააძლიერა“ (56:165). ერეკლე პრინციპულ და თანმიმდევრულ ღონისძიებებს ახორციელებდა იმ სახანოების მიმართაც, რომლებიც ნახევრად დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს. მან ჯერ ყაზახში გააუქმა სახანო და ხანის ნაცვლად იქ თავისი მოურავი დასვა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ბორჩალო–ბაიდარსაც მეფის მოურავები განაგებდნენ თეიმურაზთან ერთად. სწორედ ერეკლეს სახელთან არის დაკავშირებული მოურავის თანამდებობის აღდგენა. როგორც პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს: ერეკლე II–მ გაატარა „მმართველობაში რეფორმები. მმართველობის ცენტრალურ აპარატში შექმნა ახალი დარგი, ახალი მოხელეებით... ქართლ–კახეთში ჩამოყალიბდა საგარეო საქმეების უწყება, რომლის სათაოში მდივანთუხუცესი იდგა“ (2:239). მდივანთუხუცესი ორი იყო: ერთი ქრისტიანულ და მეორე მუსლიმანურ სახელმწიფოებთან ურთიერთობისათვის. მდივანთუხუცესი მიიღებდა საქმეებს და თუ მცირე საქმე იყო პასუხს თვითონვე აძლევდა, დიდ საქმეებს კი მეფეს მოახსენებდა, ან სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებდა. მდივანთუხუცესს მდივნებიც ჰყავდა (59:228).

ერეკლე მეორის დროს ფუნქციონირებდა დარბაზი ანუ სახელმწიფო საბჭო, რომელიც მუდმივმოქმედ დაწესებულებად ჩანს. როგორც ს. ბურნაშოვი აღნიშნავს, მის საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობენ, უფლისწულები, კათალიკოსი, საბჭოს წევრები, დივან–ბეგი, ცნობილი მოღვაწეები; თუმცა მეფე თვითმმართველია, როგორც წესი, არაფერს არ წამოიწყებს. ყავს განსაკუთრებული მინისტრები (მმართველ–განმკარგულებლები): საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლების, სამხედრო საქმის.

ბურნაშოვის აზრით, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა, როგორც წესი, სომხებს უკავიათ, „ვინაიდან სიამაყით გამორჩეულ ქართველ თავადებს ისიც კი მიუღებლად მიაჩნიათ, რომ თავის ბავშვებს ასწავლონ ანგარიში“ (58:5). ამის გამართლებად ბურნაშოვი, ალბათ, იმას მიიჩნევს, რომ დიდგვაროვნები თანამდებობებს მემკვიდრეობით ღებულობდნენ. თუმცა მისი აზრის ბოლომდე გაზიარება შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან სწორედ ამ ეპოქაში მრავალი დიდად განათლებული და თავისი ნიჭით გამორჩეული ქართველი მოღვაწეობდა. აღარაფერს ვამბობთ სამეფო ოჯახების მრავალ წარმომადგენელზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მარტო ქვეყნის შიგნით. არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ერეკლეს დროს გაუქმდა ვეზირისა და მუსტოფის (მორდალის, ბეჭდის მცველი მოხელის) სახელოები, რომლებიც სპარსეთის მოხელეები იყვნენ ქართლის სამეფო კარზე.

მეფის მიერ განხორციელებული ისეთი ღონისძიებები, როგორიც იყო: თავადების შეივიწროება, საგლეხო კანონები, საქალაქო წყობილების წესები, კანონი მოქალაქეთა საკუთრების შესახებ, სახელმწიფო წყობილების საკითხები, სამხედრო რეფორმის ცდები, მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი, საქარხნო–საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები (შაქრის, მინის, შალის, იარალის, ზეთის) სამთამადნო (სპილენძის, ოქრო–ვერცხლის, თუჯის, რკინის) წარმოების წამოწყება, ზარაფხანის განახლება, კულტურა–განათლების საქმეები: სტამბის განახლება, სამინისტროების დაარსება, განათლებულ მოღვაწეთა ძლიერი დასის წარმოქმნა, გაცხოველებული თარგმნა სამეცნიერო–პოლიტიკური თუ მხატვრული ლიტერატურისა რუსული ენიდან. „ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ–თავადურ ქვეყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გაქრობას გადაერჩინა“ (55:137).

გატარდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები ვაჭარ–ხელოსანთა სასარგებლოდ, მათი საქმიანობის გასაძლიერებლად. 1770 წლიდან დამკვიდრებას იწყებს საკუთრების ქალაქური წესი, რომლის

მიხედვით უშვილოდ გარდაცვლილი მოქალაქის ქონება მეფეს კი აღარ რჩებოდა, არამედ ამ მოქალაქის თუნდაც შორეულ ნათესავს.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა მრეწველობის განვითარებაზე ზრუნვა, მისთვის საჭირო პირობების შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, „როგორიც იყო ზარბაზნებისა და ყუმბარების ჩამომსხმელი წარმოება და სამთამადნო მრეწველობა“ (52:44).

პროფ. ი. ანთელავას დაკვირვებით, XVIII ს–ის პირველ ნახევარში სოფლის მშრომელი მოსახლეობის წილად გაცილებით მეტი პროცენტული რაოდენობა მოდიოდა მიწის გაყიდვაზე, ვიდრე მის შესყიდვაზე, სადაც უპირატესობა თავადაზნაურთა მხარეს იყო.

მისი დასკვნით, არსებითად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. აქ თავადაზნაურობა უსწრებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას მამულების გაყიდვაში და პირიქით, მკვეთრად ჩამორჩება მას მიწების შესყიდვაში. „მიწა–ვენახების გაყიდვის იმ 813 შემთხვევიდან, რომელიც ამ პერიოდში დაფიქსირდა, 52,2 პროცენტი მოდის პრივილეგირებულ წოდებაზე, 47,8 პროცენტი გლეხობაზე. იმავე რაოდენობის ყიდვის ოპერაციებიდან კი 39,6 პროცენტი მოდის პირველზე, 64,4 პროცენტი მეორეზე“ (52:85). ეს ინფორმაცია შეიძლებოდა პროგრესად შეგვეფასებინა, რომ არა ერთი გარემოება: გლეხებს, თუ შექმნილი ვითარებით ვიმსჯელებთ, გასაყიდი აღარაფერი დარჩათ, ამჯერად მხოლოდ მას შეეძლო მიწა–ვენახები გაეყიდა, ვისაც ამისი საშუალება გააჩნდა. ეს ნაწილი კი თავადაზნაურობა იყო და ყიდდა კიდეც. რაც შეეხება ყიდვას, აქ მხოლოდ ყიდვათა რიცხვია აღნიშნული და არა ის ფართობი, რომელსაც ყიდულობდნენ. ფაქტი ერთია, ყველა გლეხს არ შეეძლო თავადისა თუ აზნაურის მთელი მამულის შესყიდვა, ისინი გაცილებით მცირე ფართობის ნაკვეთს ყიდულობდნენ, გაყიდვათა რაოდენობაში კი მთელ ერთეულად იყო დასახელებულ–აღრიცხული. რეალურად რომ ითქვას, ეს

ნაშრომი 1977 წელს არის გამოცემული და, ვფიქრობთ, იმ იდეოლოგიისადმი არის ხარკი გაღებული, რომელსაც გლეხი უკეთეს პირობებში უნდა წარმოეჩინა.

ერეკლეს ეპოქის ქართლ–კახეთში საკმაოდ დიდი ყურადღების ცენტრში იდგა სახალხო განათლების პრობლემები. „ქვეყნის „განახლებით“ ფიქრობდნენ მეფე და კათალიკოზი ქართველი ერის „გამოხსნას“, ანტონისავე სიტყვით რომ ვთქვათ, მეზობელ „ბარბაროზთაგან“, სპარსეთ–თურქეთის აგრესიული ზრახვებისაგან. ამავე გზით უნდა მომხდარიყო მისი „აღდგომაც“ (60:7). ანტონთან ერთად ერეკლეს მიერ წამოწყებული სახალხო განათლების საქმე ქართლ–კახეთში ანტონის რუსეთში განდევნის პერიოდშიც (1756წ. აპრილი, 1763 წ. მარტი) წარმატებით მიმდინარეობდა. ეს პროცესი კიდევ უფრო წარმატებით გაგრძელდა, როცა „მხნე“ ერეკლეს კვლავ გვერდით დაუდგა რუსეთის გადასახლებიდან უკან დაბრუნებული და ერეკლეს შემწეობით ისევ გაკათალიკოსებული თავისი „გონიერი ძმა—ანტონ კათალიკოსი (1763 წ. მარტი). მათი ენერგიული საქმიანობის შედეგი იყო, რომ „ერეკლე მეორის ხანის საქართველოში ორი სასულიერო სემინარია დაარსებულა. ერთი იყო თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც 1755 წლის დამდეგს გაიხსნა და მეორე კი თელავისა, 1782 წლის 28 მაისს დაარსებული. პირველი აღა–მაჰმად ხანის შემოსევისას განადგურდა, მეორე კი, 1801 წლამდე არსებობდა“ (61:78–79).

მეფე ერეკლეს ზრუნვა განათლების განვითარებაზე მხოლოდ სემინარიების გახსნითა და კეთილი სურვილებით კი არა, იმ ადამიანებისადმი ზრუნვაშიც აისახებოდა, რომელთა დასაქმებაც განათლების სისტემაში ხდებოდა. ამისი დადასტურება არის ისიც, რომ თბილისისა და თელავის სემინარიები ფაქტობრივად სახელმწიფო სკოლებს წარმოადგენდნენ. ამ სასწავლებლების გეგმა ასეთივე ტიპის რუსული სასწავლებლებიდან იყო გადმოტანილი და მათ რექტორები განაგებდნენ, ხელფასი კი ხაზინიდან ეძლეოდათ (20:401).

თბილისის ფილოსოფიის სემინარიის რექტორად დაინიშნა დიდად განათლებული მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი. მღვდელ

ფილიპეს კარგი სწავლულის, მეცნიერის სახელი ჰქონდა. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მე–18 საუკუნის 50–60–იან წლებში საქართველოში გაჩაღებულ სამეცნიერო მუშაობაში. „თვით მეფე ერეკლე დიდის ყურადღებით ეპყრობოდა სემინარიას და თითონაც თავის სასახლეში ღებულობდა დასახელებული რექტორისაგან ფილოსოფიის გაკვეთილებს“ (64:152).

თელავის სემინარიის რექტორს მეფე ერეკლესგან „გაჩენილი“ ანუ განსაზღვრული ულუფა და ჯამაგირი ჰქონდა ყოველწლიურად. ერეკლე მეორე 1790 წლის 21 სექტემბერს უბრძანებს „მოძღვართ–მოძღვარის მოხელეებს“, რათა „მოძღვართ–მოძღვრის შემოსაველიდამ ხუთ თუმანს და ერთ საპალნე ღვინოს მოსცემდეთ ხოლმე ყოველ წელს უკლებლად ალექსის შვილს დავითს... შაგირდები მივაბარეთ და იმისთვის განუჩინეთ ეს ულუფა“ (60:54). სემინარიაში სწავლების უფლება მიცემული ჰქონდათ ეკლესიის ყმების წარმომადგენლებსაც. შეგირდები „თქვენის ეკლესიის ყმიდამაც უნდა მიებაროსო“ (60:54). ერეკლეს მიერ ასევე ცალკე ბრძანებით იყო განსაზღვრული, რომ „ვინც თელავის სამღებროს იჯარადარი იქნებოდეთ, ბატონის დედოფლის იჯარიდამ სამ თუმან ნახევარს ალექსის შვილს დავითს მისცემდეთ ყოველს წელს თავის ჯამაგირშიო“ (60:55).

მართალია, ქართლი და კახეთი გაერთიანებული სამეფოს დონეზე ებრძოდნენ შემოსეულ მტერს, მაგრამ ქართული ძალების შემდგომი შეკერა–შეკავშირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. ამ მხრივ კურსი იმერეთის სამეფოსთან, სოლომონ I–თან ურთიერთობაზე იყო გადატანილი და იმერეთის მეფეც, რომელმაც თავი დააღწია პირველ სიძნელეებს, აქტიურად თანაუგრძნობდა ქართლ–კახეთის მეფეებს. ქართული სამეფოების შეკავშირებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1758 წელს მიღწეულმა შეთანხმებამ თეიმურაზ II–ს, ერეკლე II–სა და სოლომონ I–ს შორის. როგორც პაპუნა ორბელიანი წერს: „მეფე სოლომონ მცირეს ჯარით გარდმოეიდა, ნახა მეფენი გორს, დახვდნენ საყვარლად და გაისტუმრეს ისევ მიცემითა და შერიგდნენ პირითა მტკიცითა: „რომელსაც ქვეყანაში მტერი

შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“ (33:246). ეს ურთიერთშეთანხმება 1770 წლამდე მოქმედებდა და დიდი როლი შეასრულა ქართული სამეფოების შეკავშირების გზით საერთო ქართული საქმის წარმატებისათვის.

1773 წლის 27 ივლისს, ერეკლე მეორესა და სოლომონ I–ს შორის დროებითი უკმაყოფილების განმუხტვის შემდეგ, გაფორმდა ახალი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთის მხრივ, როგორც ფაქტს, ქართველ მეფეთა შორის დროებითი გაუგებრობის თავიდან აცილების დასტურად და შემდგომში ერთობლივი მოქმედებისათვის მეფე თეიმურაზ მეორის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში. მეორეს მხრივ, როგორც დოკუმენტს, რომელიც ქართველმა მეფეებმა გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს, როგორც დასტური ქრისტიანობისა და ორივე ქვეყნის საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის. მთავარი პრობლემები, რომლებზეც ქართველი მეფეები შეთახმდნენ და რუსეთის იმპერატორიც ჩააყენეს საქმის კურსში ასეთი იყო:

მეფეებმა საუკუნოდ უარი თქვეს ერთმანეთთან დაპირისპირებასა და მათ შორის ადრე არსებულ უკმაყოფილებაზე; პირდებოდნენ, რომ შეურიგებელნი იქნებოდნენ საკუთარი მტრების, ქრისტიანობისა და რუსეთის მტრების მიმართ. კერძოდ, ოსმალეთისა და მისი მხარდამჭერებისადმი, იმოქმედებდნენ როგორც მტრების მიმართ; მტერი თუ შემოვიდოდა ქვეყანაში სწრაფად დაეხმარებოდნენ ერთმანეთს, რითაც საჭირო იქნებოდა. თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე ქვეყანას ჯარი დასჭირდებოდა, ის ქვეყანა უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი ჯარის სურსათ–სანოვაგისა და საჭირო მასალით მომარაგებაზე. მაგრამ, თუ რომელიმე ქვეყანას დაჭირდეს და ჯარებით უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა გახდეს საჭირო, თითოეულმა ქვეყანამ თვითონ უნდა უზრუნველყოს ჯარი ყველაფრით. ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, თუ დამნაშავე თაეს შეაფარებს მეორე ქვეყანაში, რა წოდებისა და რანგისაც არ უნდა იყოს იგი, დაუყოვნებლივ გადასცეს მეორე მხარეს; თუ რომელიმე ქვეყანაში არეულობა დაიწყებოდა, ვისგანაც არ

უნდა ყოფილიყო იგი წამოწყებული, მაშინვე ერთმანეთს უნდა მიშველებოდნენ სიტუაციის დაწყნარებაში. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ წამოიწყებდა შფოთს, მეფის ძმა იქნებოდა ის თუ შვილი; მკაცრად მოპყრობოდნენ, რათა თავიდან ამოეგდო მსგავსი დამოკიდებულება: დასასრულ, მეფეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ის უმთავრესი პუნქტები, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ხელშეკრულებაში, ზედმიწევნით დაეცვა ორიეე მხარეს არა მხოლოდ პირადად მათი სიცოცხლის მანძილზე, არამედ მათ მემკვიდრეებსაც (63:94–96).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დოკუმენტით მეფე ერეკლე და სოლომონ I გამოვიდნენ ერთი დიდი მიზნის ინტერესების შესატყვისად. ქრისტიანობისა და საკუთარი სამეფოების საშინაო და საგარეო საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის მზად მყოფთა როლში. ამასთან მესამე მხარესაც (ეს მხარე მათ პოტენციურ მოკავშირედ მოიაზრებოდა) უთხრეს, რომ საჭიროებისას დახმარება დროული უნდა ყოფილიყო და იმ ძალების მომარაგება–უზრუნველყოფა, რომელიც მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე იქნებოდა გამოყენებული, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იმ ქვეყანას უნდა ეფიქრა, რომელიც დახმარებას უწევდა.

XVIII საუკუნის უკანასკნელი ათწლეული კიდევ ერთი დიდი გამოვლინება იყო ქართულ სამეფო–სამთავროთა ერთობლივი მოქმედების, ერთმანეთთან კავშირის შეკვრისა და ქართული ძალების გაერთიანებისათვის. საკითხის წამოჭრა იმერეთის მეფის სოლომონ I–ის გარდაცვალების (1784) შემდეგ დაიწყო. ტახტი მემკვიდრეობით უნდა მიეღო ერეკლეს შვილიშვილს სოლომონ I–ის ძმისწულს, დავით არჩილის ძეს, მაგრამ ტახტი დავით გიორგის ძეს სოლომონ I–ის ბიძაშვილს ეჭირა. მისი მმართველობა დიდი უკმაყოფილებით დაიწყო. იმერეთიდან დელეგაცია ჩამოვიდა მეფე ერეკლესთან, რომელიც ქართული სამეფოების გაერთიანებას მოითხოვდა. დელეგაცია ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი იყო. სამეფო კარის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, მღვდელთმთავრები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და სხვები" (71:15). მათი

მოთხოვნა ასეთი იყო: რადგან მეფე ერეკლეს არ სურს იმერეთის სამეფო ტახტზე დავითის მეფობა, რომელმაც ფაქტობრივად მიიტაცა სამეფო ტახტი „ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთმთავრობის დროთა. დესპანნი იმერთა არწმუნებდნენ მეფესა, რომელ ყოველადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიათ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულსა“ (71:16).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დელეგაციის წევრთა მოსაზრებებს, რომელიც არა მარტო მათი პირადი, არამედ ხალხის საკმაოდ ფართო ფენების აზრის გამომხატველიც იყო. მისი აზრი კარგად არის გადმოცემული სარდლის, ალექსანდრე წერეთლის, სიტყვებში: „დიდებულო მეფეო, იმერეთი ძღვნად სწირავს თავსა თვისსა თქვენს დიდებულების წინაშე, შეგვიერთეთ და განვძლიერდეთ მით. წელიწადი ორი საყოფელ დროთ გახადეთ, ხან ტფილისს ბრძანდებოდეთ და ხან ქუთაისს–იმერეთს. შერიცხეთ ქვეყანა ჩვენი თქვენს ქვეყნად, ერი თქვენს ერად, თავი ჩვენი თქვენს მსხვერპლად და ყოველივე თქვენს წილ კერძად, თქვენს საკუთრებად და ზვარაკად. მთელი იმერეთის ერი სიხარულით და ნეტარებით მოელის ამ საქმის შესრულებას და მუდამ დღე ელიან პასუხის შეტყობას“ (84:199). ასეთი საუბრები უპირატესად საკითხის ოფიციალურად განხილვამდე მიმდინარეობდა. მეფე აზრებს ისმენდა, მაგრამ პასუხისაგან თავს იკავებდა, ბოლოს კი განაცხადა „სამეფო კრებას დავნიშნავ, თხოვნას განვიხილავთ და პასუხს მოგცემთო“ (84:199).

დაინიშნა საკითხის განხილვის დღე. როგორც წესი, იყვნენ მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. მომხრეთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდნენ და საქმის დადებითად გადაწყვეტას მხარს უჭერდნენ: ჭაბუა ორბელიანი,ანტონ კათალიკოსი, დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია მოურავი, ანდრონიკაშვილი, ჭარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი

და სხვანი (71:16). ისინი მეფეს უსაბუთებდნენ გაერთიანების აუცილებლობასა და საჭიროებას. განსაკუთრებით ჭაბუა ორბელიანი ცდილობდა მეფის დარწმუნებასა და დაჯერებას, როცა იგი მთელი მგზნებარებით აღნიშნავდა: „ნუ ჰყოვნებ და სჭმუნავ მეფეო, ბრძენთა და დიდებულთ უთქვამთ, რომ მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვისო. იმერეთის პატივცემულნი მღვდელთმთავარნი თქვენს წინაშე ლოცვა-კურთხევით სდგანან, ერი იყრის მუხლს და ითხოვენ ერთობას, ერთმეფობას და დაკავშირებას... თქვენი აზრები კარგად ვიცი და მესმის მეფეო-განაგრძო ჭაბუამ. ეგ დუმილი არ არის ქვეყნისთვის სასარგებლო-ერ ბედავთ თუ ვითარ მოუღო ტახტი იმერთა მეფობისა? როგორ მოუღეთ ბოლო ქართლის მეფობას, ქართლის დიდებულთა და მეფეთა, რა დაკარგა საქართველომ ამითი და რა იზარალა? როგორ მოუღეთ ბოლო მეამბოხე არაგვის ერისთავთა, მეამბოხე ქსნის ერისთავებს და სხვებსაც მრავალთა?! ქვეყნისა და ერის ბედნიერება ითხოვს ერთობას, ერთმეფობას“ (84:200-201). დელეგაციის წევრები და გაერთიანების მომხრენი, ითვალისწინებდნენ რა შექმნილ სიტუაციას, ასეთ კომპრომისულ წინადადებებსაც კი აყენებდნენ: თუ გაერთიანება ვერ გაამართლებდა, ერეკლეს დაეტოვებინა იმერეთი. სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, ჩნდება საღი აზრის საწინააღმდეგოც. ასე მოხდა ამჯერადაც. საქმეს არასასურველი მიმართულება იოანე მუხრან-ბატონმა მისცა, რომელმაც აღნიშნა, რომ „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვიელია ჩვენთვის, ვითარ მოეუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?“ (71:16) დავით სარდალმა, ამ ამბით განაწყენებულმა, მკვახედ უპასუხა მუხრან-ბატონს, რამაც არეულობა და საკითხის განხილვის შეწყვეტა გამოიწვია.

მოწინააღმდეგეთა ჯგუფში იყო დედოფალი დარეჯანიც, რომელსაც ყველაფერი გიორგის (ერეკლეს ვაჟის) ბრალი ეგონა, ამიტომ მასთან დაპირისპირებულმა დედოფალმა, რომელსაც ვერ მოენელებინა, რომ ერეკლემ გიორგი მემკვიდრედ აღიარა, მოთხოვა ჭაბუა ორბელიანს არ დათანხმებოდა გაერთიანებას,

მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფრით უღალატა მეფესა და ქვეყანას და უარი განუცხადა დედოფალს.

მეფეს კარგად მოეხსენებოდა დედოფლის აზრი გაერთიანებასთან დაკავშირებით. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს: „მეფემ უარი განაცხადა, რადგანაც წინა დღით დარეჯან დედოფალს ეცდუნებინა მეფე“ (84:201). დედოფლის დამოკიდებულება კარგად მოეხსენებოდათ შეკრების მონაწილეებსაც, ამიტომ ალექსანდრე წერეთელმა პირუთვნელად მოახსენა, რომ იმერეთის ერი საჭიროებდა და ითხოვდა ერთობას, ერთ–მეფობას „თუ არ ისურვებთ ერთობას, მაშინ თქვენი შვილი იულონი მაინც გვიბოძეთ, რომ იმერეთის ტახტზე დავსვათ. ამით ხომ არაფერი დაშავდება... ერთობა ამერ–იმერთა სასიამოვნოა დედოფლისთვის, თვით დედოფალმა მოგვცა ამის დასტური, თვით მან ბრძანა იმერთ შეერთების სურვილი, უკეთუ იულონს ინებებთ მეფეთ და მოსცემთ მეფობასო. მეფემ პასუხი ვერ მისცა. გაოცდა მასზე, როცა ამათ დედოფლის თანხმობაც განუცხადეს, რადგანაც დედოფალი ერეკლეს წინაშე მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობისა“ (84:201). დედოფალს აზრი ვერ შეაცვლევინეს, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში აცხადებდა თანხმობას იმერეთისა და სამეგრელოს ტახტის მოშლაზეც, თუ მეფედ იულონი იქნებოდა. გაჩნდა აზრიც იმის შესახებ, რომ გიორგის ნაცვლად ტახტი მის შვილს დაეითს მისცემოდა. ბუნებრივია, უხერხულობა იგრძნო გიორგიმ. როგორც პლ. იოსელიანი აღნიშნავს, გიორგი ყველას ერიდებოდა, არ სურდა მეფის ყურამდე მისულიყო მის შესახებ რაიმე არასასიამოვნო. შეიძლება ამანაც განაპირობა, რომ, როცა ახალი განხილვა შედგა და მეფემ გიორგის აზრის გამოთქმა შესთავაზა, გიორგიმ განაცხადა: „ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გაებედე მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა,––იტყვის წინასწარმეტყველი დავით, სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად.

მეფობა განყოფილი არა დაადგრეს,–ბრძანებს მაცხოვარი". სიტყვანი ესენი მოიწონეს შეკრებილთა მსაჯულთა" (71:17).

ჭაბუა ორბელიანმა ერთხელ კიდევ თხოვა საქმის დადებითად გადაწყვეტა. მაშინ მეფე აღსდგა და ბრძანა: „თხოვასა ამასა ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა, ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული–დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით–თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა" (71:17–18).

როგორც ვხედავთ, ერეკლემ უარი საკმაოდ დიპლომატიურ სტილში განაცხადა: არც შვილიშვილი დაიპირისპირა და არც მისთვის არასასურველ პოლიტიკურ სიტუაციაში თავის ჩაგდება მოინდომა. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში მისმა ასაკმაც, ალბათ, თავისი როლი ითამაშა, თავის დროზე ნადირ–შაჰის წინაშე მყოფ ერეკლეს დაფიქრებაც არ დასჭირვებია ყველაზე ღირსეული პასუხი რომ გაეცა, მაგრამ ახლა, ყველაფერთან ერთად, რომელიც საგარეო პირობებით განისაზღვრებოდა, საშინაო, და თუნდაც ოჯახური პრობლემები, ისეთი იყო, თვით მეფესაც სიტუაციიდან ნორმალური გამოსვლა გაუჭირდებოდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს: „ერეკლემ ბოლოს და ბოლოს უარყო გაერთიანების წინადადება. ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეფეს, სხვათა შორის ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა: ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი კი ოსმალეთსა თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ–იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა" (8:411;81:359–360). ამასთან ერთად მინდა ყურადღება მეფის სიფრთხილის კიდევ ერთ მიზეზზე გადავიტანო, რომელიც ამ შეკრებაზე ერეკლეს მიერ წარმოთქმულ სიტყვებშია: „მტერი მადგას კარსა, ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისთვის განმზადებული" მეფე ერეკლეს ასეთი სიტყვების განცხადების სრული საფუძველი გააჩნდა, რადგანაც, როგორც კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელს, ქართლის ბაგრატიონთა შტოს სამეფო ტახტი უკვე დაკავებული ჰქონდა და ამის შედეგად გამოწვეული

პრობლემები მოგვარებული არ იყო. ამას თუ იმერეთის ბაგრატიონთა შტოს სამემკვიდრეო ტახტის პრობლემაც ზედ დაერთოდა, ბუნებრივია, სიტუაცია ძალიან იოლად შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო. ამ შემთხვევაში ხომ საკუთარი შვილების ნდობაც ძნელი საქმე ჩანდა. ამიტომაც ყველაზე მისაღები, მისთვის მაინც შვილიშვილის მეშვეობით გაერთიანებული ქვეყანა აღმოჩნდა.

ყველაფრის მიუხედავად, იმავე წელს ერეკლემ დანაპირები მაინც აღასრულა და ქართლის ლაშქრის მხარდაჭერით იმერეთის სამეფო ტახტზე, ქუთაისში, დავით არჩილის ძე, თავისი შვილიშვილი, გაამეფეს სოლომონ II–ის სახელით (1789–1810). თუმცა გამართლება სამეფოს გაერთიანებაზე უარის თქმისა შეიძლება გამოინახოს, მაინც იმ აზრზე ვრჩებით, რომ „ეს არ იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი. იმაზე მეტი უბედურება რაღა იქნებოდა, რაც ქვეყანას თავს დაატყდა, გაერთიანებული ქართული სამეფო გარეგნულად მაინც დაუკარგავდა მადას მის მტრებს“ (10:176), რაც ქართველობის ინტერესთა ხორცშესხმაც იქნებოდა და მომავალ სირთულეებში ახალი, საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად მეტი გაბედულების საფუძველიც.

1790 წელს იმერეთის სამეფოს შემოერთების საკითხის დასმას ერთი სასურველი შედეგი მაინც მოჰყვა. ეს იყო „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა ტბილისს 1790 წელსა“ (82:45–51).

ტრაქტატი მიზნად ისახავდა ქართული სამეფო–სამთავრობების ერთი მთავარი მიზნის ირგელივ გაერთიანებას. ეს იყო იმ უპირველესი სურვილისა და საჭიროების აღიარება, რომ ქართულ სამეფო—სამთავროებს დაეცვათ მათი უმთავრესი მისია და მოვალეობა: ყველა გასაჭირში ერთად ყოფნის საჭიროება და აუცილებლობა. ხელშეკრულების მონაწილენი აღიარებდნენ: ერთმანეთის მტერს საერთო მტრად და მოყვარეს მოყვრად; ხელშეკრულების რომელიმე მონაწილეზე მტრის თავდასხმის შემთხვევაში საჭირო ჯარით დასახმარებლად სიტყვით და საქმით ერთმანეთთან ყოფნას; რუსეთთან დადებული

ხელშეკრულების ერთნაირად აღიარებას; ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა განუხრელ დაცვას. ყველა მხარე აღიარებდა ხელშეკრულებას და დაადასტურეს თავისი ხელმოწერით: ქართლ–კახეთის მეფემ, დედოფალმა, კათალიკოსმა, ვიცე–კანცლერმა, იმერეთის მეფემ, დედოფალმა, გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა.

ამ ხელშეკრულების ტექსტი და თხოვნა ქართული სამეფო–სამთავროების რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ 1793 წლის 10 თებერვალს გადაუგზავნეს ეკატერინე მეორეს და თხოვეს მას მუსლიმანური ქვეყნის ხელისუფალთაგან გათავისუფლება (83:270–271).

ბუნებრივია, აღნიშნული ხელშეკრულებების, გაფორმება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი მეფეებისა და საქართველოს ცხოვრებაში, ისინი კიდევ უფრო ფართო ჰორიზონტს შლიდნენ ქვეყნის თავდაცვის საქმის ორგანიზაციაში. 1759 წელს ქართლს სათარეშოდ მოადგა დაღისტნელი კოხტა ბელადი (ს. კაკაბაძის აზრით იგი წარმოშობით ქართველი იყო–ებ.) და ჩონჩოლ–მუსა დაღისტნის ჯარით, რომელიც 8 ათასი კაცისაგან შედგებოდა. მოლაშქრეები გაიყვნენ: ჩონჩოლ–მუსა მივიდა აჩაბეთს აიღო იგი, შემდეგ ლიახვის ხეობა დალაშქრა, სამაჩაბლოს ოსები დაარბია და სოფელ ავნევს მიადგა, კოხტა ბელადი კი ატოცის ციხეს. ერეკლე და თეიმურაზი ქართლ–კახეთის ჯარით ყორნისთან დადგნენ. მალე მათ შეუერთდა სოლომონ პირველი იმერელთა ჯარით. სამივე მეფე შეთანხმდა, რომ ჯერ ატოცისთვის შეეტიათ, იგი უფრო საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიეს. გაერთიანებული ქართული ძალები დილით ადრე მიადგა ატოცთან განლაგებულ კოხტა ბელადის ლაშქარს. შეუტიეს, მრავალი ლეკი გაწყვიტეს, კოხტა ბელადი გააქციეს. ქართველები გაქცეულ მტერს გამოუდგნენ და კიდევ დიდი ზიანი მიაყენეს. ლეკის ჯარების გაქცეული და გადარჩენილი ნაწილი ავნევთან მივიდნენ და ჩონჩოლ მუსას ყველაფერი აცნობეს. ეს უკანასკნელი ავნევს შეეშვა და დვანის სიმაგრეში დადგა ჯარით. ქართული ჯარი ჯერ ავნევს მივიდა, როცა ვითარება გაიგო, დვანისკენ დაიძრა და დილისთვის

შეტევის მზადებას შეუდგა, მაგრამ იმ ღამით მტერი უჩუმრად გაიპარა. დილით გამოუდგნენ, მაგრამ ლეკებმა გაქცევა მოახერხეს. გარდა ასეთი მსხვილი ლაშქრობისა ქვეყანას ლეკთა მოთარეშე ჯგუფები დიდ ზიანს აყენებდა და მეფეების წინაშე მრავალ თავსატეხს აჩენდა. მეფე ერეკლე ვაჟკაცურად ებრძოდა მოსულ მტერს, ამარცხებდა მას ხელჩართულ ბრძოლაში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქვეყანაში მტკიცე მშვიდობა დაემყარებინა. პარალელურად თეიმურაზი აქტიურად იღვწოდა მუდმივი სამხედრო ძალების შესაქმნელად. ასე შეიქმნა მუდმივი მილიცია, ნოქრებად წოდებული, რომლის შემადგენლობაში 2 ათასი კაცი ირიცხებოდა. მოლაშქრეებს წლიური ჯამაგირი ჰქონდათ 30–40 მანეთი. ჯარისათვის საჭირო სურსათით მომარაგება იმ სოფლის მოსახლეობას ევალებოდა, საიდანაც ჯარი გამოყავდათ. ამის მიუხედავად ლეკთა თარეში იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი სრული ალაგმისაგან ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაციასთან ერთად მეფეები თუმცა არა აშკარად, მაგრამ ყველაფერს აკეთებდნენ კეთილსაიმედო მოკავშირის ძიებისათვის. ტრადიციული არჩევანის გაკეთება ირან–ოსმალეთს შორის კვლავ ძალაში რჩებოდა. თუმცა ამჯერად ისეთი მოკავშირის ძიება შეადგენდა პრობლემას, რომელიც ორივე მუსლიმანურ ქვეყანასთან ბრძოლებში და დაღესტნელთა თარეშის ალაგმვაშიც დაეხმარებოდათ. ასეთ მოკავშირედ, როგორც წესი, ქართველ ხელისუფალთა თვალში რუსეთი მოიაზრებოდა. მეფეები განსაკუთრებულ იმედებს სარწმუნოებრივ ერთიანობაზე ამყარებდნენ. ერთ–ერთი უმთავრესთაგანი ამ საქმიანობაში მეფე თეიმურაზ მეორე იყო. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქვეყანა ეხსნა. ჯერ კიდევ 1729 წელს, როცა კახეთს ოსმალები შემოესივნენ და თეიმურაზი ფშავს აფარებდა თავს, მას სურვილი ჰქონია რუსეთში გამგზავრების, „არამედ არა უტევებდა კახნი“ (73:387). შემდეგში თეიმურაზს რუსეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა კვლავ მიეცა, ამჯერად თვითონ რუსეთის ელჩი იყო ჩამოსული კახეთში „თავადი სერგი გოლიცინი (1734–1735), მაგრამ თეიმურაზი უკვე ნადირ–შაჰთან ერთად

ოსმალების წინააღმდეგ იბრძოდა და რუსეთის ელჩთან შეხვედრები აღარ გამოდიოდა, ამიტომ იგი უყურადღებოდ დატოვა“ (65:VII). ირანის აგრესიის გაძლიერების შემდეგ თეიმურაზმა კვლავ დაიწყო რუსეთისაკენ შემობრუნება, რამაც განაპირობა კიდეც მისი მისიის გამგზავრება რუსეთში. „თავად როსებ გიორგის ძის ელჩობა რუსეთში 1736 წელს გამოწვეული იყო იმ შემაძრწუნებელი შინაგანი ვითარებით, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა საქართველოს, კერძოდ, კახეთის სამეფოს ცხოვრებაში ირანის აგრესიის შედეგად“ (73:387). ნადირ–შაჰის შემოსევებისაგან დარბეული ქვეყნის მეფე მთიანეთში აფარებდა თავს, იგი ცდილობდა გამოენახა გზები ქვეყნის დასახსნელად. სწორედ ამ დაძაბულ პერიოდში გაგზავნა მან ელჩობა რუსეთში. ელჩობის მიზანი ჩამოყალიბებული იყო იმ დავალებებში, რასაც თეიმურაზ მეორე აბარებდა ელჩობას რუსეთის სამეფო კარზე განსახორციელებლად. როგორი იყო ამ დავალებათა შინაარსი? რა აინტერესებდა თეიმურაზს რუსეთის სამეფო კარიდან? როგორც ამ მისიის შესახებ ა. იოსელიანი წერს, ელჩობას რუსეთის სამეფო კარისათვის უნდა წარედგინა შემდეგი სურათი და პრობლემები კახეთის სამეფოსი:

1. მოეხსენებინა რუსეთის იმპერატორისა და თავი კაცებისათვის ოსმალ–სპარსთა ძალმომრეობისა და ძარცვის შედეგად საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ.

2. მათთვისვე განემარტა და დაესაბუთებინა ქართველთა, კერძოდ, თეიმურაზ მეფის, თავგანწირული ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ ნადირ–შაჰის წინადადებით, რათა ქვეყანა განთავისუფლებულიყო ოსმალთა ბატონობისაგან და აღდგენილიყო დამოუკიდებლობა.

3. ემხილა ნადირ–შაჰის ბოროტი ზრახვები, რომ მან ოსმალეთზე გამარჯვების შემდეგ განიზრახა ქართლისა და კახეთის დამონება, მისი ეროვნებისა და სარწმუნოების მოსპობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შაჰისათვის ცხადი გახდა საქართველოს მისწრაფება რუსეთთან მეგობრული განწყობილებისა და ურთიერთობის დამყარებისათვის“ (73:389).

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია,

კახეთის ელჩს თავისი ჩასვლის მიზანიც უნდა მოეხსენებინა რუსეთის სამეფო კარისთვის. რას მოითხოვდა მისგან კახეთის მეფე თეიმურაზი? თეიმურაზ მეორე უპირველეს ყოვლისა რუსეთის სამეფო კარს თხოვდა:

„ა) რუსეთს გაეფრთხილებინა თამაზყული-ხანი (ნადირ-შაჰი), რომ შეეწყვიტა კახეთის აოხრება და მეფე თეიმურაზ მეორე ძველ უფლებებში დაეტოვებინა;

ბ) ქართლში გამოეგზავნა მეფე ვახტანგ მეექვსე და აღედგინა სახელმწიფოებრივი წესრიგი, ე. ი. ბოლო მოეღო უმეფობისათვის;

გ) მიეცა ჯამაგირი (სესხი) კახეთის მეფე თეიმურაზისთვის მტრისაგან განადგურებული ქვეყნის აღსადგენად“ (73:389). თუ აქ ჩამოთვლილ მუხლებს ვერ განუხორციელებდა ელჩობას რუსეთის ხელისუფლება, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, იმპერატორისთვის უნდა ეთხოვა ნებართვა, რათა უფლება მიეცათ კახეთის მეფისთვის გადასახლებულიყო რუსეთში. მართალია, დიდად ეცადა ელჩობა მეფის დავალებათა შესრულებას, მაგრამ სასიკეთო შედეგს ვერაფერში მიაღწია.

როგორც ავთ. იოსელიანის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობენ, რუსეთის სამეფო კარმა დუმილი არჩია თეიმურაზ მეორის მოთხოვნაზე, ამას, ალბათ, იმანაც შეუშალა ხელი, რომ რუსეთი დაპირისპირებული იყო თურქეთთან და ნადირ-შაჰი რუსეთის მიმართ გარკვეულ წილად მეგობრულ დამოკიდებულებასაც იჩენდა. ასე ჩაიშალა კახეთის მეფის მცდელობა რუსეთთან ახალი ურთიერთობის შესახებ (73:389). კახეთის ელჩობამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა და სამშობლოში დაბრუნდა.

რაკი რუსეთის მხრიდან დახმარების იმედები არც ამჯერად ჩანდა, ორივე მეფე ცდილობდა სასურველი ურთიერთობის შენარჩუნებას მუსლიმანურ სამყაროსთან. ამის მიუხედავად, ისინი მაინც ფიქრობდნენ რუსეთთან დაწყებული ურთიერთობის შემდგომ განვითარება-გაღრმავებას. პირველ ეტაპზე მეტ აქტიურობას ამ მიმართულებით თეიმურაზი იჩენდა. ამას უბრალო სურვილი კი არა ქვეყნის ვითარება კარნახობდა. თითქმის გაუთავებლად გრძელდებოდა თავდასხმები. ჭარელები თავისას

არ იშლიდნენ. ამასთან „სპარსეთი უფლებების განმტკიცებას მოითხოვდა, ოსმალეთი მოზიარობას ლამობდა, დაღესტანი ხელსაყრელ შემთხვევაში ხელს ითბობდა... თეიმურაზმა თვალი ჩრდილოეთს მიაპყრო... დესპანად წარგზავნა ტფილელი ათანასე, მაგრამ შედეგი არ ჩანდა“ (65:VIII). მართალია, ეს მისია უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მეფეს განზრახვაზე ხელი არ აუღია და ხელსაყრელ ვითარებას ელოდა ახალი მოლაპარაკებისთვის. თანაც მეფეები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჩრდილოეთთან კონტაქტები არ გახმაურებულიყო. ეს ყველაფერი დიპლომატიური ურთიერთობების მიზეზებით აიხსნებოდა, რადგან ირანთან ურთიერთობის გაუარესება იოლი საქმე იყო რუსეთთან დამოკიდებულების გააქტიურების გზით. თეიმურაზმა მაინც საჭიროდ ჩათვალა თვითონ გამგზავრებულიყო რუსეთში.

სწორედ თეიმურაზის რუსეთში გამგზავრების წინა ხანებში გახმაურდა კონფლიქტი მამასა და შვილს, თეიმურაზსა და ერეკლეს შორის. ამასთან დაკავშირებით გვჯაკობია ეყრდნობა ოთარ თუმანოვის ინფორმაციას (65:IX), თუმცა ავტორი თვითონ არ იზიარებს ასეთი კონფლიქტის შესაძლებლობას, მაგრამ, რაკი ასეთი ინფორმაცია არსებობდა, მან იგი დაიმოწმა.

ვინ იყო ოთარ თუმანოვი (თუმანიშვილი) ან რატომ დასჭირდა მას ასეთი ინფორმაციის ვინმესთვის მიწოდება?

თუმანიშვილის ვინაობის საკითხი შეისწავლა პროფ. იცინცაძემ. ოგი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს „რუსეთში გადასახლებული ვახტანგ VI–ის მრავალრიცხოვანი ამალიდან არა ერთი ქართველი თავადიშვილი და აზნაური „რუსთ ხელმწიფის“ სამსახურში შევიდა და ერთგულად მუშაობდა, მაგრამ ამავე დროს სამშობლოზე გული შესტკიოდა და, როცა საშუალება ჰქონდა, ქართველ მეფეს თავის გამოცდილებას და ცოდნას სთავაზობდა და უანგაროდ ეხმარებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ ვახტანგ მეფეს და მის შთამომავლობას ქართლის სამეფო ტახტი აღარ დაუბრუნდა და მათი მამულები კახელ ბაგრატიონებს დარჩა, იმავე რუსეთში გადახვეწილ ქართველ თავადსა თუ აზნაურს, თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის წინააღმდეგ განაწყობდა

და თვითმპყრობელობის მოხელეებს ამათ წრეებში საიდუმლო აგენტების დაქირავებას უადვილებდა“ (66:8–9).

ამდენად, ოთარ თუმანოვი რუსეთის აგენტი იყო და შესაბამის ცნობებს აწვდიდა რუსეთის ხელისუფალთ. სწორედ ამ მოხსენებაშია ლაპარაკი ერეკლესა და თეიმურაზს შორის უთანხმოებაზე. ეს მოხსენება ო.თუმანოვმა 1760 წლის 21 ნოემბერს წარუდგინა ასტრახანის გუბერნატორს ვ.ნერონოვს (67:79). თეიმურაზი სწორედ ასტარახანის გზით მიემგზავრებოდა რუსეთის იმპერატორთან.

თავის მხრივ, რუსეთი სიფრთხილეს იჩენდა ქართლის მეფის მიღებაზე, რამდენადაც ეს გაართულებდა მის ურთიერთობას თურქეთის ხელისუფლებასთან, ამიტომ 1760 წლის 30 ივნისს ყიზლარის კომენდანტს ფრაუენდორფს პეტერბურგიდან ატყობინებდნენ: „ზუსტად გაეგო რა მიზნით მოდის თეიმურაზი რუსეთში, თუ იგი თავისი ამალით მოდის რუსეთში საცხოვრებლად და არა სხვა მიზნით. ამავე დროს თუ აქვს საშუალება თავისი ხარჯით იცხოვროს, წამოვიდეს, თუ არა ჩააგონე, სამშობლოში დაბრუნდესო; ამასთან, თუ რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე აქვს მოსახსენებელი, თქვენი საშუალებით გვაცნობოს და პასუხს ყიზლარში დაელოდოსო“ (68:11).

ამდენად, რუსეთი სიფრთხილეს იჩენდა თეიმურაზის მიღებასთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ, ეს განპირობებული იყო თურქეთთან ურთიერთობის გამო. თანაც ამ დროს რუსეთი 7–წლიან ომს აწარმოებდა და თურქეთთან საკითხის გამწვავებას, ბუნებრივია, ერიდებოდა. ასეთ შემთხვევაში ერეკლესა და თეიმურაზს შორის უთანხმოების შესახებ ცნობის გავრცელება მის გამგზავრებასა და რუსეთში ჩასვლას პირიქით ხელს უწყობდა. თურქეთს არაფერი ექნებოდა საპროტესტო შეილზე განაწყენებული მამის რუსეთში თავშესაფრის მიღების მიზნით ჩასვლაზე. ამიტომ, როგორც პროფესორი ვ.მაჭარაძე ვარაუდობს, სრულიად შესაძლებელია, რომ „ასეთი ჭორი თვით ქართველებს გაევრცელებინათ, რათა დაეფარათ თეიმურაზის რუსეთში გამგზავრების ნამდვილი მიზანი. ერთი კი ცხადია, ასეთი ვერსია ამჯერად ხელსაყრელი იყო რუსეთისთვისაც,

რომ თურქები დაემშვიდებინა“ (67:59). რუსი ისტორიკოსი პ.ბუტკოვი აღნიშნავს, რომ თეიმურაზსა და მის ვაჟს “...ერეკლეს შორის, უკანასკნელის პატივმოყვარეობის გამო, უთანხმოება ჩაისახა და 1760 წელს იმპერატრიცა ელიზაველტას თაყვანსაცემად თეიმურაზი რუსეთს გაემგზავრა“ (69:241). პროფესორ მ.სამსონაძის აზრით, გარკვეული უთანხმოების ფაქტი უეჭველია, მაგრამ „...ასევე უეჭველია ისიც, რომ, ერეკლე ყველა აღნიშნულ და სხვა მსგავს შემთხვევაშიც, სანაქებო თავშეკავებასა და ტაქტს იჩენდა და არასოდეს მამის საწინააღმდეგო მოქმედება არ უკადრებია. ამის გამო, ეს უთანხმოება კონფლიქტში არ გადაზრდილა“ (30:129).

როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლები კარგად იყვნენ ინფორმირებული თეიმურაზ მეორის მისიის შესახებ. ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ წინასწარ ამოეცნოთ ვიზიტის მიზანი. მათ ყველა საშუალება გამოიყენეს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. როგორც პროფესორი იცინცაძე წერს, საკითხის დაზუსტება მინდობილი ჰქონდა ოთარ თუმანოვს, რომელმაც შეძლო თეიმურაზ მეორის ხალხთან დაახლოება. ამის მიუხედავად, რუსეთში მეფის გამგზავრების ნამდვილ მიზეზს ფეგი ვერ ჩაწვდა, ამიტომ თავის ხელმძღვანელობას შემდეგი აცნობა: „რა მიზნით მიემგზავრება რუსეთში, არავინ იცის, გარდა თვითონ და მისი შვილისა“ (70:95).

მართალია, ო.თუმანიშვილი საკმაოდ მძიმე პოლიტიკურ ინფორმაციას აწვდიდა თავის მფარველებს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მთავარი და სასურველი ვერ გაარკვია. საერთოდ რუსეთის დაზვერვის საქმიანობა აშკარად გვარწმუნებს, რომ საქართველოში არსებული ვითარებით ისინი დიდად იყვნენ დაინტერესებული. ამ ინტერესის მიზეზი კი რუსეთის საგარეო პოლიტიკით იყო ნაკარნახევი და არა ქართლ–კახეთის სამეფოსადმი კეთილგანწყობით.

თეიმურაზსა და ერეკლეს შორის უთანხმოების შესახებ წერს ალ.ამილახვარიც. „თეიმურაზი –ქრთლის მეფე გახდა, მაგრამ მისმა შვილმა ერეკლემ მოტყუებით რუსეთში გაგზავნა, სადაც გარდაიცვალა... თეიმურაზი ლმობიერი კაცი იყო, არ

გავდა თაეის მუდამ მშფოთვარე და ბოროტ ვაჟს ირაკლის, რომელმაც თეით თაეისი მამა მოატყუა და რუსეთში გაისტუმრა, სადაც იგი გარდაიცვალა, ხოლო სამეფო მიითვისა (35:42). როგორც ჩანს, ეს გახმაურებული ამბაეი ალ.ამილახერამდეც აღწევს, მან კი, როგორც ერეკლეზე განაწყენებულმა, თაეის ნაშრომში შეიტანა.

ფაქტიურად, როგორც აღენიშნეთ, ამ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. რაზეც მიგვანიშნებს შემდეგი ფაქტები: კერძოდ, პლატონ იოსელიანი თეიმურაზ მეორის რუსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით საკმაოდ გულამაჩუყებლად აღწერს ოჯახთან მის განშორებას: „ოდეს, დროთა გარემოებათა გამო,. წარეიდა რუსეთად (1760 წელსა) მეფე თეიმურაზ, მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ეითარცა შვილიშვილსა უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა... აკურთხა იგი ღეთისმშობლის მცირედითა შემკულითა ხატითა და კურთხევითითა სიტყვითა და ცრემლითა გამოეთხოეა შვილსა ირაკლის, შვილიშვილსა გიორგის და სხვათაც სახლისა თეისისა წევრთა და წარეიდა დუშეთისა აწინდელისა გზით რუსეთად“ (71:8). ბუნებრიეია, განაწყენებული ადამიანი ასეთი სიყვარულით ვერ დაემშვიდობებოდა ოჯახის წევრებს, თუმცა საქმე ამით არ დასრულებულა. ერეკლე მეორემ წერილით მიმართა ლევან ბაქარისძეს (1760 წლის 10 აპრილი), რათა დახმარებოდა თეიმურაზს (67:228).

1760 წელს თეიმურაზი საგრძნობი რაოდენობის ამალით რუსეთში გაემგზავრა. ქართლის მეფეს რუსეთის იმპერატორისთეის გაბედული გეგმა და მნიშვნელოვანი სათხოვარი ჰქონდა. იგი რუსეთის იმპერატორს ჯარს ან ჯარის დასაქირაეებლად ფულს თხოვდა სესხად. ქართველ მეფეებს სურდათ ამით ლეკები აელაგმათ, შემდეგ ქართველთა საგანგებო ლაშქრით ირანში შეეიდოდნენ, იქ სპარსი დიდებულების ყრილობას მოიწეეედნენ და მას რუსეთისათეის სასურველ პირს ირანის შაჰად აარჩეევინებდნენ.

ქართველების გეგმა გაბედული და გონიერული იყო. თეიმურაზი და ერეკლე ამით წინადადებას აძლეევდნენ იმპერატორს, რომ „ისინი ირანში რუსეთის ინტერესების დამცველად გამოეიდოდნენ,

- წერდა პროფ. ნ. ბერძენიშვილი,—ხოლო ამ საქმეში წარმატება, ფიქრობდნენ ისინი, ირანის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების მტკიცე საწინდარი იქნებოდა“ (11:629). გეგმა გაბედული იყო, მაგრამ არა რეალური. როგორც პროფესორი ვ. მაჭარაძე აღნიშნავს, „იგი ვერ ითვალისწინებდა, რომ შეიდწლიან ომში ჩართული რუსეთი სამხრეთელი მეზობლების განაწყენების გზას ვერ დაადგებოდა“ (68:11).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერატორის კარს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აწუხებდა და თეიმურაზ მეორისათვის პრაქტიკული დახმარება არ შეეძლო. სამწუხაროდ, რუსეთში ქართველ მეფეთა ამ საქმიან წინადადებას სათანადოდ არ გამოეხმაურნენ. სამშობლოს ბედზე ღრმად ჩაფიქრებული მეფე თეიმურაზი 1762 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. იგი ასტრახანში დაკრძალეს თავისი სიმამრის – ვახტანგ VI–ის გვერდით.

ამდენად, კიდევ ერთი ქართული მისია რუსეთში უპასუხოდ დატოვეს. ამჯერად ეს არასასურველი როლი ქართლის მეფეს–თეიმურაზ მეორეს ხვდა წილად. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წლის 29 ივნისს ერეკლე მეორე გაერთიანებული ქართლ–კახეთის მეფე გახდა. ამის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც ერთიანი, საერთო პოლიტიკური ინტერესები აკავშირებდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო ურთიერთობათა თვალსაზრისით, მაგრამ ქვეყნის შიგნით, როგორც ს.კაკაბაძე წერდა: „ორივე სამეფო დარჩა. მიუხედავად ამ დიად ცვლილებისა უზენაეს ძალა–უფლების სფეროში, მხოლოდ გარეგნულად შეერთებული, ორგანიულ გაერთიანებამდის, თუნდა მართვა–გამგეობის, სფეროში ჯერ კიდევ შორს იყო. მართვა–გამგეობა და ადმინისტრაცია ცალკე იყო როგორც ქართლისა ისე კახეთის სამეფოსათვის. სახლთუხუცესობა და სხვა უმაღლესი მმართველობის თანამდებობანი დარჩა სათითაოდ ქართლისა და კახეთის სამეფოსათვის განკერძოებით. შეერთება ქართლ–კახეთისა მოხდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მმართველობითი ფუნქციები მოთავსებული იყო თვით მეფის ხელში“ (64:155).

მართალია, ერეკლეს ბუნება ვერ ეთვისებოდა ცალკეული თავადების თვითნებობას, მეფის საწინააღმდეგო პოლიტიკას არავის პატიებდა და ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობისათვის ყველაფერს აკეთებდა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავლად იყო ქვეყანაში ძალები, რომლებიც ბოლომდე მეფის ერთგულებით არ გამოირჩეოდნენ. ამ მიმართებით კელავ დინასტიური შუღლის წინა პლანზე წამოწევა გახდა მთავარი მიზანი. ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები ვერ ეგუებოდნენ ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის შტოს წარმომადგენელთა გამეფებას. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ვახტანგ VI–ის რომელიმე მემკვიდრე კელავ ქართლის სამეფო ტახტზე დაებრუნებინათ.

ამ წინააღმდეგობის გამოვლინება 1765 წლის შეთქმულება გახდა. შეთქმულების ორგანიზატორი ვახტანგ VI–ის უკანონო შვილი, ვახუშტი ბატონიშვილის ღვიძლი ძმა პაატა იყო. იგი ჯერ კიდევ ყრმა გაჰყვა გადასახლებაში მიმავალ მეფეს. ჯერ რუსეთში მიაბარეს სკოლაში, სწავლობდა საარტილერიო საქმეს. ვახტანგ VI–ის გარდაცვალების შემდეგ (1737 წლის 26 მარტი) პაატა გაიპარა და თორმეტი წლის მანძილზე მოიარა ევროპის ქვეყნები: გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია. ზედმიწევნით შეისწავლა საარტილერიო მეცნიერება და სტამბულის გავლით 1751 წელს მოვიდა თბილისში. იგი აბდულა-ბეგის, თავისი ბიძაშვილის, საქმის განმგრძობი იყო. ქართლში მოვიდა როგორც სამეფო ტახტის მაძიებელი და დიდი სიფრთხილით მოქმედებდა. თეიმურაზი და ერეკლე გახარებულებიც კი იყვნენ მისი გამოჩენით, საარტილერიო საქმის კარგი მცოდნე ჭირდებოდათ, მაგრამ მაინც იძულებული გახდნენ პაატა დაეპატიმრებინათ, რადგან მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გაჰყვათ. იგი მეტეხის ციხეში ყავდათ. 1754 წლის აპრილში ერეკლემ გაათავისუფლა და თავისთან, კახეთში წაიყვანა. ერეკლეს გაეპარა და იმერეთში გადაიქცა, ძლიერ თავადებს ლევან აბაშიძეს და რაჭის ერისთავს შეეფარა. მეფე სოლომონის გამარჯვების შემდეგ პაატა რუსეთში გაიპარა და ალექსანდრე ბაქარის ძესთან ერთად დაიწყო ერეკლესა და

თეიმურაზის წინააღმდეგ მოქმედება. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ რუსეთში მყოფ ანტონ კათალიკოსს საიდუმლოდ სთხოვა თან წამოეყვანა პაატა ბატონიშვილი. მისი ჩამოყვანით ერეკლემ გონივრულად დაშალა რუსეთში მოწინააღმდეგეთა დასი, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული პაატა კვლავ შეთქმულების გზას და დასახული მიზნის განხორციელებას შეუდგა (77:6–7). „საქართველოში დაბრუნებული,––როგორც ზ.ჭიჭინაძე წერს. —იგი ურჩევდა მეფე ერეკლეს, რომ რაკი საფრანგეთი შორს არის საქართველოზედ, მათთან დაახლოებას თავი დავანებოთ და ჩვენ ინგლიზს დავუახლოვდეთ კალკუტის გზითაო, ეს უფრო ადვილად მოხერხდება, ვიდრე ევროპის გზით საფრანგეთთან დაახლოებაო. პაატა ბატონიშვილი ცდილობდა ინგლიზსთან დაახლოებას, მაგრამ მეფე თავს იკავებდა,ისინი ჩვენი თანამორწმუნენი არ არიანო“ (74: 35–36).

პაატა ბატონიშვილი მიზნად ისახავდა ქართლის სამეფო ტახტის დაკავებას, სადაც ერეკლე იჯდა. თავის მხრივ, ერეკლემ სცადა პაატასთან შერიგება და ამ საქმეში ანტონ კათალიკოსიც ჩარია. მეფემ მას ყველა პირობა შეუქმნა, მაგრამ მაინც გაიპარა და ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადებს შეუკავშირდა (179:85–87). ერთ–ერთი მათგანი დიმიტრი ამილახვარი იყო. იგი ლეკების შემოსევისას მიღებული ტრავმით დასნეულებული ჯერ ისევ მწოლიარე იყო, როცა მასთან პაატა მივიდა. შეთქმულება მომზადდა. შეთქმულები მიზნად ისახავდნენ ერეკლეს ოჯახის ამოწყვეტას და ტახტის დაბრუნებას, მაგრამ შეთქმულების ამბავი მეფემ გაიგო. ერეკლემ დააჭერინა პაატა ბატონიშვილი, მამა–შვილი თაქთაქიშვილები, ციციშვილი და დემეტრე ამილახვარი. ორი კვირის განმავლობაში დანაშაული გამოიძიეს და დამნაშავეებს სასჯელი განუსაზღვრეს. 1765 წლის 15 დეკემბერს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს „თუცალა არა ჰსწავდა მეფესა მოწყვეტა მათი და მრავალგზისცა ენუკეა ხალხთა განტეეებაში მათსა, გარნა ხალხთა არა უსმინეს მეფესა“ (76:14). პაატა ბატონიშვილს თავი მოჰკვეთეს, ელიზბარ თაქთაქიშვილი კოცონზე დაწვეს, მის შვილს არდაშელს მარჯვენა ხელი მოაჭრეს და თვალები დათხარეს, გლახა ციციშვილს ენა

მოაჭრეს, ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოაჭრეს და ბარძაყის ძარღვი გადაუჭრეს, დემეტრე ამილახვარი შეარაცხვინეს, სახედარზე შესვეს და ისე აატარ–ჩამოატარეს რიყეზე (77:8–9).

ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა ხელისუფლების განმტკიცებას, ყოველი შეთქმულება კი ძირს უთხრიდა და ხელს უშლიდა ქვეყნის მართვის, ცენტრალიზებული ხელისუფლების ფორმირების საქმეს, ამიტომაც დამნაშავენი მკაცრად ისჯებოდნენ. მეფე ერეკლეც არ იყო გამონაკლისი, სამეფო ხელისუფლების მტრების მიმართ. როგორც მეფე, იგი ვალდებული იყო, თუნდაც მისი უახლოესი ადამიანებისათვის, მკაცრი განაჩენი გამოეტანათ. მაგრამ როგორც ადამიანი იგი განიცდიდა მომხდარს და ცდილობდა მის თავიდან აცილებას. ასე მოხდა ამჯერადაც. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, „პაატა დიდად განათლებული რომ იყო ქართლის ცხოვრებაც აღიარებდა „პაატა ბატონიშვილი კაცი დიახ მეცნიერი და განსწავლული ფრანგისტანშიო“. ერეკლეს თხოვდნენ არ დაესაჯა სიკვდილით, მეფეს შეუწყალებია და რიყეზე კაცი უფრენიათ პაატას ეპატიოსო, მაგრამ როცა მისულა საქმე უკვე აღსრულებული ყოფილა, პაატა თავმოჭრილი გდებულა. მეფე ერეკლემ ბოლოს ძლიერ დაინანა ამის მოკვლაო, დიდად სწუხდაო“ (74:37).

მეფე ერეკლე ასევე მოიქცა დემეტრე ამილახვარისა და მისი ოჯახის მიმართაც. მართალია, დემეტრე ამილახვარი იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ მეფისგან არაფერი ისურვა, მაგრამ ერეკლემ მაინც აშკარად გამოხატა თანაგრძნობა, ალბათ, შედარებით მკაცრად დასჯილი დემეტრესადმი. ჯანგატეხილი დემეტრე ამილახვარი 1771 წელს თბილისიდან ჭალაში ავიდა, სადაც ორი წელი დიდი მწუხარებით გაატარა. ერეკლე მეფე დარწმუნდა, რომ დემეტრეს დიდი დანაშაული არ ჰქონდა და მომხდარის გამო სინანული დაეტყო. 1773 წლის იანვარში მეფე მიბრძანდა ჭალაში და ინახულა მწუხარებისაგან ჩამომხმარი დემეტრე. მეფემ მოუბოდიშა „რაც შეგცოდე, მაპატიეო; შენი ყმა და მამული ისევე მიიღეო“. – შვილები აქეთ–იქეთ დამეღუპნენ და ყმა–მამულს რაღას ვაქნევო. ჩემს ასე უსამართლოდ დაღუპვას თუ ღმერთი გაპატიებს მე მიპატივებიაო (77:12). ერეკლემ

შეასრულა მეფური სიტყვა. 1773 წლის 20 იანვრის ბრძანებით დიმიტრი ამილახვარს დაუბრუნა ყმა და მამული (78) „ჩვენი ბძანება არის ეშიკალაბაშო ასლან და ბოქაულ ლუარსაბ. რაც ამ ნუსხაში აზნაურიშვილი, ამათი ყმა, ციხეები, გლეხი სომეხი თუ ქართველი, ზვარი–ეწეროს, ხელი აუმართეთ, ამილახვარის შვილს დიმიტრის მიაბარეთ, სხვას ხელი არავისა აქვს, ამისათვის გვიბოძებია. ერეკლე“. (გრაგნილი ჩამონათვალით თითქმის ორ მეტრს აღემატება––ებ). დემეტრე ამილახვარმა ზედაც არ დახედა ოქმს. თუ ჩემს შვილებს დავინახავ, ხომ კარგია, თუ არა, რას ვაქნევ ყმასა და მამულსაო. თავის შვილს გიორგისაც ასევე ათქმევინა. ამრიგად, დემეტრემ აღარაფერი მიიღო ერეკლესაგან. იგი 1793 წლის ბოლოს გარდაიცვალა. ამის მიუხედავად პოლიტიკური თვალსაზრისით ერეკლე მაინც ეფერებოდა დემეტრეს. სწორედ ამ თვალსაზრისით გაითვალისწინა რა უცხოეთში გადახვეწილი დიმიტრის შვილების მდგომარეობა, სცადა მათი სამშობლოში დაბრუნება. 1782 წლის 29 ნოემბერს ერეკლემ წერილი გაუგზავნა იოანე ამილახვარს სამშობლოში დაუგეიანებლად დაბრუნების შესახებ: „ჩვენ მაგიერად ამილახვრის შვილებს იოანეს და ნიკოლოზს მოკითხვა ეუწყოს. მერმე ამას წინად თქვენ წიგნი მოგეწერათ, აქაე თქვენს ქვეყანაში მოსვლა და ცხოერება სადმე გინდათ. დიახ, რიგიანი საქმე მოგინდომებიათ. ახლა ჩვენც ასე გწერთ რომ წამოხვიდეთ აქ ამ ქვეყანაში მოხვიდეთ, ნურას კაცისაგან საფიქრებელი ნურა გექმნებათ რა ღეთის მოწყალებით აქ მოხვალთ და ქრისტიანობაში მოაწევთ, არა გაგიჭირდებათ რა, თქვენს ქრისტიანობას უფიქრებლად თაყვანსა სცემთ და კიდეც დარჩებით, ასე იცოდეთ... როცა ჩვენი კაცი მოვიდეს, რაც გინდა გამოართვი სადმე გინდათ. ვინცაეინ თქვენი ნათესაევები და თაეისიანი არიან გვეხვეწებიან, ჩვენც გვეამება რომ აქ მოხვიდეთ და თქვენ სამშობლოს ქვეყანაში იცხოეროთ, ამისთვის გწერთ ამისთანა წიგნსა. ერეკლე“ (79). გაეიდა დრო და ერეკლემ პასუხი ვერ მიიღო. შემდეგ მეფეს მოახსენეს წერილი ადრესატს არ მისვლიაო, ამიტომ 1784 წლის 8 ნოემბერს ერეკლემ კვლავ მიწერა წერილი იოანე ამილახვარს: „ჩვენ მაგიერ ჩვენგან დიდად პატივისცემით

სახსოვარს და არასოდეს დასავიწყარს, მისს ბრწყინვალებას ამილახვაროეს ბატონ იოანეს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ამას წინათ თქვენგან ჩვენთან მოსვლის წადილი გავიგონეთ და მაშინვე წიგნი მოგწერეთ რომ თქვენცა და ვინცაეინ მანდ აქაურნი იმყოფებიან რომ არ დაიგვიანოთ. ჩვენთან მოსვლა და ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენგან ნიადაგ ღირსებისაებრს, წყალობას და სიკეთეს ჩვენის შეძლებით არ დაიგდებით არც ერთი, რომ თქვენს გაძლიერებას არ ვეცადნეთ. თქვენ კარგად იცით ჩვენის ქვეყნის შეძლება: რითაც შეძლებით თქვენი ამხანაგნი რჩებიან, თქვენც იმათთან უნდა დასჯერდეთ. ერეკლე" (80). ერეკლე მეორემ თვითონ გადადგა ნაბიჯი დემეტრე ამილახვრის შვილების შემოსარიგებლად, ერთ მათგანს, გოგიას წლიურად 60 მანეთიც დაუნიშნა. ერეკლემ კარგად იცოდა, რომ დემეტრეს ნათესაობას მოსვენება არ სურდა, ისინი მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ქართლში, იმერეთში, რუსეთში და სპარსეთში. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ერეკლემ პოლიტიკური მოსაზრებით დაიწყო მიწერ–მოწერა თავის მოწინააღმდეგეებთან და ყველას შესარიგებლად უწვდიდა ხელს.

ერთადერთი ვისაც მეფემ არაფერი შეუნდო, ალექსანდრე ამილახვარი იყო, რომელიც 15 წლისა გაერია ამ ამბებში და, როგორც მისი ნაწერებიდან არის ცნობილი, მას მეფის წინააღმდეგ კი არა, იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ მოუწია ხმის ამაღლება, რომლითაც მისგან მომხდარის დადასტურებას მოითხოვდნენ.

VI. ერეკლე II რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774) დროს. ურთიერთობა ტოტლებენთან

ერეკლე მეორე შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერებისათვის. მართალია, საქართველოს გამთლიანება–განმტკიცების ერეკლესეული გეგმის განხორციელება თანდათან ხორცს ისხამდა, მაგრამ გაუთავებელი ბრძოლები მისგან უდიდეს ძალისხმევასა და ქვეყნის დასაცავად აქტიური

მოქმედების საჭიროებას ზრდიდა. ამ მხრივ დიდ პრობლემად კლაე ლეკთა თარეშის თავიდან აცილება რჩებოდა. ლეკებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს აძლიერებდა ოსმალთა მხრიდან, განსაკუთრებით კი ახალციხის ფაშის მიერ მათთვის დახმარების გაწევა და ქართლ-კახეთზე მათი შემოსევების გახშირება.

ლეკებისადმი ახალციხის ფაშის კეთილგანწყობის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ერეკლე ძველი ქართული მიწების სამცხე-საათაბაგოს გათავისუფლებას შეეცდებოდა. ფაშას ვერც ის გარემოება გვრიდა შვებას, რომ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა თითქმის მთლიანად გამაჰმადიანებული იყო. აღშფოთების მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ რწმენის შეცვლის მიუხედავად, მოსახლეობას შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ენა და ზნე-ჩვეულება. ამ პირობებში დიდი შანსი რჩებოდა სართო ქართული ინტერესებისათვის ბრძოლაში მათი ჩაბმისა და ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის.

სწორედ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ახალციხის ფაშა არა მარტო მფარველობდა მასთან გადასულ ლეკის ჯარებს, არამედ ქართლის წინააღმდეგაც ხშირად იყენებდა და გაერთიანებული ძალებითაც მოქმედებდნენ. ახალციხის ფაშის ასეთი მოქმედება არა მარტო ქართლ-კახეთს უქმნიდა საფრთხეს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც. მართალია, სოლომონ პირველმა ბოლოსდაბოლოს შეძლო პირველი გაუგებრობების თავიდან აცილება, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებშიც წარმატებას მიაღწია, მაგრამ იმერეთი მაინც დიდი საშიშროების წინაშე იდგა. ასეთ პირობებში ქართული სამეფოების ერთობლივი მოქმედება დიდ იმედებს სახავდა. ეს იმედები კიდევ უფრო გაიზრდებოდა, თუ ოსმალეთს სხვა სახელმწიფოს მხრიდან ახალი საფრთხე დაემუქრებოდა. ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში დაიწყო რუსეთ-თურქეთის მორიგი, 1768-1774 წლების ომი. მართალია, ამ ომში რუსეთს უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესები ამოქმედებდა, მაგრამ ოსმალეთთან რუსეთის ომი კარგ შესაძლებლობას უქმნიდა ქართულ სამეფოებს, რუსეთთან ერთად გამოსულიყვნენ ისტორიული მტრის

წინააღმდეგ. მართალია, ქართველი მეფეები არც თუ იშვიათად ცდილობდნენ რუსეთის ძალების გამოყენებასა და მათთან ერთად მოქმედებას, მრავალი დესპანი და დელეგაცია გაიგზავნა რუსეთში ქართლ–კახეთისა თუ იმერეთის სამეფოების სახელით, მაგრამ ყველაფერი ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ასე იყო ამ ომის დაწყებამდეც. იმერეთის მეფე სოლომონ პირველი რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II–ს 1768 წლის 23 ივნისს "სამსა საველრებელსა სიტყვასა" მოახსენებდა:

„1. გამომიხსნა უცხო თესლთა, ოსმანთა ხელისაგან და ყოვლად ძლიერი ხელი დასდვა ჩვენზედა და ქუეყანასა და ერსა ჩვენზედა, და საუკუნოდ მონად, მსახურებად და საიმპერიოდ აღგერაცხნე.. რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემრთო მონათა შენთა, რამეთუ მრავალით ჟამიდგან მსურს, რათმცა სისხლი ჩემი დაითხიოს, ქრისტეს მოცემულისა სჯულისათვის.., ათორმეტი წელიწადი არის რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს, და. შვიდჯერ ჩემს ქვეყანაში შემოსულან იმათი სარასკერები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გექონებია ძლიერი... ყოველთვის დამარცხებით და სირცხვილეულნი წარსულან და თვით ხელითა ჩემითაცა მრავალნი მომისრავენ... და ახლა ჩემი ქვეყანა ერთობით მევე მიჭირავს.

2. უკეთუ ესე არა ინებოს, სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქავე განგვამტკიცოს ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ სახმართა და შეწევნათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლო და მათ უძლოთ წინააღდგომად ოსმანთა, რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფრიად ნაკლულევან ვართ.

3. მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი, ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ ცოდვათა ჩვენთათვის, ვეღარა უძლოთ წინააღდგომად, ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებიან სხუანი მეფენი, რათა მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა. და რომელიცა ინებოს ყოვლად მოწყალის ხელმწიფის გონებისა სიწმინდის და შეწყალობისა ცამან–ეგრეთ განაგოს"

(63:1–2). ამ წერილთან ერთად სხვაც ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი მიტროპოლიტ მაქსიმეს, რომელიც იმპერატორის კარს აწვდიდა საკმაოდ საინტერესო ცნობებს იმერეთის ეკონომიკური მდგომარეობის, მისი საზღვრებისა და მოსაზღვრე ქვეყნების და ქართლ–კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის შესახებ. ოფიციალური მასალა აცნობებდა რუსეთის დაინტერესებულ წრეებს, რომ „საქართველოში ორნი მპყრობელნი არიან ახლა: მეფე სოლომონს უჭირავს საიმერეთო, მეფე ერეკლეს ქართლი და კახეთი; ისინი ერთმანეთში დიდი მეგობრები არიან“ (63:2) და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე როგორც სხვა მტერთან, ერთობლიეი მოქმედებით აღწევედნენ წარმატებას. ეს ინფორმაცია რუსეთისთვისაც სასურველი იყო, რადგან მას ამჯერად მხოლოდ სოლომონი აღარ აკმაყოფილებდა და ამ ომში ერეკლეს მონაწილეობის დიდი სურვილიც ჰქონდა.

თავის მხრივ, ერეკლე მეორეც აქტიურად იყო დაკავშირებული მოვლენებთან, რაც კარგად არის გადმოცემული 1769 წლის 30 აპრილისა და 5 ივნისის წერილებში ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვთან და გრაფ პანინთან, სადაც ერეკლე აცნობებს, ერთის მხრით, სოლომონთან მისი თანხმობისა და, მეორეს მხრივ, ოსმალეთთან საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში საქართველოზე თავდასხმებს გააძლიერებდნენ ოსმალეთის მოკავშირე ჩეენი მტრები, განსაკუთრებით დაღისტნელები. ასეთ სიტუაციაში ერეკლე მოითხოვდა ჯარის მოშველებას საომარი მოქმედების წარმატებისათვის, მაგრამ არც იმას იგიწყებდა, რომ „დღეს სპარსეთი უხელმწიფოდ ძევს, ამისთვის მრავალთა ურთიერთთა მიმართ ბრძოლა და მტერობა აქუსთ“ ის მაჰმადიანები ჩვენს მეზობლად რომ არიან ან ჩვენს მფლობელობაშია, ჩვენს მხარს დაიჭერენ და დაგვეხმარებიანო (63:5–8). იმავე წლის 14 ივნისის თარიღით კი რუსეთში გაიგზავნა ოფიციალური მოკლე აღწერა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებისა, საიდანაც კარგად ჩანს რეალური სოციალურ–პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ (63:8–13).

ერეკლეს ასეთი გააქტიურების საფუძველი ის იყო, რომ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ რუსეთიდან საქართველოს

მისამართით თითქმის ალარ ისმოდა კეთილდამოკიდებულების რაიმე ინფორმაცია, მაგრამ ეს შესაძლებლობაც გამოჩნდა, როცა „1768 წელს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიეთ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო რასაკვირველია ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა... –წერს ივ. ჯავახიშვილი. რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს საგანგებო მოციქულის თ–დ ხვაბულოვის (ქობულიშვილის) ხელით მისწერა, რომ რუსეთი ოსმალეთს ეომება და ეს ომი მას სწორედ ეხლა საუკეთესო საშუალებას აძლევს დააღწიოს თავი ოსმალთა ბატონობას. ამისთვის მას ჯარი უნდა შეეყარა და თანაც ცდილიყო, რომ ომში ერეკლე მეფეც გაერია და მათ ორივეს საქართველოს შეერთებული ლაშქრობით რუსების დახმარებით ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლათ“ (85:79–80).

რუსეთის მხრიდან ამ გახსენებისა და გამოხმაურების შედეგი იყო ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ერეკლე მეორის წერილები, რომელთა გაგრძელებასაც წარმოადგენდა ერეკლე მეორის 1769 წლის 4 სექტემბრის წარდგინება რუსეთის იმპერატორისადმი, სადაც გარკვევით იყო ნათქვამი: „ტოტლებენის ზეპირ დაბარებულობით ჩემ, მდაბლის მონისთვის, მოწყალებით გებრძანთ, რათა ხონთქრისა სამფლობელოსა, რომელიც ჩვენგან შეიძლებოდეს საქართველოს ნაპირებიდამ მტერობად განეწყუნეთ და თქუენისა ყოელად დიდებულებისაგან ჯარითა და სხუას შეწევნით ჩუენ, მდაბალნი მონანი, დაფარული–ვიქმნენეთ, ამას ზედა თქუენსა ყოელად მოწყალებას დიდისა სიმდაბლითა ემადლობთ და ვსასოებთცა თქუენის დიდებულებისაგან, რომ შემდგომად ამისსა დაუგდებლად დაგვიცუნე“ (63:13). ამასთან ერთად ერეკლე რუსეთის იმპერატორს აცნობებდა, რომ სიამოვნებით მივიღებთ ყოველივეს, რაც გრაფმა სოლომონს წერილობით აცნობა და მზად ვართ მის შესასრულებლადო. ერეკლე არა მარტო სიტყვით ჰპირდებოდა თანადგომას, არამედ გამოთქვამდა აქტიურ მოქმედებასაც შაეი ზღვის სანაპიროებიდან სახმელეთო საზღვრების ჩათვლით, ოღონდ რუსეთისაგან

ერთობლიეი მოქმედების ფარგლებში საგაზაფხულოდ ათ პოლკს ითხოვდა (4/IX წერილი გრ. პანინს, 63: 14).

ბუნებრივია, ერეკლე II ომში რუსეთის მხარდაჭერას დიდი სიამოენებით აპირებდა, მაგრამ მას ისეთი საომარი მოქმედებების წარმოება სრულებითაც არ აინტერესებდა, თუ სრული გარანტია არ ექნებოდა. ეს ომი რომ კარგად გაითავისა ქართლ–კახეთის მეფემ და თავისი დიდი სამხედრო ნიჭი და პოლიტიკური ალღოც შესაბამისად წარმოაჩინა, ამის ნათელ დადასტურებად უნდა მიეიჩნიოთ ერეკლე მეორის 1770 წლის მოწოდება ანუ მანიფესტი (86:160–162). როგორც პუბლიკაციის ავტორი, პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს: „მოწოდება ანუ მანიფესტი, პირველ ყოელისა, საყურადღებოა როგორც მე–18 საუკუნის ქართული იურიდიული დოკუმენტი, რომელშიც ომთან დაკავშირებით, მოცემულია ქართლ–კახეთის მთავრობის მიერ დასახული მიზანი. ძეგლი საუკეთესო წყაროა ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად და მისი პროგრესული შეხედულებების შესასწავლად“ (86:160). ჩვენის მხრივ, დავამატებთ, რომ ეს დოკუმენტი ერეკლე მეორის პოლიტიკური აზროენების ნამდვილი შედეერიც არის. მასში ნათლად და გულში ჩამწვდომად არის გადმოცემული არა მარტო ომთან დამოკიდებულების, არამედ იმ ძალთა კონსოლიდაციის აუცილებლობაც, ვინც უნდა დაუპირისპირდეს ამ საგარეო რეაქციულ ძალთა შემოტეევას, ყველა პოლიტიკოსი მოვალეა ჩაწვდეს შექმნილ სიტუაციას და იმოქმედოს შესაბამისად.

1770 წლის ერეკლე მეორის მოწოდება იწყება გულში ჩამწვდომი სიტყვებით: „ირაკლი მეორე, მეფე ქართლისა და კახეთისა, სრულიად ყოველთა ერთა განგიცხადებ: ახლანდელი ჩვენი, ღთის შეწეენით, ახალციხეზედ გალაშქრება, რომლის საქმითაც აპირებს გამოჩენას, ვამჯობინებთ ყოველმან ჩვენს სამფლობელოს კაცმა სრულებით შეიტყონ, დიდმან თუ მცირემან“ (86:162). მეფის სურეილია, რომ ლაშქრობის შესახებ ეუწყოს ყველას, დიდსა თუ პატარას, ყველა მათგანმა უნდა გაითავისოს როგორ მტერთან ბრძოლაზეა მოწოდება, როგორი იყო ტრადიციული დამოკიდებულება ამ ქეყნისა ჩვენი ქეყნისადმი. ამისი

გაუთვალისწინებლობა დაუშვებლად მიაჩნდა მოწოდების ავტორს, რადგან „უწინდელ ჩვენთა ჩამომაველობათა და სრულიად საქართველოსა ერთა იმიერ და ამიერ, მრავალჯერ მოჰსცეს ოსმალთა მიზეზი, რომ საქართველოს კაცნი მათზე მტრად აღდგომილიყვნენ. მაგრამ ამ ფიქრით გაბედვის ღონე ვერ ეპოვნათ, რომ დიდებულს ხონთქარს ჩვენს ქვეყანაზე ერთის ჯარის გამოსევა რომ ებრძანა, შეძლება არ ჰქონდათ პასუხის გაცემისა და არც ამისი შემწე ჰყუანდათ ამ საქმეზედ, რომ ოსმანნი პირისა და ფიცის გამტეხნი შექმნილან როგორათაც თურქთ ჩვეულება არის უპირობა და ახლა დიდი ბრძოლა არის დიდის რუსეთის და ოსმანთ შორის და ახლა ეს ერთი წელიწადი არის, რომ ყოველს ქართლისა და კახეთის და იმერეთისა და ან ამათი, ვინც მახლობელი ქრისტიანენი არიან, რომელთაც რომ თათართაგან შიში არა აქუსთ“ (86:162). მეფე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ოსმალებმა ადრეც მრავალგზის მიცეს მიზეზი ჩვენს ქვეყანას პასუხი გაეცა მტრობის საპასუხოდ, მაგრამ არც ძალა კმაროდა და არც ვინმე გვყავდა დამხმარე. ამჯერად მეფეს სწორედ რუსეთი მიაჩნია იმ ძალად, რომელიც მხარში ამოუდგება და დაეხმარება ქვეყანას ისტორიული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლის შედეგად მიეცემა ქრისტიანულ ქვეყნებს შესაძლებლობა უშიშრად ყოფნისა, ამასთან ეს დროებითი მშვიდობაა და თუ რუსეთს, ქრისტიანულ სახელმწიფოს, კვლავაც გაუგრძელდება ომი ოსმალეთთან, მაშინ ჩვენც და ყველა ქრისტიანიც ასეთსავე დამოკიდებულებაში აღმოჩნდება მასთან. გარანტია მხოლოდ ერთია „საუკუნოდ და საბოლოოდ ხონთქართან შერიგება თუ მოუხდათ, ჩვენც შერიგებული ვიქნებით... ჩვენ და იმერლებმა რამდენსამე დროსა ბევრი სამსახური გავწიეთ ხონთქრის და მისი ნაპირების ადგილებისა. მაგრამ მადლობისა და წყალობისა მაგიერ, ნიადაგ რისხვა მივიღეთ“ (86:162).

არა მარტო დღევანდელობა, არამედ წარსულიც მოწმე იყო იმისა, რომ თურქეთი არაფრად აგდებდა გაწეულ სამსახურს და სიკეთის სანაცვლოდ ყოველთვის ბოროტებით აზღვევინებდა ამიერს და იმიერს, ამიტომაც ჰხედავს მეფე ერეკლე ოსმალეთის

წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლაში მამა–პაპათა იმედების განხორციელებას. „როგორის წადილით ჩვენნი მამანი და პაპანი: დიდი მეფე თეიმურაზ, ამისა შემდგომად პაპა ჩუენი ირაკლი, მერმე მეფე არჩილ, მერმე ვახტანგ და მერმე ბიძაჩემი ბაქარ და ან მამა ჩვენი, მეფე, პატრონი სანატრელი თეიმურაზ. ეს სანატრელი გარდაიცუალნენ ამ საქმისა სიყუარულისათეის“ (86:162). ოცნება მხოლოდ ოცნებად, სურვილი მოლოდინად დარჩა თაობებს. მხოლოდ ამჟამად გაუღიმა ბედმა ქართველებს და ეკატერინე მეორის წყალობით, შესაძლებელი გახდა ბრძოლა რუსეთთან ერთად. მეფე მოუწოდებს ყველას მტერთან ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ მართლმადიდებელი სახელმწიფოსათეის მხარდაჭერისა და ქრისტიანობის სჯულის დასაცავად და დაწყებულ ბრძოლაში თანადგომისა და გამარჯვებისათეის ილოცონ. ამ ბრძოლაში წარმატება იმის საწინდრადაც მიაჩნია, რომ რუსეთის მეშვეობით მოწესრიგდება ლეკთა პრობლემაც. ერეკლე თვლის, რომ რუსეთი და ქრისტიანული სახელმწიფოები ერთად იქნებიან ამ დიდ ბრძოლაში „რუსეთსა და ერანში ერთმანეთთან მშვიდობა არის, როგორადაც დიდებულის ფრანციის მეფისა და ხონთქარს შუა შერიგება არის და აგრეთვე კიდევ რამდენსამე ქრისტიანეთ მეფეთ ხონთქართან შერიგება აქუსთ და მომცრო კაცმა ეინმე, ერანის მკეიდრმა, ხონთქრის შველა გაჰბედოს, მას უკან ევროპაში რაც ხელმწიფენი ბრძანდებიან ეჰგონებთ ჩვენის გასინჯულობით, ისინიც ხონთქარზე აღსდგებიან“ (86:162).

ამდენად, ერეკლეს მოწოდება ანუ მანიფესტი აშკარად აელენს იმ ეპოქის პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ანალიზს, აცნობს ხალხს ეითარებას, რომელიც შეიქმნა რუსეთ–თურქეთის ომის გამო; არწმუნებს ჩვენს ქვეყანას, რომ რაკი რუსეთმა ომი დაიწყო, ქრისტიანული სამყარო მასთან იქნება გადამწყვეტ ბრძოლაში; მოწოდება–მანიფესტი გვიხატავს ევროპისა და აზიის ქვეყნების ურთიერთობის შესანიშნავ სურათს, ბრძოლისა და გამარჯვების პათოსით განაწყობს მოსახლეობას, რაც მთავარია, მასში არა მარტო მტრის ხატია წარმოდგენილი, არამედ დიდი პოლიტიკური მრწამსიც გამარჯვებისა. როგორც პროფ. ივ.

სურგულაძე მიუთითებს, მეფემ მებრძოლი ქართველების ცნობიერებაში ჩამოაყალიბა პრობლემები, რომ ოსმალეთი ქართველობის მტერია; რომ ქრისტიანულმა რუსეთმა ოსმალეთთან ომი დაიწყო; საქართველომ უნდა ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით და რუსეთის მხარეზე იბრძოლოს თავისი ისტორიული მტრის დამარცხებისათვის. ომის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია, რადგან რუსეთი გაიმარჯვებს, მაგრამ თუ პრობლემა წამოიჭრება, ქრისტიანულ რუსეთს მხარს დაუჭერენ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები (86:161). ერეკლეს მოწოდებაში აშკარად ჩანს მისი საგარეო ორიენტაციის კურსი, მისი იმედები მაინც რუსეთისკენ არის მიპყრობილი, რომ ქრისტიანული რუსეთი უნდა შეიქმნეს ერთმორწმუნე ქვეყნების შემწედ ამიერკავკასიაში. ჩვენ არ გვრჩება საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ იმ ვითარებაში, რომ ერეკლეს საგარეო ორიენტაციაში სიმპათიები ქრისტიანული სახელმწიფოების მხარეს არის, „მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს ერეკლეს - ურთიერთობის, მისი მოლაპარაკებისა თუ შეთანხმებების აუცილებლობას არაქრისტიანული სამყაროს ქვეყნებთან. ეს ასეც იყო და მეფესაც სხვა გზა არ ჰქონდა, თვითონ თუ არ ისურვებდა, პარტნიორი მხარე გახდიდა იძულებულს ასეთი ურთიერთობისათვის“ (133:35). ანკი რატომ არ უნდა ესარგებლა ერეკლეს ისტორიული მტრების ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირებითაც საჭიროების შემთხვევაში. განა ეს მხარეები ქართველ მეფეებს არ სთავაზობდნენ თანადგომასა და მხარდაჭერას, არ ჰპირდებოდნენ შესაბამის საზღაურს სამსახურისათვის? რა თქმა უნდა, ეს ასე იყო და მომავალიც არ გამორიცხავდა მსგავს დამოკიდებულებას. ამიტომ ცოტა გადაჭარბებულად მიგვაჩნია პროფ. ივ.სურგულაძის მიერ ამ ურთიერთობათა პროცესში ქრისტიანული რელიგიის პრიორიტეტზე თავის შეკავება, რომ „ერეკლეს სარწმუნოება კი არ ეხატა გულზე, არამედ თავისი სამეფოს ინტერესები. საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ, ერეკლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ბარბაროსული გარემოცვის გარღვევა შეუძლია მხოლოდ რუსეთის დახმარებით“ (86:16).

სწორედ ქრისტიანული, მართლმადიდებელი რუსეთი

შეიძლებოდა ყოფილიყო მიზანი ჩვენი ქვეყნისთვის, თორემ რუსულმა სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ და პოლიტიკოსებმა რამდენგზის და როგორ გაურთულეს ვითარება ქართლ–კახეთს, ერეკლეს ამისი ახსნა–განმარტება არავისგან ესაჭიროებოდა. ქრისტიანობისადმი დამოკიდებულებაზე ჩვენი აზრი საფუძველს მოკლებული რომ არ არის, ამაზე მეტყველებს იტალიელ პატრ ნიკოლასთან ერეკლე მეორის დიალოგიც. კერძოდ, როგორც პლატონ იოსელიანი წერს, პატრი მეფეს მოახსენებს: „სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნება დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მდევნელად, და მაწუხებლად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, – გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსაარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველათვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა, მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შეძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაიყიდებიან ბარაბანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა“– „–ჩემო პატარო – უპასუხა მეფემან, – დაესუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსოთ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ ვინ დაიცვამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედა ბრძანებლობისა. რა ვქმნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავცე ქრისტესსა. ვერ წავიწყმედ სულსა. შევსწირავ ცოლშვილსა და შეუდგები ქრისტესა და ჯვარისა თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწედ ქვეყნისა. ეს იყო სურვილი ძველთა მამა–პაპათა ჩემთა; და ესე იყო ჰაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგრები მასზედ. ჩემი პირობები რუსეთისა მეფესთან, – საკეთილონი არიან ქვეყნისათვის“. ნათქვამის დასაზუსტებლად მეფეს „დაბადებიდან“ წაუკითხეს ისაია წინასწარმეტყველის სიტყვის მესამე თავი. მეფემ მძიმედ განიცადა ყველაფერი. როცა დაწყნარდა. თქვა: „სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ, გარდა რუსთა ხელმწიფეთა“ (71:154–155).

ეს მოვლენები ქრონოლოგიურად რამდენიმე წლით უფრო გვიან მოხდა, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ერეკლე და სოლომონი

რუსეთის იმედად თურქეთთან ომში ჩასაბმელად ემზადებოდნენ, მათ ერთი იმედი ასაზრდოებდა., ეს იმედი კარგად იყო ჩამოყალიბებული და გაანალიზებული ერეკლეს „მანიფესტში“.

ერეკლე და სოლომონი ერთმანეთთან კავშირს აძლიერებენ და შესაბამის ინფორმაციებსაც ფლობენ საომარ მოქმედებათა მიმდინარეობის შესახებ. მიტროპოლიტი მაქსიმე ეკატერინე მეორის მთავრობისგან იმერეთში რუსეთის ჯარის გაგზავნას მოითხოვდა. ეს თხოვნა მართლაც მალე დააკმაყოფილეს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმერეთში 400–კაციანი სამხედრო რაზმისა და ზარბაზნების გაგზავნის შესახებ (87:32). ამ ჯარის სარდლად გრაფი ტოტლებენი დაინიშნა.

გრაფი გოტლიბ–კურტ–ჰენრიხ ტოტლებენი დაიბადა 1715 წელს სოფ.ტოტლებენში (ტიურინგია). განათლება იენში მიიღო. მშობლები ერთმანეთს გაცილებული იყვნენ. მამის გარდაცვალების შემდეგ 1724 წ. დედამ ტოტლებენი პაჟად მოაწყო საქსონიის კურფიურსტრის კარზე. გრაფის თხოვნით კურფიურსტრმა დააქორწინა გრაფის ასულზე, რის შედეგადაც მას მიენიჭა გრაფის ტიტული და 1745 წელს დანიშნეს სასამართლოს წევრად. ვალებისა და ცოლთან უდიერი დამოკიდებულების გამო იძულებული გახდა ცოლისთვის განქორწინება ეთხოვა. მექრთამეობისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა და დრეზდენიდან ჰოლანდიაში გაქცეულიყო. ჰოლანდია ამ დროისათვის ომს აწარმოებდა. ტოტლებენმა საკუთარი სახსრებით შეადგინა ფეხოსანთა პოლკი. მაგრამ ისინი ისე საშინლად იყვნენ ჩაცმული და გამოწყობილი, რომ, თუმცა ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს, უვარგისად ცნეს და დაზავებისთანავე დაშალეს. თვით ტოტლებენი სამსახურებრივი უწესრიგობის გამო რამდენიმე დღე დაპატიმრებული იყო. მან ჰოლანდიიდან თავისი აპეკუნობით წაიყვანა 14 წლის მდიდარი ობოლი ბავშვი. ძებნისა და ვეიმარში დაპატიმრების მიუხედავად გადავიდა პრუსიაში და პრუსიის მეფის მფარველობაში მოხვდა. 1754 წელს დაქორწინდა. მდიდარი მზითვის მიღების შემდეგ პრუსიაში მამულები შეიძინა და ბერლინში დაიწყო ცხორება. პრუსიის სამსახურში შესლვა

ვერ მოახერხა. ცოლი მის ცუდ ურთიერთობასა და მფლანგველურ ცხოვრებას ვერ შეეგუა და განქორწინება იხოვა, რაზეც ნებართვა მიიღო. მალე ერთ მნიშვნელოვან პიროვნებასთან ცუდად მოქცევის გამო ბერლინი დატოვა. იგი ჯერ საფრანგეთში წაიყვანა, შემდეგ ჰოლანდიაში. აქ გაიგო, რომ რუსეთის იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასული აპირებდა ავსტრია–პრუსიის ომში მონაწილეობის მიღებას, რათა საქსონიის კურფიუსტრისთვის მხარდაჭერა გამოეხატა. ტოტლებენი სანკტპეტერბურგში გაემგზავრა. აქ რუსეთის ხელისუფლებას შესთავაზა თავისი სამსახური და მცირე ომის წარმოების პროექტი. გავლენიანი პირების ჩარევით იგი იმპერატორს შეახვედრეს, რომელმაც ტოტლებენი წყალობის თვალით მიიღო. მისი პროექტი განიხილეს. შედეგი ის გახდა, რომ ტოტლებენმა რუსეთის არმიის გენერალ–მაიორის ჩინით ცალკე კორპუსი მიიღო. 1759 წლის 1 მარტს გრაფი გოტლიბ–კურტ–ჰენრიხ ფონ ტოტლებენი გახდა (34:98). ტოტლებენი 1760 წელს იყო ბერლინის ამღებთა რიგებში. 1762 წელს პრუსიელებისათვის საიდუმლო ცნობების მიწოდების გამო დააპატიმრეს, სახელმწიფოს ღალატისთვის სამი წელი მიუსაჯეს, პეტრეს გარდაცვალების შემდეგ დიდხანს ალარ მოუწია ციხეში ყოფნა. 1763 წლის 11 აპრილს გამოიცა ბრძანება გრაფ ტოტლებენის რუსეთიდან გაძევებისა და გენერალ–მაიორის ჩინის ჩამორთმევის შესახებ (34:104). 1769 წლის 19 მაისს იმპერატორი ეკატერინე II აძლევს შეწყალებას რუსეთიდან განდევნილ გენერალ ტოტლებენს. 27 მაისს გამოიცა განკარგულება გრაფ ტოტლებენისათვის დანაშაულის პატიებისა და რუსეთში დაბრუნების შესახებ (34:114). 1769 წლის შემოდგომაზე გენერალ–მაიორი გრაფი ტოტლებენი დაინიშნა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლად საქართველოში. ტოტლებენი აპატიმრებს მოზდოკში მყოფ ყველა სტარშინას და ავალებს მათ დაუყონებლივ შეაკეთონ თერგის ყველა ხიდი საქართველოში გადასასვლელად. 1769 წლის აგვისტოში 100–კაციანი ავანგარდი ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე ტოტლებენს შეხვდა. მოლაპარაკების დროს ერეკლემ თურქეთთან ომში მონაწილეობასა და სოლომონ

პირველისათვის დახმარების გაწევაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობა ხუთათასიან დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. მთლიანად თუ ვერ ჩამოვიდოდა ეს ჯარი, დაზამთრებამდე 1500 ჯარისკაცი მაინც უნდა ჩამოსულიყო. ეკატერინე მეორე კმაყოფილი იყო ომში ერეკლეს მონაწილეობით. 1769 წლის 22 ოქტომბერს მან განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსეთის 3700 მეომარი გაეგზავნათ (68:42). ასე დაიწყო ერეკლესა და ტოტლებენის ურთიერთობა, რომელმაც არა თუ შეება და დამხმარე ჯარის ქვეყანაში შემოსელის სიამოვნება, არამედ ძალიან დიდი უსიამოვნება და საფიქრალ–საზრუნავი გაუჩინა უამისოდაც მრავალი პრობლემებით დატვირთულ ქართველ მეფეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს საინტერესო ამბავს: „მეფე სოლომან ეევედრა კარსა რუსეთისასა, რათა მოჰსცეს მხედრობაი შესაწევნელად. მსმენელმან ამისმან იმპერატრიცამ ეკატერინამ წარმოუვლინა ღენერალი გრაფი ტოტლებენი ნემენცი ექვსი ათასითა მხედრობითა წელსა 1769. სცნა რა მოსვლაი მათი მეფემან ირაკლიმ, მიეგება წინა კოპს. შეითქუნენ მეფე და ტოტლებენი, რომელიცა არღარა წარვიდა იმერეთად, არამედ წარვიდნენ ორნიენი ახალციხესა ზედა. რომელთა ვერაგთა კაცთაგან და უფრორე მეფისა სოლომანისა მიერ წარმოიშვა შორის მეფისა და გრაფისა სანდურავი, ვინაითგან არა სწადდა მეფესა სოლომანს განდიდებაი მეფისა ირაკლისა და მარადის მზირ ეყვის მას, რათა ჰსცნეს ნაკლოლევანებაი რაიმე მეფისა“ (76:16). რა თქმა უნდა, ძნელია ბოლომდე გაიზიარო დავით ბატონიშვილის მიერ აღნიშნული ამბების შეფასება, განსაკუთრებით მეფე სოლომონის მიმართ მისი დამოკიდებულება, მაგრამ ის მაინც უდავოა, რომ სოლომონმა არცთუ სასიამოვნოდ მიიღო მის სახელზე გამოგზავნილი ჯარისა და სარდლის ერეკლესთან გამოცხადება.

დიდი იმედით დაწყებული რუსულ – ქართული სამხედრო თანამეგობრობის ისტორია სამწუხაროდ დასრულდა. პირველი მარცხი და დიდი უხერხულობა ტოტლებენ–ერეკლეს ურთიერთობაში ასპინძასთან მოხდა. პლატონ იოსელიანის აზრით,

1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ბრძოლის წინ გიორგი XII, რომელიც მაშინ 24 წლისა იყო, დიდად უსიამოვნოდ მოექცა რუსეთის გენერალ ტოტლებენსა, ოდეს არა ინება შებმოდა ოსმალისა ჯარსა.

„ღენერალო! სირცხვილია ამისთანა დროსა ღალატი მეფისა, – ჰრქვა მეფის ძემან. .– „არა მაქვს ბრძანება, – უპასუხა ღენერალმან, – იმპერატრიცისა რომ შეება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ“– „მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა, – ეტყოდა მეფის ძე გიორგი, – და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქმნება, ჩვენ შეებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა“ (71:9). როგორც იტყვიან, რუსმა გენერალმა არა თუ ქართული საქმისა არაფერი გააკეთა, რუსული საქმის მხარდაჭერაც არ ისურვა. ოსმალეთთან ქართველთაგან ომის წარმოება ხომ რუსეთის სრულ ინტერესებში შედიოდა. ასეთ საპასუხისმგებლო დროს გამოაელინა მან სრული უპასუხისმგებლობა და ღალატი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, თაისი ჯარით უკან გამობრუნდა და ერეკლე პირისპირ დატოვა უამრავ მტერთან. ერეკლეს სამხედრო ნიჭისა და ვაჟკაცობის წყალობით, ასპინძის ბრძოლა ერთ–ერთ ბრწყინვალე გამარჯვების ნიმუშად შევიდა ომების ისტორიაში. ამ ბრძოლაში ერეკლემ პირადად გამოასალმა სიცოცხლეს თაისი ძველი მოწინააღმდეგე კოხტა ბელადი. ამ დიდი გამარჯვებით მიღებული სიამოვნების ადგილზე გააზრებაც ვერ მოახერხა მეფე ერეკლემ, რადგან სასწრაფოდ უკან გამოედევნა ტოტლებენს, რათა თაეიდან აეცილებინა მისგან მოსალოდნელი ახალი უსიამოვნება. მრავალი მასალა გამოქვეყნდა ასპინძის გმირობასთან დაკავშირებით, მაგრამ, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბესიკი ერთ–ერთი პირველთაგანი იყო, ვინც პოეზიაში გადაიტანა ამ დიდი ბრძოლის პერიპეტიები.

„ვაი მის დღის მომხსენებმან ვითარ ვინ რით განვაქიქო!
ცილი დასდევეს მეფეს რუსთა: „ჩვენთვის კეთილს არა იქო“.
ღრაფი ჯარით გამობრუნდა, მით სახელი ვერა იქო,
სხვა პასუხი არეის მისცა, „სითაც მოველ, წავალ იქო“
(ბესიკი, „ასპინძის ომზედ“).

მომხდარი ფაქტი შეფასება–განსჯის საგანი გახდა არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ისტორიოგრაფიაშიც.

„მაგრამ იმედები გაცრუვდა, ხოლო რუსული დიპლომატიისა და სამხედრო სარდლობის მიზნები მიუღწეველი დარჩა. წერდა ო.მარკოვა, – უეჭველი შეცდომა იყო რაზმის სარდლად გრაფ გოტლიბ–კურტ–ჰენრიხ ტოტლებენის დანიშვნა. უნარიანი, მაგრამ თვითდაჯერებული ტოტლებენი დიდად აჭარბებდა თავის უფლება–მოსილებას, როცა ფაქტიურად გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა. მეფის ხელისუფლებას მოუწია ეფიქრა არა თურქთა წინააღმდეგ ძლიერ დიევრსიაზე, არამეტ ტოტლებენის განკარგულებებით გამოწვეული უწესრიგობის აღმოფხვრაზე“ (88:139).

ასეთი მკაცრად კრიტიკული შეფასებებით აღნიშნა რუსმა მკვლევარმა ტოტლებენის „დამსახურება“. საქართველოში ტოტლებენის წელიწადნახევრიანი მოღვაწეობა მისი აზრით რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. ის მხოლოდ ამწვავებდა სიტუაციას საქართველოში და რუსული პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას იწვევდა ქართველებში, რაც შესაძლებელია წინასწარგანზრახვით გამოუდიოდა ტოტლებენს „რუსული საქმისადმი გულმოდგინების“ ნიშნით. ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებდა ტოტლებენი დასავლეთ საქართველოშიც. ო.მარკოვას აზრით, როცა იგი სამოკავშირეო ხელშეკრულებებს აფორმებდა დადიანთან, გურიელთან და შერვაშიძესთან, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ სოლომონ პირველს (88:140).

საქართველოში რუსეთის ჯარის ჩამოსვლა ტოტლებენის სარდლობით დაპირისპირების მიზეზად იქცა მეფე ერეკლესა და სოლომონ პირველს შორის, რისთვისაც საჭირო გახდა რუსეთიდან კაპიტან ლეოევის გამოგზავნა საქართველოში. ამ დაპირისპირების დასასრული აღინიშნა კიდეც 1773 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების დროს.

პირუთვნელად მიგვაჩნია შეფასებები, რომლებიც მოცემულია გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 1892 წლის ნომრებში გამოქვეყნებულ გ.გორგიძის სტატიაში „ერეკლე მეფე და ტოტლებენი“. აქ ერთის მხრივ, დასმულია ავტორის პოზიცია იმ მოვლენებისადმი,

რომლებიც უშუალოდ დატრიალდა ტოტლებენის მიერ რუსეთის არმიაში მოსამსახურე ორი ქართველი ჯარისკაცის ცოცხლად ან მკვდრად მოყვანაზე ჯილდოდ 1000 ჩერეონეცის დაწესების გამო, რამაც თვით მეფე ერეკლეც კი განარისხა. მეორეს მხრივ, იმ შეფასებებზე, რომელიც ტოტლებენსა და ქართველ მეფეთა მორიგი უსიამოვნების შესასწავლად გამოგზავნილ ნ.იაზიკოვის მოხსენებაში იყო მოცემული.

მასალიდან კარგად ჩანს, რომ ტოტლებენის მიერ იმპერატორისთვის გაგზავნილი ინფორმაცია თურქებისაგან დასაველეთ საქართველოს ციხეების გათავისუფლების შესახებ, რომელიც საკმაოდ გაუღერდა ვოლტერთან მიმოწერებშიც, სრულებითაც არ ყოფილა მისი დამსახურება. ეს მომენტი სათანადოდ აისახა სპეციალურ ნარკვევში, რომელიც ნ. იაზიკოვმა შეადგინა. „ბაღდადისა და ქუთაისის ციხეების აღება,—აღნიშნავს მ. გორგიძე,—იყო შედეგი მეფე ერეკლეს ასპინძის ომში გამარჯვებისა, რომელმაც თურქებს მოუსპო შესაძლებლობა თავისი მეციხოვნეები ახალციხიდან მოემარაგებინა საბრძოლო საშუალებებითა და მეომრებით, რის გამოც ალყა შემორტყმულნი იძულებული იყვნენ თავი კატის ხორცის ჭამით გადაერჩინათ". ამავე მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელი ლეონტი აღნიშნავდა: „ტოტლებენის ფხუკიანობა მრავალ უხერხულობას ქმნის. განსაკუთრებით ძარცვისადმი მისი სიხარბე, რაც მან სრულად გამოავლინა ქუთაისის აღების დროს" (89). ნ. იაზიკოვის დასკვნაში მინიშნებულია იმაზე, რომ „ტოტლებენი თავის წერილებში ერეკლეს მოღალატეს, ხოლო სოლომონს თურქს უწოდებს", ბუნებრივია ქართული მხარისადმი ასეთი დამოკიდებულება სამარცხვინო იყო. ხოლო, როცა ტოტლებენის სიხარბის მაგალითებს იმოწმებდა იაზიკოვი წერდა, – „ასეთი მტარვალობა, მე ვფიქრობ, თვით თურქებშიც არ არის" (89). ასეთი იყო ოფიციალური რუსული წარმომადგენლობის აზრი ტოტლებენის შესახებ.

ტოტლებენის ავი ზრახვების გამოვლენა გზადაგზა ხდებოდა, მეფე ერეკლე თვითონაც კარგად ხედავდა და ფაქტებიც იმაზე მეტყველებდნენ, რომ ყოფილი მოკავშირე არაფერს ერიდებოდა

და გზაშიც განუკითხაობის პრობლემებს ქმნიდა. ამისი დადასტურებაა 1770 წლის 1 აგვისტოს წერილი, რომელიც არაგვის მოურავს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს ეკუთვნის. წერილში აღწერილია ტოტლებენის მიერ არაგვის მოურავისადმი მიყენებული ზარალისა და შეურაცხყოფის ფაქტები: „ტოტლებენი როგორის სახით დამესხა, როგორ ამიკლო ყოვლისფრით რაც კი მქონდა, და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როჭიკაშვილი მომიკლა, და რაც თქვენი წყალობა ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო ან ვერცხლი, ან სახლის მოფენილობა, ან ტანი, ან ფეხი, ან ცხენი და იარაღი მქონდა და მყვანდა ჩემის სახლობისა ალარაფერი დამრჩომიარა“ თუმცა, როგორც წერილის ავტორი აცხადებს რუსების გამოჩენის დღიდან მათი ერთგული მსახური და მხარდამჭერი იყო (63:49).

ბუნებრივია, ერეკლეს გაოცებას ეს წერილი არ გამოიწვევდა, რადგან არა მარტო კარგად მოეხსენებოდა რაც ხდებოდა, არამედ თვითონაც საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს. ყველაფერი სათანადოდ არის გადმოცემული იმ წერილებში, რომლებიც მეფე ერეკლეს სახელით არის გაგზავნილი საიმპერატორო ხელისუფლების მრავალ რგოლში. მხოლოდ პირადად ტოტლებენთან 1770 წლის 3 ივნისს გაგზავნილ წერილში მაინც დიდად თავშეკავებული და მიმტევებელია: რუსეთიდან მოყვანილი თქვენი ჯარი და თქვენ ჩვენთან უნდა ბრძანდებოდეთ და ჩვენი ჯარის სიძლიერეს უნდა უწყობდეთ ხელს „და თუ მე მიწყენინებია რამე თქვენთვის, ჩემი სვინიდისი, რომელსაც რომ მე არ მამხილებს, და მგონია რომ არასდროს რამე მინახამს ცოტა და მრავალი არა დამიშავებია რა“. თუ რამეს ბრალსა მდებ ჩემთვის უცნობია, იმპერატორისათვის. გიცნობებია და პასუხს დაელოდე, „ყველანი ამას უნდა დავჯერდეთ, და ამისათვის ერთმანეთს ნუ შემოვწყრებით, და იმისგან უფრო მე, და თქვენს სამდურავზედ მტერს ნუ გავახარებთ და ყოვლად ერთგულს ჯარსა და ამ ქვეყნებს ნუ შევაწუხებთ“ (63:38). ასეთია ერეკლეს მართლაც მოთმინებით აღსავსე, ორი ქვეყნის ინტერესების შესატყვისი, პირადი წყენის გამო საქვეყნო საქმისადმი უღალატობისა და საქვეყნო საქმის ინტერესებისათვის საკუთარი გულისტკივილის დავიწყება.

იმ დროს, როცა მეფე ერეკლე ტოტლებენის უთავობით გამოწვეული პრობლემების მოგვარებითა და ქვეყნისთვის საარსებო საქმეებით იყო დაკავებული, ფრანგ განმანათლებელთა იდეებით აღფრთოვანებული და პირადი განათლებულობის მანიით შეპყრობილი რუსეთის იმპერატორი, რომელიც ვოლტერთან ფლირტით იყო დაკავებული, საკმაოდ საინტერესოდ მოიხსენებდა ქართველ მეფესა და საქართველოს, ცდილობდა სათანადოდ წარმოეჩინა საკუთარი დამსახურება თურქეთის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებისა და კონსტანტინოპოლის აღდგენა–აღორძინების იდეით. ამ იდეას აფასებდა და მხარს უჭერდა დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი. იგი მართლაც მთელი გულით უცხადებს თანადგომასა და მხარდაჭერას მებრძოლ ქართველებს და აღიარებს ამ ბრძოლაში რუსეთის განათლებული იმპერატორის როლსა და დამსახურებას.

ისტორიულად ცნობილი ამ ორი პიროვნების მიმოწერებში გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ადგილები. წერილები 1770 წლით თარიღდება, თუმცა პერიოდი, რომელსაც მიმოწერები მოიცავს 1763–1778 წლებში გრძელდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ქართულმა პრობლემებმა მიმოწერებში 1770 წლის დასაწყისიდან იჩინა თავი და იგი რამდენიმე წერილს მოიცავს. აქედან პირველი 1770 წლის 2 იანვრით დათარიღებული ვოლტერს ეკუთვნის, დანარჩენი – ეკატერინე მეორეს.

ვოლტერის წერილში აღნიშნულია ის ფაქტი, როცა თურქეთის სულთანს ქართველმა მეფემ უარი განუცხადა ცოცხალი ადამიანების მირთმევაზე, კერძოდ, ქალიშვილების გაგზავნაზე. „აქ ხელიდან ხელში გადადის ქართველების მანიფესტი,—წერს ვოლტერი ეკატერინე მეორეს,--რომლითაც უარი არის გამოცხადებული მუსტაფას კარისთვის ქალიშვილების მირთმევაზე. ვისურვებ რომ ეს სიმართლე იყოს. და რომ მათი ყველა გოგონა წილად ხვდეს თქვენს მამაც ოფიცრებს, ისინი ამად ღირან: სილამაზე სიმამაცის ჯილდო უნდა იყოს“ (90:65).

მომდევნო წერილი იმპერატორს ეკუთვნის და იგი ვოლტერს გაუგზავნა 1770 წლის 8 იანვარს. ამ წერილში ეკატერინე ერეკლე მეორეს შესახებ აწვდის ცნობებს ვოლტერს, თუმცა

მას არა მეფედ, არამედ „Князь“–ად მოიხსენიებს. ეს წერილი თითქოს ვოლტერის პასუხსაც შეიცავს და ახალ ინფორმაციასაც ქართველთა შესახებ. „ქართველებმა თავის ფარი აღმართეს თურქების წინააღმდეგ,—წერს იმპერატორი,—და უარს ეუბნებიან ყოველწლიურ სარეკრუტო გადასახადზე. ერეკლე, მათი უძლიერესი მეფე, ჭკვიანი და მამაცია. ის თავის დროზე ინდოეთში იბრძოდა სახელოვან ნადირ–შაჰთან და ხელს უწყობდა მის წარმატებებს ინდოეთის დაპყრობის დროს. ეს ამბები მოსმენილი მაქვს ერეკლეს მამისგან, რომელიც პეტერბურგში გარდაიცვალა 1762 წელს (90:66).

შემდეგ წერილში (18აგვისტო, 1770წ.) ტოტლებენის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობაზეა საუბარი: „გუშინ გენერალ–მაიორ ტოტლებენისგან მივიღე ცნობა, – წერს იმპერატორი, – რომ თურქებს მან წაართვა ორი ციხე შორაპანი და ბაღდათი, რომლებიც კავკასიის გადაღმა მდებარეობენ. ახლა მას გარემოცული აქვს ციხე და ქალაქი ქუთაისი. კუტაია ძველი სახელწოდებით. იგი მდებარეობს მდინარე ფაზისზე, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება. იმერეთის მეფე სოლომონი მოქმედებს გრაფთან ერთად. მეფის მეუღლემ, რომელიც რუსთა ბანაკში მივიდა, უფროსს თხოვა ბაღდათის აღების შემდეგ ნება დაერთო პირველი შესულიყო ქალაქში. ალბათ, მიხვდები, რომ მის თხოვნაზე უარს ვერ ეტყოდნენ... მე დამაიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ მეფე ერეკლემ, ამ ქალაქების აღებამდე, თურქები გაანადგურა ახალციხესთან “(იგულისხმება ასპინძის ბრძოლა––ებ).“ (90:105–106). კარგი გულმაიწყობაა! ისაუბრო იმ ციხეების აღებაზე, სადაც რამდენიმე თურქი იყო გამაგრებული და გადაგაიწყდეს თითქმის მსოფლიო მნიშვნელობის ბრძოლა, რომლის პირდაპირი შედეგი თვით ტოტლებენის წარმატებაც იყო.

ამჯერად ვოლტერი ბრძოლის ველად ქცეულ საქართველოს მოიხსენიებს 4 ივლისის პასუხში ეკატერინესადმი: „შეუძლებელია გაოცებული არ დავრჩე, როცა წარმოვიდგენ, რომ თქვენი უმაღლესობა როგორ არის დაკავებული იმ არმიების მართვით, რომლებიც ვლახეთში, პოლონეთში, ბესარბიასა და საქართველოში არიან განლაგებული“ (90:91).

და ბოლოს, ეკატერინე მეორის 1770 წლის 9 ოქტომბრის წერილი: „21 აგვისტოს წერილში მეკითხები, აიღო თუ არა გენერალმა ტოტლებენმა არზრუმი? მაგრამ, მახსოვს, მე გაცნობებდი, რომ მისი უკანასკნელი დაპყრობილი ქალაქი იყო ქუთაისი. ომში ასე ჩქარა არ მიაბიჯებენ“ (90:122–123).

ამდენად, როგორც იმ წერილებიდან მოტანილი ადგილები გვიჩვენებს, რომელიც ეკატერინესა და ვოლტერს შორის მიმოწერებში საქართველოს, ქართველ მეფეებს და რუსეთის ჯარის შერცხვენილ სარდალს ეხება, არის უმთავრესი, რომელიც ნამდვილად გულით არის ნათქვამი, ეს არის ერეკლეს საბრძოლო წარმატება და ქართველთა საომარ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში).

ბუნებრივია, იმპერატორისაგან იმას ვერ მოვითხოვთ, რაც ჩვეულებრივ მემატიანეს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან. კერძოდ, სარდლის მიერ საკუთარი მოვალეობის დავიწყება. მაგრამ, გამარჯვებულებს არ სჯიანო, ეს სიტყვებიც არ არის უცხო რუსეთის იმპერატორისათვის, ტოტლებენი კი მაშინ მის თვალში გამარჯვებული იყო.

კიდევ კარგი მხოლოდ მემატიანისა და მხოლოდ მატიანეში მასალის ძიების შედეგად არ გვეხდება ამ მოვლენების შესახებ საუბარი, არქივმა შემოგვინახა ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებულისა და ამ გამარჯვების ორგანიზატორის მეფე ერეკლეს შეფასება, მისი აზრი მომხდარის შესახებ, რომელიც 1770 წლის 30 აგვისტოთია დათარიღებული და მოურავოვისთვის იყო განკუთვნილი, რა თქმა უნდა, ბოლო ინსტანცია თვით იმპერატორი იყო, ვისთანაც ერეკლეს ეს გულისკტივილი უნდა მიეტანათ. „აგერ ერთი წელიწადია მოსულა ღრაფი, – აღნიშნულია ერეკლე მეორის წერილში, – და რა გაუკეთებია? ნუთუ ამას იქადის, რომ რაღაც ორიოდ კოშკი შორაპანისა და ბაღდადისა აიღო, რომელშიაც თხუთმეტ–თხუთმეტი მეომარი კაცი მდგარა?“ რაც შეეხება ქუთაისს, და საერთოდ, ამ გამარჯვებას ტოტლებენისას, მეფის აზრით, იმან განაპირობა, რომ მეშველები, რომლებიც ციხეებს ამარაგებდნენ ასპინძასთან დაიხოცნენ,

მეციხოვნეებს საზრდო ეელარ შეუტანეს და ციხის დაცემის მიზეზიც ეს გახდა. „სხვა მტრის მამულში იმისგან გაკეთებული სამსახური არა გეინახავს რა... მაღლის ხელმწიფის ხაზინას უბრალოდ წარაგებს, ჯარსაც უბრალოდ ხოცს და ღალავს_ კიდევ მოუწერია ღრაფსა: ქართველთა თუ პური არ მოსცეს და ურემიო რუსეთის ჯარსაო, როგოც მოღალატეთ სწორედ ისე გარდავახდევინებთო. ამისი პასუხი ეს იუწყოს – ღრაფს ჩემს ქვეყანაში და ჩემი ქვეყნის კაცთზედ რა საქმე აქვს ან გადასახდევინებლად და ან ავად მოსაპყრობელად?! (63:54)“. მართლაც გასაკვირია, ვის ან რას ემართლებოდა სარდალი. თუმცა მეფეს პასუხი გაუცემელი არ დარჩენია, საიდანაც კარგად მოჩანს ქართველი მეფის ღვაწლი და ამაგი მოსული ჯარის მატერიალური უზრუნველყოფისათვის მაშინაც კი, როცა მან ქართლის სამეფო დატოვა და იმერეთში გადაეიდა. ასეთია ისტორიული სინამდვილე.

რუსეთის მხარემ შეისწავლა ტოტლებენსა და ქართველ მეფეთა შორის მომხდარი ამბავი საქართველოში სპეციალურად გამოგზავნილი ნ.იაზიკოვის მოხსენების საფუძველზე და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთა (91:71–74). ტოტლებენი გაიწვია და მის ნაცვლად 1771 წლის მაისში სუხოტინი თბილისში ჩამოვიდა. ზაფხულში, არ დაიჯერა რა ქართველ მეფეთა რჩევა და თხოვნა, დაიწყო ფოთის ციხის ალყა. საშინლად დაავადნენ ჯარისკაცებიც და თვითონაც და შერცხვენილმა დატოვა ბრძოლის ველი.

არის კიდევ ერთი მომენტი ტოტლებენ – ერეკლეს ურთიერთობის პერიოდისა, რომელიც პირუთვნელად შეაფასა ივ.ჯავახიშვილმა. ეს არის „რუსეთიდან მინისტრად წარმოელენილი“ ლეოვის მისია, რომელიც „რუსთა ჯარის მიერ ვერაგულად მიტოვებულსაც მოსვენებას არ აძლევდა ერეკლე მეფეს_ და ოსმალეთის წინააღმდეგ სხვადასხვა საბუთებით საომრად აქეზებდა. სწორედ „ამის რჩევით“ მეფე ერეკლე 1771 წ. კვლავ ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო, მაგრამ, როდესაც ციხეში თავისი მეციხოვნენი შეაყენა, რუსეთის წარმომადგენელმა ჯამას წინააღმდეგობა გაუწია, რაკი ოსმალთა

დიდი ჯარის მოსელისა ეშინოდა, რომ მოეიდნენ და „ძალად აგართვან სირცხვილი არისო“ (92:69–70). ესეც არ იკმარა და მომდევნო წელს, იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე მეფე კიდევ ერთხელ გამოიყვანა ხვანთქარის წინააღმდეგ „მანაც სოლომონ მეფეც მიიმხრო“. სოლომონი რომ ავად არ გამხდარიყო ახალქალაქის ციხეს აიღებდნენ, მაგრამ იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ და უკან დაბრუნებულიყვნენ. უკან წამოსულებმა „შემდეგ მოარბიეს ახალციხის, არტანიის და ჯავახეთის ოლქები. ორივე შემთხვევა სრულებით ცხადყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავისი მთავრობის გეგმისაებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა–წყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა, ამის გამო იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა“ (92:70).

ტოტლებენის საქმიანობა, მისი დამოკიდებულება ქვეყნისა და მეფისადმი იმდენად უცნაური და მიუღებელი იყო, რომ თვით ომან ხერხეულიძეც კი ეჭვის თვალით უყურებს ყველაფერს ამას და გამოთქვამს აზრს, რასაც იმ დროისათვის, ვფიქრობ, ნამდვილად ჰქონდა გასავალი, თითქოს ტოტლებენის ამ დამოკიდებულების მიზეზი შორს გამიზნული იყო, რომ „მას ეგონაო, რომელ მოსელითა საქართველოსა შინა დააფუძნებდა ესევითარსა პოლიტიკასა, რომელ თვით განმგებელ იქმნას სამეფოსა“ (23:86–87), თუმცა იქვე დასძენს „არავინ უწყის ჭეშმარიტებით ესე ესრეთ განიზრახვიდა“ (23:87) თუ არა სინამდვილეშიო.

ამ პერიოდში მოხდა ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც მეფე ერეკლეს სახელთან არის დაკავშირებული და მისი დიდი ნიჭისა და პოლიტიკური ალღოს, დიპლომატიაში გამოცდილების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ომან ხერხეულიძის გადმოცემით, ამ დროისთვის სპარსეთში გაძლიერებულა ქერიმ–ხანი, რომელმაც ერეკლეს მტრებისა და ორგულებისგან შეიტყო მისი რუსებთან ურთიერთობის შესახებ. დიდად გამწყრალი სპარსეთის მმართველი თავისი ლაშქრით დაიძრა ურჩი ერეკლეს დასასჯელად. იგი

უკვე თავრიზში იყო, როცა ერეკლემ ყველაფერი გაიგო. ქართლ–კახეთის მეფე დამწუხრდა, რადგან რუსების მოსვლის შემდეგ ოსმალებსაც მამაცურად ებრძოდა და სპარსეთთანაც დაივიწყა თავისი მოვალეობა. ამჯერად ალარც რუსებისაგან დახმარების იმედი ჰქონდა, თვითონ მარტო დარჩა მტრის პირისპირ. სწორედ ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში „ვითარცა კაცმან ბრძენმან და გამოცდილმან საქმეთა შინა, მოიპოვა ღონისძიება“: ქერიმ–ხანთან გაგზავნა თავის ერთგული თავადები და ცნობილი ადამიანები: თავადი ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო, მდივანბეგი, და თავადი თარხნისშვილი ზაზა, ყორიასაულბაში დესპანად. მათი პირით ერეკლემ ქერიმ–ხანს აცნობა ერთგულება და თანადგომა, მამამისის, თეიმურაზისა, და თავისი, რომელიც სპარსეთის შაჰებთან ჰქონდათ მათ. ამასთან შეახსენა, რომ ზოგიერთი მოსაზღვრე ფაშა ჯერ კიდევ ნადირ–შაჰის დროიდან აწუხებდა ჩემს სამეფოსაც და თვით სპარსეთსაც. ისინი ჩვენი დაუცხრომელი მტრები არიანო, რუსები ხონთქარს ეომებოდნენ, მე კი მთხოვეს გზის დათმობა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. უარი იმიტომ არ ვუთხარი, რომ, როცა რუსები მათ წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდნენ, მეც გადავწყვიტე მათთან შეერთება და მივედით ახალციხეში. ერთი ფრანგი გენერალი იყო იმათი პირველი სარდალი. მან იქ მიღალატა, ჯარი გამოაბრუნა და ჩემი ჯარით მტრის პირისპირ მარტო დამტოვა, ამის მიუხედავად მე მაინც დავამარცხე ოსმალები და ლეკები. მაშინ თქვენ და სპარსეთი აშლილი იყავით, მრავალი მოწინააღმდეგე გყავდა, ამიტომ ჯარი ველარ გთხოვე ოსმალებთან საბრძოლველადო. მე ჩემი ჯარით სამჯერ შევუტიე, დავამარცხე, ციხეები წავართვი, ბევრი ადგილი მოვუოხრე. რუსები არც მომხმარებიან და არც არაფერი მოუციათ, რადგან იმათი კარი ხონთქარს შერიგებოდა. რუსის ჯარი ისე აიყარა და წავიდა თავის ქვეყანაში თოფიც არ გაუსვრიათო.

ერეკლეს დესპანები რომ თავრიზში მივიდნენ ქერიმ–ხანი უკვე მოსული და საქართველოზე წამოსვლის მზადებაში იყო. დესპანებმა მას მოახსენეს ერეკლეს დანაბარები, თანაც ისეთი ტონით და დამაჯერებლობით, რომ ქერიმ–ხანის გული მოალბეს და დაამშვიდეს.

ქერიმ-ხანმა ერეკლეს გამოუგზავნა წერილი დიდი პატივისცემისა და ერთგული სამსახურის დამადასტურებელი, ერეკლეს დესპანებს თავის სანდო კაციც გამოაყოლა ძვირფასი საჩუქრებითა და ხალათით, თვითონ კი თავი დაანება საქართველოზე გალაშქრებას და შირაზისკენ გაბრუნდა (23:87–88). აი, ასეთი გონებამახვილობით დაუმტკიცა მეფემ სპარსეთის მმართველს ერთგულება და ქვეყანაც იხსნა დიდი საშიშროებისაგან.

რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობის პერიოდში იმპერატორის კარზე გაიგზავნა ქართული ელჩობა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მეფის ძე ლეონი და ანტონ კათალიკოსი. ელჩობა 1771 წლის დეკემბერში გაემგზავრა, მაგრამ გზაში დიდი დრო დასჭირდა. დანიშნულების ადგილზე მხოლოდ 1773 წლის იანვარში მიაღწიეს. თითქმის მთელი წლის მანძილზე ასტრახანში იმყოფებოდნენ. ელჩობის მთავარი ამოცანა რუსეთის მფარველობაში შესვლა იყო. პირობები კი რომელსაც საქართველო რუსეთის ხელისუფლების წინაშე აყენებდა ასეთი:

საქართველოში უნდა დარჩენილიყო მეფის ხელისუფლება. ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის მთავრობას უნდა გამოეგზავნა ჯარი ოთხი ათასი კაცის შემადგენლობით იმ პირობით, რომ ჯარის სარდლობას ისევე მოესმინა ქართელი მეფისთვის, როგორც ქართველი მეფე მოუსმენდა მას. ე.ი. გაითვალისწინებდა ადგილობრივი პირობებისა და სიტუაციის ცოდნას. ყირიმიდან გათავისუფლებული ქართველი ტყვეებისათვის მიეცათ სამშობლოში თავისუფალი დაბრუნების უფლება. საქართველოში ჩამოსული ჯარის მეშვეობით თუ მტრის მიერ დაკავებულ ქართულ ტერიტორიას გაათავისუფლებდნენ, ხარჯებს, რაც ამ ბრძოლებისათვის იქნებოდა გაწეული, საქართველო უკანვე დააბრუნებდა. ჯარის გადმოსვლისათვის საჭირო თანხები და ის თანხები, რომლებიც საჭირო იქნებოდა ჩვენი ჯარისათვის, ქვეყანას უნდა მიცემოდა სესხად (63:90–91). როგორც ეხედავთ, ამჯერად საქართველოს ხელისუფლება ითვალისწინებდა იმ გაუგებრობებს, რომელიც ტოტლებენის ჩვენს ქვეყანაში მოსელასთვან დაკავშირებით წარმოიქმნა.

ქართველთა მიერ წარდგენილი. აღნიშნული პირობების სანაცვლოდ მეფე მზად იყო: რუსეთში გაეგზავნა ერთ–ერთი თავისი შვილი, რამდენიმე თავადიშვილი და აზნაური. ამასთან ერთად მეფე კისრულობდა: რუსეთისათვის გადაეცა მთელი იმ თანხის ნახევარი, რომელიც შემოდიოდა მეტალის არსებული საბადოებიდან და მომავალში მიიღებდნენ აღმოჩენილი და მოპოვებული მადნებიდან. ქართული მხარე ყოველწლიურად გადაუხდიდა რუსეთს გლეხის თითო კომლზე 14 შაურს, ყოველწლიურად მიართმევდა ჩვენს ქვეყანაში არსებული საუკეთესო ჯიშის 14 ცხენს.სპარსელთა ბატონობის დროს ქართლ–კახეთი ორ წელიწად'ში ერთჯერ შაჰს უგზავნიდა 9 ტყვეს, კრეფდა გლეხის თითო კომლზე 14 შაურს და 50 საპალნე საუკეთესო ღვინოს წაიღებდნენ ხოლმე თავიანთი ხარჯით. ამჯერად მეფე ყოველწლიურად ყიზლარამდე საკუთარი ხარჯით მიიტანდა ორიათას ვედრო საუკეთესო ღვინოს. ამასთან ერთად, რუსეთის ჯარის დახმარებით ოსმალეთისაგან წართმეული ტერიტორიის დაბრუნების შემთხვევაში, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები გლეხებისაგან რუსეთის ხაზინას მიეცემოდა იმის ნახევარი, რასაც რუსეთის გლეხთა მფლობელები უხდიდნენ; კახეთის წართმეული ტერიტორიის შემოერთების შემთხვევაში ქვეყანა ასევე ვალდებული იყო ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული კომლი გლეხისაგან რუსეთისათვის გადაეხადა თოთხმეტი შაური წლიურად და ორასი ფუთი აბრეშუმი, მაგრამ თუ მეტი შემოსავალი იქნებოდა ამ ადგილებიდან, გადასახადიც შესაბამისად გაიზრდებოდა. მეფე შეახსენებდა რუსეთის ხელისუფლებას ახალციხის ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომ, თუ რუსეთი ოსმალეთთან შეთანხმდებოდა, დაებრუნებინა საქართველოს კუთვნილი ეს ტერიტორია, რომელიც ქრისტიანებით იყო დასახლებული და აიძულებდნენ მაჰმადიანობის მიღებას, მტრისგან ჩვენი ქვეყნის გათავისუფლებისა და დამშვიდების შემთხვევაში გლეხობისგან იმდენი ჯარისკაცის გაწვევას ჰპირდებოდა არმიაში, როგორც რუსეთში იყო დაწესებული (63:91–92).

ასეთი იყო პირობები, რომლითაც ქართლ–კახეთის მეფეს

რუსეთის მფარველობაში შესვლა სურდა, მაგრამ ქართული მხარის ამ წინადადებებზე რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა. უარის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თურქეთის წინააღმდეგ დიდი ქართული დიეერსიების წამოწყების იმედი ჩაიშალა და რუსეთის მთავრობას არ სურდა ოსმალეთთან ზავის დადების დროს რაიმე სირთულის წინაშე აღმოჩენილიყო.

1774 წლის 10 ივლისს რუსეთ–ოსმალეთს შორის ქუჩუკ–კაინარჯში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების XXIII მუხლი არამც თუ არ ეხებოდა ქართლ–კახეთს, არამედ არც კი გულისხმობდა მას. თვით რუსეთის სამეფო კარი იძულებული იყო ელიარებინა ეს. 1784 წელს კანცლერი გ.ბეზბოროდკო რუსეთის ელჩს ი.ბულგაკოვს კონსტანტინოპოლში წერდა: საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გასწორდეს შეცდომა კაინარჯის ტრაქტატისა საქართველოს შესახებ, სადაც იგი სრულად უგულებელჰყვეს, და გასწორდეს არა წერილობით, არამედ საქმით (93:455), როგორც პროფ. ლ. ალექსიძე წერს: „საქართველოს“ არაზუსტი ფორმულირება რუსეთის დიპლომატიის საწყენი შეცდომაა, რომელიც შემდგომ მისსავე წინააღმდეგ შებრუნდა“... (94:162). ეს მუხლი (საუბარია XXIII მუხლზე—ებ) აეალდებულებს რუსეთს მხოლოდ „ბრწყინვალე პორტას ქვეშეერდომების“ მიმართ. საქართველოს საკითხის ირგელივ მსჯელობის დროს არც ერთ მხარეს არ დაბადებია კითხვა, რომელ საქართველოზეა საუბარი, რადგან მოლაპარაკება ეხებოდა მხოლოდ პორტას ქვეშეერდომებს“ (94:161). ერეკლე რომ პორტას ქვეშეერდომი კი არა მისი მტერი და აქტიური მოწინააღმდეგე იყო ეს კარგად ჩანდა იმ დაბეზღებებიდან, რომლითაც ახალციხის სულეიმან ფაშა ხონთქარს მოსვენებას არ აძლევდა და ეს უკანასკნელიც იძულებული გახდა ელჩი გაეგზავნა ერანის მეპატრონის ქერიმ–ხანის წინაშე და შეეთვალა: „თუმცა ჩვენსა და თქვენს შორის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ გეიყოფიეს, გარნა ეგრეთცა აგიშვია ერთი ლომი, რომელ არს საქართველოს ვალი, რომელი აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლისათვის მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესევითარისა

მძლავრებისაგან“ (23:67). სწორედ ამ საჩივარმა განაცხადებინა ქერიმ-ხანს: „შეხედეთ მეფესა ირაკლის, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდესო. რაც ჩემთვის უმსახურია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რომელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებსო, ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატივსაცემელი არისო, რომლისათვის განუცხადა სიყვარული და მოსწერა წიგნი ქარიმ-ხანმან მეფესა ირაკლის და წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროსა იარაღითა აღკაზმული“ (23:67-68). რას ვიზამთ ერეკლესთვისაც კი შეუძლებელი იყო ორი ერთმანეთს დაპირისპირებული მტერი ერთნაირად აღეფრთოვანებინა თავისი სამსახურით.

ქუჩუკ-კაინარაჯის საზავო მოლაპარაკების პრობლემებმა საქართველოსთან მიმართებაში საკმაოდ ფართო ასახვა და შეფასება ჰპოვა ო.მარკოვას მონოგრაფიაში. საქართველოს შესახებ საკითხის შეტანა საზავო ხელშეკრულებაში, მისი აზრით, ნიშნავდა საქართველოს დამცველის როლში რუსეთის აშკარად გამოსელას მთელი ევროპის წინაშე და ამრიგად, წინასწარ წყვეტდა ამ მიმართებით მის შემდგომ „ნაბიჯებს“ (88:144). მისივე შეფასებით „ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში არ იყო მკაფიო განსხვავება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. მის 23-ე მუხლს, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს ეხებოდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოს შემდგომი ბედისათვის“. შეიძლება ყველაფერი მართლაც არ იყო ასე, მაგრამ ერთი ცხადია, ქართლ-კახეთის მეფემ, რომელმაც ამ ომის დროს მრავალჯერ ჩაიგდო სიცოცხლე საფრთხეში და დიდი კმაყოფილების გამოხატვას რუსეთის მხრიდან მაინც ვერ მიაღწია, თავისი მადლიერება გამოხატა ნ.პანინის მიმართ (ერეკლეს წერილი ნ.პანინს, 29.05.1775.) „მათის იმპერატორობის ნებითა ოსმალთ შერიგებაში რომ ჩვენ და ჩვენ საქართველოში მყოფნი ერნი დიდის რუსეთის იმპერიასთან საერთოდ განუწესებიყვართ და საბოლოოთ თურქთაგან ჩვენის ქვეყნისათვის ყოვლითურთ უფიქრელობა უზრუნველებია ამისთვის დიდისა ხელმწიფისა, ვითაც ჩემს ერთგულებას შვენის, ესეთისა უმეტესისა მადლობისა მომხსენებელი ვართ. და რადგანაც

თქვენი მაღლის ღრაფობის ბრწყინვალებაც ამ საქმეზედ გარჯილა, ყოველითურთ მმადლობელნი ვართ“ (63:178). მეფე მადლობას მართლაც მოახსენებს, მაგრამ ძნელია მხოლოდ ის იეარაუდო, რომ ამ ომში გაწეული ჯაფისათვის ერეკლე მადლობას დამსახურების სათანადოდ შეფასების გამო იხდის. ეს რომ ასე არ არის, ამაზე წერილიდანაც კარგად ჩანს ომში ერეკლეს ჩაბმის მიზეზები, თანაც იმ დროს, როცა ოსმალეთთან თითქმის მშვიდობა სუფევდა და ამას ხაზგასმით აღნიშნავს თვითონაც. აქ უკვე ერეკლეს დიპლომატიური წინასწარჭვრეტა უფრო გადამწყვეტია, რათა რუსეთი სათანადოდ აფასებდეს მოკავშირის თანადგომას, მას ხომ წინ ედო დიდი პრობლემა—რუსეთის მფარველობაში ქვეყნის შეყვანა.

თავის მხრივ, როგორც ო. მარკოვაც აღნიშნავს, სოლომონ I–იც არ იყო საზავო მოლაპარაკების შედეგებით კმაყოფილი, თავისი პოზიცია იმერეთის მეფემ გარკვევით ჩამოაყალიბა ეკატერინე მეორისადმი 1774 წლის 10 ნოემბერს გაგზავნილ წერილში: „მტრებს შეგვახოცე ეისმე და ჩვენზე ხელს ნუოდეს აიღებ; შენი ობოლნი ვართ, შენგან გამოხსნილნი ვართ, შენი მდაბალნი ერნი ვართ, ნუ მოგვიძულებ.. და ნუ მისცემ შენგან მოცემულსა და გამოხსნილსა ქრისტიანეთა ერსა უცხო თესლთა მაჰმადიანთა; ყოველთვის ბრძოლა აქვსთ ჩვენ ზედა და შენის სახელითა და დოვლათითა ისინი იძლევიან და შეიმუსვრიან. უძლიერესო ხელმწიფეო, ჩვენი და თათრების მიკარება და შერიგება აროდეს არ იქნება, შუაში დიდი სისხლები არის დათხეული“ (63:175–176).

ასეთია იმერეთის მეფის პასუხი. მას, ბუნებრივია, უკმაყოფილების არა მარტო სურვილი, საფუძველიც გააჩნდა თუნდაც იმავე მუხლის გამო, რომელსაც ო.მარკოვა ასე დიდი სიკეთის თვალით მოიხსენიებს. ეს რომ ასე იყო, სოლომონმა კიდევ უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა პანინისადმი გაგზავნილ წერილში 1774 წლის 10 ნოემბერს: „ჩვენ და ოსმანთ შუა დიაღ დიდი ხანია ბრძოლა იყო და მრავალი სისხლი დაიქცა, არას გზით ჩვენგან იმათი გარიგება და შერთება არ იქნება“ (63:176).

ასეთი იყო იმ ომში მონაწილეობის დიდი იმედების შედეგები, რომელიც ქართველმა მეფეებმა საერთო მტერთან ბრძოლაში გამოაელინეს.

VII. „მორიგე ჯარი" - რეგულარული ლაშქრის შექმნის წარმატებული ცდა

ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცება, განსაკუთრებით ლეკთა თარეშის ალაგმვა, როცა ისინი მცირე ჯგუფებად შემოიჭრებოდნენ ხოლმე, მეფისგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. ვითარება ძალიან ხშირად ისეთი იყო, რომ თითქმის დღე-ღამის ნებისმიერ დროს ხდებოდა საჭირო მოლაშქრეთა შეკრება. ასეთ პირობებში ძნელდებოდა აუცილებელ ძალთა მობილიზება, მტერი კი დაარბევდა გარკვეულ ტერიტორიას, დაატყვევებდა მოსახლეობას, გაძარცვავდა დასახლებულ პუნქტს და პირს იბრუნებდა. საჭირო იყო უფრო მოქნილი და ოპერატიულად გამოსაყენებელი ლაშქარი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით 1774 წლის 4 იანვარს მეფე ერეკლემ გამოსცა ბრძანება „მორიგე ჯარის" დაწესების შესახებ (95:177–187).

ამ ბრძანების შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია ახალი ეტაპი იყო ქართული საჯარისო შენაერთის ფორმირების თეორიასა და პრაქტიკაში. იგი ფაქტიურად ქართული რეგულარული ჯარის ჩანასახი იყო.

რას წარმოადგენდა ეს დოკუმენტი, როგორ აისახა მასში ქვეყნის ვითარება, რა საშუალებით ითვალისწინებდა მეფე ახლებური ჯარის შექმნა–ფუნქციონირებას?

ამ დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ მის შექმნაში მონაწილეობდნენ: მეფე ერეკლე, უფლისწული გიორგი, საქართველოს ეპისკოპოსი, ბრწყინვალე თავადები, სამეფო კარის მოხელენი, დარბაზის ერნი, სამღვდელო დასნი და ჩინებულნი. ამ ადამიანების საზრუნავი იმით იყო განპირობებული, რომ არა ერთგზის გატარებული ღონისძიებების მიუხედავად მთელი ქვეყანა დიდად დააზიანა ლეკების გაუთავებელმა თავდასხმებმა და სხვა მტრის შემოსევებმა. ასეთი ჯარის შექმნამდე ვერ გამოინახა თავდაცვის საიმედო საშუალება და ქვეყნისთვის სიმშვიდის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ამიტომ ზემოთ აღნიშნულმა ადამიანთა საკრებულომ თავდაცვის ასეთი გზა

მოიფიქრა. მორიგე ჯარის შექმნის საკითხი ასეთ პრინციპს დაეფუძნა: საჭარაუდოდ განსაზღვრეს შემოსეული მტრის რაოდენობა ასიდან დაწყებული რამდენიმე ათასის ჩათვლით. წინასწარ მოხდა მოსახლეობის აღწერა. განისაზღვრა თავადის, აზნაურის, გლეხის, ხიზანის, მოსამსახურის და ა.შ. საერთო რაოდენობა. შესაბამის სამსახურებს დაურიგდა სპეციალური დავთრები მცხოვრებთა რეგისტრაციისთვის. აღწერილთა საერთო რაოდენობა გაიყო წელიწადის თვეების რაოდენობაზე, შესაბამისად შედგა სპეციალური სიები, სადაც განსაზღვრული იყო ყოველთვიურად გასაწვევთა საერთო რაოდენობა და დაურიგდა მინაშებსა და უხაშებს. გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი გადასახადების ორგანიზაციაშიც. რამდენადაც ლაშქრის მონაწილე თვითონ უზრუნველყოფდა საკუთარი კვების პრობლემას ერთთვიანი სამხედრო სამსახურის დროს. ისინი, ვინც კოდის პურს იხდიდა, გათავისუფლდა ამ გადასახადიდან.

თვეების შესაბამისად შედგენილი სიების მიხედვით, ვინც უნდა ყოფილიყო: თავადი, აზნაური, გლეხი, მოხელე და ა.შ. ვალდებული იყო ერთი თვის საკმარისი სურსათით გაწვევის წინა დღეს გამოცხადებულიყო დათქმულ ადგილზე. ამდენად, თითოეული მოლაშქრე საკუთარი სახსრებით ამზადებდა მთელი თვის მანძილზე საჭირო სურსათს, სამარხვოსა თუ სახსნილოს. ლაშქრის ყველა მონაწილეს, მტრის დევნაც რომ გამხდარიყო საჭირო, თან უნდა ჰქონოდა ის სურსათი, რომელიც ამ ხნის მანძილზე დაჭირდებოდა. ამასთან გლეხებისათვის გათვალისწინებული იყო დახმარება სურსათის ტარებაში. თითოეული მონაწილისთვის სურსათის ეს რაოდენობა განსაზღვრული იყო ოჯახურ პირობებში მისთვის საჭირო კვების პროდუქტების მოცულობით. ამიტომაც მისი წაღება სავალდებულოდ იქნა განსაზღვრული.

განსაკუთრებული შემთხვევების დროს (პირადი ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა) გასაწვევი პირი ვალდებული იყო ეცნობებინა თავისი მდგომარეობის შესახებ. ასეთი შემთხვევები მას საპატიოდ ჩაეთვლებოდა, მაგრამ თუ ყოველივე აღნიშნულს მოიმიზეზებდა და მოიტყუებოდა ჯარიმა

გაუორმაგდებოდა. სოფლიდან წასვლა თუ მოუწევდა ვინმეს, თავისი საცხოვრებელი უნდა ეცნობებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელი ვალდებული იყო მორიგე გამოეყვანა.

მეფის ბრძანებით განისაზღვრა მორიგე ლაშქრის წევრთა პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე. ჯარისკაცები რომელ სოფელშიც შევლენ, აღნიშნული იყო ბრძანებაში, თუ წაართმევენ ან დაუზიანებენ რამეს ადგილობრივ მცხოვრებს (სასმელ-საჭმელი, ცხოველები, სახლი, ღობე და ა.შ.), ეს ზარალი ჯარისკაცს უნდა გადაახდევინონ სარდალმა, მინბაშმა ან უზბაშმა. მაგრამ სოფლის მცხოვრები ჯარისკაცს ვერ დაუშლის ბზეს, თივას, შეშას, თუმცა ხის სამუშაო იარაღი გლეხს არ უნდა დააწვევინოს.

ყოველ ჯარისკაცს თან უნდა ჰქონდეს, საყოფი ტყვია – წამალი, ვინც არ მოიტანს ან დამალავს, დაისჯება.

ჯარისთვის უნდა იყოს მზად ექიმი, წამალი და სხვა აუცილებელი საჭიროება.

ვაჭრებს, ვინც უნდა იყოს, მწყემსებს, მებაღეს, მზარეულს, მფარველობას უწევდნენ. ასეთივე შელავათი იყო დაწესებული აგრეთვე იმ ვაჭრების მიმართ, რომლებიც შორეულ მგზავრობაში იქნებოდნენ წასული. მათ პასუხს არავინ მოთხოვდა მორიგეობისთვის, მაგრამ ადგილზე მყოფს ასეთი შელავათი არ გააჩნდა.

ქვეყანაში მცხოვრები ყველა ჯანსაღი ადამიანი ვალდებული იყო, ერთი თვე თავისი თავი მიეძღვნა ღმერთისა და ქვეყნისათვის.

მორიგეობაზე თავის არიდებისთვის დაწესებული იყო ჯარიმა: პირველი თავადისთვის ორმოცდაათი თუმანი, თუ თეთრი არ ექნებოდა ჯინსი უნდა გამოერთმიათ და სხვა სასარდლოს ჯარისთვის მიეცათ.

თუ რომელიმე თავადი ხელს შეუშლიდა ან დააკლებდა რამეს მორიგეს, ჯარიმა ოთხი თუმანი უნდა გადაეხადა, ფული თუ არ ექნებოდა, მისი მამული უნდა გაეყიდათ და მიღებული თანხა გაეყოთ სხვა სასარდლოსთვისაც.

აზნაურის შვილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ან მის მიერ რაიმეს დაშავებისას ჯარიმა ათი თუმანი იყო, შემოტანილი თანხა სხვა სასარდლოს ჯარებსაც გაეყოფოდა.

თუ რამეს გააფუჭებდა სოფლის მოხელე, ნაცვალი ან მამასახლისი, ჯარიმა ექვსი თუმანი იყო დაწესებული. ეისაც ფული არ ექნებოდა, მისი მამული უნდა გაეყიდათ.

თავადი ან აზნაური, მორიგედ გაწვევის დაწესებული დღის წინა დღეს თუ ყოველმხრივ მომზადებული არ გამოცხადდებოდა აღრიცხვისთვის, დაწესებული ჯარიმა უნდა გადაეხადა, მაგრამ თუ რამდენიმე დღეს დააგვიანებდა ან არ გამოცხადდებოდა, ყოველ დღეზე დაწესებული ჯარიმა უნდა გადაეხადა. ვინც გაიპარებოდა ან კაცს გააპარებდა ან ლაშქრობის წინააღმდეგ სიტყვით ან საქმით გააფუჭებდა რამეს, ასეთ თავადს, აზნაურს ან მოხელეს ევალებოდა დაწესებული ჯარიმის სამ–ოთხმაგად გადახდა.

იმავე დანაშაულისათვის, გლეხების სასჯელად გათვალისწინებული იყო ერთ დღეს გაცდენა–დაგვიანებისთვის წკეპლაში ერთჯერ გატარება, ორ დღეს–2 ჯერ, ე.ი. რამდენ დღესაც დააგვიანებდა იმდენჯერ უნდა გაეტარებინათ წკეპლაში. ჯარიდან გაპარვისათვის წკეპლაში 4–ჯერ გატარება იყო დაწესებული. ვინც გაწვევის დღეს არ გამოცხადდებოდა ან დაიმალებოდა ან ვინმე დამალავდა (სოფელი, ნათესავი, მოსახლე) ვალდებული იყო ჯარიმა ექვსი თუმანი გადაეხადა. ეს თანხაც შესაბამისად იყოფოდა დანარჩენ (კარგად შემსრულებელ) ოჯახებსა თუ სოფლებზე. ვინც იცის და არ იტყვის, სად იმყოფება თავარიდებული მოლაშქრე, ჯარიმა (ექვსი თუმანი) იმას უნდა გადაეხადა. ფულის გადახდას თუ ვერ შეძლებდა, ჯარიმის საფასურში უნდა გაეყიდათ მისი სახლ–კარი, მამული, დედული. იგივე თანხა გაეყოფოდა სხვა სასარდლოსაც. გაქცეულს თუ მიიყვანდა სოფელი ან ახლობელი დაწესებული ჯარიმის რაოდენობა ვითარების შესატყვისად უნდა განსაზღვრულიყო.

ნათლად და გასაგებად იყო გამოცხადებული: „როგორადაც სჯულის კანონის შეცვლა არ იქნება, ისე ამისი შეცვლა არ შეგვიძლიან“. არავის არავითარი უფლება არ გააჩნდა დაწესებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილება შეეტანა. ამ საქმეში ნებისმიერი დამრღვევი პასუხს აგებდა ღვთის წინაშე „სულითაც და ხორცითაც“.

იმ თავადიშვილს, რომელსაც მამულისა და საქონლის ილაჯი არ ექნებოდა, იგი ერთი თვით უნდა დაებათ ბორკილით და საკვებად მიეცათ მხოლოდ ცარიელი პური, წყალი და ღვინო, მაგრამ თუ მეთვალყურე ამ განაწესს დაარღვევდა და შეუცვლიდა საკვებს, დასჯილის გადასახდელი ჯარიმა მეთვალყურეს უნდა გადაეხადა.

აზნაურს თუ ჯარიმის გადახდის საშუალება არ ექნებოდა, ასი ფარეშის გამორჩეული ჯოხი უნდა დაერტყათ და ისე მოქცეოდნენ სატუსალოში, როგორც თავადს. მათთან მნახველის მიშვება აკრძალული იყო, მხოლოდ მეთვალყურეს გააჩნდა ამისი უფლება. იმ ერთი თვის მანძილზე აზნაური ვალდებული იყო საკუთარი სახსრებით მიეღო საკვები. ავადმყოფობის შემთხვევაში, ექიმს უნდა გაესინჯა და თუ ფიცით დაადასტურებდა ავადმყოფობას, შეიძლებოდა გათავისუფლება. თუ ავადმყოფობას მოიგონებდნენ, ათი დღით ეზრდებოდათ პატიმრობის ვადა. სასჯელს ისინი ქალაქის შესაბამის ადგილებში იხდიდნენ.

დავთრები სოფლებში მიბარებული ჰქონდათ მღვდლებს. დავთრების დაზიანების შემთხვევაში მისთვის ორი ხარი უნდა წაერთმიათ. თუ სოფელში კარგი მწიგნობარი არ ეყოლებოდათ, მაშინ დავთარი მეზობელი სოფლის მცხოვრებისთვის უნდა ჩაებარებინათ და მისგან შეეტყოთ ყველაფერი.

სოფლებში, სადაც რამდენიმე კაცის ყმა ცხოვრობდა, მათ ბატონებს ევალებოდა დავთრიდან სიის ამოწერა და შენახვა. ასევე უნდა მოქცეულიყვნენ სახასოსა და ეკლესიის მოხელეებიც.

ისინი, ვინც თავის მინბაშს ან უზბაშს არ დაემორჩილებოდა და წესრიგს დაარღვევდა, ჯარიმა უნდა გადაეხადა დამნაშავის შესაფერისად. კერძოდ, გალახონ, დააბან ბორკილით, დაადონ ხუნდი, ხოლო თუ ზემდგომის ჩარევა იქნებოდა საჭირო, მასთან უნდა მიეყვანათ.

ამ აღწერების დროს თუ ვინმე დამალავდა ან სიიდან გამორჩებოდა აღწერით ვალდებული პირი, მის ბატონს ევალებოდა აღდგომამდე შეეტანა იგი სიაში, ასე თუ არ გააკეთებდა და ხელისუფლება სხვისი მშვეობით აღმოაჩენდა დამალულს, იგი

პატრონისთვის უნდა წაერთმიათ ან სახასოდ დაეტოვებინათ, ან სხვისთვის უნდა მიეცათ.

სიღარიბის გამო გლეხი თუ ერთ თვეში ლაშქრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, მაშინ მის ბატონს უნდა მიეცა ხუთი თუნგი ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი თვის საყოფი მარილი და გაეგზავნა სამხედრო სამსახურში.

იმ სოფლის მებატონემ, აღნიშნული იყო ბრძანებაში, სადაც ვენახი და ღვინო არ არის, კაცის გული ჯინსით შეიჯეროს მისმა მებატონემ და მოხელემ. შესაბამისად დაწესდა ასეთი შეღავათი:

აქამდე რომ ხელისუფლება სამასპინძლოს შეაწერდა ხოლმე სოფლებს სტუმრების ან მოხელეებისთვის, ეს სამასპინძლოც აიკრძალა. ამასთან, როცა ქართლსა და კახეთში სოფლებს სამასპინძლოს შეაწერდნენ ხოლმე მეულუფეებისათვის და სოფლის მოსახლეობა შეწუხებული იყო ამით, ეს ხარჯები მორიგეებისთვის იქნა გათვალისწინებული. ბრძანებაში ის გარემოებაც არ დარჩენიათ უყურადღებოდ, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები გაემგზავრებოდნენ და თანმხლებ პირებს წაიყვანდნენ თან, მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო გათვალისწინებული ჩამონათვალში. მორიგე ჯარში გაწვევის დაწესების გამო ასეთი პირების საერთო რაოდენობა შემცირდა, და ასე განისაზღვრა: 20 კაცის ნაცვლად— დაწესდა 6, ხოლო 10 კაცის ნაცვლად, შესაძლებლობისა და საჭიროების მიხედვით, 3, 2 ან 1 კაცი. შემცირდა აგრეთვე სოფლის მიერ მისაცემი ძღვენის (სამარხვო თუ სახსნილო)რაოდენობა. ცვლილებები შეიტანეს ცხენისთვის გასაცემი ქერის წესებსა და რაოდენობაში: „აპრილიდამ ნახევარ ენკენისთვემდინ ქერს ძღვნად ვერ გამოვართმევთ, „ნახევარ ენკენის თვიდამ მოკიდებული გასულს მარტამდის ორის–სამის ლიტრით და ერთის ლიტრით ქერით ძღვენი მოგვართვან შეძლებით, თუ ორი ღამე დავრჩეთ კიდევ ამავ რიგით ძღვენი მოირგონ“, თანმხლები მორიგე ჯარისკაცებისთვის არაფერს ახდევინებდნენ, იგულისხმებოდა, რომ მათ მთელი თვის ულუფა თან უნდა ჰქონოდათ.

ქვეყნის რომელიმე კუთხეში მტრის შემოსევის შემთხვევაში

თუ მორიგე ჯარის გარდა სხვისი გამოყენებაც იქნებოდა საჭირო, ახლომახლო სოფლის მოსახლეობას ამ ჯარისთვის სურსათი უნდა მიეცა.

თუ მორიგე ლაშქარში გასაწვევი კაცი უგზოობის, უამინდობის ან სხვა სტიქიური უბედურების მიზეზით აღრიცხვაზე ვერ გამოცხადდებოდა, მას ამ სოფლის მკვიდრნი უნდა დადგომოდნენ მოწმედ. ასეთი პირი უკან არ უნდა დაბრუნებულიყო და საჭალდებულო მორიგეობისთვის უნდა გამოცხადებულიყო. ასეთივე პირობები იყო გათვალისწინებული იმათ მიმართ, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ლეკების მოგერიებაში.

მორიგე ჯარის სამსახურის დებულების შემმუშავებელმა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია იმისი აღნიშვნაც, რომ ყველაფერი, რაც ჯარიმასთან და სასჯელთან იყო დაკავშირებული იმათ გასაფრთხილებლად იყო გათვალისწინებული, ვინც ამ საქმიდან თავის არიდებას შეეცდებოდა. ამასთან მორიგე თუ ქალაქში გამოცხადდებოდა და ჯარი ამ დროს წასული დახვდებოდა რომელიმე მხარეში, იგი ვალდებული იყო დანიშნულების ადგილზე მისულიყო. ის დღეები, რაც დანიშნულების ადგილზე მისასვლელად იყო საჭირო, სამსახურში ეთვლებოდა. ეს წესი თანაბრად ვრცელდებოდა ქართლიდან კახეთში და კახეთიდან ქართლში გაწვეულთა გამოცხადებაზე.

სოფელში თუ ერთი მღვდელი ყავდათ, მისი გაწვევა არ შეიძლებოდა. მას თავისი მაგიერი უნდა შეერჩია. ორი მღვდლის ყოფნისას თითოეული საკუთარ რიგზე უნდა წასულიყო.

თუ ხვნის დრო არ იქნებოდა, გუთნის დედა თვითონ უნდა წასულიყო, ხვნის დროს კი თავისი მაგიერი უნდა გაეგზავნა სამხედრო სამსახურში.

საეკლესიო–სამღვდელო პირებს, მოხელეებს, მოურავებს, რომლებსაც შეეძლოთ მორიგე ლაშქარში ხალხის გაგზავნა, მაგრამ ამას ვერ შეძლებდნენ, მისი დამრღვევი უნდა გამოემჟღავნებინათ და ჯარიმა მას გადაეხადა. ასევე მოექცეოდა ხელისუფლება იმ სოფლებსაც, რომლებიც დამალავდნენ გასაწვევ პირს. ასეთივე განაწესი ვრცელდებოდა იმ სოფლებზეც, რომლებსაც შეეძლოთ მორიგე ჯარისაგან თავარიდებული კაცის

ხელისუფლებისთვის გადაცემა და ამას არ გააკეთებდნენ. ის ავადმყოფები, რომლებიც გაწვევიდან 3–4 დღის ავადმყოფობის შემდეგ შეძლებდნენ სამსახურს, ვალდებული იყვნენ გამოცხადებულიყვნენ დანიშნულ ადგილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნახევარი ჯარიმის გადახდა მოუწევდათ (95:177–187).

ასეთი იყო მორიგე ჯარის დებულება, რომლის შედგენის საქმეს პირადად მეფე ერეკლე ხელმძღვანელობდა. იმის გამო, რომ ეს დოკუმენტი მართლაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და, სადაც მასზეა საუბარი, ყველგან რამდენიმე სიტყვით არის შეფასებული, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი ძირითადი შინაარსის გადმოცემა.

რა მომენტებზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, როგორი იყო ამ დოკუმენტის შესატყვისობა თავის ეპოქასთან, რა სიახლე და ინტერესი აღძრა ამ დოკუმენტის გამოჩენამ ?

დასმულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებურება, რომელიც საფუძველი გახდა აღნიშნული დოკუმენტის ცხოვრებაში განხორციელებისათვის:

ქვეყნის დაცვა გამოცხადდა სავალდებულოდ ნებისმიერი სოციალური ფენის ყველა წარმომადგენლისათვის: თავადი, აზნაური, მოხელე, გლეხი, ღვთის მსახურიც კი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა ქვეყნისათვის სასიცოცხლო ამ ღონისძიების განხორციელებაში.

ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი პასუხს აგებდა ამ საქმისაგან თავის არიდებაზე, ამასთან სასჯელის ზომაც შესაბამისად იყო გათვალისწინებული: ვისაც მეტი მატერიალური შესაძლებლობა გააჩნდა, მეტ ჯარიმას იხდიდა. რაც მთავარია, ჯარიმის გადახდის შემდეგ, წესების დამრღვევს მაინც ევალებოდა გაევლო სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ჯარიმა გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თავის ამრიდებელზე, არამედ იმათი დასჯაც წესად იყო მიღებული, ვისაც შეეძლო და დანიშნულების ადგილზე არ წარადგენდა საერთო–სახალხო საქმეში თავის ამრიდებელს. სასჯელის ეს ზომა ვრცელდებოდა არა მარტო პიროვნებაზე, არამედ

სოფლებზეც, იმ ოჯახებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ თავის ამრიდებელს. ეფიქრობ, ისიც სამართლიანია, რომ ამოღებული ჯარიმის თანხის გადანაწილება ხდებოდა იმ სოფლებსა და ჯარის ნაწილებზე, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებდნენ.

მორიგე ჯარში გასაწვევებს გააჩნდათ დაცვის გარკვეული გარანტიები, კერძოდ, ავადმყოფობის, სტიქიური უბედურებისა თუ საგზაო პირობების არ არსებობის, ლეკიანობის დროს დევნაში მონაწილეობისა და სხვა ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევებში მოწმის დასტურით გასაწვევს შეეძლო სამხედრო სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება.

დოკუმენტის მიხედვით ზუსტად იყო გათვალისწინებული მორიგის დანიშნულების ადგილზე გამოცხადება და მისთვის საჭირო საარსებო საშუალებები. კერძოდ, მოლაშქრე ერთი თვის მანძილზე თვითონ უზრუნველყოფდა საკუთარი თავის შენახვას.

ხელისუფლება ითვალისწინებდა რა მორიგე ჯარის დიდ მნიშვნელობას და მისი დაკომპლექტების აუცილებლობას, ხალხის წინაშე დათმობებზე წავიდა და სოფლები გაათავისუფლა ბევრი ისეთი გადასახადიდან, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობის ფართო ფენებს.

სათანადოდ იყო გადაწყვეტილი ის პრობლემებიც, რომელიც დაკავშირებული იყო ქართლ–კახეთის ტერიტორიაზე მორიგე ჯარის გამოყენებასა და მისი რიგების შევსებასთან. ასეთ პირობებში საპატიო მიზეზით დაგვიანებისთვის მოლაშქრე არ ისჯებოდა და მას უფლება ჰქონდა ჯარს შეერთებოდა დისლოკაციის ადგილზე.

მეტად საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ, სიღარიბის გამო თუ გლეხს საშუალება არ ექნებოდა, ერთი თვით ლაშქრობაში მონაწილეობისთვის, მის ბატონს ევალებოდა სურსათით მისი უზრუნველყოფა: გასაწვევისათვის უნდა მიეცა ხუთი თუნგი ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი თვის საყოფი მარილი.

ამდენად, ჯარის ორგანიზაციისთვის გათვალისწინებული

დოკუმენტის, შინაარსი დიდად უსწრებდა თავის თანადროულობას: გაწვევა–სამსახურის სავალდებულობა, ჯარში წესრიგი, მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება, თავის არიდებისათვის სასჯელის ზომების შეუვალობა, პრინციპით: „დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს“, მართლაც ზრდიდა პასუხისმგებლობას. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ბევრი თავადი თუ აზნაური ცდილობდა თავი აერიდებინა მეფის სამსახურისთვის, ზოგი მათგანი კი მზად იყო მეფის წინაშე არ წარმოეჩინა საკუთარი შესაძლებლობები, ცდილობდა დაემალა გასაწვევი მოსახლეობის ნაწილი მაინც, რათა საჭიროებისას შესაძლებლობა ჰქონოდა საკუთარი ანგარებითი მიზნების განხორციელებისთვის გამოეყენებინა ისინი.

მორიგე ლაშქრის სარგებლიანობა მალე აშკარა შეიქმნა. ქვეყანაში თითქმის მთლიანად შეწყდა ლეკების თარეში, ცხოვრება ნორმალურ რიტმში ჩადგა. კვლავ იწყო დასახლება მიტოვებულმა სოფლებმა; გლეხებმა დაიწყეს მშვიდობიანი სოფლის მეურნეობის გამართვა (8:397–398).

მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის წარმატება უშუალოდ იყო დაკავშირებული ერეკლეს ვაჟის ლევანის სახელთან.

ლევან ბატონიშვილი დაიბადა 1756 წლის თებერვალში. მიიღო შესანიშნავი განათლება. გამოირჩეოდა თავისი ინიციატივითა და საქმისადმი ერთგულებით. დაქორწინდა 18 წლის ასაკში. 1774 წლის 22 ოქტომბერს მეფე ერეკლე იოანე აბაშიძეს წერდა: „ჩვენს შვილს ლეონს ქორწილს უპირებთ ამ ცოტა ხანში. შენც უნდა გეწვიო და შენი სახლობაც უნდა მოიყვანო და გეაწვიო. დაგვიანება არ იქნება“ (96). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლევან ბატონიშვილი რუსეთში იყო გაგზავნილი ანტონ კათალიკოსთან ერთად. როგორც პ.კარბელაშვილი წერს: „ლეონი წინ აღუდგა წარმოდგენილ პირობებს. გარდაიცვალა თუ არა (1781 წ). ერთი წლის შემდეგ შედგა ლეონის დაწუნებული ტრაქტატი“ (96). შეიძლება სწორედ იმიტომაც, რომ რუსეთიდან ხელმოცარული დაბრუნდნენ, ლევან ბატონიშვილმა მორიგე ჯარის ორგანიზაციასა და ფუნქციონირებაში დანახული დიდი სიკეთის გამო, მთელი ძალები მოახმარა მის გამართვას, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვის

მოწესრიგების საქმეში ამ ჯარის დიდი იმედიც ჰქონდა. „ბატონიშვილი ლეონი იყო უკეთესი წარმომადგენელი სამეფო ოჯახისა. მის უდროო სიკვდილს მიეწერება ირაკლი მეფის უიმედობა და დაძაბუნება უკანასკნელს წლებში. ირაკლი თვით გრძნობდა ლეონის სიკეთეს სამეფოსათვის და მისი სიკვდილით ზარდაცემულმა თავში მიტომ შემოიკრა ხელი და დაიძახა: „ჩემი ოჯახი ახლა დაიღუპაო“ (96). მათლაც, ლევან ბატონიშვილის მოულოდნელმა და იდუმალებით მოცულმა გარდაცვალებამ (1781 წლის 5 თებერვალი) დიდი ზიანი მიაყენა საქვეყნო საქმეს, განსაკუთრებით მორიგე ჯარის ორგანიზაციას. ლევანის მსგავსად არავის შეეძლო იმ წესრიგის შენარჩუნება და ჯარის ბრძოლისუნარიანობაზე ზრუნვა. ბევრი თავადი ისედაც არ იყო კმაყოფილი ჯარის ასეთი პირობებით ფუნქციონირებისა, ამიტომ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ, მათ ყველაფერი გააკეთეს ამ შესანიშნავი საქმის ჩასაშლელად. მართალია, მორიგე ლაშქარი ოფიციალური ბრძანებით არავის გაუუქმებია, მაგრამ თავადებმა შეძლეს მისი თანდათანობით დასუსტება და გაქრობა. ჯერ თავისი ყმებით ლაშქარში გასვლას აარიდეს თავი, რითაც ლაშქარი საგრძნობლად შემცირდა, ბოლოს კი საერთოდ თქვეს უარი მის ფუნქციონირებაზე.

ასე დასრულდა მეფე ერეკლეს მიერ ორგანიზებული ძლიერი ლაშქრის ისტორია და ქვეყნის წინაშე კვლავ მთელი ძალით დაისვა მფარველ–მოკავშირის ძიების დიდი ხნის წინათ დაწყებული პროცესი.

VIII. „განწესებანი სამეფოსათვის საქართველოისა"

1791 წელს ერეკლემ შეიმუშავა: „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თუისთადმი სამეფოსათუის საქართველოისა“, რომელიც მეფის ბრძანებით გამოცხადდა და ინახებოდა საქართველოს სამეფო პალატაში, თბილისში. მეფე, შემდგენელი და აქტორი განწესებისა, აცხადებდა, რომ განწესება

შექმნა შვილებისა და შვილიშვილების, მათი შთამომაელობისა და მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის. მეფე, ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ არავინ არასოდეს არაფერს დააკლებდა და განუხრელად შეასრულებდა განაწესს; არ გახდებოდა იგი ურთიერთდაპირისპირების, ერთმანეთთან შურისა და ბრძოლის საგანი.

მეფე ღვთის წინაშე ფიცს სდებდა, რომ არავინ არაფერი იცოდა ამ განაწესის შესახებ. რომ იგი პირადად მან შექმნა და თხოვდა შვილებსა და ქვეყანას ასეთივე რწმენით მიეღოთ იგი. ამასთანავე, მეფე ერეკლე არა მარტო ღრმად დარწმუნებული იყო ამ მოქმედების ჭეშმარიტებაში, არამედ აღნიშნავდა კიდეც: „თუ მე ასე არ გამესაჯა და ასე არ გამერიგებინა ჩემის შვილებისთვის და თქვენთვის ეს საბოლოო სიმტკიცე მშვიდობისა, სიყვარულისა და ერთობისა არ განმეწესებინა და თავთავისი წილი და რიგი ახლავ არ მიმეცა და არ გამეჩინა, ან ერთმანეთის სისხლის ჩამოყარდნის მიზეზი შეეიქნებოდი და ან დაკარგვისა სულით და ხორცით მიზეზად მე დაგიდებოდი“ (95:203).

ამიტომაც შეიქმნა ეს განჩინება, აღნიშნავს მეფე ერეკლე, რათა ჩემი შვილებისთვის მიმეცა კუთვნილი, „მათთვის გაყრისა და გაუყრელობის წილი“, გაძლება, უფროს–უმცროსობა, ბატონობა და უფლისწულობა, სამართლიანობა დაუდო საფუძვლად განაწესს, მხოლოდ პირადად მიიღო ეს გადაწყვეტილება, რადგან, ასე რომ არ გაეკეთებინა, იქნებ არეულობაც დაწყებულიყო და ყველაფერი უკუღმა დატრიალებულიყო. შვილებმაც, ერმაც და სამღვდელომაც ჭეშმარიტად ისმინეთ და იხელმძღვანელეთ ამ განაწესითო, ასეთი იყო მეფის სურვილი საკუთარი სამეფოს მოსახლეობისა და მისი მემკვიდრეებისადმი.

მეფე დარწმუნებული იყო იმაში, რომ, როცა მისი მემკვიდრეები სათანადო წილს მიიღებდნენ, ისინი შეინარჩუნებდნენ ქვეყნისა და ერის ერთობას. მეფის აზრით, უპირველეს ყოვლისა ყველას უნდა ჰქონოდა საერთო, კარის ეკლესია: „ერთი ტფილისს, ერთი თელავსა და ერთიც გორის ციხეში“ (95:204).

ერეკლე თავის მემკვიდრეებს აფალებს და მოითხოვს მათგან, რათა კარგად დაიმახსოვრონ და არ დაივიწყონ, თუ რაიმე

განსაკუთრებული მიზეზი არა, ყველა საუფლო დღე ერთად აღნიშნონ, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი წასული იქნება სადმე, სადაც უნდა იყვნენ, მაინც იდღესასწაულონ. პირადი სამეფო წილის გარდა მეფის მემკვიდრეებს უნდა ჰქონოდათ საერთო სასახლე, სადაც დღესასწაულებზე ერთად შეიკრიბებოდნენ და მათთვის სასურველ სტუმრებსაც იქ მიიწვევდნენ ხოლმე. ეს თავყრილობა უნდა ყოფილიყო ერთიანობისა და ერთად ყოფნის ნიშანი, ამასთან, მთელი ის ხარჯი, რომელიც ასეთი შეკრებისათვის იქნებოდა საჭირო, ყველას თანაბრად უნდა გადაეხადა საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით „ბევრი წილის მქონებელმა ბევრი გაიყოს და მცირე წილის პატრონმან მცირე უნდა დახარჯოს“ (95:205) ასეთი იყო მისი პრინციპი.

განაწესის მიხედვით ერეკლე დასაშვებად მიიჩნევდა, თუ მისი რომელიმე შვილი მოისურვებდა ახალი ეკლესიის აგებას, ეკლესია აეგო და აღეჭურვა საკუთარი ხარჯებით. მეფე მემკვიდრეებს აფრთხილებდა ხელი არ ეხლოთ საერთო ეკლესიების ქონებისთვის: „რომელიც საერთო ეკლესიები აქვსთ, იმ ეკლესიიდამ ვერას გამოიტანენ ახლის აშენებულის ეკლესიისთვის ვერც ხატსა, ვერც ჯვარსა, ვერც შესამოსელსა, ვერც წიგნსა და ვერც სიწმინდის იარაღსა. თავისის წილიდამ უნდა შეამკოს ის თავისი ახალი აშენებული ეკლესია იმ ალმაშენებლმა ძმამ“ (95:205). იქვე მეფეს მიუნიშნებია კიდეც „თუ დასაშლელი არ იყოს, უწმიდესი ნუ დაუშლისო“.

ეკლესიების შემდეგ ერეკლემ ციხეების პრობლემა გადაწყვიტა. უპირველეს ყოვლისა გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე: თბილისის, გორის, სურამის, წირქოლის, ანანურის, ბოჭორმისა და გრემის და მიუთითა, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიც აქვთ და მათი მოვლა–პატრონობისთვის ბევრი ხალხი არ იყო საჭირო: „ამ შვიდს ალაგს ნარიყალებში საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რა ერთიც მოუნდესთ, მცველათ და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის“ (95:205), ამიტომ მტრის შემოსევისას ამ ციხეებს მეფე ხალხის

თაეშესაფრად გულისხმობდა. მაგრამ თუ ახალი ნარიყალას აშენებას მოისურვებდნენ იგი ერთმანეთის თანხმობით უნდა აეშენებინათ მეფეს და ´მის ძმებს, ამასთან, ახლად აშენებულ ციხეში საჭირო ხალხიც თანაბრად, ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა ჩაეყენებინათ.

განაწესის ერთ–ერთ პუნქტად შეტანილი იყო მუხლი, რომელიც მეფის მემკვიდრეებს უფლებას აძლევდა, მემკვიდრეობით მიღებული ქონებიდან (წილიდან), რაკი იგი მათს საკუთრებას შეადგენდა „ვისაც უნდა აჩუქებენ, ვისაც უნდა, ასესხებენ და ვისაც უნდა დაჰპატიჟებენ. სხვა ძმები არაფრის ვალის მქონებელნი არ არიან, მაგრამ ამისთანა საქმეში ძმები რომ ერთმანეთს შეეწიონენ,დასაშლელი არ არის“ (95:206). თუმცა იქვე მიუთითებს, რომ კანონად მე ასე ვითვალისწინებ, დანარჩენი თვითონ იციანო.

საერთო შემოსავალი მემკვიდრეებს ასეთი წესით უნდა გაეყოთ: სახასოებიდან, სათავადოებიდან თუ ეკლესიის დებულებით, საქვეყნო შენაწერს გარდა თუ რამე იქნებოდა სამ ნაწილად უნდა გაეყოთ: ორი წილი მეფისა უნდა ყოფილიყო, მესამედი კი ყველა დანარჩენი ძმების. აქვე იმ ჯარიმების განაწილებაც იქნა გათვალისწინებული, რომლის აღებაც მოუწევდათ. აქაც ყველაფერი სამად უნდა გაეყოთ, ორი წილი მეფეს უნდა მიელო, ერთი წილი ანუ “მესამედი ხუთმა ძმამ გაიყონ, როგორც ზემოთ დაგვიწერია იმ წესით“ (95:206).

ყველაფერი გათვალისწინებული იყო ძმებზე, ე.ი. ექვს ძმას და მის მემკვიდრეებს ეძლეოდა ეს განაწესი. მეფე საჭიროდ მიიჩნევდა, ექვსი ძმის შვილებს, როცა ისინი ერთმანეთისგან გაყრას მოისურვებდნენ, ყველას ერჩია თავი შეეკავებინათ გაყრისგან, მაგრამ თუ მაინც მოისურვებდნენ „გაიყარონ და თაეიანთში საუფროსო, საშუალო და საუმცროსოც აილონ ისე, როგორც თავადები ბარათებით გაიყრებიან“ (95:206).

განაწესით გათვალისწინებული იყო უცხოელი სტუმრის მიღების წესიც. თუ სტუმარი საერთო იქნებოდა, საერთო და საქვეყნო საქმისთვის მოსული „იმ სტუმარს ძმები საერთოდ უნდა დახვდნენ სმით, ჭამით, საჩუქრის მიცემით. ნახევარი ხარჯი მეფისა იყოს და ნახევარი ხარჯი სხვა ძმებისა, მაგრამ

უფროს ძმას რომ აქვს საუფროსო და საუფლისწულო ძმებზე ალებული, იმან ისე მეტი გაიღოს“ (95:206).

ერეკლემ გაითვალისწინა ქართველ მეფეთა გამოცდილება, როცა ისინი შვილებს გაყრიდნენ და მათ შორის შური და მტრობა ჩამოვარდებოდა ხოლმე, სისხლიც იღვრებოდა და მსხვერპლითაც მთავრდებოდა. ასეთი გაუთვალისწინებელი რამის თავიდან აცილების მიზნით და ძმების ერთიანობის უზრუნველსაყოფად თვითონ მიაკუთვნა შვილებს საკუთარი წილი.

მეფე ზრუნავდა თავისი მემკვიდრეების განათლებაზეც. სურდა განათლებული მემკვიდრეების აღზრდა. აღზრდა–განათლებაში ერეკლე შეუზღუდველი იყო, მაგრამ უფრო მეტს თუ არ შეისწავლიდნენ, სასურველად მიაჩნდა გრამატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის, ლოგიკისა და წერის დაუფლება „თუ ამაზე მეტს მეცნიერებაში შევლენ და ისწავლიან, ის უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა კი არ იქნება“ (95:207).

ქორწინებისა და ქორწილის შემთხვევაში მეფეს საჭიროდ მიაჩნდა ძმების ურთიერთთანადგომა. რომელიმე ძმის ოჯაში ქორწილის შემთხვევაში ნიშნობისა და ქორწილის ხარჯის ნახევარი მებატონეს უნდა გაეღო, ნახევარი კი ძმებს, ამასთან, ვისაც რისი ჩუქება სურდა, ის უნდა ეჩუქებინა ახალდაქორწინებულთათვის. ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ქალების ქორწინების შემთხვევაშიც. შესაბამისად იყო გადაწყვეტილი მწუხარების ჟამს საჭირო ღონისძიებებიც. ასეთ დროს ძირითადად ძმები და მებატონე უნდა ამოდგომოდნენ დამწუხრებულს, ხარჯები მათ თავისი სურვილით უნდა გაეღოთ, მაგრამ თუ ჭირისუფალი დამატებით ხარჯებს მოისურვებდა, მისთვის ხელი არ უნდა შეეშალათ.

ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში, ყველაფერი მშობლებს ევალებოდა, შესაძლებლობის ფარგლებში, მეფეს და ძმებს საჩუქრები უნდა მიერთმიათ თავისი სურვილით.

დაკრძალვის დროსაც ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც გარდაცვლილი იმსახურებდა. თუ განსაკუთრებული პატივის ღირსი იყო, კათალიკოსთან შეკითხვის შემდეგ, სადაც

მოესურვებოდათ, იქ უნდა დაეკრძალათ, თუ არა და საკუთარ სასაფლაოებზე. ამასთან, მეფე მიანიშნებს „ზემოთ რომ უფროსი, საშუალო და უმცროსი მიხსენებია, ასაკისთვის დაგვიწერია, სხვას ნურას იფიქრებთო“ (95:208).

განაწესში სათანადო ასახვა ჰპოვა გააზატების პრობლემამ და აღინიშნა: „ნურც მებატონე, ნურც უფლისწული უერთმანეთოდ კაცს ნუ გააააზატებენ. ნურც სახასოს, ნურც საუფროსოს, ნურც საუფლისწულოს, მისთვის რომ გაყრილნი არ არიან და ერთი სახლობა აქვთ“ (95:209). მეფე რჩევას იძლეოდა, უფლისწულებს არ დაერბიათ სახასო კაცი, ასეთის შემთხვევაში კი ერთმანეთისთვის რჩევა მიეცათ, ვინც არ დაიშლიდა, ცოდვას ჩაიდენდა. ასევე მოითხოვდა ძმების ერთიანობას, ხოლო თუ ძმათა შორის შუღლი იჩენდა თავს, ყველაფერი უნდა ელონა დანარჩენებს მათი შერიგებისთვის.

უშვილოდ დარჩენილის ქონების ორი წილი პატრონისა უნდა ყოფილიყო, ერთი წილი კი ძმებისთვის უნდა მიეცათ.

ერეკლემ სამეფო მემკვიდრეობის მიხედვით გაითვალისწინა მემკვიდრის რიგითობის განსაკუთრებული შემთხვევა. კერძოდ, როცა მეფობის კანდიდატი ისეთი აღმოჩნდებოდა, რომ მას, თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური პრობლემების გამო არ ექნებოდა საშუალება ტახტზე ასვლისა, ასეთ შემთხვევაში „თუ იმავ რიგში შემდგომი შვილი ან შვილიშვილი იყოს, რომ შეეძლოს და არა სჭირდეს რა ნაკლულევანება და არ იყოს სნეული, იმან მიიღოს და დაადგინონ მეფედ“ (95:210). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არ აღმოჩნდებოდა მეფობის შესაფერისი კანდიდატი, მაშინ კანდიდატურა უნდა შეერჩიათ მომდევნო ძმის მემკვიდრეთაგან. იმ შემთხვევაში თუ საღვთო და საერო პირთა შორის დავა დაიწყებოდა მეფობის კანდიდატურის გამო, მაშინ მისი მომდევნო კანდიდატურა უნდა განხილულიყო, მაგრამ თუ გაუგებრობას ექნებოდა ადგილი, საქმეში ჩაერეოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარისა თუ კუთხის წარმომადგენლობა და რიგითობას დაარღვევდნენ. “მეორედ მოსვლას უფალსა ჩემის ცოდვის პასუხი იმან მისცეს და ნურაკეთილი დაემართოს ღვთისაგან იმ გვამს, რომელიც მიზეზი

შეიქმნას“ (95:210). ასეთ პირობებში, თუნდაც საუკეთესოს მიერ სამეფო ტახტის დაკავებისას, მეფე რიგითობის დარღვევად მიიჩნევს და შეუძლებლად თვლის.

წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით ერეკლეს მიაჩნდა, რომ ყველაფერი გაითვალისწინა თავისი მემკვიდრეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად იმ წესისა და სამართლის შესაბამისად, რომელიც იმდროისათვის კი არა, არამედ მომდევნო პერიოდშიც სამართლის ნორმების შესატყვისი დარჩებოდა ქვეყანაში. ამ წესით ჩატარებული გაყრისა თუ გაუყრელობის ნორმები, მეფის აზრით, ყველა პირობას აკმაყოფილებდა და ყოველად დაუშვებლად მიაჩნდა ისეთი ვითარება, როდესაც მემკვიდრეთა შორის დავა და დაპირისპირება იწყებოდა.

ერეკლეს აზრით, თუ მისი მემკვიდრეები მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად არ გაიყოფდნენ მთელ ქონებას, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა საუფროსო ან საუფლისწულო გადასახადის აკრეფა „ქიზიყში, თუშეთში, ქსანსა, არაგვსა და ლიახვში, პირაქეთ და პირიქით ოსებში, ხევსურეთში, ყახახში, ბორჩალოში, შამშადილში და კიდევ სხვა თათრებში“ (95:211). ზემოთ დასახელებული ტერიტორიების გარდა იყო კიდევ დასახლებანი, ამიტომ საუფლისწულო და სახასო შესაბამისად უნდა აკრეფილიყო მეფის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ამასთან, არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ მეფის მიერ თუ არ იყო მიცემული შვილებისადმი ასეთი „ყმა და მამული სახასო“ მაშინ ვინც თვითონ მოუყვანიათ სხვა ქვეყნიდან, იგი მომყვანისა უნდა ყოფილიყო და მასზე სხვა ძმებს პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდათ.

განაწესი ითვალისწინებდა გაქცეული სახასო ან საუფლისწულო კაცის დაბრუნების საკითხსაც. ასეთ დროს მის მოსაყვანად ერთად უნდა ემოქმედათ და არა ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში, თუ გაქცეული უარს იტყოდა იმასთან დაბრუნებაზე, ვინც ეძებდა, მაშინ იმასთან დაბრუნება შეიძლებოდა, ვისთანაც თვითონ ისურვებდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის ეს ყველაფერი მისაღები და სასურველი იქნებოდა. მაგრამ, თუ დაბრუნებული კაცი

ქრისტიანი არ იქნებოდა და მისი დაბრუნებაც არაეის არაფერს შემატებდა, მისი მოყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა და არ უნდა მოეყვანათ.

თუ ერეკლეს შთამომავალი, შვილი ან შვილიშვილი, თავს მოიკლავდა ან ვინმე მოკლავდა, მკელელსაც და მის ხელშემწყობსაც ღმერთმა არ შეუნდოს, დასჯილი და შეჩვენებული იყოს ახლაც და მომდევნო საუკუნეებიც და თუ „მე დამიჯერებენ, ქვეყანამ ერთხმობით განაგდონ ამ ქვეყნიდამ შეჩვენებული საუკუნოდ. იმ ბოროტის მოქმედის სხეაგან გაგდებას ესე სჯობს, თუ მოკლამთ, თქვენ იცით ღმერთმან უცოდო გამყოფოსთ, თუ არ მოკლამთ, ისიც თქვენ იცით, მაგრამ ასე კი უნდა წაახდინოთ, რომ არ გაგეჩქესთ და სხეაგან მიეიდეს ეისთანმე“ (95:212). დამნაშავის ასეთი მკაცრი დასჯის მიუხედავად, ერეკლე მოითხოვდა, რომ მას თუ ვაჟი დარჩებოდა კეთილ შრომაში ჩაბმული, მამის წილი არ უნდა დაჰკარგეოდა, მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ბატონობა აღარ ეკუთვნოდა და არც უნდა მიეცათ. ხოლო თუ ორგულობას შეამჩნევდნენ, ან მეფისა და ქვეყნის საზიანოდ რამის კეთებას, ისე უნდა მოქცეოდნენ, რომ სხვაგან ვეღარ წასულიყო.

მაგრამ, თუ მეფის პირდაპირი მემკვიდრე, შვილი ან შვილიშვილი, არ დაუჯერებდა მის წერილს, სხვა სარწმუნოების კაცს მიემხრობოდა და ქვეყნად სისხლის დაღერის მიზეზი გახდებოდა, იმასაც ღვთისგან შეჩვენებულად მიიჩნევდა და მოითხოვდა ისე მოქცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივ დამნაშავეს.

მეფობასთან დაკავშირებით წამოჭრილი აღნიშნული პრობლემების შემდეგ ერეკლე უშუალოდ აწესებს საკუთარი მემკვიდრეების სამეფო ტახტზე ასვლის რიგს. კერძოდ, მეფობა უნდა მიეკუთვნოს პირველად უფროს ძმას, მეორედ–მეორეს, მესამედ–მესამეს, მეოთხედ–მეოთხეს, მეხუთედ–მეხუთეს, მეექვსედ–მეექვსეს, ე.ი. ერეკლე მხოლოდ ვაჟებს თვლიდა სამეფო ტახტის მემკვიდრედ და ასეთი მემკვიდრეობა ეძლეოდა მის ექვს ვაჟს, რიგ–რიგობით. როცა მეფობის ერთი სრული რიგი დასრულდებოდა, მას შემდეგ მეფობის რიგი უნდა გამეორებულიყო და კელავ პირველის შთამომაელობიდან უნდა დაწყებულიყო და იმავე

თანმიმდევრობითა და წესების დაცვით გაგრძელებულიყო მეექვსის ჩათვლით. ე.ი. მეორედ ტახტზე ასვლის უფლება ეძლეოდა მხოლოდ სრული რიგის გათვალისწინებით. მაგრამ, თუ რიგითი მეფობის კანდიდატურა არ იქნებოდა ყოველმხრივ ნორმალური, მეფობისათვის შესაფერისი, მეფობა მის მომდევნოს უნდა გადასცემოდა და თუ ასეთი არ აღმოჩნდებოდა „იმის უქვემოეს მისცენ და ის მეფობდეს, სანამდის იცოცხლებდეს, და კიდევ, თუ გაუჩნდეს რამე ბოლოს და გაეზარდოს იმ დაწუნებულს თავის კერძს ოჯახში, ის გაამეფონ. მას უკან იმ დაწუნებულის მაგიერად რომ იჯდა მეფედ იმის სქესს აღარ ერგება მეფობა, რადგან იმ დაწუნებულის მაგიერად იჯდა მეფედ“ (95:213–214). მეფე მართებულად მიიჩნეოდა და შთამომავლობას წყევლით მოიხსენიებდა, თუ რომელიმე მის მიერ დაწესებული მეფობის რიგისა და წესის შეცვლას შეეცდებოდა. მაგრამ, თუ ერეკლეს მიერ განწესებული რიგის სრული ერგულნი და დამცველნი ტახტზე ავიდოდნენ, მაშინ ერსაც და ბერსაც მისთვის კურთხევა და თანადგომა უნდა გამოეცხადებინა. ამასთან, ხალხსაც და მეფესაც ერთმანეთთან თანადგომის, ერთმანეთზე ზუნეის და ქვეყნის ერთიანობის, მისი სიძლიერის დაცვისკენ, სამართლიანად და სამართლის საფუძველზე მოქმედებისკენ მოუწოდებდა. განწესების „მე“ მუხლით ერეკლე მეფობის მემკვიდრეობის ასეთსავე წესებს მოითხოვდა და აღიარებდა მთელ საქართველოში, ქართლ–კახეთს გარეთაც. ყველა მემკვიდრეს, მამრობითი ხაზიდან რიგ–რიგობით უნდა ემეფათ. ამასთან მემკვიდრეობით მიღებულ თავ–თავიანთ წილს დასჯერებოდნენ და ურთიერთ საკუთრებაზე ხელყოფა არ გაებედათ.

განწესების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს გააზატების, ყმისა და მამულის გაცემის წესს და მეფის სურვილს: მემკვიდრეებმა დაიცვან საქვეყნოდ მიღებული წესი და რიგი.

სამეფო ტახტისა და მემკვიდრეობის საკითხებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას. მეფეს მხედველობიდან არ გამორჩენია ქვეყნის განსაკუთრებულ სიტუაციაში ჩავარდნის შესაძლებლობა. ამ ვითარებაშიც მეფე

და ხალხი უნდა ყოფილიყვნენ მოწოდების დონეზე და ისე ემოქმედათ, როგორც ამას საჭიროება უკარნახებდათ. ასეთი ექსტრემალური სიტუაცია შეიძლებოდა იმ შემთხვევაში შექმნილიყო, თუ ვინმე მძლავრი მტერი მოევლინებოდა ქართულ სახელმწიფოსა და ქვეყანას. ასეთ ვითარებაშიც მეფე ერეკლე მოუწოდებს მემკვიდრეებს ყველაფერი იღონონ, „თუ ვინმე დიდი მძლავრი აღდგეს და საქართველოსა და კახეთის სამეფოებზე ქართველზე, სომეხზე და თათარზე მტერობით მოვიდეს, დაიჭიროს და დაიმორჩილოს, იმასთან, თუ შეიძლონ, ამ თავიანთ რიგის მოუშლელობას ეცადნენ დახარჯვით და სამსახურით, ეგების იმისი გული მოიმადლიერონ და იმანაც ეს წერილი დაამტკიცოს, ან თავისგანი სხვა ამისი დასამტკიცებელი წიგნი გამოსცეს; თუ არ იქნას, თქვენ კი ამ წიგნის დამრღვევი ნუ შეიქნებით, მიზეზი რომ ღმერთმან არ მოიკითხოს და მძლავრი, რასაც თავადა იქს, ღონე თუ იყოს და არ აქნევინოთ, დიაღ კარგი იქნება; თუ ღონე არ გექნებათ, რაც თითონ ენდომება, იმასა იქს და, თუ წინააღმდეგი შეიძლოთ, ის თქვენ იცით“ (95:218).

ეს საკითხი მართლაც დიდი წინათგრძნობით ჩანაწერად უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ჩანს, იგი ერეკლეს არც შემთხვევით და არც უადგილოდ არ უნდა ჰქონდეს შეტანილი განაწესში.

დასასრულ, ერეკლე ყურადღებას ამახვილებს განაწესის, როგორც დოკუმენტის ვადასა და ვარგისიანობაზე. ამის საფუძველიც, როგორც მეფეს, ჰქონდა და კარგად იცოდა, რომ უყურადღებოდ მისი დატოვება არ შეიძლებოდა. ამისი საჭიროება ერთი იმით იყო განპირობებული, რომ ქართველი მეფეების გადაწყვეტილებები მხოლოდ მათ სიცოცხლეში რჩებოდა ძალაში და შემდგომში მისი ხელახლა დამტკიცება იყო საჭირო. მეორე, როგორც ღმერთისა და სარწმუნოების ერთგულს, მისი ძლიერების თაყვანისმცემელს, განაწესში არა ერთგზის შეტანილი ღვთის შეჩვენებისა უეჭველად სჯეროდა და სწორედ ამიტომაც პირდაპირ, გარკვევით ჩაწერა: „თუ ველარ შეიძლონ ვერც თითონ იმ ჩემმა შთამომავალმან და ვერც ქვეყანამ, მას უკან

ღმერთმან კეთილად განაგებინოსთ. ნება აქვსთ, მაგრამ ჩემიდამ შვიდ თაობამდინ კი როგორც ზემოთ დამიწერია, ისე უნდა დამტკიცდეს, რომ ფიცით და წყევით დამიმტკიცებია; რომელმაც მოშალოს, ის ფიცი იმისი იყოს“ (95:220–221). „ჩემიდამ შვიდ თაობამდინ“, აი რა ხანგრძლივობა მიანიჭა მეფემ განაწესს, თუმცა უკიდურესიც არ დავიწყნია და სამწუხაროდ ყველაფერი სწორედ უკიდურესობამ შთანთქა.

მეფე ერეკლეს განაწესს მოჰყვა მისი მემკვიდრის გიორგი XII–ის წერილობითი პირობა, 1797 წლის 8 დეკემბრით არის იგი დათარიღებული და გადმოსცემს მეფისადმი მის ერთგულებას, მისი ბრძანების მორჩილად შესრულების სურვილს; გიორგი შესაბამის პატივს მიაგებდა და თანადგომას უცხადებდა დედას და დედოფალს დარეჯანს, ჰპირდებოდა მას ყველა იმ პირობის დაცვასა და შესრულებას, რომელშიც იმყოფებოდა ერეკლეს სიცოცხლეში; აცხადებდა, რომ განუხრელად შეასრულებდა მეფე ერეკლეს ბრძანებას მამულების განაწილების შესახებ. სამეფო ტახტისა და მეფობისადმი მისი დამოკიდებულება იყო ერეკლეს ანდერძის აღიარება „საქართველოს მეფობა უფროს უმცროსობით ჩამორიგებით იყოს ძმებზედ“ (95:222); უმცროს ძმებთან მიმართებაში გიორგი გამოთქვამდა სურვილს, რათა ისინი ირგელივ შემოეკრიბათ და თუ რამე აკლდათ, სამართლიანად შეესრულებინათ მათი მოთხოვნა, მაგრამ ძმებს ავალებდა უზრუნველეყოთ საკუთარი შვილების მხარდაჭერა დადგენილი პირობების შესრულებაში. სამეფო ოჯახის სხეებთან დამოკიდებულებისას, საქვეყნო და საოჯახო საქმის გადაწყვეტისას ერთმანეთთან შეთანხმებასა და აზრთა ეაზიარებას მოითხოვდა; გიორგი მეთორმეტე უფლისწულების, ოჯახის მემკვიდრეების წინაშე, აყენებდა საკითხს აღნიშნული პირობებისადმი ერთგულების შესახებ, მაგრამ თუკი ბზარი იჩენდა თავს მათ ურთიერთობაში, ოჯახის წევრთა ძალისხმევით ყველაფერი ეღონათ საქმის კეთილად შემოსაბრუნებლად, არ დაეშვათ ძმებს შორის შუღლი და დაპირისპირება. დასასრულს, გიორგი XII რწმენას გამოთქვამდა, რომ არც თვითონ ძმებს და არც ძმები მას არასოდეს გაუტეხდნენ სიტყვას, დაიცავდნენ ერთმანეთის

ინტერესებს. პირობები იმაევ თარიღით (1797 წლის 8 დეკემბერი) მთავრდება დაპირებით, რომელიც გიორგი XII-მ მისცა თაეის ძმას იულონს: „ჩემო ძმაე, ბატონიშეილო იულონ! მე თქვენი ძმა გიორგი ამ წიგნს გაძლევ, რომ, როდესაც მე გარდავიცვალო, ჩემ შემდგომ მეფობა შენ გქონდეს, შენი არის, ამას ჩემის ხელით გიმტკიცებ და ჩემის ბეჭდით. დეკენბრის 8 ქორონიკონს უპე, რომ იქნება ეკლესიურის რიცხვისამებრ ჩღუზ (1797) წელი“ გიორგი (95:223).

ასეთი დასასრული მოჰყვა მეფე ერეკლეს განაწესს მისი მომავალი მემკვიდრისაგან, მაგრამ არც ეს პირობა აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი, ისე როგორც მეფე ერეკლეს რწმენა შვილების მიერ საკუთარი განაწესის დაცვისა. ერთიც და მეორეც ძალიან ოლად შეცვალეს მემკვიდრეებმა და ვერც ერთმანეთთან ურთიერთობის ნორმების დაცვა მოახერხეს, როცა იმ ტახტის გამო დავა ატეხეს, რომლის დასაკუთრების უფლება ყველამ თანაბრად დაკარგა. თუმცა გიორგი XII-მაც არ დაიცვა ძმაზე მიცემული პირობა და მემკვიდრედ საკუთარი ვაჟი, დავითი გამოაცხადა.

გიორგი XII-ის „პირობა“ ერეკლე II-ის „განაწესის“ ბოლოს იყო მოთავსებული. ეს დოკუმენტები კი მირიან ბატონიშვილმა 1799 წლის 16 ნოემბერს რუსულად თარგმნა. არც ეს იყო შემთხვევითი, რადგან ამ დროისთვის ერეკლე უკვე ცოცხალი აღარ იყო, ტახტზე ასული მისი მემკვიდრე გიორგი XII-კი მძიმე მოლოდინის წინაშე მყოფი. ერთი სიტყვით, უკვე უბერავდა რუსული სიო და ქართველი მეფის მემკვიდრეებს ჯერ იმპერატორის წინაშე უწევდათ თავიანთი მემკვიდრეობის უფლებათა წარმოჩენა, შემდეგ კი ერთმანეთს შორის მორიგების პრობლემებიც აქტუალური გახდებოდა, თუმცა რუსეთის იმპერატორის კარზე სრულიად სხვა აზრი და ფიქრი ამოძრავებდათ. უამისოდაც, როგორც ლ.სანიკიძე მიანიშნებს: „არამცთუ სრულიად საქართველო, არამედ ცალკე ქართლ-კახეთიც კი არ წარმოადგენდა ერეკლესათვის ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს.. ექვსი იყო კანდიდატი ქართლ-კახეთის მეფობისა, ხოლო სამეფო ტახტი ერთადერთი იდგა

თბილისის სასახლეში. და აი სიბრძნით განთქმული ხელმწიფე ისე მოიქცა, ვითარცა ჩვეულებრივ, ბანალურ ზღაპარში ხდება ხოლმე: სამეფო შვილებს დაუნაწილა: კახეთი გიორგის მისცა, ქსნის ხეობა–იულონს, არაგვის ყოფილი საერისთაო (ლევანის სიკვდილის შემდგომ)– ვახტანგს, მარტყოფი – მირიანს, სურამი – ფარნაოზს. ამას კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მალე მოჰყვა ჩვეულებრივი შინაური შუღლი, მტრობა და მესისხლეობა" (42:97–98). ყველაფერი დიდი მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ დაიწყო, მაგრამ თუ შედეგი მეტი სავალალო არ აღმოჩნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ურთიერთმტრობაზე უფრო ძლიერი და დამთრგუნველი ძალა უკვე სახეზე იყო და იგი თავის სურვილს კარნახობდა ქართული სამეფოს მემკვიდრეობის მსურველებს.

IX. ევროპისკენ მიმავალმა გზამ მაინც რუსეთზე გაიარა

შინა აშლილობამ და გარეშე მტრების მუდმივმა თარეშმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ოწლეულში, მთელი სიმწვავით დააყენა დამოუკიდებლად ქვეყნის შემდგომი არსებობის საშიშროება და წინა პლანზე წამოიწია პრობლემა: „ბედი ქართლისა". ქართულ ლიტერატურულ სარბიელზე მას ნიკოლოზ ბარათაშვილი მოევლინა, ხოლო მთავარ პოლიტიკურ მესაჭედ – ერეკლე მეორე. სწორედ მას ხვდა წილად ქვეყნისათვის განსაკუთრებულ პირობებში გამოეტანა თავისი სამეფოს შემდგომი არსებობის გადაწყვეტილება. მაგრამ, სამწუხაროდ XVIII საუკუნის ბოლოს იყო იმის საშუალება, რომ საქართველოს მოეხდინა ძალთა მობილიზება და თავისი ისტორიული მისია კელავაც შეესრულებინა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს? ამ ეპოქაში წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი ასეთ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად საფუძველს თითქმის არ იძლევა, ვინაიდან, ჯერ კიდევ XV საუკუნის დასასრულიდან, ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლას იწყებენ ირანი და თურქეთი, ხოლო

XVIII საუკუნის დასაწყისიდან შავი და კასპიის ზღვებისკენ დაიძრა რუსეთი.

ამდენად, დღის წესრიგში დაისვა უმწვავესი პრობლემა: საქართველოს მიერ გაკეთებული არჩევანი თუ მისი მტრების მიერ საქართველოს არჩევა.

ნორმალურ ვითარებაში უმთავრესი უნდა ყოფილიყო პირველი, კერძოდ, საქართველოს გაეკეთებინა თავისუფალი არჩევანი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანა, აუცილებლობის შემთხვევაში, შეარჩევდა მისთვის სასურველ პარტნიორს, დაუახლოვდებოდა მას, დანარჩენებთან გააგრძელებდა ჩვეულებრივ ურთიერთობას, ან დარჩებოდა დამოუკიდებელ ქვეყნად და დაექვემდებარებოდა მეზობელ სახელმწიფოებთან თანაარსებობის იმ ეპოქაში მისაღებ ნორმებს. ასეთი არჩევანის გაკეთებას საქართველო შეძლებდა, ის რომ ერთიანი ყოფილიყო. სამეფო–სამთავროებად დაშლილ ქვეყანას ამ თავისუფალი არჩევანის საშუალებას არავინ აცლიდა. ამ გარემოებათა გამო სულ უფრო აქტიური ხდებოდა მეორე შესაძლებლობა: საქართველოსადმი არც თუ სასიკეთოდ განწყობილი მეზობელი ქვეყნები თვითონ გააკეთებდნენ არჩევანს და ამ შემთხვევაში არავინ გაითვალისწინებდა ჩვენს სურვილს. რეალურად შექმნილი ვითარება მეორე პრობლემას უფრო აქტიურს ხდიდა. ირანსა და თურქეთს საქართველო თავიანთი არჩევანის მთავარ საგნად მიაჩნდათ. ისინი ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ ეს ქვეყანა მათ შორის იყო გასაყოფი. ბუნებრივია, კიდევ უფრო უარესად შეხვდებოდნენ არენაზე სხვა პარტნიორის გამოჩენას, რომელიც საქართველოს მიტაცებაში მათ შეეცილებოდა. გარკვეულ პერიოდში ეს ქვეყნები მათთვის სასურველ ვითარებაში საქართველოს ჩაყენებას ალწევდნენ მხოლოდ იმის მეშვეობით, რომ სასურველ კანდიდატებს არჩევდნენ ამ ქვეყნის მმართველებად, თუმცა ამ არჩევანის გაკეთებაშიც არაერთხელ მოტყუვდნენ.

საქართველოდან რუსეთში ვახტანგ VI–ის გამგზავრების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, თუმცა ქვეყანა ბოლომდე მაინც არ აღმოჩნდა განწირული, რადგან მას ხსნად

და შემწედ ერეკლე მეორე მოეელინა. ერთი სიტყვით, „ქართლის ჭირის“ პრობლემათა განვითარება „ქართლის ბედის“ საბოლოო გადაწყვეტისკენ მიემართება. შესაბამისად მნიშვნელოვანი მომენტები ჩნდება ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის, რომლის მთავარი მიმართულება არა მარტო არსებული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაელის, არამედ მისი ავტორიტეტის კვლავ აღდგენისა და მფარველ–მოკავშირის ძიების ფართო პროგრამაც იყო.

ერეკლე მეორე საქართველოსთვის მართლაც ის მეფე იყო, მისი ცხოვრების პირობებს რომ შეესაბამებოდა. იგი შესანიშნავად იცნობდა მუსლიმანურ სამყაროს, მაგრამ გამეფების შემდეგ, თუმცა შაჰთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ამჯობინებდა, პოლიტიკაში სპარსოფილი არ გამხდარა. იგი ბოლმდე ქრისტიანული მოძღვრებისა და საქმის ერთგული დარჩა. ყველაზე უფრო რელიეფურად სწორედ მამა–შვილის, თეიმურაზისა და ერეკლე მეორის დროს გამოიკვეთა ირან–თურქეთ–რუსეთ–დასავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი საქართველოს დამოკიდებულების საკითხი. ყველა მათგანი მზად იყო ესარგებლა ქვეყნის ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებით და მისი მბრძანებელი გამხდარიყო; მისი ტერიტორია როგორც პლაცდარმი გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის (101). მხოლოდ თეიმურაზისა და ერეკლეს ვაჟკაცურმა შემართებამ, ქვეყნის გადასარჩენად ჩატარებულმა ომებმა, ზოგჯერ გულდასაწყვეტმა მარცხმა, მაგრამ საერთო ჯამში მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა, ქართლ–კახეთის გაერთიანების შემდეგ, დააყენა ფეხზე ქვეყანა. სწორედ ამ გზით XVIII ს–ის მეორე ნახევარში თავისი მეზობელი თუ შორეული ქვეყნებისათვის საქართველო შეიქმნა ანგარიშგასაწევი. მისი წარმატებების, ქვეყნის თავდასაცავად ჩატარებული ბრძოლების ამბავი შორს გაცდა ქვეყნის ფარგლებს. მართალია, ქვეყანა კვლავ წამოაყენა და ანგარიშგასაწევი გახდა, მაგრამ ერეკლე მეფეს კარგად ესმოდა ისიც, რომ მისი შემდგომი დატოვება მფარველ–მოკავშირის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა.

ერეკლეს წყალობით ქვეყანას დღეს და არა ხვალ, ჰქონდა ასეთი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, მაგრამ მეფე თუ

ხელსაყრელ მომენტს ხელიდან გაუშვებდა, მაშინ იმ აუცილებელ პირობასაც ვერავის წაუყენებდა, დღეს რომ დასმა და დაცვა შეეძლო. ამ პირობებში არა მარტო ქვეყნის გადასარჩენად ჩატარებული ბრძოლები და გამარჯვებები გვაქვს მხედველობაში, არამედ ის გარდამქმნელი საქმიანობაც, ერეკლე რომ ქვეყნის შიგნით, ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცება-განვითარებისათვის აწარმოებდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები მხოლოდ საქართველოში არ ხდებოდა. შესაბამის რყევას განიცდიდნენ მისი მტრებიც. ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც ჩრდილოეთში დიდხანს ეძებდა საშველს, ამჯერად სხვა ვითარებაში აღმოჩნდა. XVIII საუკუნეში შინაგანი პროცესების შედეგად ირანის სახელმწიფოც დაქვეითდა და წლების მანძილზე შაჰობის პრეტენდენტთა შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. ქართველები ამას კარგად ხედავდნენ, მაგრამ არც რუსული დიპლომატია იყო უმოქმედოდ. მან მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე ამ პროცესებით საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის მოღვაწეობა დაიწყო და კიდეც მისცა მას მისთვის სასარგებლო მიმართულება. ერთი კი არის, ამ მიზნების განხორციელებისთვის ჩვენი ჩრდილოეთის მეზობელს ამიერკავკასიაში დასაყრდენი ესაჭიროებოდა და განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოსავლეთი საქართველო იყო. რა თქმა უნდა, რუსული დიპლომატია ხელიდან არ გაუშვებდა მისთვის სასურველ მომენტს, მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ რიგზე არ იყო. ერთ-ერთი დამაბრკოლებელი პირობა ამ მიმართულებით ქართლ-კახეთში წამოჭრილი წინააღმდეგობა იყო. კერძოდ, ქართლის სამეფო მემკვიდრეობით ვახტანგ მეექვსესა და მის შთამომავლებს ეკუთვნოდათ, ამიტომ თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის სამეფო კარს ეჭვის თვალით უცქერდნენ, შიშობდნენ – ეაი თუ რუსეთის ხელისუფლებამ ჯარების საშუალებით ქართლი ისევე ვახტანგ VI-ის შთამომავლობას დაუბრუნოსო“ (57:93-94).. რუსეთის დიპლომატიას ამ დინასტიურ დაპირისპირებაში ჩარევა არც აინტერესებდა. უფრო მეტად იმაზე ფიქრობდა, როგორ განვითარდებოდა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის მოვლენები. ამის შემდეგ თბილისის ის

მმართველი იქნებოდა სასურველი რუსეთისათვის, ვინც მას მხარს აუბამდა. შექმნილ ვითარებაში ერეკლე სწორედ რუსეთის საშუალებით ფიქრობდა ტახტისა და ქვეყნის შენარჩუნებას. იგი დაკვირვებული, განათლებული მმართველი იყო და კარგი დიპლომატი (148). განსაკუთრებით კარგად იცნობდა ირანის საშინაო საქმეებს. ერეკლე ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში დარწმუნდა, რომ საქართველოს არ შეეძლო საკუთარი ძალებით თავი დაეღწია სპარსეთისა და ოსმალეთისაგან. არა და ეს ორი დიდი სახელმწიფო გასაქანს არ აძლევდა საქართველოს. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება. ამასთან, ერეკლე იმასაც კარგად ხედავდა, რომ რუსეთი ძლიერდებოდა და ამიერკავკასიისაკენ მოიწევდა. განსაკუთრებით ისარგებლა მან რუსეთ–თურქეთის 1768–1774 წლების ომის შედეგებით და მისი სიმპათია, ბუნებრივია, რუსეთის მხარეზე იყო.

ამის მიუხედავად, ერეკლეს ევროპის სახელმწიფოებთან კავშირზე ხელი არ აუღია, მის მიზანში ჩადებული იყო ევროპასთან ურთიერთობა. საამისოდ კი მეფეს ორი გზა ესახებოდა: ერთი, პირდაპირი და უშუალო კავშირი ევროპის სახელმწიფოებთან; მეორე, რუსეთის მეშვეობით ამ ამოცანის გადაწყვეტა. პირველ შესაძლებლობას რომ დიდ ყურადღებას უთმობდა ერეკლე მეორე, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ტრაქტატის გაფორმებამდე რამდენიმე ხნით ადრე 1781–1782 წლებში მან ერთხელ კიდევ მიმართა ევროპის სახელმწიფოებს დახმარებისთვის, კერძოდ, ერეკლე მეორემ წერილებით მიმართა ავსტრიის იმპერატორს იოსებ II–ს, პრუსიის მეფეს, საფრანგეთის მეფეს, ნეაპოლისა და სიცილიის მეფეს, სარდინიის მეფეს, ვენეციის რესპუბლიკას (98:90–91; 94–96; 103–105; 112–113; 120–121). აღნიშნული წერილების დიდი ნაწილი დათარიღებულია 1782 წლის 18 ოქტომბრით. ერეკლემ ევროპის ქვეყნების მმართველებთან ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, 1781 წელს, გაგზავნა წერილები მისიონერ დომინიკეს ხელით, მაგრამ იგი იმავე წლის 3 ივლისს გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში. ამიტომ ერთი წლის შემდეგ ერეკლემ ხელახლა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ევროპაში, ამჯერად რუსეთზე გავლით. ერეკლეს ეს წერილები ახლა პატრი მავრო

ვერონელს მიჰქონდა. მისი მოგზაურობის ზუსტი მარშრუტი, როგორც პროფ. ი. ტაბაღუა აღნიშნავს, – ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ავსტრიაში გაემგზავრა რუსეთზე გაელით, მიაღწია პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევს და იქ გარდაიცვალა" (98:62). ამის მიუხედავად, ერეკლეს წერილებმა მაინც მიაღწია ადრესატამდე, რადგან ისინი „ორ პოლონელ კაპუცინს წაულიათ ყველა მისი ქაღალდები ვენას პაპის ნუნციასთან და უთქვამთ მისთვის, რომ მიცვალებულ პატრი მაეროსს საქართველოს მეფისაგან ბევრი რამ ჰქონია პირადად დაბარებული" (98:63). ერეკლეს წერილების შესწავლის საქმეს დიდი ღვაწლი დასდო პროფ. ილია ტაბაღუამ. წერილების მთავარი მიზანი ევროპის ქვეყნების მმართველებისაგან თანადგომა და დახმარების სურვილი იყო. ერეკლეს განსაკუთრებით აინტერესებდა ევროპულ ყაიდაზე ჯარის გასაწვრთნელად სახსრების მოძიება. ამასთან ერეკლე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაერო ვერონელის მისიის საიდუმლოდ შენახვას "ესეც ასე გქონდეს შეტყობილი, – აფრთხილებდა იგი მაუროს, – რომ ღმერთმა ნუ ქნას თუ ყოველად მოწყალე ხელმწიფენისაგან ჩვენი სათხოვარ არ შესრულდეს, დიდი საიდუმლო იყოს და არ გამოცხადდეს, რომ ჩვენი დიდი საზიანო იქნება ამ საქმის გამოცხადება" (98:71).

როგორც ვხედავთ, ერეკლე მეორე გაგზავნილი წერილების შინაარსის გახმაურებისაგან თავს იკავებდა, ეს არც ყოფილა შემთხვევითი, რადგან მისი მტრები კიდევ უფრო მეტად არ განრისხებულიყვნენ. მაგრამ დახმარება თუ შესაძლებელი გახდებოდა, მაშინ ერეკლეს დიდი იმედი ჰქონდა, რადგან „რომელიც ევროპის შინა ჯარის განწესება არის, ის გაწესება ვიპყრათ ცოტანიცა, რომ ვიყვნეთ იმ რიგით, რამდენიც უნდა ბევრნი იყვნენ ჩუენს წინააღმდეგთ ღმერთით მაინც მოვერევით და არც ჩვენი წინააღმდეგობა იმათღა შეეძლება საბოლოოთ" (98:73). ასეთი იყო რწმენა ქართლ–კახეთის მეფისა მოსალოდნელი საფრთხის თაობიდან ასაცილებლად.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერეკლე მეორის 1782 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული წერილები ვენეციის

რესპუბლიკისადმი, რომელიც პროფ. ილია ტაბაღუამ ევროპის არქივებში მოიძია და ჯერ ფოტო პირების სახით 1979 წელს გამოაქვეყნა (98:94–96), შემდეგ კი 2000 წელს მცირე ფორმატიან გამოცემას „ევროპული ცნობები ერეკლე II–ის შესახებ“ დაურთო (99:41–43). ინტერესი იმანაც გაგვიძლიერა, რომ ჯერ კიდევ 1917 წელს ეს წერილები საკმაოდ საინტერესო კომენტარებით გამოაქვეყნა (97:12–16) ზაქარია ჭიჭინაძემ. პუბლიკაციის ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის თვით პატრის შესახებ, შემდეგ კი ერეკლე მეორის წერილებზე იწყებს საუბარს.

როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, პატრი მავრო ერეკლეს დიდი ნდობით სარგებლობდა: „მეფე პატრს მავროს ანდობს და ნებას აძლევს, რომ მან ილაპარაკოს იქ ქართველი მეფის სამაგიეროდ, სადაც კი საჭიროთ დაინახავს, ითხოვოს ის, რასაც სასარგებლოდ მიიჩნევს“ (97:13). ამის შემდეგ ზ.ჭიჭინაძე გულისტკივილით დასძენს, რომ სამწუხაროდ, ჩვენ ამ პატრის ცხოვრების შესახებ ბევრი არა ვიცით რა, ნამეტნავად ევროპაში წასვლის შემდეგ. ცნობები ისეა დაჩრდილული, რომ თვით ისიც კი არ ვიცით, თუ ეს მაღლის გონების მოძღვარი როდის მობრუნდა საქართველოში და ან რა პასუხი მოუტანა მეფეს. არა მგონია, რომ ამ პატრ მავროს მოგზაურობის შესახებ რამე ცნობები არ იყოს_ იმედია, რომ დრო და შეერთებული შრომა ბევრს რასმეს აღმოაჩენს“ (97:13) დრომ და ბატონი ილიას ძიებამ ამ ამბებს მართლაც დაუსვა წერტილი და ამაზე უკვე ვისაუბრეთ ზემოთ.

ერეკლე მეორის წერილებს, როგნორც ზ.ჭიჭინაძე წერს, ვენეციის ძველ არქივში დაუდევს ბინა და იგი სიტყვა–სიტყვით გადმოუწერია ქართველ კათოლიკეს–დიონისე კალატოზიანს.

პირველი წერილი „განათლებულთა მაგათ დიდთა ვენეციის ქალაქსა შორის შეკრებულთა“ ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ვითარებას, მტრისგან დაცვის საჭიროებასა და იმ თხოვნის შესრულებას, რომელიც პატრ მავროს ჰქონდა დავალებული პირადად გადასაცემად. ერეკლე მიმართავს ვენეციის ხელისუფალთ „ჩვენ

თქვენს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამსახურ არა მიგვიძღვის რა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და ივახსეთ, ღეთისა თხოვილი ჩვენი აღგვისრულოდ და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანეთა გული თქვენთვის მოიგვევით“ (97:15) ამ წერილში ზუსტად არ არის ნათქვამი რას ითხოვდა მეფე ერეკლე. იგი უფრო ნათლად და გასაგებად მეორე წერილშია ჩამოყალიბებული „მათ განათლებულთ დიდსა ვენეციის შეკრებულთა“, სადაც კონკრეტულ საკითხზეა საუბარი და მითითებულია: „ჩვენის სათხოვრის აზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და იმ ჯამაგირით გავაწყოთ ევროპის რიგზე, რა რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოდ რომ სცნავს, ვერასდროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს“ (97:15; 136:402–403).

ამის შემდეგ ზ. ჭიჭინაძის მასალაში უზუსტობა არის. კერძოდ, იგი მიანიშნებს, რომ ამ დროს, 1782 წლის ოქტომბერი, ერეკლე მეორე რუსეთის იმპერატორის, ეკატერინე მეორის, მფარველობაში იყო შესული და მას უფლება აღარ ჰქონდა რუსეთის იმპერატორის ნებადაურთველად რომელიმე სახელმწიფოსთან ლაპარაკი დაეწყოო. თუმცა აქ ორი გარემოება არის გასათვალისწინებელი: პირველი, ერეკლემ ევროპასთან ურთიერთობის შესახებ აუწყა რუსეთს (98:102–103; 108–109) და, მეორე, ტრაქტატი არა 1782, არამედ 1783 წლის იელისში გაფორმდა. ამიტომ ერეკლე თუ ამ წერილებს გაგზაენიდა დასაელეთ ევროპაში, დიდი ცოდვა არ იქნებოდა.

ამავე პერიოდში პირობები შემზადდა ინგლისთან საქართველოს ურთიერთობისათვის. ამ საქმეში, როგორც ზ.ჭიჭინაძე წერდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდოეთში მოღვაწე უმდიდრესმა ადამიანმა–იაკობ შახრიმიანმა. მას დიდი იმედი ჰქონდა მეფე ერეკლესი. ფიქრობდა, რომ თუ საქართველო გაძლიერდებოდა, ერეკლეს შესაძლებლობა ექნებოდა სომხეთსაც დახმარებოდა და იგი ეხსნა გასაჭირიდან. შახრიმიანმა შეძლო ერეკლეს დარწმუნება იმაში, რომ ინგლისი დაეხმარებოდა საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, სადაც

სომხებსაც თავისი ადგილი ექნებოდათ. ერეკლემ მიიღო მისი განზრახვა, „დესპანების პირით სრული მორჩილება განუცხადა, წერილიც გაუგზავნა და აუწყა, რომ ყველაფერზედ თანახმა ვართ, ერთი სიტყვით, მე ჩემს სიტყვას არ შევცელი, ყველაფერს დიდი პატივით და სიხარულით მივიღებთ. დამტკიცებული პირობა და მეფე ერეკლეს ნატერა მალე აცნობეს შახრიმიანს“ (74:43). მან კი, თავის მხრივ, ინგლისის მთავრობას აცნობა ერეკლეს სურვილი. ინგლისის ხელისუფლებმა სათანადო ცნობები მოითხოვეს საქართველოს შესახებ. შახრიმიანმა და მისმა მომხრეებმა შეადგინეს საჭირო ცნობები და მალე ცალკე წიგნიც დაბეჭდეს იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც საქართველოში უნდა განხორციელებულიყო. წიგნი სომხურ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა. ერთი წიგნი სომეხ კათალიკოსს გაეგზავნა ეჩმიაძინში, მეორე მეფე ერეკლეს და მესამე წიგნი კი ეკატერინე მეორეს. რუსეთის იმპერატორს წიგნთან ერთად თხოვნაც გაუგზავნეს, სადაც აღნიშნული იყო: „ინგლისის მთავრობამ თავს იდვას ქრისტიან ქართველთ და სომეხთ მფარველობა და პატრონობა. საჭიროა, რომ კავკასიაში ერთი ძლიერი საქრისტიანო სამეფო დაარსდეს, თორემ იქ ქრისტიანები დიდს ტანჯვა–წვალებაში არიან მაჰმადიანებისაგან. ინგლისის მთავრობას ჰსურს, რომ საქართველოს სამეფოს ხელი შეუწყოს, საქართველოს მეფე გააძლიეროს და იგი გამოაცხადოს მთელს კავკასიაში ქრისტიანთ ძლიერ მეფედ; თქვენ, როგორც ახლომდებარე სახელმწიფოს, მასთანვე კეთილმორწმუნე ქრისტიანი, თანამოსაყდრე და მერჯული საქართველოს ერისა, იმედია ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებთ და დახმარებას აღმოაჩენთ, რომ ეს საქმე მოხერხდეს, და მის საშუალებით ერთხელ და სამუდამოთ მთელს კავკასიაში მოისპოს ქრისტიანთ დევნა და შეწუხება“. ასეთი იყო წერილის შინაარსი, ძნელია იმის თქმა, რამდენად მიესადაგებოდა ამიერკავკასიაში საქართველოს გაძლიერების იდეა ეკატერინე მეორის კონსტანტინოპოლის აღდგენის იდეას, რომლის შესახებაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმპერატორის ეოლტერთან მიმოწერებში. ერთი კი არის, რომ რუსეთის იმპერატორი საქმის კურსში ჩააყენეს,

ის კი თავის მხრივ, საქართველოს პრობლემითაც რომ იყო დაინტერესებული, ესეც ფაქტია. ამასთან, ის კი არ გვაქვს მხედველობაში, რომ საქართველოს ბედით გულისტკივილი არ აძლევდა მოსვენებას რუსეთის იმპერატორს, არამედ საქართველო, როგორც ამიერკავკასიის ცენტრი, რომლის დაუფლების პოლიტიკითაც უკვე დიდი ხნის დაკავებული და დაინტერესებული იყვნენ რუსეთის ხელისუფალნი. მაინც, ეფიქრობთ, ინგლისთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს რუსეთის და მისი იმპერატორის განაწყენება არ უნდა გამოეწვია, რამდენადაც ასეთი იდეის ხორცშესხმას რუსულ პოლიტიკასთან დაპირისპირება არ უნდა მოჰყოლოდა, რამდენადაც რუსეთი თვითონ ქრისტიანობის დამცველად და მფარველად აცხადებდა თავს.

ყოველ შემთხვევაში, შახრიმიანის მოქმედების შედეგი ის გახდა, რომ ჩამოყალიბდა ინგლისთან ურთიერთობის საფუძველზე საქართველოს გარდაქმნის გარკვეული პროგრამა.

ამ მასალებს მეფე ერეკლეც გაეცნო და მხარი დაუჭირა. ძირითადი მიმართულება იმ წინადადებებისა, რომელიც ჩამოაყალიბეს, ითვალისწინებდა შემდეგს:

1. „საქართველოს საქრისტიანო სამეფო უნდა გაძლიერდეს. მას რიგიანი ძალა უნდა აღმოუჩნდეს ამ გაძლიერებისთვის. იგი უნდა დაუახლოვდეს ინგლისს და სხვათა ევროპიელ სახელმწიფოებს. ქართველთ უნდა ეცადონ, რომ ინგლისის დაახლოვებით ისარგებლონ თვითონ და ასარგებლონ კავკასიის სხვა ქრისტიანებიც.

2. ერეკლე მეფე უნდა გამოცხადდეს საქართველოს და სომხეთის მეფედ. უცხო ხელმწიფენი მას პატივს უნდა სცემდნენ როგორც ღირსეულს მეფეს; ამ მეფის სიკეთილის შემდეგ ტახტზე უნდა ავიდეს მისი უფროსი შვილი; ევროპის და აზიის ყველა სახელმწიფონი ახალ მეფესაც ისე უნდა უმზერდნენ, როგორც ძველ მეფეს; ევროპელთ საქართველოს დედაქალაქ თბილისში უნდა იყოლიონ თავიანთი საკუთარი ელჩები; აგრეთვე საქართველოს სამეფომაც უნდა გაგზავნოს თავის მხრივ ელჩები ევროპის და აზიის სხვადასხვა სახელმწიფო ქალაქებში.

3. საქართველოს სამეფო წესები მთლიანად უნდა შეიცვალოს;

თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში უნდა გაკეთდეს ჯარისთვის თავშესაფარი სახლი; უნდა მოგროვდეს ჯარი; მათთვის უნდა განწესდეს სამსახურის დრო; უნდა დაარსდეს სამხედრო სწავლა, შესდგეს არტილერია, სხვადასხვა საჭირო საქმეები და სწავლანი სახელმწიფოსათვის; ყველა ამაებისთვის ინგლისიდამ იგზავნება სამხედრო კაცები, აფიცრები და სწავლულნი, რომელნიც ამზადებენ ხალხს და ჯარს; ჯარს უნდა მიეცეს რიგიანი ტანთსაცმელი, ყველას ერთნაირი თოფები; ამის მცოდნე კაცები და ხელოსნები ინგლისიდამ უნდა გაიგზავნონ; საქართველოში სხვადასხვა ქარხნებიც უნდა დააარსონ.

4. ქალაქებში უნდა განწესდეს ქუჩების და სახლების გაკეთების რიგი და წესი; უნდა დაარსდეს ფოსტა; უნდა გაიმართოს სხვადასხვა სამმართველოები; იქ უნდა შეტანილ იქნეს ევროპის ერთა მსგავსი კანონმდებლობა და არა ისრე, როგორც დღევანდლამდინ არის, უფრო ოსმალებრ, ანუ სპარსულად; ვაჭრობა უნდა გაფართოვდეს, ამისთვის ღონისძიება უნდა იქმნეს აღმოჩენილი; ისევე უნდა გავრცელდეს ევროპული სწავლა და მეცნიერებანი.

5. ყველა ქალაქებში უნდა დაარსდეს რიგიანი სკოლები; აქ უნდა ასწავლონ ყველა სამეცნიერო საგნები და ენები; ინგლისური ენაც უნდა ასწავლონ; მასწავლებლები პირველ ხანებში ინგლისის აფიცრები და სწავლულნი იქმნებიან; ზოგი მოსწავლენი უცხო სახელმწიფოშიაც უნდა წავიდნენ სასწავლებლად; სწავლის შემდეგ იგინი საქართველოში დაბრუნდებიან დაუყონებლივ.

6. საქართველოში წვრილი თავადები და მთავრები უნდა მოისპონ, გაუქმდნენ; ერეკლე მეფეს გარდა სხვა მეფე არავინ უნდა იყოს საქართველოში; თავად–აზნაურები სულ მეფის ქვეშევრდომობის ქვეშ უნდა შევიდნენ; ტყვის ყიდვა და გაყიდვის ნება ისპობა; საქართველოს მეფე უმატებს ფულის მოჭრას; ამისთვის აფართოებს ოქროს და ვერცხლის მადნებს; ფულის მოჭრა და მისი წესები ფუძნდება კანონიერად; ხელოსნებს ამრავლებს; სახელმწიფო მოხელეებს ენიშნებათ ჯამაგირები თავთავიანთ თანამდებობის შესაფერად, ვისაც რა ეკუთვნის; ასევე ეძლევათ სამეფო გვარის წევრთ საჭირო ჯამაგირი.

7. თათრებისაგან ავაზაკობა, ყაჩაღობა და კაცის კვლა უნდა

მოისპოს; სრული მშვიდობიანი წესები უნდა დამყარდეს: ოსმალ–სპარსებთანაც მშვიდობიანი განწყობილება უნდა იქმნას; მათ აღეკრძალებათ ქურდულად ომი და ნავარდობა; მათთან დაარსდება მტკიცე, თან მეტად სპეტაკი პოლიტიკური მეგობრობა.

8. ყველა ამ საქმეების გასაკეთებლად შახრიმიანი სდებს თავის ათს მილიონს ფულს, რომ პირველ დაწყებით ამ საქმეებს ეს ფული მოხმარდეს; ამ ფულის მოხმარების შემდეგ ინგლისის მთავრობაც ეხმარება საქართველოს მთავრობას და გზაენის საქართველოში ბევრს საჭირო სახმარს იარაღებს, კაცებს, ფულს და სხვა. უკანასკნელ ისე ძლიერდება საქართველოს სამეფოს შესავალი და საქმეები, რომ თვით საქართველოს სამეფოს შესაველიდამ იფარება ყოველივე გასავალი.

9. შახრიმიანს ნება ეძლევა, რომ ინდოეთიდამ საქართველოში გადმოასახლოს 15 ათასი თავისი ინდოელი მონები, რომლებიც მისი საკუთარი მონები არიან; მათ საქართველოში უნდა გაავრცელონ შაქრის ლერწმის მოყვანა და სხვადასხვა ხელობა, რომლებიც მათ იციან და ეს ხელობა საქართველოში კი არ არსებობს.

10. საქართველოს სამეფოს გაძლიერებით ნელ–ნელა ძლიერდება სომხეთის ერისა და სამეფოს საქმეებიც და უკანასკნელ სომხეთიც გამოცხადდება თავისუფალ საქრისტიანო სამეფოდ და შემდეგ ქართველებთან ერთად და მეგობრულად განაგებენ თავიანთ სამეფოს და ერთა საქმეებს; ორივე ამ ხალხის მეფედ კი ბაგრატოანთ შთამომავალი უნდა იყვეს მეფედ.

11. სამეფოს ხარჯის და იჯარების ასაღებად ფუძნდება დიდი სამმართველო; არსდება მათთვის საჭირო სწავლა, კანონდებულება; იგინი ანაწილებენ ხარჯის ზომას, ყველა ვაჭრის, ხელოსნის და გლეხის შეძლების კვალობაზედ.

12. უქმდება მონური ბატონყმობა, ისპობა ტყვის ყიდვა, მტაცებლობა; ყოველი პირის პირადი უფლება რიგიანის პირობით იფარგლება და ისაზღერება; საქართველოს პატარა დაბებშიაც იმართება ახალი სამმართველოები, სასწავლებლები და გზები“ (100: 68–70; 74: 44–47).

იძულებული გავხდი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა—განვითარების

ეს საინტერესო გეგმა მთლიანად წარმომედგინა მკითხველისათვის. როგორც აღვნიშნავდით, მას გაეცნო მეფე ერეკლე. შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, არა თუ იცნობდა ქართველი მეფე, არამედ ძალიან ბევრი ისეთი პრობლემა არის მასში წინა პლანზე წამოწეული, რომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თვით ჩვენი მეფის წინადადებით შეტანილს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სხვის მიერ მასთან გასაცნობად გამოგზავნილს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აღვნიშნავთ: რეგულარული ჯარის შექმნა–ჩამოყალიბებისა და გაწვრთნის საკითხები; სათავადოების და ურჩი თავადების და ერისთავების პრობლემა; ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება; სამართლებრივი ურთიერთობისა და ნორმების დამკვიდრების საჭიროება; ერთიანი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების განმტკიცება; ტყეთა სყიდვის; მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის; განათლების და რიგი სხვა საკითხები, რომელთა მოგვარება საჭირო იყო არა მარტო ქვეყნის გარდაქმნა–განვითარების, არამედ მისი დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებლად არსებობისათვის. ეს პროგრამა რეალურად იყო ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების ერცელი და საინტერესო პროგრამა.

ერეკლე მეფეს რომ ყურადღებით მიუღია და მისი განხორციელებისთვისაც მზად ყოფილა, ამისი დასტურია ის ღონისძიებაც, რომელიც ამასთან დაკავშირებით განახორციელა. „მეფე ერეკლემ როცა ეს წიგნი გაიცნო შახრიმიანს თავადიშვილობა უბოძა და საცხოვრებლად მთელი ლორის მაზრა“ (100: 70–71). საბუთები სათანადოდ გააფორმეს და 1795 წელს მეფე ერეკლეს ბრძანებით შახრიმიანთან გაგზავნეს თბილისის მოქალაქე, აზნაური რაფიელ დანიბეგაშვილი. მას გაატანეს თავადიშვილობის და ლორის დამტკიცების საბუთები. ერთი წლის შემდეგ იგი ჩავიდა ინდოეთში, მაგრამ შახრიმიანი ცოცხალი ვეღარ ნახა. საბუთები შვილს გადასცა და ყველაფერი გააცნო, ისიც სიამოვნებით დაეთანხმა საქართველოში ჩამოსვლასა და საქმის მოგვარებაზე, მაგრამ ვეღარ მოახერხა. მათი მამული ლორის ხეობაში მრავალი წლის მანძილზე იყო დაცული როგორც მათი კუთვნილება; შემდეგში კი იმ თავადებმა დაიბრუნეს

რუსეთის ხელისუფლებიდან, რომლებსაც თავის დროზე მეფე ერეკლემ ჩამოართვა. რაფიელ დანიბეგაშვილი სამშობლოში 1798 წელს დაბრუნდა. მეფე ერეკლე მას ცოცხალი აღარ დახვდა. ასე დაედო ზღვარი ამ შესანიშნავი გეგმის განხორციელების საქმეს (100:71).

მეფე ერეკლეს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა ცარიელ ნიადაგზე არ დაუწყია. მის მიერ გადახდილი ბრძოლები და მოპოვებული წარმატებები იყო რეალური გარანტი იმისა, რომ ევროპის ქვეყნების მონარქებს მისთვის ანგარიში გაეწიათ. ამ პერიოდს მიაწერენ პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის მიერ ნათქვამ სიტყვებს „ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში – ერეკლეო“. ამ აღიარების კიდევ ერთი დასტური იყო ი. ტაბალუას მიერ გამოვლენილი მასალა, რომელიც 1766 წელს გამოქვეყნდა პორტუგალიაში, ლისაბონში. ეს არის მცირე ფორმატის წიგნის სახით დაბეჭდილი მოთხრობები. „ახალი ცნობა სახელოვან ბრძოლასა და დიდებულ გამარჯვებაზე, რომელიც სახელგანთქმულმა ქართველთა მეფემ ერეკლემ მოიპოვა თურქეთის ქედმაღლურ მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (99:12–17) და „ახალი ცნობები წარმატებით გამარჯვებაზე, რომელიც მეფე ერეკლეს ჯარებმა 1788 წლის 16 იელისს ქალაქ ტრაპიზონის აღების დროს მოიპოვეს“ (99:22–26). შეიძლება პუბლიკაციაში ყველაფერი სიზუსტით არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ როგორც მისი ავტორი მიანიშნებს, მთავარი ის არის, რომ ჩვენი მეფის გმირობის ამ ამბავმა პორტუგალიელებამდეც მიაღწია და მათაც, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ქვეყანას ამცნეს სახელოვანი ქართველი მეფის გმირობის შესახებ.

მართალია, ერეკლე მეორემ თითქმის მის ხელთ არსებული შესაძლებლობანი გამოიყენა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობისა და მათი მეშვეობით ქრისტიანობისა და საქართველოს გადარჩენისათვის, მაგრამ „დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისადმი მიმართვიდან არაფერი გამოვიდა“ (102:228).

ამდენად, მას უკვე მეორე საშუალება უნდა გამოეყენებინა: ესარგებლა რუსეთთან ურთიერთობით. ეს ურთიერთობა კი

უკვე საკმაოდ ხანგრძლივი იყო და ახალ ვითარებაში კიდევ უფრო ხელმისაწვდომი. ამასთან, XVIII საუკუნემდე, XVI–XVII საუკუნეებში, როგორც სპარსეთთან ან თურქეთთან ურთიერთობის ინტერესები მოითხოვდა, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები იძულებულნი იყვნენ შეეწყვიტათ და კიდევაც წყვეტდნენ რუსეთთან კავშირს, XVIII საუკუნეში კი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს და ქართველ ხალხს მთლიანად, უდიდესი განსაცდელის მიუხედავად, რუსეთზე აღებული ორიენტაცია არ შეუცვლიათ და მასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ. ეს არც იყო შემთხვევითი, რამდენადაც XVIII საუკუნეში თვით რუსეთში მოხდა ისეთი სერიოზული ცვლილებები ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რომლებმაც ოგი საქართველოსათვის ჯერ სასურველ პარტნიორად, შემდეგ კი მფარველობისათვის მისაღებ ერთადერთ ქვეყნად გადააქციეს. ამის ერთ–ერთ ხელშემწყობ მიზეზად უნდა დავასახელოთ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოებისათვის ჩატარებული ღონისძიებები, რომელთა შედეგად მისი საზღვრები საქართველოს სულ უფრო მოუახლოვდა. თავის მხრივ, ეს გაფართოება იყო იმ პოლიტიკის შემდგომი განგრძობა, რომელიც პეტრე პირველის დროს დაიწყო და რუსეთს ფართო გზა გაუხსნა დასავლეთის ცივილიზაციისაკენ. ალბათ, ესეც იყო ერთერთი მიზეზი იმისა, რომ „საქართველოს სახელმწიფოს გამოჩენილი მეთაურები არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან და ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩვენი ქვეყნის ბედი გადაჭრით დაუკავშირონ რუსეთს, რომელშიც ისინი ხედავენ ჩამორჩენილი მუსლიმანური სამყაროდან საქართველოს გამოხსნის ერთადერთ რეალურ შესაძლებლობას“ (103:13). ეს აზრი მისაღები და გასათვალისწინებელია, რამდენადაც საქართველოს პრობლემების გადაწყვეტის შემდგომი გაჭიანურებაც შეუძლებელი იყო. ამ ვითარებაში ხელსაყრელი გარემოების გამოუყენებლობა ალბათ, კიდევ უფრო გაართულებდა მდგომარეობას. მომენტით სარგებლობისათვის კი მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ, თავის მხრივ, რუსეთიც ცდილობდა კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე გაბატონებას, ამიტომაც შემთხვევითი არ

იყო რუსული დიპლომატიის საქართველოთი დაინტერესება. ეს ყველაფერი ტრაქტატის გაფორმებამდე ცოტა ხნით ადრე ხდება. რუსეთის წარმომაადგენლები 1782 წელს მოლაპარაკებას იწყებენ ერეკლე მეორესთან. კერძოდ, რაინეგსს საგანგებოდ ჰქონდა დავალებული ჩაეგონებინა ქართლ–კახეთის მეფისთვის, რათა ფორმალურად ეთხოვა მფარველობა რუსეთისაგან (85:86), რომელიც მზად იყო დახმარებოდა საქართველოს. ამ ურთიერთობას შედეგად მოჰყვა ერეკლე მეორის მიერ შედგენილი 1782 წლის 21 დეკემბრის „სათხოერის პუნკტები“ რუსეთის იმპერატორისადმი.

ამდენად, ერეკლე მეორემ „სათხოერის პუნქტებით“ კიდევ ერთხელ დააზუსტა თავისი პირობები, რათა მხედველობიდან არ გამოპარვოდა ქვეყნისთვის აუცილებელი მომენტები. ასეთი თადარიგიანი მზადების შემდეგ 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე–სიმაგრეში შედგა ტრაქტატზე ხელმოწერა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწაწყლის, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვა–დახმარებას კისრულობდა... მაგრამ ერეკლე მეფეს მარტო ამისთვის არ დაუდვია ეს ხელშეკრულება; მას უფრო ფართო და შორსმჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული: ქართველების გაერთიანებასა და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა“ (85:88). მაგრამ ამ დოკუმენტისადმი მიდგომასა და მის შეფასებას ივ. ჯავახიშვილი განიხილავს ისტორიული თვალსაზრისით. საკითხის გარკვევის უტყუარ გზად იგი მიიჩნევს იმას, რომ „თუ გამორკვეული იქმნება რა თვისებების დამოკიდებულების დამყარება სურდათ საქართველოს და რუსეთის მთავრობებს, როდესაც 1783 წლის ხელშეკრულებას სდებდნენ, და თანაც გვეცოდინებოდა, თუ რა სახელს უწოდებდნენ იმდროინდელი ქართველები და რუსები ამ დამყარებულ საერთაშორისო დამოკიდებულებას, მაშინ თვით საკითხიც გამორკვეული იქმნება“ (85:91).

როგორც ცნობილია, ერეკლე მეორე „მფარველობას“ ითხოვდა რუსეთისგან, რომ საქართველოს მეფეები „ყოველთვის ერთმორწმუნეობის გამო დახმარებას და მფარველობას“ (85:91)

ეძებდნენ სრულიად რუსეთის ხელმწიფეებისაგან. ივ. ჯავახიშვილი ამასთან ერთად, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს 1783 წლის ხელშეკრულების დადების დროს იმას, რაც თვით რუსეთის დედოფლის, ეკატერინე II-ის ბრძანებით იყო სახელმძღვანელოდ შეტანილი მასში. ივ.ჯავახიშვილის აზრით, გარკვევით არის ნათქვამი როგორი ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო და როგორი უფლებრივი დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო ამ ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობის სურვილისამებრ, საქართველოსა და რუსეთს შორის: „მისი უდიდებულესობის აზრი იყო, რომ ქართველ მეფეებთან (ე.ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან)დადებულიყო მოკავშირეობის ხელშეკრულება ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, არამედ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს ქვეშ მყოფ მოკავშირეებად ყოფილიყვნენ წოდებულნი“ (85:92) და მიანიშნებს, რომ ეს მითითება, მართლაც, როგორი სიზუსტით არის შესრულებული, არსად რუსეთის ქვეშევრდომობა ნახსენები არ არის. ივ.ჯავახიშვილი მიუთითებს კიდეც, „სრულებით ცხადია, რომ ერეკლე მეფეც, სოლომონ მეფეც და მთავრებიც ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა მხოლოდ „მფარველობა და კავშირი“. მაშასადამე, 1783 წლის ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი აეუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და... 1783 წლის ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ“ (85:93).

მაინც რამ განაპირობა ეს არჩევანი?

ერეკლე მეორეს არც დიპლომატიური ნიჭი აკლდა და არც ვაჟკაცობა, სამხედრო ნიჭი, გაბედულება; ქვეყნის შენარჩუნებისათვის მის მიერ გადახდილი ბრძოლები აშკარად ადასტურებენ ამას.

მისთვის ასევე კარგად იყო ცნობილი ვახტანგ VI სურვილი პეტრე პირველის მხარდაჭერით გადაეწყვიტა სპარსეთის პრობლემა. სურვილი სურვილად დარჩა და შედეგებმა კი თითქმის მიწასთან გაასწორა ქვეყანა. სპარსეთის ამ განრისხებაში,

ისე როგორც შემდეგშიც, მთავარი როლი ითამაშა მაშინდელ რუსეთზე ორიენტაციამ. მისი დამეზობლება არ აძლევდა მოსვენებას მეზობელი მუსლიმანური სამყაროს ქვეყნებს. როგორც ჩანს, ირანის ზნე-ჩვეულებათა კარგად მცოდნე მეფე ერეკლეს ყველაზე ნაკლებად დარჩა ამ ქვეყნისადმი ნდობის გამოცხადების შესაძლებლობა.

ტრაქტატის გაფორმების წინა პერიოდში ისიც კარგად იქნა გათვალისწინებული, რომ რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას უკვე ველარ გაუძლებდნენ ირანი და თურქეთი და თუ ამის საჭიროება იქნებოდა, რომელიმე ამ სახელმწიფოს მინდობილი საქართველოს კვლავ წაგლეჯდა და თავის პლაცდარმად გადაქცევა, რუსეთს უკვე აღარ გაუჭირდებოდა. ამიტომაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ამით თავისი ისტორიული მისია შეასრულა, როცა რუსეთს მფარველობა სთხოვა, სანაცვლოდ კი ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებასა და გარეშე მტრებისაგან საკუთარი ქვეყნის დაცვის საჭიროებაზე დაითანხმა.

ამ ნაბიჯის გადადგმა ქართლ-კახეთის მეფეს იმანაც გადააწყვეტინა, რომ სწორედ რუსეთი იყო ის ერთადერთი ქვეყანა, საქართველოს მეზობლად, რომელიც ერთმორწმუნე იყო. არ შეიძლებოდა ქართველთა მეფეს დაეეიწყებინა, რომ იგი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის პატრონი იყო და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაც არ იყო პატარა მიზეზი რუსეთთან დაკავშირებისა. ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო, როცა ერეკლეს გადაწყვეტილებას აფასებდნენ, ეს მნიშვნელოვანი გარემოება ხშირად სათანადოდ არ ფასდებოდა. ისეთ ქვეყანაში კი, როგორიც საქართველოა, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის უყურადღებოდ დატოვება და გაუთვალისწინებლობა შეცდომა იყო. მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებაც, ქართლ-კახეთის მეფეს საკმაოდ კარგად ორგანიზებული ინფორმაციის წყარო ჰქონდა მეზობელ ქვეყნებში. მას კარგი აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული და შესანიშნავად იცოდა, როგორ დასრულდა ბიზანტიის პრობლემა. სწორედ თურქებმა დაუსვეს წერტილი მის არსებობას. მათსავე კუთვნილებაში იყო მოქცეული საკმაოდ

ერცელი ქართული მიწებიც და არც იქ მცხოვრები ქართველები იმყოფებოდნენ უკეთეს პირობებში. ყოველ შემთხვევაში, ეს სამყარო ქართველებისთვის მიუღებლად უნდა ჩაეთვალოთ. თავის მხრივ, არც რუსული სინამდვილე იყო მეფისთვის უცნობი. ალბათ, შესანიშნავად მოეხსენებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების შესახებ. თუნდაც თვით სლავური წარმოშობის ხალხები უკრაინელები და ბელორუსები გავიხსენოთ. როგორი აღმოჩნდა მათი ბედი იმპერიაში? აი რას წერს აკ.სურგულაძე: „მიაღწია რა ორი მოძმე ერის რუსი და უკრაინელი ერების გაერთიანებას, ცარიზმმა უფრო გამეტებით დაიწყო „უმცროსი ძმის“ დაჩაგრა-დამონება. იგი არ ცნობდა უკრაინელ ერს. ხმარებიდან ამოძირკვა სიტყვა „უკრაინა“, როცა მთელი შემოერთებული მხარე რუსულ გუბერნიებად დაყო, ხოლო ველიკოროსიისაგან განსხვავებით, უკრაინის დიდ ნაწილს მალოროსია შეარქვა“. ეს ყველაფერი იყო ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის შედეგი. სინამდვილეში როგორი იყო უკრაინის რუსეთთან შეერთების პირობები? ოფიციალური საარქივო დოკუმენტები სრულიად საწინააღმდეგოს ასაბუთებენ. კერძოდ, 1653 წლის 20 დეკემბრის დოკუმენტით აღიარებულია უკრაინელი ხალხის რუსეთის მფარველობაში მიღება და ბოგდან ხმელნიცკისათვის სათანადო რეგალიების გადაცემა დადასტურებულია მეფის შესაბამისი სიგელით (106). 1654 წლის 4 მარტს მეფე ალექსი მიხეილის ძის წყალობის სიგელით „ქ.პერეიასლაველის მეშჩანთა პრივილეგიებისა და უფლებების შესახებ“ დადასტურებულია „პერეიასლაველის მოქალაქეთა იმ უფლებებისა და პრივილეგიების ბოძება, რომელიც მათ ადრიდანვე ჰქონდათ მინიჭებული პოლონეთის მეფისაგან“ (107).

1654 წლის 21 მარტს რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლებას გადაეცა ბოგდან ხმელნიცკის წერილი თხოვნით „დაამტკიცოს უკრაინელი ხალხის უფლებები და პრივილეგიები და მეფის შესაბამის სიგელებთან ერთად სასწრაფოდ დააბრუნოს გეტმანის წარმომადგენლები“ (108). საპასუხოდ 1654 წლის 27 მარტს დაიწერა მეფე ალექსი მიხეილის ძის სიგელი „რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში უკრაინის მიღების, მისი

მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლების დამტკიცების, მოსკოვიდან უკრაინის ელჩების— ს. ბოგდანოვიჩისა და ა. პ. ტეტერის გაშვებისა და გეტმანისათვის საჯარისო ბეჭდის გაგზავნის შესახებ“ (108). მეფის სიგელი ოფიციალურად იტყობინებოდა, რომ უკრაინა მიღებული იყო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი, ზაპოროჟიეს ლაშქარი და თქვენი წარგზავნილები, რომლებსაც აქედრებდით დიდ ხელმწიფეს, შეწყნარებული არიან. არის ბრძანება სამშობლოში მათი დაბრუნების შესახებ და თქვენ, გეტმანსა და ზაპოროჟიეს ლაშქარს, გამოგეგზავნათ ჩვენი სახელმწიფო ბეჭედი, რადგან ძველი სამეფოს საჯარისო ბეჭედი ახლანდელ ვითარებაში ალარ გამოდგება (108).

ამდენად, უკრაინის რუსეთთან შეერთებისათვის მზადების პროცესში თითქმის ყველაფერი სათანადოდ იყო გათვალისწინებული და შეთანხმებული, თუმცა მომავალ ურთიერთობაში როგორც უკვე აღინიშნა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მაგრამ რაც მოხდა, იმიტომ კი არ მოხდა, რომ უკრაინელმა ხალხმა რუსეთთან შეერთების დროს დაივიწყა თავისი არსებობის უმთავრესი პირობები, არამედ სუვერენული უკრაინა, ისე როგორც იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სხვა ხალხების ინტერესები, არ მიესადაგებოდა ცარიზმის პოლიტიკას. ამ გარემოებისა და მმართველი წრეების შორს გამიზნული გარუსების პოლიტიკის წყალობით, ყველაფერი დავიწყებას მიეცა. დაიკარგა ეროვნული სახელმწიფოებრიობა უკრაინაში და ისიც ადმინისტრაციული დაყოფის რუსულ წესებს დაექვემდებარა. ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა ცარიზმი ბელორუსიასა და ლატვიაში“ (104:19–21), მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხთან მიმართებაში.

შესაბამისად, შეიძლება ეჭვის გარეშე ვთქვათ, რომ ერეკლე II–ს შემთხვევით როდი აუღია რუსეთზე კურსი. მან კარგად გააანალიზა ამ ნაბიჯის ყველა მხარე და, როცა საბოლოო არჩევანი გააკეთა, ბოლომდე უერთგულა მას. ამასთან, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მეფემ შესანიშნავად იცოდა რუსეთის მომავალი გეგმებისა და მადის შესახებ სამხრეთში და ამ მიზნების მისაღწევად მისი შესაძლებლობებიც.

შესაბამისად ილვაწა იმისთვის, რომ შთამომავლობის წინაშე დაეტოვებინა მაქსიმალურად მისაღები და მხარდასაჭერი დოკუმენტი. ალბათ, ამითაც იყო განპირობებული, რომ ტრაქტატში სათანადოდ წარმოჩნდა ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებები. ამასთან, მასში საკმაოდ შორსმჭვრეტელურად იყო ჩამოყალიბებული დიდი ქვეყნის მფარველობაში შესული მცირე ქვეყნის პრობლემები, უმთავრესი მიზანი კი სათანადოდ დაცული, რათა ამ მფარველობა–შეერთებას არ გამოეწვია მცირე ქვეყნის შთანთქმა.

დასასრულს, ბოლოს და ბოლოს მფარველ–მოკავშირის ძიების პროცესი დასრულდა რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებით, მინდა ხაზი გაეუსვა არა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებას! ეს არ არის შემთხვევითი, რამდენადაც იმ პოლიტიკური პროცესის შედეგად, რომელიც ქართლ–კახეთის სამეფოს მესვეურთა მიერ რუსეთთან ქართული სამეფოს შეერთებას მოჰყვა, თითქმის არაფერი დარჩენილა იმ დაპირებებიდან, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით იყო გათვალისწინებული. ახალი პოლიტიკური ნება ორი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა აშკარად იმის საპირისპირო გახდა, რასაც მეფე ერეკლე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რუსეთთან მიმართებაში ეძიებდა. ამჯერად კვლავ მინდა მივუბრუნდე ჩვენს მიერ ერეკლე მეფის „განწესებანის“ დასკვნით ნაწილში ჩაწერილ სიტყვებს: *„თუ ვინმე დიდი მძლავრი აღდგეს* (ხაზგასმა ჩვენია––ე.ბ.) და საქართველოსა და კახეთის სამეფოებზე ქართველებზე, სომეხზე და თათარზე მტერობით მოვიდეს, დაიჭიროს და დაიმორჩილოს, იმასთან, თუ შეიძლონ, ამ თავიანთ რიგის მოუშლელობას ეცადნენ დახარჯვით და სამსახურით, ეგების იმისი გული მოიმადლიერონ და იმანაც ეს წერილი დაამტკიცოს ან თავისგანი სხვა ამისი დასამტკიცებელი წიგნი გამოსცეს: და მძლავრი რასაც თავადა იქს, ღონე თუ იყოს და არ აქნევინოთ, დიაღ კარგი იქნება, თუ ღონე არ გექნებათ, რაც თითონ ენდომება, იმასა იქს და, თუ წინააღმდეგი შეიძლოთ, ის თქვენ იცით“ (95:218).

ვფიქრობ, ერეკლე მეფის ამ სიტყვებზე ყურადღების

გამახვილება ნამდვილად ღირს, რადგან ასე აშკარად თითქმის ვერ შეეხედი მის გამონათქვამთა შორის ქართველთა, სომეხთა და თათართა დიდი მტრის ცნებას, რომელიც ძალით, მტერობით მოვიდოდა მათ დასაჭერად და დასამორჩილებლად. ერეკლე მეორის სიცოცხლის ბოლო წლებში ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელიც ამას იზამდა, გარდა ერთისა არ არსებობდა. მეფეს სპარსეთი ან ოსმალეთი რომ ჰქონოდა მხედველობაში იგი განუსაზღვრელ ნაცვალსახელს არათუ ჩაწერდა, ზეპირადაც არ იტყოდა. ამ ქვეყნებს შესანიშნავად იცნობდა და „ვინმე დიდ“–ში მათ მოხსენიებას არც შეეცდებოდა. ევროპის ქვეყნები როგორი პატივით ექცეოდნენ, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ამიტომ გვრჩება მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომლის მოსვლის მოლოდინში იმყოფებოდა თვითონ და რომლის ბუნებაც შესანიშნავად მოეხსენებოდა, ეს ქვეყანა რუსეთი იყო და ერეკლეც თავის მემკვიდრეებს ავალებდა, ყველაფერი ელონათ, ეთხოვათ, საჩუქრები მიერთმიათ, ემსახურათ მასთან და ისე მიეღწიათ ქვეყნის არსებობის შენარჩუნებისთვის და თუ აღნიშნული ღონისძიებები, ანუ ცდა – შედეგს არ გამოიღებდა, მაშინ გამოსავალი ერთი რჩებოდა და მას ვეღარ გაექცეოდნენ „რაც თვითონ ენდომება, იმასა იქს“ და მართლაც, რაც თვითონ უნდოდა სწორედ ის ქნა, ჯერ სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი დაგვათმობინა, შემდეგ ქვეყნის შემადგენელ ნაწილად გვაქცია (მე–19 საუკუნე), ბოლოს მოვიდა და სომეხიც, აზერბაიჯანელიც და ქართველიც ძალით დაიპყრო (მე–20 საუკუნე), ეს უკანასკნელი უფრო გვიან მოხდა, მაგრამ პირველი და უმთავრესი, საქართველოს შეერთება ერეკლეს ეპოქის გაგრძელება იყო, მალე აღსრულდა მეფის წინათგრძნობა, ანუ უკრაინასთან ერთად საქართველომაც, ამჯერად მეორე ქვეყანამ, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრიობითა და ოფიციალური დოკუმენტით გააფორმა რუსეთთან ურთიერთობები, ყველაფერი დათმო და მის გუბერნიად იქცა. ასეთი იყო პოლიტიკური შედეგი ხანგრძლივი ძიებისა და ლოდინისა ერთმორწმუნე ქვეყანასთან დასაკავშირებლად.

უნდა გექონოდა თუ არა სხვა მოლოდინი? სამწუხაროდ, თუ

რუსული პოლიტიკით ვიხელმძღვანელებდით, ალბათ, ზედმეტი ილუზია იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ რომანოვების დინასტიის იმპერიაში დარჩებოდა სამეფო ტახტი, რომელიც მასზე ასეული წლებით მეტი არსებობით იამაყებდა. ეს ნიშნავდა არა ქვეშევრდომს, არამედ დამოუკიდებლობის იდეის ცოცხალ ნიმუშს იმ იმპერიის ორგანიზმში, რომელიც არასოდეს არავის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას არც შერიგებია და არც შეურიგდებოდა. ამისი ნათელი მაგალითი იყო უკრაინა საქართველოზე ადრე, ხოლო საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ მიერთებულ ქვეყანას იგი საკუთარ სახელმწიფოებრიობას ვერ შეუნარჩუნებდა, „ხალხთა საპყრობილედ“ ქცეული ქვეყნიდან ასეთი გამონაკლისის დაშვება წარმოუდგენელი იყო. იგი ერთიანი იმპერიის სახით იქმნებოდა და არავის ნებით არ უღალატებდა ალიარებულ პრინციპს. ქვეყნის ტერიტორიული დაყოფის მიღებულ წესებს, ამიტომაც იქცა ჩვენი ქვეყანა რუსულ გუბერნიად და ამაში გასაკვირიც არაფერი იყო. საქართველოს სურდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამისთვის შესაბამისი ხარკი უნდა გაგვეღო, რა თქმა უნდა, საკადრისი ღირებულებით. სწორედ ასეთი ღირებული მაშინდელი გადასახედიდან იყო ქართული სახელმწიფოებრიობა. ასე რომ, ერთი ქვეყნის საფარქვეშ სრულიად საქართველოს ტერიტორიის მოქცევა სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდა. ეს იყო შედეგი მეთერამეტე საუკუნის დასასრულისა. ორი საუკუნის მანძილზე საქართველო იყო ერთიანი და გარეშე მტერთან ბრძოლაში ყავდა „მფარველი“, ხოლო, როცა ორი საუკუნის შემდეგ, კვლავ თავისუფლება მოისურვა, ამჯერად მიაღწია სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მაგრამ იმავე ხარკის ფასად: ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის გზით.

X. «გეორგიევსკის ტრაქტატი» - ერეკლეს გაცრუებული იმედები

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1783 წლის ტრაქტატი ანუ მეგობრობითი პირობა „მფარველობით“ ტრაქტატად არის მიჩნეული. თუმცა, როგორც პროფ. ლ. ებანოიძე აღნიშნავს, ყველა არ იზიარებდა ამ აზრს და თელიდა, რომ ტრაქტატი გამოხატავდა ვასალის დამოკიდებულებას სიუზერენთან, რომ საქართველომ ვასალური მორჩილება აღუთქვა რუსეთს, რომ ჩვენმა მეფეებმა უვიცობა გამოიჩინეს პოლიტიკურ საკითხში. კრიტიკულად აქვეთ განსჯილი ტრაქტატი მ. ხელთუფლიშვილს, ზ. ავალიშვილს, ა. ჯორჯაძეს და სხვებს (103:25–32).

და მაინც რა მოუტანა გეორგიევსკის ტრაქტატმა საქართველოს? „1783 წლის ტრაქტატი, აღნიშნავს მ. ხელთუფლიშვილი, მეფე–ერეკლესა და მისი ხალხისათვის უდიდესი უბედურების მაუწყებელი გახდა, რომლის პირდაპირი შედეგი იყო ქართლ–კახეთის სამეფოს დაცემა... თვით ერეკლეს სიტყვით, საქართველო ისეთ გასაჭირში ჩავარდა, როგორიც შაჰ–აბასის შემდეგ აღარ უნახავს“ (115:17–18). ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში „ერეკლე ხედავდა თავისი მდგომარეობის მთელ საშიშროებას, იგი ამაოდ ეევდრებოდა რუსეთს დახმარებისათვის, მაგრამ რუსეთის მთავრობა არც მფარველობაზე ამბობდა უარს და არც ეხმარებოდა“ (115:19). ასეთია მ. ხელთუფლიშვილის აზრი ტრაქტატის შესახებ. ამასთან მას მიაჩნდა, რომ საქართველო “წარმოადგენდა ვასალურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას“ (115:89).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზ. ავალიშვილი ასეთ კითხვას სვამს: „სახელმწიფოთა ურთიერთობის რა ტიპს მიეკუთვნება ამ ტრაქტატით შექმნილი „მეგობრული კავშირი“? იყო თუ არა საქართველო (1783 წლიდან 1801 წლამდე). რუსეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში ან იქნებ მისი პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა? არც ერთი, არც მეორე ან

---

* ეს დოკუმენტი კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, ამიტომ მთელი ყურადღება მის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეფასებაზე გადავიტანე.

უკეთეს შემთხვევაში, ერთდროულად ერთიც და მეორეც... რა თქმა უნდა, საერთოდ თუ ვიტყვით, ერეკლე იყო რუსეთის ვასალი, რომელმაც "სამსახურის" ფასად იყიდა სრული გარანტია თავისი ტახტისა და სამფლობელოსი" (110:141). უფრო ზუსტად, ზ. ავალიშვილის აზრით, მოცემული შემთხვევა არ მიესადაგება არც ვასალურ დამოკიდებულებას, არც პროტექტორატს მკაცრი გაგებით და იგი ერთნაირად მიესადაგება ერთსაც და მეორესაც (110:143).

ზ. ავალიშვილი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე. კერძოდ, განმარტავს ტრაქტატით განსაზღვრულ ქართველი მეფის უფლებას: „ალიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარველობასა ყოვლისა რუსეთისა მფლობელთასა" და აღნიშნავს: უწინარეს ყოვლისა სწორედ ამაში მდგომარეობს ირაკლის სრულუფლებიანობის შეზღუდვა. იგი უარს ამბობს საგარეო ურთიერთობის თავისუფლებაზე, რომელიც ამის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რუსეთის სასაზღვრო ხელმძღვანელობასა და რეზიდენტთან წინასწარი შეთანხმებით. შემდეგ ერეკლე ვალდებულებას იღებს, რათა მზად იყოს იმპერიის ყოველ მოთხოვნაზე. მაგრამ საკითხის ეს ზოგადი დაყენება პირველ მუხლში, – განაგრძობს ზ. ავალიშვილი, – განმარტებას ჰპოვებს მე–7 მუხლში, რომლის მიხედვითაც მეფე აღუთქვამს მის უმაღლესობას „მუდამ მზადყოფნას თავისი ჯარით" (110:139).

რას პირდებიან მეფეს უზენაესი ხელისუფლების აღიარების სანაცვლოდ „სამსახურისათვის"? გარანტიასა და ტერიტორიის სრულ ხელშეუხებლობას, ბაგრატიონთა დინასტიისათვის ტახტის უზრუნველყოფას; ჩაურევლობას ქვეყნის საშინაო საქმეების მართვაში, შემდეგ როგორც პირდაპირი შედეგი საგარეო ურთიერთობაზე უარის თქმისა და იმპერიასთან მჭიდრო კავშირისა, დადგენილია, რომ „ზავი პორტასთან ან სპარსეთთან, ან სხვა სახელმწიფოსთან, რომელსაც რუსეთი გააფორმებს, ვრცელდება საქართველოზეც. მაგრამ ეს მუხლი, – მიანიშნებს ზ. ავალიშვილი, – უფრო ფართოდ უნდა გავიაზროთ, რამდენადაც მთელი ტრაქტატიდან ნათელია, რომ საერთაშორისო საქმეებში ერეკლეს

სამფლობელო ითვლება იმპერიის შემადგენელ ნაწილად“ (110:139–140) და შემდეგ, გაიაზრებს რა ტრაქტატის როლსა და მნიშვნელობას თავისი თანადროულობისა და მომავლის გადასახედიდან, ზ. ავალიშვილი წერს: „ასეთია მხარეების ვალდებულება 1783 წლის ტრაქტატით. ასეთია მისი არსებითი ნიშნები, უფრო დაწვრილებით განხილვას ეს ტრაქტატი არ იმსახურებს, რამდენადაც, თავის ყველა მთავარ ნაწილში, აღმოჩნდა სურვილებისა და სიტყვების შეერთება, რომელსაც განხორციელება არ უწერია“ (110:140).

რუსეთთან გაფორმებული ტრაქტატის შესახებ პროფ. ს. კაკაბაძე 1919 წელს წერდა: „ტრაქტატის შემდეგ ქართლ–კახეთის მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, პირიქით ქართველი მოწინავე წრეები ხედავდნენ, თუ როგორ თანდათან საქართველოს სახელმწიფოებრიობის მდგომარეობა უარესდებოდა. რუსეთმა არ გაუწია ქართლ–კახეთს რაიმე თვალსაჩინო სამხედრო დახმარება... და ქვეყანა წინანდელზედ უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ეინაიდგან მეზობლები რუსეთის გამო გადამტერებული ჰყავდა“ (64:179). ამ გარემოებამ ზეგავლენა მოახდინა იმ ადამიანთა ჯგუფებზეც, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუსეთთან კავშირის დამყარებას. მათ თანდათან გაუჩნდათ ოპოზიცია „რომელიც ჯერ სუსტი იყო, მაგრამ შემდეგ კი საკმაოდ გაძლიერდა. ოპოზიცია ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა და ამიტომ არჩევდა მეზობელ მაჰმადიან ქვეყნებთან უპირველეს ყოვლისა ოსმალეთსა და სპარსეთთან კავშირის დაჭერით დამოუკიდებელ გზაზედ სელას“ (64:180).

ამდენად, ს. კაკაბაძის შეფასებით ქვეყანაში კრიტიკული განწყობა მხოლოდ ტრაქტატის გაფორმების შემდეგ არ წარმოშობილა. გარკვეული ძალების ასეთი პოზიცია შეინიშნებოდა ტრაქტატის გაფორმების პროცესშიც. თუმცა მანამდე მათი მოქმედება ასე შესამჩნევი არ ყოფილა, ხოლო როცა რუსეთის მხრიდან დახმარება ძალზე უმნიშვნელო აღმოჩნდა, რუსეთის მოწინააღმდეგე ძალები უფრო გააქტიურდნენ.

როგორც ჩანს, ეს მომენტი რუსულ მხარესაც არ დარჩენია შეუმჩნეველი. ამ მიმართებით საინტერესოა ო. მარკოვას აზრი. იგი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ, როცა მეფე ერეკლესთან პროტექტორატის შესახებ მოლაპარაკებას იწყებდნენ, რუსი დიპლომატები ცნობებს აგროვებდნენ ქართლ–კახეთის საშინაო ვითარების შესახებ. ამბები საქართველოში „მოუსვენრობისა“ და სამეფო ოჯახში განხეთქილების შესახებ უკვე დიდი ხნით ადრე აღწევდა პეტერბურგამდე. რუსეთის მთავრობას სურდა თავისი მფარველობის ქვეშ ჰყოლოდა მთელი ქართველი ხალხი, გაერთიანებული „ერთიანი და განუყოფელი ოლქი“. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ პ.ს. პოტიომნიკი თბილისში გამგზავრებამდე პოლკოვნიკ ვ.ს. ტამარას რეკომენდაციას აძლევდა ამოეცნო ერეკლეს ჭეშმარიტი აზრი სამეფოს საუფლისწულოებად დაყოფის შესახებ (88:170). ამ უკანასკნელმაც გაუმართლა პ.ს. პოტიომკინს და 1783 წლის 24 მაისს აცნობა, რომ საქართველოს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესვლის საქმის გადავადება გამოიწვია ერეკლეს შვილების მოთხოვნამ საუფლისწულო მამულების გადაცემის გამო. 3 იენისს კი პ.ს. პოტიომკინი კმაყოფილებას გამოთქვამს ვ.ს. ტამარასადმი გაგზავნილ პასუხში, რომ მისმა ინფორმაციამ: „ერეკლე მთლიანად ფლობს მემკვიდრეობას“ დიდი გავლენა მოახდინა პოტიომკინის აზრის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე (88:170). რაც თავისთავად ნიშნავდა ხელშეკრულების გასაფორმებლად პ. პოტიომკინის მზად ყოფნას. ამიტომაც გამოთქვამს კმაყოფილებას ო. მარკოვა რუსული დიპლომატიის მისამართით, რომ მან აღმოსავლეთის საკითხში გამწვავებული პოლიტიკური სიტუაციისა და საერთაშორისო დაპირისპირების დროს შეძლო საჭირო ხელშეკრულების გაფორმება. თავის მხრივ, აღტაცება არც გ.ა. პოტიომკინს დაუფარავს, რომელიც ეკატერინე მეორეს წერდა: „აი, ქართული საქმეც ბოლომდე მივიყვანეთ. რომელი ხელმწიფე შექმნიდა ასეთ ბრწყინვალე ეპოქას, როგორც თქვენ? არა მხოლოდ ბრწყინვალება, სარგებელი კიდევ უფრო დიდია, მიწა, რომელსაც ალექსანდრემ და პომპეუსმა, ასე ეთქვათ, მხოლოდ თვალი შეავლეს, ის თქვენ რუსეთის სკიპტრის ქვეშ მოაქციეთ“ (88:171).

ტრაქტატი რატიფიცირებულ იქნა ეკატერინე მეორისა და ერეკლე II–ის მიერ 1783 წლის ბოლოს და 1784 წლის იანვარში. ამ ტრაქტატის დადებისას ერეკლეს მისიეე სიტყვით, „რუსებზე ათასხუთასი (მაშინდელი) თუმანი მაბლალი“ (ნაღდი) დაეხარჯა (საჩუქრებად თუ ქრთამებად)“ (111:10).

ზ. ჭიჭინაძე ტრაქტატის გაფორმებასთან დაკავშირებით სხვა თანხაზეც საუბრობს, კერძოდ, მისი აზრით, საკმაოდ იაქტიურა გარსევან ჭაევჭავაძემ. საკითხი ეხება მეფე გიორგის შემდეგ ქართლ–კახეთის ტახტის მემკვიდრეობას. ერეკლეს განაწესით ტახტზე მის შემდეგ გიორგი XII უნდა ასულიყო, ხოლო გიორგის შემდეგ მის ძმას, იულონს უწევდა მეფობა, ეს კარგად იცოდა გიორგიმ, რომელსაც თეითონვე ჰქონდა ეს საკითხი გადაწყვეტილი, მაგრამ შემდეგ ადრინდელი პირობა შეცვალა და მემკვიდრედ შვილი, დავითი აღიარა. „ამიტომ ქართველებში, გიორგი მეფეს საქართველოს გამყიდველად სახავენ,– წერს ზ. ჭიჭინაძე,—ეს არ არის მართალი. ამაში გიორგი არ არის დამნაშავე, არამედ გარსევან ჭაევჭავაძე და ამის ამხანაგები“ (97:18).

ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ საქართველო გაყიდა გარსევან ჭაევჭავაძემ, რომელმაც თავისი პირით აღიარა სიკვდილის წინ. დაიბარა გიორგი მეფის შვილები და შვილიშვილები და ბოდიში ასე მოიხადა: „მე გიღალატეთ თქვენა, მე გაეყიდე საქართველო და ამიტომ ვითხოვ მოტევებას. ეს ბოდიში ნამდვილად შემოწმებულია ადრინდელი პროფესორის დავით ჩუბინაშვილის ბიძისაგან, რომელიც იმ დროს იქ ყოფილა და გარს. ჭაევჭავაძის სიტყვები თავის ყურით გაუგონია. გარსევანის საქციელს „კალმასობაც“ ასაბუთებს“ (97:18). „კალმასობაში“ მართლაც არის ერთი ადგილი, სადაც იოანეს და გიორგის დიალოგში ნათქვამია:

„იოანემ იწყინა და უთხრა: მაგ ჭკუის პატრონს ელჩად გზავნიდნენ რუსეთში ჩვენი მეფენი“?

გიორგი: სხვამ ჩემს გარდა მას ჟამში რომ რუსული არვინ იცოდა, მაშა ვის გამოგზავნიდნენო?...

იოანემ გაშინჯა მუმიები და მოეწონა, და უთხრა: ეგონებ, დიდის ხნისა უნდა იყოს.

გიორგი: ვიდრე ოთხი ათასის წლისა არის.

.იოანე: რა დაგეხარჯათ ამაების პოენაში?

გიორგი: ათას ორასი ოქრო

იოანე: მაგ ფასით სხვა რომ რამე მოგეეაჭრათ, ის უფრო სარგებელი იქნებოდა თქვენთვის.

გიორგი: მე ამას დია ძვირფასად გაეყიდი, თქვენ არ იცით ამისი ფასი.

იოანე: ეს ვიცი, რომ ცოცხლები რომ დაყიდეთ, არა მოგცეს რა, მკედრის კაცის აპოხტებში ვინ რას მოგცემთ? და ამას გარდა, მკედრის საფლაებიც დათხარეთ და მკედარი წამოიღეეით. ამაში კანონი გაქვთ?“ (112:588).

როგორც ეხედავთ, ზ. ჭიჭინაძის სიტყვებს მართლაც მიესადაგება იოანე ბატონიშვილის ფრაზა: „ეს ვიცი, რომ ცოცხლები რომ დაყიდეთ“. ამასთან „კალმასობაში“ გიორგი რუსეთში საქართველოს ელჩია, „კალმასობის“ ავტორი კი მეფის მემკვიდრე და ელჩის მიმართ ასეთ სიტყვებს, ალბათ, არ ჩაწერდა, ხელჩასაჭიდი რომ არაფერი ყოფილიყო.

ეფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სიმონ ქვარიანის მოსაზრებაც ამ მოვლენებთან დაკავშირებით. 1918 წელს ქ. ქუთაისში გამოქვეყნებულ წიგნში „ქართველი ერის ისტორია,“ ტომი I, იგი წერდა: „ასეთმა უტაქტობამ და პოლიტიკურმა სიბეცემ აიძულეს ერეკლე მეფე ეთხოვა რუსეთის პროტექტორატი (მფარველობა)და შეეკრა კიდეც მასთან ტრაქტატით (პირობით) 24 ივლისს 1783 წელს“ (149:24). რას მიიჩნევდა ავტორი ასეთი აზრის გამოთქმის საფუძვლად? აღნიშნულის მიზეზად ს. ქვარიანი თვლიდა ერეკლეს მიერ დაშვებულ ოთხ ისეთ დიდ შეცდომას „რასაც მოჰყვა საქართველოსთვის საბედისწერო შედეგი: 1. ერეკლემ არ შეიერთა იმერეთ–გურია–სამეგრელო და ამრიგად არ გააერთიანა საქართველო, როცა ამის შემთხვევა მიეცა იმერეთის მეფე სოლომონ დიდის სიკვდილის შემდეგ და როცა ამგვარი წინადადებით მიმართეს მას კოლხეთის დიდებულთა დეპუტაციამ. 2. ერეკლე მეფემ გაუყო თავის შვილებს საუფლისწულოთ ქართლ–კახეთი და მით დააუძლურა სამეფო. 3. თავის მესამე ცოლის დარეჯან დედოფლის შთაგონებით შესცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი და მით დაბადა ძმებს

შორის დინასტიური შუღლი და განხეთქილება და 4. არ სცნო ირანის შაჰთა ყაჯარი აღა-მამად-ხანი, რითაც გამოიწვია მისი საშინელი რისხვა და თბილისის აოხრება“ (149:23). ასეთია ს. ქვარიანის არგუმენტები ტრაქტატის გაფორმებასთან დაკავშირებით ერეკლეს პოლიტიკის შესაფასებლად. მართალია, ეს საკითხები ქრონოლოგიურად შეუთავსებადია, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ტრაქტატის უმოქმედობასა და რუსულ პოლიტიკას, ასეთ აზრს არსებობის უფლება გააჩნია.

ამ დოკუმენტისადმი თავისი დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილმა გარკვევით ჩამოაყალიბა 1919 წლის 28 და 29 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში.* მასში რეალურად არის დანახული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, შეფასებულია იმ დოკუმენტის მნიშვნელობა, რომელთანაც დაკავშირებული არის ჩვენი ქვეყნის შემდგომი ბედი თუ უბედობა. „როგორც საიდუმლო არქივებიდან ირკვევა,- აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი,-რუსეთს სრულიადაც აზრად არა ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძლურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო, მაგრამ ამ ვერაგობამ ვერ აუხილა ქართულ პოლიტიკას თვალები. იგი მაინც გულუბრყვილო დარჩა, და ეგონა, რომ ძლიერი უანგაროდ დაეხმარებოდა მაჰმადიანობით გარემოცულ ქრისტიან ერს. 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება დაწერილია, როგორც ირკვევა, არა ირაკლის თხოვნით, არამედ პოტიომკინის კარნახით. ამ ტრაქტატის დედნიდან ჩანს, რომ იგი დაწერილია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსათვის, მაგრამ შემდეგ იმერეთის მეფის სოლომონის სახელი წაშლილია და ტრაქტატიც დაიწერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან“ (116). რაც შეეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წლის მანიფესტს და ქართველი ხალხისათვის მის გაცნობას, ამასთან

*„პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე“ დაიბეჭდა გაზ. „საქართველოში“, №№ 95,97,98, 4,7,8, მაისი 1919 წელი. მხოლოდ ორი ნომრის (№95,№97) მასალა ს. ნუცუბიძემ გამოაქვეყნა „ახალ ქართულ გაზეთში“, № 6, 1998 წლის 30 იელისი. იგი საერთოდ არ ახსენებს გაზ. „საქართველოს“ მესამე ნომერს (№98.1919 წლის 8 მაისი), სადაც ივ. ჯავახიშვილის მოხსენების დასკვნითი, საკმაოდ მწვავე, ნაწილია გამოქვეყნებული.

დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: "ბოლოს, ორი წლის შემდეგ, როცა საქართველოს შეერთების მანიფესტი უკვე გამოქვეყნებული იყო პეტერბურგში, პაველ პირველის დელეგატებმა წამოიღეს ეს მანიფესტი თბილისში. ამ მანიფესტზე ხელი უნდა მოეწერა გიორგი მეცამეტეს და შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ დელეგატები გზაში იყვნენ, როცა გიორგი მეფე გარდაიცვალა. მაშინ საქართველოს ახალმა მთავარსარდალმა კნორინგმა შეკრიბა სიონის ტაძარში ყველა დიდებულნი, უფლისწულნი, დედოფალნი, შემოარტყა ჯარი, წაუკითხა მათ მანიფესტი და მოითხოვა, რომ ყველას ხელი მოეწერა მანიფესტზე, ვინც ხელს არ მოაწერდა, მას დახვრეტნენ. ბევრი არ შეუშინდა ამას და ხელი არ მოაწერა მანიფესტს. ამგვარად მოხდა „ნებაყოფლობითი" შეერთება საქართველოსი რუსეთთან. ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე" (117:ე–1). „1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მეგიერ საშინლად გაუარესდა,–წერდა ივ. ჯავახიშვილი,– ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთით საქართველოს აღმოეჩინა" (85:93).

70–80–იან წლებში აშკარად შეინიშნება ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ქართველი მეცნიერების შეხედულებათა დავიწყება. მოვლენების შეფასებისას იქიდან კი არ გამოდიოდნენ, როცა ესა თუ ის ისტორიული ფაქტი მოხდა, არამედ ყველაფერი მხოლოდ თანადროულობის გადასახედიდან ფასდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაიწყო იმ შეხედულებათა გადაფასების პროცესი, რომელიც სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში თვით ამ საქმიანობის ლიდერთა შეფასებებში აისახა. ალბათ, ეს ყველაფერი განპირობებული იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პათოსით და ხელისუფლების სათავეში მისულ პროლეტარიატის ლიდერებს ესაჭიროებოდათ მეფის ხელისუფლებაზე და დროებით ბურჟუაზიულ მთავრობაზე გამარჯვების აღსანიშნავად. ბოლშევიკების მტკიცებით რუსეთის

ჩაგრული ერები რევოლუციაში იმიტომ ჩაებნენ, რომ ისინი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენისათვის იბრძოდნენ. ისინი ებრძოდნენ „ხალხთა საპყრობილეს“ და ამ ფონზე მოპოვებული გამარჯვება მეტ შთაბეჭდილებას ახდენდა პოლიტიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ მიმართულებით ფასდებოდა რუსეთთან განაპირა ხალხების შეერთების პროცესი. ამ ფონზე ნამდვილად შეიძლებოდა იმის აღნიშვნა, რომ საქართველოსათვის მაშინ არ არსებობდა სხვა გზა თუ არა რუსეთთან შეერთებისა, უამისოდ მას ელოდა ფიზიკური გადაგვარება“ მაგრამ ეს „შეერთება“ მოხდა სრულიად არა „ნებაყოფლობით“, პირიქით ეს იყო ნამდვილი ძალდატანებითი აქტი, ან უფრო სწორად ძალდატანებითი აქტების მთელი სერია, რასაც თან ახლდა, ერთი მხრით, პირფერობა, მოტყუება და ფარისი, მეორე მხრივ, სასტიკი სისხლიანი ომები. რუსეთთან საქართველოს „ნებაყოფლობითი შეერთება“, რის შესახებაც მსოფლიოში მთელი საუკუნე გაჰყვიროდნენ თვითმპყრობელობის მსახურნი, უბრალოდ ზღაპარია. ეს „შეერთება“ და მისი შედეგები ცეცხლითა და მახვილით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში“ (118:9) პროცესი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა დასრულდა“ 1801 წლის 12 სექტემბერს. ამ დღეს მოსკოვში გამოცემული იქნა მანიფესტი, რომელმაც მთლიანად გააუქმა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო და შეუერთდა იგი რუსეთს როგორც უბრალო გუბერნია“ (118:9). ასე, რომ უკვე მე–19 საუკუნის პირველ ნახევარში“ ნათელი გახდა, რომ საქართველო და ამიერკავკასია უნდა გადაქცეულიყვნენ რუსულ კოლონიად“ (118:81). ეს სიტყვები ფილიპე მახარაძეს ეკუთვნის. მასაც კი ასე ჰქონდა გააზრებული რუსეთ–საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა, ბუნებრივია, ამის შემდეგ არც პ. გელეიშვილის სიტყვები გამოიწვევს ჩვენს გაოცებას, როცა იგი აღნიშნავს: „გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა საქართველოს კისერზე დასახრჩობად მობმულ თოკს. ამ ხელშეკრულებას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია საქართველოსათვის რუსეთის დახმარების მხრივ, ამავე დროს, აშკარად გამომუღავნებულმა რუსეთის ქვეშევრდომობამ

საქართველოს აუჯანყა მთელი სამუსლიმანო სამყარო. გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება მუსულმანთა სახელმწიფოებმა პირდაპირ ომის გამოცხადებად მიიჩნიეს ერეკლეს მხრივ, ყველასათვის აშკარა იყო, რომ ეს აქტი საქართველოს ტერიტორიას ხდიდა ძლიერი რუსეთის ბატონობის ბაზად ამიერკავკასიაში... ამ უკანასკნელებს უბრალო კეთილგონიერება უკარნახებდა, რომ სანამ რუსეთი კავკასიის ქედს გამოსცდებოდა, მისთვის მოეშალათ ეს ბაზა. ამიტომ მათ დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში "მოღალატე საქართველოზე" (119:28).

ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკური შეხედულებები ყოველთვის პასუხობდა და მიესადაგებოდა იმ ეპოქას, როცა ისინი თავისი ნააზრევის გადმოცემას ცდილობდნენ. ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ ერეკლე მეორის დიდი პოლიტიკური ჰორიზონტის შესახებ. 1783 წლის ტრაქტატიც ასეთია. დოკუმენტი, რომელიც მოიწონა ერეკლემ პოლიტიკური და იურიდიული თვალსაზრისით შესანიშნავად გადმოსცემს სათქმელს და მიესადაგება არა მარტო ორი ქვეყნის ურთიერთობის, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც. მეორე მხარეა როგორი სიცოცხლისუნარიანი გამოდგა მისი არსებობა, როგორ უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ მას ხელმომწერი მხარეები.

დიდი ხნის მანძილზე შეუძლებელი იყო ამ დოკუმენტის შესახებ ობიექტური საუბარი, სოციალისტური იდეოლოგიური მანქანა ამას კრძალავდა და ცდილობდა სასურველი მაქსიმალურად წარმოესახა რეალობად.

ყველა საბუთს თავისი ბედი გააჩნია. ეს განსაკუთრებით ითქმის ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტზე. სწორედ ასეთი იყო და ასეთად რჩება 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. განსხვავებულია მის მიმართ არა მარტო ცალკეული მკვლევარის დამოკიდებულება და აზრი, არამედ ეპოქებიც. ამ მიმართებით უნდა გამოვყოთ განვლილი ორი პერიოდი: 1. ტრაქტატის გაფორმებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და 2. საბჭოთა პერიოდი. პირველ ეტაპზე უკვე ცხადი გახდა მისადმი დამოკიდებულება ორივე მხრიდან. მფარველი აშკარა დამპყრობლის როლს ასრულებს და ყოველივე ქართულისადმი მტრულად

არის განწყობილი. ერის მოწინავე შვილები მაინც ახერხებენ ისარგებლონ იმ უმცირესი შესაძლებლობებით, რომელიც მათ ეძლეათ. ისინი ეუფლებიან რუსული და ევროპული აზროვნების მიღწევებს, მათთან ერთად ეწევიან საგანმანათლებლო მოღვაწეობას, იბრძვიან ქვეყნისათვის იმ პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად მაინც, ტრაქტატით რომ იყო აღიარებული. ამ პერიოდში გარკვეული სირთულეებით, მაგრამ ძირითადად ნორმალურად შეიძლებოდა ტრაქტატის შეფასება.

მეორე ეტაპზე ყველაფერი თავდაყირა დადგა. სოციალისტურმა საზოგადოებამ და კომუნისტურმა იდეოლოგიამ ცარიზმის პოლიტიკისადმი ტაბუდადებული ეითარება შექმნა. ნაცვლად რეალური ობიექტური აზრისა, გაჩნდა არარეალური სრულიად განსხვავებული შეხედულებები. რომლის მთავარი მიმართულება და შინაარსი მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების სასურველად წარმოდგენა გახდა. ასეთივე შეხედულებები იწყებს თანდათანობით ჩამოყალიბებას ტრაქტატის მიმართაც და იგი თითქმის ხელთუქმნელ დოკუმენტად ცხადდება. ყოველგვარი რუსულისადმი განსაკუთრებული ქება–დიდება შეფასების მთავარი კრიტერიუმი ხდება. ერთი სიტყვით, დაიკარგა ობიექტური შეფასების ყველა პირობა და სოციალისტური იდეოლოგიის გაელენით, ყველაფერი ხალხთა მეგობრობის, რუსი ხალხისაგან ყოფილი დაჩაგრული ერებისადმი განახლებულ სიყვარულსა და უანგარო დახმარების ძიებაში, სოციალისტური გარდაქმნების ძალისა და ენერგიის მომცემი ურთიერთობების ბურუსში გაეხვია. სწორედ ამ ნიშნით აღინიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების 200 წლის იუბილე. რა იყო ამ ღონისძიებათა ფართო სპექტრის მთავარი პათოსი?

ამ იუბილემდე რამდენიმე წლით ადრე 1976 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებამ საქართველოს კპ ცკ–თან ერთად მოაწყო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია. რამდენიმე ადგილი მოხსენებიდან:

„წელს შესრულდა რუსეთთან საქართველოს ფაქტობრივი შეერთების 175 წელი. 1983 წელს შესრულდება 200 წელი, რაც რუსეთისა და საქართველოს მმართველებმა გააფორმეს

პირველი სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელმაც გადაწყვიტა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების ბედი...

ჩვენს პროგრესულ ისტორიოგრაფიაში რუსეთთან საქართველოს შეერთებას ყოველთვის განმარტავდნენ, საერთოდ, როგორც პროგრესულ მოვლენას, მაგრამ ცნობილი ალტერნატიის გადაწყვეტის გაშუქებისას განიხილავდნენ როგორც „ნაკლებ ბოროტებას“. იმ სწავლულებმა და მოღვაწეებმა, რომლებმაც მეცნიერებაში დანერგეს ტერმინი "ნაკლები ბოროტება“, როგორც ჩანს, ვერც თუ უკეთესი ტერმინი, შესაფერისი სიტყვები გამონახეს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული აზრის ყველა ასპექტის გამოსახატავად.

საქმე ის არის, რომ ჩვენს მდგომარეობას, რუსი და ქართველი ხალხების მდგომარეობის ისტორიას არ უხდება სიტყვა „ბოროტება“, როგორადაც არ უნდა შევაფერადოთ იგი. ბოროტება, ბოროტებაა, დიდი იქნება იგი თუ მცირე. ზედსართავის შეცვლით საბოლოო ანგარიშში, მისი ბუნება არ იცვლება. ამიტომ როგორც ჩანს, უფრო სწორი იქნება, თუ უარს ვიტყვით „უმცირესი ბოროტების“ ტერმინზე არა მარტო მისი მივიწყების, არამედ პრინციპული უარყოფის გზით საერთოდ, ყველა შემთხვევაში, როცა საქმე რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიის გაშუქებას ეხება.

როცა რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულ მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სამეფო დინასტიათა გაერთიანება როდი გვაქვს მხედველობაში. მთავარია რუსი და ქართველი ხალხების დემოკრატიული ფენების გაერთიანება.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიის საკითხის გაშუქებას უნდა ჩამოვაცილოთ ე.წ. „ნაკლები ბოროტების“ ჩენჩო და იგი თავისი ცეცხლით უნდა აკურთხოს ისტორიამ...“ (121:25–27).

როგორც ნაყარაუდევი იყო, 1983 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. რამდენიმე ადგილი მოხსენებიდან: „ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის მოვლენა, რომელიც მისი მომავლის შემობრუნების პუნქტად იქცევა ხოლმე. ასეთი მოვლენა

იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ქართველი ხალხის ცხოვრებაში...

რა მოხდებოდა, რა ელოდა ქართველ ხალხს, თაეისი ბედი რუსეთთან რომ არ დაეკავშირებინა? პასუხი მხოლოდ ერთია: სრული გადაშენება, ეროვნული გადაგვარება, კატასროფა...

საქართველოს რომ სხვა ორიენტაცია აეღო, კიდეეაც რომ გადარჩენოდა შაჰისა და სულთანისაგან ბარბაროსულ ასიმილაციასაც, რაც მხოლოდ თეორიულადაა დასაშეები, დღეს იგი მაინც მთელი ეპოქით იქნებოდა ჩამორჩენილი მსოფლიო სოციალურ პროგრესს...

თეით ისტორიამ გასცა პასუხი იმათ, ეისაც მომაელისაკენ ერეკლესეული გზის სისწორე ეეჭეებოდა.

ეროვნული ხსნისა და პროგრესის გზა მხოლოდ რუსეთზე გადიოდა.

დღეს რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის მანიფესტის 200 წლისთაეს რომ ეზეიმობთ, არა ბაგრატიონებისა და რომანოეების სამეფო დინასტიების დამოყერებას, არამედ ქართველი და რუსი ხალხების დამეგობრების, უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ მათი ურღეეეი საბრძოლო კაეშირის შექმნის, სოციალური და ეროვნული თაეისუფლებისათეის ერთობლიეი ბრძოლის, ეროვნული კატასტროფისაგან ქართველი ხალხის ისტორიული გადარჩენის საიუბილეო თარიღს აღენიშნაეთ...“ (123) და კიდეე, დასმული პრობლემების შესაბამისად ზოგიერთი დასკენის გასაკეთებლად: „ჩეენ მარქსისტ-ლენინელები ეართ და მარქსისტული მეთოდოლოგიის პოზიციებიდან ეაფასებთ ისტორიულ მოელენებს, ისტორიულ მოღეაწეებს, ისტორიის განეითარებას, ხალხს განეიხილაეთ, როგორც ისტორიის შემოქმედს და, ამდენად, გეორგიევსკის ტრაქტატის უდიდეს ისტორიულ მნიშენელობას სწორედ ორი ხალხის—რუსი და ქართველი ხალხების ისტორიის ასპარეზზე ერთობლიე გამოსელაში, ერთმანეთთან დამოყერება-დამეგობრებაში ეხედაეთ. მოელენებს ისტორიული პერსპექტიეის, საზოგადოებრიეი შედეგების მიხედეით ეაფასებთ“ (123).

რამდენიმე მასალა ეურნალ „საქართველოს კომუნისტის“

რედაქციის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა გამოსვლებიდან:

გ. მელიქიშვილი: ამ აქტმა უდიდესი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის შემდგომ ისტორიულ განვითარებაზე. საქართველოს რუსეთთან დამოყვრებამ იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან, დააყენა იგი აღორძინების გზაზე... შიდა და გარე რეაქციის კავშირი ანადგურებდა ქვეყანას, ამის გამო საკუთარი ძალებით ჩიხიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო. ყველაფერმა ამან განაპირობა ქვეყნის გადასარჩენად და აღსადგენად ბრძოლაში ძლიერი მოკავშირის ძებნის აუცილებლობა“ (122:4–8).

ა.სურგულაძე: „მე–18 საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო მდგომარეობამ კიდევ უფრო დააჩქარა რუსეთ–საქართველოს ურთიერთობათა განვითარება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სპარსეთისა და თურქეთის აგრესიის გაძლიერების გამო, ერეკლე II და სოლომონ პირველი უფრო და უფრო ხშირად მიმართავდნენ რუსეთს დახმარების სათხოვნელად. უმძიმეს პირობებში ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ შესვლა, როგორც რუსეთი იყო, პრაქტიკულად გარდაუვალი გახდა“ (122:5).

ი. ტაბაღუა: “იგი (ერეკლე მეორე––ე.ბ.) კარგად იყო ცნობილი ევროპის ყველა ქვეყანაში როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი და სტრატეგი... გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებით და დადებით ერეკლე მეორემ დაგვარწმუნა, რომ იგი უდიდესი პოლიტიკოსიც იყო“ (122:5).

მ.დუმბაძე: “ქართველი ხალხი მუდამ გულწრფელი პატივისცემით ეკიდებოდა რუს ხალხს_ ამიტომ ჩვენ გეორგიევსკის ტრაქტატის როლს ერთმნიშვნელოვნად ვაფასებთ.

ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შეერთების ფაქტი ფეოდალიზმის ეპოქას განეკუთვნება. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოცემული მოვლენის სოციალურ–პოლიტიკური ხასიათის გასაგებად. მისი სოციალურ–პოლიტიკური არსის ახსნა და სწორად შეფასება მოითხოვს ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გათვალისწინებას. ჩაგვრა, მტრობა, ძალადობა მცირერიცხოვან

ხალხთა უფლებების დარღვევა თვითმპყრობელური სახელმწიფოსათვის ბუნებრივ პოლიტიკას წარმოადგენდა“ (122:7).

გ.პაიჭაძე: “საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, პროგრესული როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ თუ ვალიარებთ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულობას, თითქოს გაუგებარი დარჩება საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი. ისინი ღრმად ცდებიან... საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა ბატონყმობის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის პროგრესული ძალების ბრძოლის განშტოება იყო“ (122:11–12).

ვ. ითონიშვილი: „რაც უნდა ეცადონ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი, დაამახინჯონ საბჭოთა სინამდვილე, გათიშონ საბჭოთა ხალხები, ჩვენი მეგობრობა და მონოლითური ერთიანობა ურღვევია...

საბედნიეროდ, ამ პოლიტიკის გატარებას ჩვენში სოლიდური საფუძველი აქვს, რისი საუკეთესო საბუთიც არის მომავალი დიდი ზეიმი, მიძღვნილი 200 წლისთავისადმი გეორგიევსკის ტრაქტატისა, რომელსაც ამხ.ე.ა.შევარდნაძემ “ქართველ და რუს ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის მანიფესტი“ უწოდა. ჩვენ, ისტორიკოსებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა ყველამ შეიგნოს არა მარტო ტრაქტატის მნიშვნელობა რუსეთ–საქართველოს კავშირურთიერთობის ჩამოყალიბებაში, არამედ მისი როლიც დღეს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში“ (122:14).

ისტორიკოსთა მრგვალი მაგიდის მასალები დასრულებულია რედაქციის მინაწერით, რომელიც საერთო აზრს გამოხატავს: „გეორგიევსკის ტრაქტატს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთთან დამოყვრებამ არა თუ იხსნა საქართველო, არამედ უზრუნველყო მისი შემდგომი განვითარება. სწორედ ეს ითქვა „მრგვალ მაგიდასთან“ შეხვედრაზე, რომლის სულისკვეთებას გადმოგვცემს ქართული სიბრძნე, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ (122:14).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თანამედროვე ეტაპზე

იწყება ტრაქტატისადმი ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულების ახალი, მესამე პერიოდი, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გახდა შედეგების შესაბამისად მომხდარ ფაქტზე თავისუფალი საუბარი. მართალია, აზრთა სრული თანხმობა არც ამჟამად შეინიშნება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჭეშმარიტების დასადგენად გაცილებით ხელსაყრელი ატმოსფერო არსებობს. ამისი დასტური არის „ახალი ქართული გაზეთის“ მიერ ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ვრცელი მასალის გამოქვეყნება (117: ე–3), სადაც გადმოცემულია ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების შეხედულებები გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ. რაზე ამახვილებენ ისინი ყურადღებას? როგორ აფასებენ ტრაქტატის მნიშვნელობას?

გურამ გეგეშიძე: „გეორგიევსკის ტრაქტატი არ შესრულდა, მას არ უმუშავია, აბა, რა უნდა გითხრათ იმაზე, რაც მხოლოდ ქაღალდზე დარჩა?! (117:ე–3).

რისმაგ გორდეზიანი: „ტრაქტატმა, ერთის მხრივ, არსებითად მოუსპო საქართველოს . დამოუკიდებლობის, ერთიანობის შესაძლებლობა, რადგან ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი... მეორეს მხრივ კი, ჩვენმა ქვეყანამ მაინც შეძლო არაპირდაპირი გზით დაკავშირებოდა ევროპას და... საკმაოდ მაღალი კულტურული განვითარებისათვის მიეღწია... დღეს თუ ჩვენ ევროპული ქვეყანა ვართ და ჩვენი მენტალიტეტი უფრო მეტად ევროპულია, ამაში სხვა ფაქტორებთან ერთად, ტრაქტატმაც დიდი როლი შეასრულა“.

ვახტანგ ბოჭორიშვილი: “ამბობენ, ტრაქტატის წყალობით ციზიკურად გადავრჩითო... ძნელია იმის თქმა, რომ არ შევერთებულიყავით რუსეთთან, გადავრჩებოდით თუ არა... გადარჩნენ არა ქართველები, არამედ საქართველო, რომელსაც ამოაცალეს ქართული სული“ (117).

გურამ თევზაძე: “როგორც ისტორიული დოკუმენტები გვეუბნებიან, ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ დასაწყისში მძიმედ წარიმართა და რუსეთს სურდა კულტურული და ნაციონალური გადაგვარების გზით საკუთარ გუბერნიად ექცია საქართველო. საბედნიეროდ, ეს არ მოხერხდა“ (117).

ნესტან კირთაძე: „ქართველი და. უცხოელი ისტორიკოსები და სამართალმცოდნეები სხვადასხვა ინტერპრეტაციით განსაზღვრავდნენ ხელშეკრულების ხასიათს, თუმცა ძირითადად იკვეთება ერთი, კერძოდ, პროტექტორატის ტიპის ხელშეკრულება– კავშირისა და მფარველობის შესახებ– ისტორიულმა გამოცდილებამ რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებში მე–18 საუკუნიდან დღემდე სავსებით ობიექტურად, უნდობლობის გამოცდილება უფრო დააგროვა, ვიდრე მეზობლის, ან უბრალოდ, პარტნიორი ქვეყნისა“ (117).

გიგა ლორთქიფანიძე: “გეორგიევსკის ტრაქტატი თავის დროზე პროგრესიული და კარგი დოკუმენტი იყო... ის მხოლოდ ურთიერთმეგობრობას, ურთიერთდახმარებას და ურთიერთმფარველობას გულისხმობდა, რაც უნდა გაეწია რუსეთს საქართველოსთვის ლეკებისაგან, თურქებისაგან, თავდასაცავად“ (117).

ერლომ ახელედიანი: “ერეკლე მეორემ უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა... ტრაქტატმა ბევრი დაგვაკარგვინა, მაგრამ საქართველო მაშინ მართლა გადარჩა... ეს იყო დადებითი მოვლენა, ცხადი და გარდუვალი... აქ არსებობს კლასიკური არჩევანის მომენტი: ნაკლები ბოროტების არჩევანი“ (117).

ნოდარ ნათაძე: „ერეკლე მეორემ გვიანი და მცდარი ნაბიჯი გადადგა“ (117). და ბოლოს „შეეძლო თუ არა ერეკლეს თავიდან აეცილებინა რუსულ იმპერიულ პოლიტიკასთან ბრძოლისას ის დათმობები, რომელმაც შემდგომ გარკვეული ეტაპი შეამზადა საქართველოს დაპყრობის თვალსაზრისით?“ (117) სვამს კითხვას მამუკა ნაცვალაძე და იქვე პასუხობს: “მხოლოდ ერეკლე ვერასგზით ვერ გაუმკლავდებოდა უკეთესად მტერს, რადგან გარეშე თუ შინაურ ინტრიგებს საზოგადოების გათითოკაცებაც ემატებოდა... მიუხედავად ამისა – რაც ერეკლემ შესძლო, ეფიქრობთ, ეს ნებისმიერი ადამიანის შესაძლებლობის ზღვარია“ (117).

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს. რაც მთავარია, ჩვენს მიერ დამოწმებული მასალა არავის მიმართ კრძალვით არ არის

წარმოდგენილი. ამის მიუხედავად მასში, არც თუ მცირედ, ტრაქტატის შესახებ დადებითი შეხედულებები იკვეთება. თუმცა, მკვლევართა აზრით, "ერეკლე მეორეს პოლიტიკური ალტერნატივა მეტ-ნაკლებად„ მაგრამ მაინც გააჩნდა" (117 კ-6). რა თქმა უნდა, იგულისხმება მეზობელი მუსულმანური ქვეყნები. ერთი კი ცხადია, მრგვალი მაგიდის მონაწილე მეცნიერთა შეხედულებებსა და ჩვენს მიერ დამოწმებული" ახალი ქართული გაზეთის" მასალებს შორის სხვაობა აშკარად იგრძნობა და იგი იმ ხაზის გაგრძელებაა, ზ.ავალიშვილს, მ.ხელთუფლიშვილს, ივ.ჯავახიშვილსა და სხვებს რომ ეკუთვნით, მაგრამ ათეული წლების მანძილზე არა დაიწყებული, არამედ ოფიციალურად უკუგდებული იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ გამოქვეყნებულ მასალათა შორის, ყურადღებას იპყრობს პროფ. ი. ტაბაღუას სტატია (120), თანდართული მასალებით (120: 258-261; 261-269).

პროფ. იტაბალუა განიხილავს ტრაქტატის გაფორმების პერიოდში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს, რის საფუძველზეც აღნიშნავს, რომ ერეკლე მეფეს სპარსეთ-ოსმალეთის გარემოცვაში ქვეყნის შესანარჩუნებლად საჭირო დამხმარე ძალები ქვეყნის გარეთ უნდა ეძია. ამ მიზნით ერეკლე მეორემ ჯერ კიდევ 1771 წელს პეტერბურგში გაგზავნა რუსეთთან კავშირის დადების თავისი პროექტი. ამ პროექტის მიხედვით: „რუსეთს უნდა ეცნო ერეკლე მეორე ქართლ-კახეთის მეფედ; რუსეთი უნდა დახმარებოდა საქართველოს იმ ტერიტორიების დაბრუნებაში, რომლებიც მან ადრე დაჰკარგა მეზობელ დიდ იმპერიებთან უთანასწორო ომების შედეგად; რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ერეკლეს შინაგან საქმეებში და სხვა. ერეკლე ამ პროექტში მიდიოდა დათმობაზე: 1. მომავალში ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის იმპერატორი ამტკიცებდა და 2. ქართლ-კახეთის სამეფო თავის საგარეო პოლიტიკას განახორციელებდა რუსეთის თანხმობით (120:245).

გეორგიევსკის ტრაქტატი და მასთან წამოჭრილი პრობლემები ჯერაც არ კარგავს აქტუალობას და მომავალშიც ხშირად

შეგვახსენებს თავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი გაფორმებიდან 220 წელზე მეტია გასული, ჩვენი ქვეყნის მოსაგვარებელი პრობლემები დიდწილად მაინც იქიდან იღებენ სათავეს. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ბედით დაინტერესებული ავტორები იძლევიან რეკომენდაციებს, ახსენებენ ქართულ საზოგადოებრიობას, რომ საკმარისია დაკარგული დრო და ეისაც ქვეყნის სვეტებზე ფიქრი და ზრუნვა ხელეწიფება, დროულად გამოიტანოს საჭირო დასკვნა, რადგან „ჩვენი ისტორია თვითონვე გვიკარნახებს სამომავლო გზას და ჩვენი ვალია ძველებურად ყური არ მოვუყრუოთ მას. გეორგიევსკის ტრაქტატის გახსენებაც იმას უნდა გვასწავლიდეს, რომ ქართული სახელმწიფოს მემკვიდრეობის და ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისითაც მოვალენი ვართ დღის წესრიგში დავსვათ კონსტიტუციური მონარქიის საკითხი.

სიმბოლური და ჭკუისსასწავლებელია – არ გავაკეთეთ ეს 1918, ისევე როგორც 1991 წელს და ამიტომაც სამართლიანად დავისაჯეთ ორივეჯერ“. ეს ამონაწერი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2003 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებული სტატიიდან: „გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოს მომავალი“ გახლავთ გაკეთებული (113). თუ რამდენად დროული და აუცილებელი იყო მისი გამოქვეყნება და ქართული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად გაკეთებული რეკომენდაცია, კარგად ჩანს ნოდარ კიკვაძის მიერ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ბროშურიდან „ფანტასმაგორია ქვეყნის გადასარჩენად?“ (2003 წ), რომელიც ავტორმა ერთდროულად დაბეჭდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ეს მცირე მოცულობის, მაგრამ დიდი პრობლემისადმი მიძღვნილი და მრავალი საინტერესო პრობლემის მომცველი წიგნი მართლაც ბრწყინვალე დასაბუთებაა იმისა, რომ ნოვატორობა ყოველთვის და ყველაფერში აუცილებელი არ არის. იოლია კრიტიკა, გაცილებით ძნელი და ხშირად შეუძლებელიც საქმის და მით უმეტეს ისეთი საქმის კეთება, საქვეყნო რომ არის და მასში ასეული წლების შემდეგ დაიწყებს შთამომავლობა შავისა და თეთრის გარჩევას. ამიტომაც

გულისტკივილით წერს ნ.კიკვაძე, რომ „პატივცემული აეტორები, ნაცვლად ილიასეული ანალიზისა და შეფასების გათვალისწინებისა, არ მალავენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას გეორგიევსკის ტრაქტატისა და მისი შემდგომი შედეგების მიმართ, თითქოს უთვალავი უცხოტომელი და უცხო რჯულის მტრისაგან გაძვალტყავებულ საქართველოს კონკრეტულ, იმდროინდელ ვითარებაში სხვა რამ გამოსავალი ჰქონდა... ისტორიისათვის, თუ ის მართლაც ისტორიაა და არა ლეგენდების გროვა, არ არსებობს კავშირებითი კილო – წარსულის ხსოვნა, იმდროინდელი მოვლენების აღნუსხვა უამთა–აღმწერელის საქმეა. ფრიად საპატიოც. წარსულის მოვლენების დღევანდელი გადასახედიდან შეფასება კი მოკეკლუცო არა პროფესიონალების საქმეა, მოდურ ეტიკეტს ამოფარებულ პოლიტოლოგებად რომ მოგვევლინენ დღეს მრავლად და არა ჭეშმარიტი ისტორიკოსისა“ (114:6–7). რაკი ამჯერად ჩემს მიზანს ნ.კიკვაძის წიგნის განხილვა არ წარმოადგენს, მხოლოდ იმას დაეძენ, რომ წიგნის აეტორს ღრმად აქვს გააზრებული და გაანალიზებული დასმული პრობლემა. იგი შესანიშნავად გვარწმუნებს იმაში, რომ ამა თუ იმ ქვეყნისათვის სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და განვითარების, მისი არჩევის პრობლემა მხოლოდ კეთილი სურვილი კი არა, ქვეყნისა და ხალხის ისტორიული წარსულის, მისი თანადროულობისა და მომავლის მეცნიერული ჭვრეტის შედეგიც არის, რაც შესანიშნავად არის დასაბუთებული ესპანეთში მომხდარი მოვლენების ანალიზით. ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით ქართული სინამდვილის აეტორისეულ ხედვასაც, სადაც მას ბაგრატიონების ისეთი მემკვიდრეც კი არ ეგულება, რომელიც საქმეს ხელს მოჰკიდებს და ყველაფერს ისე მოაგვარებს, ქვეყანასა და ხალხს რომ სჭირდება. აქედან გამომდინარე, აეტორის პოზიციის დასადასტურებლად კიდევ ერთი ადგილი გვინდა დავიმოწმოთ: „აქვე მიხდება, სამწუხაროდ, პატივცემული აეტორებისათვის მითითება, რომ მათი გაანგარიშებით მსოფლიოში არსებული 40–ზე მეტი კონსტიტუციური მონარქიიდან,––აღნიშნავს ნ. კიკვაძე,––„უკლებლივ ყველა ცხოვრების მაღალი დონით, სტაბილური პოლიტიკური და

სოციალურ–ეკონომიკური განვითარებით“ სრულიადაც არ გამოირჩევა, მაგალითად, ბუტანი, ნეპალი, ლესოტო, სვაზილენდი და სხვა.

მთავარი საოცრება მაინც ეს როდია,—განაგრძობს შემდეგ ნ.კიკვაძე,—არამედ ის, რომ პატივცემული აეტორები გვიმკიცებენ: „პირველი და უმთავრესი ამ არგუმენტაციიდან ის არის, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ფორმა ქართული სახელმწიფოს განვითარების ბუნებრივ–ისტორიული პროცესის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა“. გამოდის, რომ მრავალტანჯულ საქართველოს ისტორიაში ოდესღაც ყოფილა კონსტიტუციური მონარქია, ჰოი საოცრებავ, ალბათ, რომელიღაც კონსტიტუციური მონარქიც, ხოლო ჩვენ, ბედოვლათმა ქართველებმა, უარვყავით ეს ყველაფერი და როცა საშუალება მოგვეცა, 1918 წლის 26 მაისს, რატომღაც უდღეური „დემოკრატიული რესპუბლიკა“ დავაფუძნეთ“ (144:12). ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, სათქმელი უდავოდ გასაგებად არის ნათქვამი. ჩვენის მხრივ, კი ამას დავამატებდით, ალბათ, გამოჩნდებიან მსურველნი, (ქართველებისგან ყველაფერი მოსალოდნელია!), რომლებიც „თავადობისა“ და „სათავადოთა“ სისტემის აღდგენასაც რომ მხარს დაუჭერენ. თანაც ამას საქართველოს ინტერესების აუცილებლობით დაგვიმტკიცებენ. ასეთია, სამწუხაროდ, იოლი გამოსავლის ძიების თავისებურება და, რაკი მომავალი წინ არის, ჩვენც არაფერი უნდა გაგვიკვირდეს.

დამოწმებული მასალების შესაბამისად შეიძლება რამდენიმე მომენტი გამოვყოთ:

1. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნება „ნაკლები“ ან „მცირე“ ბოროტება შემთხვევით არ დამკვიდრებულა, იგი ერთი რომელიმე პიროვნების ნება კი არა, იმ სამთავრობო კომისიის ჟურის დადგენილებიდან არის ამოღებული, რომელიც საშუალო სკოლების მე–3–4 კლასების სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოს შესახებ კონკურსისათვის იყო შექმნილი. ამ დადგენილებაში (1937 წ. 22 აგვისტო) ჩაწერილი იყო: „მე–18 საუკუნის ბოლოს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს გადასვლის ფაქტი, აეტორების მიერ განხილულია როგორც

აბსოლუტური ბოროტება იმდროინდელ–კონკრეტულ–ისტორიულ პირობებთან კავშირის გარეშე. აეტორები ვერ ხედავენ, რომ მაშინ საქართველოს წინაშე ალტერნატივა იდგა: მას ან შაჰის სპარსეთი და სულთანის თურქეთი დაიპყრობდა, ან რუსეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა შესულიყო... ისინი ვერ ამჩნევენ, რომ მეორე პერსპექტივა მაინც უმცირესი ბოროტება იყო“ (125:38).

როგორც ვხედავთ, ამ უმთავრეს დოკუმენტში, საიდანაც გზა გაეხსნა აღნიშნულ საკითხს, დავა იმაზე კი არ არის, რაც მოხდა, იყო თუ არა ბოროტება, არამედ საკითხი ეხება იყო ბოროტება „აბსოლუტური“, თუ კონკრეტულ–ისტორიულ პირობებთან კავშირში, რაც ხარისხით განსხვავდებოდა მისგან. შესაბამისად შეირჩა ერთი მათგანი „მცირე“ და მისი ამოღება კომისიას აზრად არ მოსვლია. მხოლოდ ცალკეულ პარტიულ ხელმძღვანელებს აღარ სიამოვნებდათ იგი. ალბათ, ამისი შედეგიც იყო, რომ ცოტა მოგვიანებით ამ საკითხზე დისკუსიის წამოწყება სცადა პროფესორმა მ.ვანჩკინამ (126: 44–48). სადისკუსიო წერილში, მან აღნიშნა, რომ „მცირე ბოროტება“ ხ'შირად არა მხოლოდ დადგენილებაში აღნიშნული კონკრეტული ვითარების გამო იხმარება, არამედ მისი გამოყენების სფერო გააფართოვეს და თანაც მას ჩამოაცილეს წინა ნაწილი და მხოლოდ ეს ორი სიტყვა „მცირე ბოროტება“ დატოვეს. ამასთან ეს სიტყვები მიუსადაგეს არა მხოლოდ საქართველოს და უკრაინას, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ იმ ხალხებსაც, რომლებმაც რუსეთში შესვლამდე დაკარგეს სახელმწიფოებრიობაც და ასარჩევიც არაფერი ჰქონდათ. იგი წერს: „ზოგჯერ ზემოთ მოყვანილი ტექსტის მთლიანად ციტირება ხდება, მაგრამ უმეტეს წილად მისგან მოაცილებენ ხოლმე მხოლოდ უკანასკნელ ორ სიტყვას „უმცირესი ბოროტება“ და ფორმულის ეს ნაწილი ვრცელდება მთლიან ფორმულაზე, თანაც იგი განურჩევლად იხმარება ყველა ხალხის მიმართ, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ დაპყრობისა თუ ნებაყოფლობითი შემოერთების გზით“ (126:44). ამ საკითხის შემდეგ იგი სვამს კითხვას“ მაგრამ სწორია თუ არა ასეთი ციტირება?“ და

პასუხობს: „ყოველგვარი მცირე ბოროტება მაინც ბოროტება არის, ე.ი. უარყოფითია მისი გაგება„ მაგრამ ციტატა, მთლიანობაში აღებული, ლაპარაკობს არა ბოროტებაზე როგორც ასეთზე, არა უარყოფით მომენტზე, არამედ როგორც სწორედ დადებით მომენტზე. ციტატა ხომ პირდაპირ წიგნის აეტორებისადმი საყვედურით იწყება, იმაზე, რომ ისინი „ვერ ხედავენ ვერავითარ დადებით მომენტს“ ხმელნიცკის მოქმედებაში. სწორედ ამ დადებითი მომენტის დადგენაში მდგომარეობს ციტატის ძირითადი აზრი“ (126:44–45). აი, ასეთია, პროფესორ მ.ნეჩკინას სადისკუსიო წერილის აზრი. იგი ცდილობს დაამტკიცოს და ისტორიკოსების მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდეს ამ ცნების დადებითი მნიშვნელობა. საკითხის ასეთ დაყენებას მაშინვე მიეცა სათანადო შეფასება, რომელიც გააკეთა ლ.მაქსიმოვმა.

მისი აზრით, „ეროპროსი ისტორიის“ რედაქციამ არა მარტო თავი ვერ გაართვა ამოცანას, არამედ დაბნეულობა შეიტანა ისეთ საკითხშიც, რომელიც სულაც არ იყო სადისკუსიო და მანამდეც გადაწყვეტილი იყო. „მცდარმა შეხედულებებმა იჩინა თავი ჟურნალის მიერ ორგანიზებულ პროფესორ მ.ნეჩკინას წერილის განხილვისას „მცირე ბოროტების“ ფორმულის საკითხის შესახებ“ (127:62), რაც შეეხება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხების მდგომარეობის შეფასებას „მცირე ბოროტებასთან“ მიმართებაში აღინიშნა, რომ თეორიულად უმართებულოა რედაქციის მიერ წამოყენებული დილემა: თითქოს კავკასიისა და სხვა ხალხების რუსეთთან შეერთება ხელს უწყობდა მათ ბურჟუაზიულ განვითარებას ან წინ ელობებოდა მას, საკითხის ასეთ დასმაში მახინჯდება ნამდვილი ხასიათი ამ წინააღმდეგობრივი პროცესისა, რომელსაც აქვს ორი ტენდენცია: ერთი, ეს არის პროგრესული ტენდენცია საერთო სარუსეთო კაპიტალიზმის ფარგლებში ხალხების დაახლოებისა, რომელსაც არ შეიძლებოდა არ დაეჩქარებინა ბურჟუაზიული ერის ფორმირების პროცესი რუსეთის ჩაგრულ ხალხებში; მეორე მხარე ამ პროცესისა მდგომარეობს ცარიზმის ნაციონალურ–კოლონიური პოლიტიკის ძალდატანებით ხასიათში, მის „სამხედრო ფეოდალურ“ მეთოდებში, რომელიც ორიენტირებულია ფეოდალურ–

რეაქციულ ელემენტებზე და ამუხრუჭებს საწარმოო ძალთა ზრდას განაპირა ხალხების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას (127:62). ამდენად, მ.ნეჩკინას მიერ დასმულ საკითხზე პასუხი ნათელი იყო, მაგრამ შემდეგში მაინც გაჩნდა იმისი ტენდენცია, რომ უარი ეთქვათ ასეთ შეფასებაზე. ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას სიკეთე არ მოაქვს. ამიტომ ყველა მოვლენას ზუსტი სახელი უნდა დაერქვას და შესაბამისი შეფასება მიეცეს. ამასთან, „მცირე ბოროტებამ" რაკი დაიმკვიდრა ადგილი და აღიარება ჰპოვა, მასში ჭეშმარიტებაც იგრძნეს. იმ ღონისძიების შემდეგ, რომელმაც ისტორიკოსებს მიზნად დაუსახა რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიის საკითხის გაშუქებას უნდა ჩამოვაცილოთ ე.წ. „ნაკლები ბოროტების" ჩენჩოო, "მისი ხსენება ფაქტიურად გაქრა და ამ მოვლენის შეფასებაში თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საბჭოური იდეოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისმა უკრიტიკო, ყველაფრისადმი თაყვანისმცემლურმა დამოკიდებულებამ, რომლის ნათელი დადასტურებაც ტრაქტატისადმი დამოკიდებულება იყო 1983 წელს. მაშინ არავინ წარმოიდგენდა, რომ ათი წლის შემდეგ ქვეყნის ისტორიაში კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერებოდა..

ამის შესახებ მე ჯერ კიდევ 2000 წლისთვის ვწერდი, მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნი (10) მხოლოდ 2004 წელს გამოვიდა, თუმცა მანამდე სადოქტორო დისერტაციის დაცვა შედგა (2003 წ. 23.05), სადაც ამ საკითხს დაეთანხმენ ცნობილი მეცნიერები. ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ნ.კიკვაძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ცხადია, საკამათო არაა, რომ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვა XIX საუკუნის დასაწყისში, როცა აღარც გმირი პატარა კახი იყო ცოცხალი და აღარც მისი უძლური მემკვიდრე, სამეფო გვარეულობისა და დიდგვაროვნების გაუთავებელი ინტრიგების, შურღლისა და ორომტრიალის, ე.წ. „ხალხის მასების" პოლიტიკური ნების არარსებობის ვითარებაში ჭეშმარიტად ბოროტება იყო. მაგრამ „ბოროტება" „ბოროტებას" გააჩნია. ხომ არ დადგა დრო, ბოლოს

და ბოლოს, გამოკვეთილად ვალიარით აუცილებლობა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გენიალური ფორმულის ლეგალიზებისა „უსმცირესი ბოროტება“– ისტორიული სისწორე ამ ფორმულისა კიდევ ერთხელ გახმაურდა ბრწყინვალე ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოგონებებში „სტუმრად სტალინთან“. „საჭიროდ მიაჩნია (ი.ბ.სტალინს ნ.კ.) ბოლოში ითქვას საქართველოს არჩევანის შესახებ, რომ საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ და რთულმა საგარეო პირობებმა ბოლო მოუღეს, რომ ოსმალეთი და ერანი ყოველად მიუღებელი იყვნენ: ერანის ხელქვეშ საქართველოს ფერეიდნელობა ელოდა, ოსმალეთის ხელქვეშ – Туречина (ფეოდალური ურთიერთობის ყველაზე ბარბაროსული ფორმა)– რომ რუსეთი (არჩევანი), მართალია ბოროტება იყო, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში – უმცირესი არაფერი გვეთქმის. სავსებით სწორი შენიშვნაა“ (114:10–11). ჩვენც ვეთანხმებით და ვიზიარებთ ნ.კიკვაძის აღნიშნულ მოთხოვნას.

2. საიუბილეო დღეებში ტრაქტატს საერთოდ ჩამოცილდა „მფარველობითის“ ცნება და იგი „რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის მანიფესტად“ გამოცხადდა. შესაბამისად ხაზგასმით აღინიშნა, რომ ვზეიმობთ „არა ბაგრატიონებისა და რომანოვების სამეფო დინასტიების დამყერების, არამედ ქართველი და რუსი ხალხების დამეგობრების იუბილეს. ამასთან, საკითხის ასეთი დაყენება შეფასდა მარქსისტული მეთოდოლოგიის პოზიციებიდან, სადაც ყველაფერი ხალხს მიეწერებოდა, პიროვნების როლი და მისია თითქმის არ ჩანდა. დინასტიების „დამოყერებამდე“, ან მათი უშუალო ნების გარეშე ხალხებს რომ ერთმანეთისათვის სასიკეთო ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, ესეც ფაქტია. .

3. მრგვალი მაგიდის მონაწილე ცნობილ ქართველ ისტორიკოსთა შეფასებასაც აშკარად ემჩნევა მარქსისტული მეთოდოლოგიის გაელენა. მართალია, ამ მცირე გამონათქვამებში ნაკლებია ქება–დიდება, დაუმსახურებლად ხალხთა მეგობრობის, აყვავების, დაახლოების ან სოციალისტურ საზოგადოებაში დასამკვიდრებელი სხვა პროცესების ხოტბა, მაგრამ თავისუფალი აზროვნების შედეგი ისინიც არ არის.

4. და ბოლოს, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს რაიმე დააკლდეს ქართველი ხალხის მიერ ერეკლე მეორის გადაწყვეტილებით გადადგმულ ნაბიჯს, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას, ყველა მოვლენა ისე უნდა შეფასდეს, როგორც ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება, თორემ ერთ მხარეს დაუსრულებელი ქება-დიდება და მეორე მხარეს ოკუპაცია-ანექსიაზე საუბარი საკმაოდ დიდ უხერხულობას ქმნის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ახალი კრწანისის ტოლფასი ტრაგედია კვლავაც სახეზე გვაქვს.

ამდენად, საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულება არ ყოფილა სხვა რომელიმე მეზობელ ქვეყანაზე მეტად კეთილგანწყობის გამომხატველი, რუსეთიც ისევე იყო დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიის შეერთებით, როგორც ნებისმიერი მისი მეტოქე. და მაინც, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რაც ტრაქტატის გაფორმების შემდეგ შეიქმნა, აშკარად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებით ქვეყანას კიდევ უფრო მძიმე განსაცდელი დაუდგა და ამ საშინელებას მან თითქმის მთელი ორი ათეული წლის მანძილზე საკუთარი ძალების მობილიზებით გაუძლო. ერთი სიტყვით, საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობა და არსებობაც შეინარჩუნა. რა თქმა უნდა, ხელშეკრულების გაუფორმებლად ქვეყანა ყოველივე ამას, ეფიქრობ, უფრო უმტკივნეულოდ შეძლებდა. ამიტომ ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ ფიზიკურად განადგურებას მხოლოდ რუსეთის წყალობით გადავრჩით. ტრაქტატის გაფორმებას მხოლოდ ის გამართლება აქვს, რომ პერსპექტივაში რუსეთი მაინც მოახდენდა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია-ანექსიას (ამაში ეჭვი, ალბათ ერეკლე მეორესაც არ ეპარებოდა), შესაბამისად, მან აირჩია შედარებით უფრო უმტკივნეულო გზა: საქართველოსთვის თავიდან აეცილებინა ორი ან მეტი სახელმწიფოს გავლენის სფეროდ გადანაწილების ხვედრი და, რაც მთავარია, ეს ნაბიჯი გადადგმულიყო ერთმორწმუნე ქვეყანასთან მიმართებაში

საერთაშორისო ნორმების დაცვით. თანასწორუფლებიანი პარტნიორების დონეზე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ინტერესების გათვალისწინებით.

XI. ᲫᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲐᲜᲣ ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კავშირის დასამყარებლად და დახმარების მისაღებად ერეკლე II–ის ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა დასავლეთის ქვეყნების მონარქები სიტყვით თანაუგრძნობდნენ მეფის გასაჭირს, პრაქტიკულად დახმარების სურვილი არავის გამოუთქვამს. ქართლ–კახეთის მეფე მარტო რჩებოდა მძვინვარე მტრის პირისპირ. კელავ გაუთავებელი ბრძოლები, მტრის გამუდმებული თარეში, განსაკუთრებით ლეკების მხრიდან, იყო სამეფოს ხვედრი.

მართალია, ერეკლემ რუსეთთან გააფორმა ტრაქტატი, მაგრამ მისი პრაქტიკული შედეგები ჯერ არ ჩანდა. ამავე დროს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არსებითი ცვლილებები მიმდინარეობდა. კერძოდ, ქერიმ–ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ირანში ტახტის პრეტენდენტებს შორის ბრძოლა გაიმართა და 1784 წლისათვის სხვა პრეტენდენტებს შორის დაწინაურდა ზენდების მოდგმიდან ალი–მურად–ხანი და ყაჯარების გვარიდან აღა–მაჰმად–ხანი ასტრაბადელი. ალი–მურად–ხანს ცენტრი და სამხრეთ ტერიტორიები უკვე დაკავებული ჰქონდა, ჩრდილოეთში აღა–მაჰმად–ხანი ცდილობდა დამკვიდრებას. რუსეთის დიპლომატია აკვირდებოდა ვითარებას და მან ურთიერთობა ალი–მურად ხანთან გააბა, რისთვისაც მისგან მიიღო თანხმობა გარკვეული ტერიტორიის (ყარადაღი, ყარაბაღი, ნახჭევანი, ერევანი, მიმდგომი მხარეები) მიღებაზე, თუ ირანის შაჰად იცნობდა და თურქეთისაგან დაიცავდა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ირანში ძლიერი ხელისუფლების დამკვიდრებას. ასეთმა ურთიერთობამ გააუარესა

აღა-მაჰმად-ხანის მდგომარეობა. მას კი რუსეთის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯების მთავარ მიზეზად საქართველო მიაჩნდა (128:124; 135:113). მართალია, შემდეგში ვითარება მის სასარგებლოდ შეიცვალა, მოწინააღმდეგე დაამარცხა და ირანის შაჰი გახდა, მაგრამ საქართველოს აღარ აპატია, მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა ანგარიშის გასასწორებლად.

ცვლილებები ხდებოდა ქართულ სამეფო კარზეც. თავის დროზე ეს მოვლენა შენიშნა ბურნაშოვმაც. იგი კარგად მიანიშნებდა იმ პროცესზე, რომელიც დედოფალ დარეჯანთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ბურნაშოვი წერდა: „მისი მეუღლე, დარეჯან გიორგის ასული მეგრელი დადიანების სახლის წარმომადგენელია, თავად ჩიქოვანების გვარიდან. ცოლ-ქმრობის პირველ წლებში მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა სახელმწიფო საქმეებზე, ამიტომ ნაკლებად იყო ცნობილი ქვეშევრდომებისათვის, რომლებიც ჩვეულების თანახმად მას ვერც კი ხედავდნენ. მაგრამ მეფის შვილები როცა დავაჟკაცდნენ და ქალიშვილები გათხოვდნენ ძლიერ და უპირველესი გვარების წარმომადგენლებზე, დედოფალმა დაიწყო მონაწილეობის მიღება მეფის საბჭოში (ისე როგორც სპარსეთისათვის არის ჩვეულებრივი, რაც მეტი ზრდასრული შვილები ჰყავს ქალს, მით უფრო ძლიერი ხდება, რადგან ყოველ შვილსა და სიძეს თავისი თანამოაზრენი და მომხრეები ჰყავთ და შეადგენენ პარტიას). ასე, რომ ამჟამად ყველაფერი დედოფლის თანხმობით კეთდება. რადგან თვით მეფესაც, თავისი ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო, მისადმი განუსაზღვრელი ნდობა აქვს“ (58:10–11). ამდენად, ბურნაშოვი კარგად გრძნობდა იმ ვითარებას, რომ დედოფალს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა მეფეზე, რაც, თავის მხრივ, სათანადო პრობლემებს ქმნიდა მეფის მიერ გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასეთი უხერხულობის მიზეზად ქართველი მკვლევარები სამეფო კარზე არსებულ ოპოზიციას მიიჩნევენ. ოპოზიციურად განწყობილი ძალები სხვადასხვა მიმართულებისა იყო. ერთ-ერთი მათგანი რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებისადმი გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას. კერძოდ, თუ ტრაქტატის გაფორმებამდე მთელი იმედები რუსეთთან

ურთიერთობაზე იყო დამოკიდებული,. ახლა მათ იმედებს ბზარი გაუჩნდა „ოპოზიცია ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა და ამიტომ არჩევდა მეზობელ მაჰმადიან ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა ოსმალეთსა და სპარსეთთან კავშირის დაჭერით დამოუკიდებელ გზაზედ სელას“ (64:179–180). მეორე უფრო ძლიერი ჯგუფი, ქვეყნის მოუწყობლობისა და არევ–დარევის გამო ერთადერთ გამოსავალს ისევ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერაში ხედავდა და მისგან მოელოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნას. პროფესორ სარგის კაკაბაძის აზრით, „რუსოფილურ ჯგუფს ეკუთნოდნენ გარსევან ჭავჭავაძე, მისი სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი, ალ. მაყაშვილი, ასლან ორბელიანი, რევაზ ანდრონიკაშვილი, ქსნის ერისთავნი, გოგია ციციშვილი (სიმამრი ბატონიშვილის გიორგისა), რომელსაც წინად ღალატისათვის ყურები ჰქონდა დაჭრილი, არქიმანდრიტი ეფთიმე და სხვ“. (64:180). ამ ჯგუფის წარმომადგენელთა ნაწილი რუსეთთან კავშირის მომხრე იყო ტრაქტატის საფუძველზე, ნაწილი კი მზად იყო მეფობის გაუქმებისთვისაც დაეჭირა მხარი. ამავე ჯგუფში იყვნენ და რუსეთთან კავშირს უჭერდნენ მხარს გაელენიანი სომხები. მათ შორის განმტკიცდა აზრი, რომ მხოლოდ რუსეთს შეეძლო მათი ხსნა. ქვეყნის უძლურებამაც სწორედ ამ შეხედულების საფუძველზე გაუკვალა გზა იდეას, „რომ ძლიერი რუსეთი იხსნიდა ქრისტიანობას მაჰმადიანთა მძლავრობისაგან. ნაგულისხმევ ჯგუფს სომეხთაგან ეკუთვნოდნენ: მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, ქ. ტფილისის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, სულხან, მისი ძმა მანუჩარ და შვილი შიოშ თუმანიშვილები, სოლომონ არღუთაშვილი, იოსებ და ავეტიკა შალბათაშვილები და მილახვარი იოსებ ყორღანაშვილი, ფავორიტი დარეჯან დედოფლისა და მისი საქმეების მოურავი“ (64:180). დასახელებულმა პირებმა მალე მოიპოვეს პირველი ადგილი რუსეთის მომხრეთა ჯგუფში. მათი შეკრების ადგილას იოსებ ბებუთაშვილის სახლი გადაიქცა. ამის ხელმძღვანელებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ რუსეთში მყოფ სომეხ მთავარეპისკოპოს

იოსებ არლუთაშვილთან, რუსეთის მომხრეთა ჯგუფს დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზეც. „აქ იყო გადაბმული ერთმანეთთან ფრიად რთული ქსელი იდეური მიდრეკილებისა და შურიანობისა, ინტრიგებისა და პირადი უკმაყოფილებისა, მაგრამ ყველაფერს ამას აერთებდა ერთი ხაზი „რუსეთთან ურთიერთობა“ (64:181). ოპოზიციურად განწყობილთა ჯგუფს სათავეში ედგა სოლომონ ლიონიძე, მსაჯულთუხუცესი და მდივან-ბეგი, ვიცე-კანცლერად წოდებული, მას მხარს უჭერდა სარდალსახლთუხუცესი დავით ორბელიანი, სიძე ერეკლე მეფისა მხნე, მამაცი და გონიერი კაცი (64:181).

ასეთი ვითარება იყო საქართველოში, როცა აღა-მაჰმად-ხანმა აიღო ძალაუფლება, 1785 წელს დაიკავა თეირანი, შემდეგ სძლია ჯაფარ-ხან ზენდს, დაიპყრო ერაყი, 1791 წელს მოვიდა აზერბაიჯანში და მეფე ერეკლეს საუბარი დაუწყო მეგობრობაზე.

ბურნაშოვი თავის ჩანაწერებში ყურადღებას ამახვილებდა რელიგიისადმი ერეკლე II-ის განსაკუთრებულ ერთგულებაზე. „მიუხედავად 70-წლიანი ასაკისა იგი ყურადღებას არ აქცევს თავის მოხუცებულობას და ყოველდღიურად სამჯერ ეწევა ღვთის მსახურებას, განსაკუთრებით იცავს ორსაათიან ლოცვას თავის კაბინეტში, საიდანაც მისი მოწყვეტა არაფერს ძალუძს, საკვირველი შრომისმოყვარე და ფხიზელია, სძინავს ძალიან ცოტა, თუმცა მრავალი წელი ნადირ-შაჰთან გაატარა „არაფერი ისე არ იტაცებს, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნა“ (58:10).

მეფე ერეკლეს განსაკუთრებულ ღვთისმოსავობაზე ყურადღებას ამახვილებდა სარგის კაკაბაძეც. იზიარებდა რა ბურნაშოვის აღნიშნულ ცნობას, იგი წერდა: „ერეკლე თბილისის დაცვის საქმეში დიდ იმედს ამყარებდა წმიდათა ნაწილებზე, რისთვისაც ერთაწმიდიდან წმიდა ესტატეს მკლავი ჩამოატანინა. ცხადია, ამგვარი სარწმუნოებრივი წყობის ადამიანს უჭირდა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერატორთან დადებული ფიცის, მისი წარმოდგენით, რელიგიური აქტის, გატეხა, რაც, სხვათა შორის, სრულიადაც არ ეხნელებოდა მასაით ქრისტიან რუსთ ხელმწიფეს. ეს გარემოება უეჭველად ზღუდავდა ერეკლეს იმაში, რომ

სათანადო ელასტიურობა გამოეჩინა სპარსეთთან ურთიერთობაში, როცა ეს აუცილებელი იყო და სხვა გამოსავალი არ ჩანდა“ (129:62).

მეფე ერეკლემ სცადა ძალთა მობილიზება აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი თავდასხმის აღსაკვეთად, მაგრამ უმთავრესი საქმიანობა ამ მიმართულებით მაინც რუსეთის მხრიდან სამოკავშირეო ვალდებულების შესრულებას მიუძღვნა. სამწუხაროდ, მტრის საშიშროების თავიდან აცილებისა და ქვეყნის გადასარჩენად გატარებული ღონისძიებების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ რუსეთის მხრიდან დახმარების მიღებაზე მოდიოდა. ამ მიმართულებით არსებულ მრავალ დოკუმენტთა შორის არის ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც ბატონიშვილ დავითს ეკუთვნის: „თუმცაღა უწინარეს მოსელისას თხოეა შეწევნა კავკასიის ლინიის მთავარსა ღრაფს ღუდოვიჩსა ივან ვასილიჩსა ტრაკტატისამებრ ძალითა, რომელიც რუსთა აღუთქვათ პირობის წიგნსა შინა: უკეთუ მტერ ძლიერ მოვიდეს, შემწე იყოს ლინიის მთავარი მეფესა. რომელსაცა არა ენება მოცემა და არცა მოსცა მეფესა შეწევნა ამისთვის, რომელ ხოჯა უველინებდის ფეშქაშსა დანი-ვთსა მრავალსა, რათა არა შემწე ექნეს მათ იგი და მეფესა არწმუნებდის ღრაფი შეწევნასა (ხაზგასმა ჩვენია—ე.ბ.); რომელიცა ატყუა და ესრეთ შეემთხვა მეფესა“ (130: 45–46). როგორც ეხედავთ, ბატონიშვილი პირდაპირ წერს, რომ გუდოვიჩი არ დაეხმარა ქართლის მეფეს, რადგან ხოჯას იგი საჩუქრებით ჰყავდა მოსყიდული. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, გუდოვიჩი ამას არ იკადრებდაო, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ერეკლეს თხოვნისადმი მის დამოკიდებულებას და იმას, რომ ამ სიტყვების ავტორი ერთ-ერთი საუკეთესო მოაზროვნე და განათლებული მემკვიდრეთაგანი იყო, შეუძლებელია არ ირწმუნო ეს ინფორმაცია. რუსული მმართველობის გეგმაში საქართველოს იმ დონემდე დაბეჩავება იყო ნავარაუდევი, რომ ყოველნაირ პირობებს დათანხმებოდა იმპერიასთან შესაერთებლად. ამ სიტუაციის გათვალისწინებით

ასეთი საკითხის დაშვება სრულიად შესაძლებლად უნდა მიეიჩნიოთ.

რუსეთში მიმოწერები განსაკუთრებით აქტიური გახდა 1795 წლისათვის. აღა–მაჰმად–ხანის თავდასმის მოლოდინში. ერეკლე II–მ ჯერ ოფიციალური მასალა გადაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას გ.ჭავჭავაძის ხელით, სადაც დეტალურად იყო დასაბუთებული ჩვენი ქვეყნისათვის მოსალოდნელი საფრთხე: „ვინაიდგან ცვლილებებისაგან ჟამისა განძლიერდა აღა–მაჰმად ხან და დაუახლოვდა უკვე სამზღვართა ჩვენთა, რომელიც იმყოფება ახლა არდაველს, და აქვს განზრახვა, რათა საქართველო მოიყვანოს იმ მდგომარეობაში, ვითარცა ყოფილა ჟამსა სპარსეთის ყაენებისასა მძლავრებით“ (63:117). ამავე წერილით ერეკლე რუსეთისაგან იმ ზარბაზნების გადაცემასაც ითხოვდა, რომელიც წინასწარი დაპირებით უნდა გადაეცათ ქართული მხარისთვის. მაგრამ, როცა პასუხი ვერ მიიღო, ჯერ უშუალოდ ეკატერინე მეორეს მიმართა ამ პირობის შესრულების შესახებ, შემდეგ კი ა.ბეზბოროდკოს (63:116). ეს ყველაფერი 1795 წლის იანვარში ხდებოდა. შემდგომში კი, 1795 წლის 6 ივნისს, დედოფალმა დარეჯანმა მიმართა ეკატერინე II–ს და თხოვდა: „აღთქმისაებრ ყოვლად უმოწყალესისა ტრახტატისა ინებოთ შეწევნა ჩვენი აღა–მაჰმად–ხანს ზედა, რომელიცა მახლობელად ჩვენდა მდგომარე არს არმიითა თვისითა და ცდილობს დაპყრობასა ქვეყნისა ჩვენისასა, რომლისთვისცა ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო, შეიწყალენ ესოდენნი ქრისტიანენი ბრძანებითა ანშეფის ლუდოვიჩისათა, რათა მოგვცეს შეწევნა უძლეველითა მხედრობითა, რომლითა ხსნილნი მტერთაგან მმადლობელნი დავშთებით“ (63:119).

ასეთი ინტენსიური თხოვნისა და ტრაქტატით გათვალისწინებული მოვალეობის შეხსენების მიუხედავად მფარველ–მოკავშირე პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა.

ერეკლე საშიშროების მოახლოებამდე რამდენიმე წლით ადრე რუსეთის სამეფო კარს კელავდაკელავ ახსენებდა აღებული ვალდებულების შესრულებას, რუსეთ–ოსმალეთის მეორე ომი

ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ერეკლე მეორემ კვლავ დასვა საკითხი რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთში გამოგზავნის შესახებ. ამის საპასუხოდ გენერალმა გუდოვიჩმა 1792 წლის 18 მაისს მიიღო ეკატერინე II-ის ხელმოწერილი მითითება, „რომ რუსეთის ჯარის გაგზავნა საქართველოში ახლა მიზანშეუწონელიაო“(129:58). ასეთი პასუხებისა და დამოკიდებულების მიუხედავად ერეკლე მაინც აგრძელებდა თხოვნას რუსეთისადმი. 1793 წლის 1 მარტს და 18 აპრილს იგი პეტერბურგში მყოფ თავის შვილს მირიანს წერდა: „აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი ძლიერდება, საქართველოს მეზობელი ხანების დამორჩილებას ცდილობს და თუ მან ამას მიაღწია, მაშინ შეეძლება საქართველოზედაც წამოსვლა და თავისი თავის შაჰად გამოცხადებაო“ (83:76-77). ამიტომ ერეკლე მირიანს თხოვდა, გრაფ პლ.ზუბოვის მეშვეობით იმპერატრიცას გაეფრთხილებინა აღა-მაჰმად-ხანი, რომ საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშაა. თანაც ერეკლეს სურდა საქართველოსათვის მიეცათ მოზდოკის ხაზზე დარჩენილი ის ზარბაზნები ყუმბარებით, რომლებიც მას 1783 წლის ტრაქტატის შემდეგ ჰქონდა ნაბოძები და ჯერ არ მიეღო (83:77-78). ამ ზარბაზნების მიღების საკითხი ამის შემდეგაც რამდენიმეჯერ იყო დასმული, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. 1793 წლის 7 მაისს მირიანმა კვლავ მიმართა დედოფალს და პლ.ზუბოვს (83:79-80), რასაც მოჰყვა რუსეთის სამხედრო საბჭოს 1793 წლის 30 მაისის დადგენილება, რომლის თანახმადაც კავკასიის ხაზის უფროსს გენ. გუდოვიჩს მიუთითეს, რომ „უკეთუ აღა-მაჰმად-ხანი, მართლაც გამოააშკარავებს მეფე ერეკლეს საზღვრებზე თავდასხმის სურვილს, მაშინ მან დააიმედოს ერეკლე მისი დიდებულების უმაღლესი მფარველობით და სათანადოდ ჩააგონოს ხსენებულ ხანს, რომ ის, გუდოვიჩი, მის ასეთ განზრახვას გულგრილად ვერ შეხვდება. გუდოვიჩმა მეზობელ ხანებს და თვით მეფეს ალმოუჩინოს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დახმარება, მაგრამ დიდი ხარჯების და დავიდარაბის გაუწევლად“ (83:80-81). გათვალისწინებული იყო ერეკლესთვის არტილერიის გაგზავნაც „თუ მას ესე მიცემული დაპირების თანახმად,

მართლაც ერგება“–ო (129:58–59). რაკი არაეითარი დახმარების იმედი არ სჩანდა, ერეკლე II–მ პეტერბურგ›ში მუდმივ მინისტრად და ელჩად გააგზავნა თავისი კარის ეშიკაღასბაში და ყაზახის მოურავი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც 1794 წლის იანვარში პეტერბურგს ჩაეიდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ეს სიტუაცია კიდევ უფრო გვარწმუნებს გუდოვიჩთან მიმართებაში დაეით ბატონიშვილის აზრის სისწორეში. ამ თხოვნების პარალელურად მიმდინარეობდა მსჯელობა აღა–მაჰმად–ხანის მიერ წამოყენებულ იმ მოთხოვნათა განსასჯელად, რომლებიც უკვე ულტიმატუმის ხასიათს შეიცავდნენ. ამასთან დაკავშირებით ერეკლეს კარზე საგანგებო თათბირი გაიმართა „მეფის ძე გიორგი სპარსეთის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მომხრე იყო, თვითონ კისრულობდა სპარსეთში წასვლას და თავისი შვილის დავითის იქ მძევლად დატოვებას. ეს აზრი არ გაეიდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ერეკლე მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და გარდა ამისა დარეჯან დედოფალიც მუშაობდა ამ გზით გიორგის გავლენა არ გაძლიერებულიყო. აღა–მაჰმად–ხანი ერეკლესაგან ითხოვდა „წარუელინოს თვალი ძვირფასი ნადირ–შაჰისაგან ნაქონი, უკუდგეს რუსეთსა, აღიაროს მფარველად, ვითარცა ძველად, სპარსეთი და მისცეს მზეველები“ (71:49). გიორგი თვითონ კისრულობდა რა შუამავლობას, არა მარტო საკუთარი შვილის მძევლად დატოვებას, არამედ შაჰის-თვის ქვეყნის გადარჩენის თხოვნასაც აპირებდა. მაგრამ დარეჯან დედოფალი მის წინადადებაში უფრო საწინააღმდეგოს ხედავდა, ვიდრე სასარგებლოს. კერძოდ, მას აფიქრებდა, რომ გიორგი „არა მოვიდეს სპარსთა ჯარითა და არ გამეფდეს სპარსთა ძალითა ჯერეთ სიცოცხლისავე მისისა მამისა დროსა“ (71:49). სამწუხაროდ თათბირის მონაწილეებმა და თვით მეფემაც, გიორგის ეს საინტერესო წინადადება არ მოიწონეს და მხარი არ დაუჭირეს იმიტომ, რომ რუსეთის მომხრეები იყვნენ და მისი წინადადება ტრაქტატის პირობებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ უარი თქვეს აღა–მაჰმად–ხანის წინადადებაზე და ელჩს ასეთი პასუხი მოახსენეს: „მრავალჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავალად მათგან ტანჯულნი; სარწმუნოება ჩვენი ვერ დაგვაკავშირებს სპარსეთსა;

მიმიცია სიტყვა--წერილითი პირობა--ვიყო კავშირითა მტკიცითა შეკრული რუსეთისა ხელმწიფესთან, რომელიც არის ერთისა სარწმუნოებისა ჩემთან მქონი, ერთისა ეკლესიისა შვილი, ერთისა ხმითა მადიდებელი ღვთისა. თვით სპარსეთმაც იცის ესე, ადრითვე და წინა მოადგილეთა ვექილთა სპარსეთისა. მე მყავს გვერდით ჯარი ჩემი და ჯარი რუსეთისა. მანამ ერევნიდამ აქ მოვა ჯარი ყაენისა, ჯარი რუსეთისა უფრო ადრე შემოვა თბილისს" (71:49). ასეთი პასუხი მისცა მეფე ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანის ელჩს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მეფემ არ ისარგებლა იმ შესაძლებლობით, რომელიც მას და ქვეყანას ეძლეოდათ. იმ დროისათვის მტრის შემოსევის თავიდან აცილება სიკეთეს მეტს უქადდა ქვეყანას, ვიდრე საშიშროებას. ამ შესაძლებლობაზე უარის თქმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის მხრიდან სასიკეთო არაფერი ისმოდა, ხოლო ქვეყნის შიგნით თავდაცვისათვის საჭირო ღონისძიებები თითქმის არ განხორციელებულა ან არავინ დაინტერესებულა მისი მიმდინარეობით, ნამდვილად საბედისწერო შეცდომა იყო.

ასეთი დამოკიდებულების შემდეგ, ბუნებრივია, ქვეყანა დიდი საშიშროების წინაშე იდგა. აღა-მაჰმად-ხანი ყველაზე მეტად ერეკლეს რუსეთთან კავშირით იყო განაწყენებული და, თუმცა მას კრძალვით ექცეოდა გარკვეულ დრომდე, შემდეგში მთელი თავისი სისასტიკით აპირებდა ანგარიშსწორებას. როცა ვითარება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, ერეკლემ უკვე საკუთარი ძალებით მტრის განადგურების გეგმა აირჩია. მან ფეოდალური არისტოკრატიის კრება მოიწვია და იქ განიხილა მტრის წინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობა. ერეკლემ მიმართა კრების მონაწილეებს: „ჩემო ძმანნო, ჩუენი გულოვანი ვაჟკაცობა, ჩუენი მკლავის ძალა და ჩუენი ხმლის მჭრელობა დიდი ხანი არის, რომ სპარსელებს ალარ უნახავთ, ეტყობათ ეს იმათ დავიწყებიათ. ამისათვის ეხლა კიდევ ხელი წაუყრიათ იმათ, და იმ ჩვენს ახალ მტერსა, ხოჯა აღა-მაჰმად-ხანს, რომელსაც დაგროვილი სპარსები მოყავს ჩვენზე, ჩვენს დასამხობად. დვე მოიყვანოს, ერთი კიდევ გვანახონ და უკანასკნელად დაიჯერონ იმათ, რომ კიდევ ის ქართველები ვყოფილვართ, ისევ ის უშიშარი,

უძლეელები. მაშ ამის შემდგომ ვინ რას იტყვით და რომელი რას რჩევას მოგვცემთ ამ თათბირში, როგორ დავხვდეთ იმათ ფუჭსა სიმძლავრესა“ (146:127)

ამ მართლაც მეფურ–სარდლური სიტყვის შემდეგ კრების მონაწილეთა იმ ურჩმა ფეოდალურმა არისტოკრატიამაც ხმა ამოიღო, რომელიც მეფეს თითქმის აღარ თანაუგრძნობდა. საკითხის განხილვაში მათ მონაწილეობა მიიღეს, მეფეს საკუთარი აზრი მოახსენეს იმაზე, თუ როგორ ეწარმოებინათ სპარსელებთან ომი. ბჭობის დროს გამოითქვა სხვადასხვა აზრი, რომელსაც საბოლოოდ ერეკლეს წინადადებამ აჯობა, აი, რას გადმოგვცემს აქ წარმოთქმული ერეკლეს სიტყვის შესახებ ალ. ორბელიანი: „მე მინდა აღა–მაჰმად–ხანი და მისი ჯარი ისე წავახდინო, რომ საქართველოდან ერთი მოამბე ყიზილბაში ველარ გავიდეს, მას უკან რაც მინდა, სპარსეთს იმას ვაქნევინებ. მე აღა–მაჰმად–ხანს არსად არ შევებმი, მოვიყვან სოღანლუხს იქით მინდორში ჩამოვახდენ მტკუარის მახლობლად. ამ დროს მეც სოღანლუხითგან მცირე ჯარს დავანახვებ, მითომ იმაზე მეტი ჯარი არა მყავს, რომ აღა–მაჰმად–ხანის ჯარი უფრო გათამამდეს, მაგრამ ოთხმოცი ათასზე მეტი ჯარი, ამ ქალაქის მოახლოვოდ ანუ მის გარშემო მეყოლება დაფარულს ადგილებში, რომლებიც ის ადგილები ესენიცა არიან, და ან რა ერთიც ჯარები იქ დგებიან, აი, ეხლა გაიგონებთ. ათი ათასი ჩუენი მეომარი სოღანლუხის გაღმა ჭალაში იქნებიან დამალული, ყარაიაზის მხარეს. ათი ათასს მეომარსა დიახ ჩუმად მოვატარებ და იალღუჯის ყელებში გავგზავნი, რომ დრომდისინ იქ იყვნენ დამალულნი. ხუთი ათასს მეომარსა გატეხილის ხიდისაკენ, მალვით გავგზავნი რომ ანასხლეტი ყიზილბაშის მეომარი ამათ არ გაუშონ. ათი ათასს მეომარსა სოღანლუხის ყელებში დავაყენებ პირისპირ ყიზილბაშისა და მე დანარჩენის ჯარითა და თერამეტის ზარბაზნითა ტაბახმელის გზაზე გადეველი თელეთისკენ და გათენებისას ყიზილბაშის ჯარზე მივალ და თერამეტ ზარბაზანს ერთად დაუშენ მოუწყვეტელად, რომ ჯერ ამით ზარი დაეცეს ყიზილბაშებს: ოცი ათასს ჩვენს მეომარსაც შევატევინებ და მე დანარჩენის ჯარით უკან შევუდგები. ამ დროს იქით იალღუჯის

ჯარი და აქეთი სოლანლუხის ყელის ჯარი, სწორედ ამ დროს გამოვლენ და სამის მხრივ გარს შემოევრტყმებით ყიზილბაშის ჯარსა, რომ არსაითკენ არა ჰქონდეს გზა, თუ არ მტკვრისაკენ, ყიზილბაშის გაქცეულსა ჯარსა და სამის მხრითგანაც ჩუენ მოეაწვებით. აქ მე დარწმუნებულად ვიცი, ალა-მაჰმად-ხანს ან ხელებშეკრულს მოგვცემენ, ან თავისი ჯარი მოჰკლავს და ან ჩვენი ჯარი ხელში ჩაიგდებს. ამას ვიტყვი. რომ ყიზილბაშის ჯარი თოფ-იარაღს დააწყობს და სულ ერთიან დაგვმორჩილდებიან. ღვთით, იმედი მაქვს, რომ, უთუოდ დაგვმორჩილდებიან“ (146:129–130).

ასეთი იყო სამხედრო გეგმა, რომელიც ერეკლემ კრებას წარუდგინა და სადაც ნამდვილად გამოჩნდა დიდი სარდალი და სტრატეგი. თუმცა აქ ერთი და უმთავრესი იწვევს აშკარა ეჭვს: ერეკლეს სიტყვაში დასახელებული ჯარის რაოდენობა. იგი მხოლოდ კონკრეტულ ციფრებში, 55 ათასს შეადგენს, ამის შემდეგ კიდევ რჩება მას ჯარი სამოქმედოდ. თუმცა ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რაც დასახელებული არ არის. თუ ვერწმუნებით საერთო რაოდენობას, 80 ათასი, მაშინ თვითონ კიდევ რჩება 25 ათასი. ამ ბრძოლაში ერეკლე მართლაც ბედნიერი მეფე და სარდალი იქნებოდა გადამწყვეტ ბრძოლაში რომ 25 ათასი მებრძოლი მაინც ჰყოლოდა ნაცვლად 80 ათასისა, მაგრამ ბედის ირონია იყო, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში, გამარჯვებებს ჩვეული მეფე და სარდალი წარმოუდგენელი რაოდენობის ლაშქრით შეხვდა სასტიკ მოწინააღმდეგეს. თუმცა ამ შეხვედრამდე იყო კიდევ ერთი: „ყაზახში რომ ჩავიდა ქართველთა ჯარი, ერეკლესთან კიდეეაც მოვიდა ალა-მაჰმად-ხანისაგან ელჩი შემდეგი დავალებით:

„ეს არის არეზში გამოვედი და კიდევ ელჩი გამოგიგზავნე და მეც თან მოვდევ ელჩსაო. შენი წახდენა არ მინდა, ოღონდ ის ჩემი სურვილი აღმისრულე და ამის დასარწმუნებლად ერთ-ერთი შენი შვილი და მეორე ერთი შენი შვილიშვილი გამომიგზავნე მძევლად; მაშინვე გაეტრიალდები და წავალ“ (146:134).

ალბათ, ეს იყო არც თუ საიმედო და სასურველი, მაგრამ

გადარჩენის ერთადერთი შანსი. რომლის გამოყენების შესაძლებლობა ერეკლეს რჩებოდა. მაგრამ მან არა თუ შემოთავაზებული წინადადება მიიღო, არამედ ელჩი დაატყვევა და თბილისში გამოისტუმრა, რადგან მისი „უარით უკან გაბრუნება მეფის მხრივ გულუბრყვილობა იქნებოდა“ (134:176).

რა ხდებოდა მანამდე ერეკლეს გარემოცვაში? სამწუხაროდ ჯერ კიდევ 8 სექტემბერს ერეკლემ არ იცოდა დამხმარე ჯარის საერთო რაოდენობა, ხოლო გადამწყვეტი ბრძოლისათვის მას 5 ათასი მეომარი ძლივს მოუვიდა. ყველაფერი იმით იყო განპირობებული, რომ თავი იჩინა მეფის მემკვიდრეთა შორის წინააღმდეგობამ, მართვის სისტემის მოშლილობამ, რუსეთის იმედად ყოფნის განწყობამ. ამის შედეგი სახეზე იყო: ბატონიშვილებიც კი საჭიროდ არ თვლიდნენ თავისი საუფლისწულოებიდან დაძრულიყვნენ, ზოგი კი სულ მცირე ამალით მოდიოდა. ერეკლეს სიძემ, ქიზიყის მოურავმა, ზაქარია ანდრონიკაშვილმა 2 ათასი ქიზიყელი ომის წინა ღამეს სოღანლულის ბანაკიდან გააპარა. გიორგი ბატონიშვილი სიღნაღში იჯდა, ხოლო მისი მომდევნო ძმა, იულონ ბატონიშვილი ქართლში ნებიერობდა (131:259). თუმცა ერეკლეს ძველებურად აღარ შეეძლო, თითქმის გაუკეთებელი გააკეთა მტრის დასამარცხებლად და შეიძლება ყველაფერი წაღმა დატრიალებულიყო, რომ მოღალატეს მისთვის იმედი და ბრძოლის ველისკენ შემობრუნების საშუალება არ მიეცა.

კრწანისის ტრაგედია დატრიალდა: ჩაიწერა კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი მუსლიმანურ ქვეყნებთან ბრძოლის ისტორიაში (132:28).

თუმცა ერეკლე მეფემ ძალა და ენერგია არ დაიშურა, ტრაგიკული ბედი მაინც ვერ შეცვალა, საგარეო–პოლიტიკური ორიენტაციის ერთ–ერთი შედეგი 1795 წლის კრწანისის ტრაგედია გახდა. მეფემ იმ დროისათვის მეტად რთულ ვითარებაში განჭვრიტა მთელი ერისთვის სასურველი გზა, თუმცა მძიმე და ეკლიანი იყო ამ გზით სიარული.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართლ–კახეთის მეფე დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის დახმარებაზე. იგი წერილებით

აცნობებდა იმპერატორის კარს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც საქართველოს ელოდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევით. მის წერილებში კარგად იყო დასაბუთებული იმ ძალთა თანაფარდობაც, რომელიც მოსალოდნელი თაედასხმის დროს შეეძლო ქართველებს სპარსელებისთვის დაეპირისპირებინათ. ამის მიუხედავად, როგორც ნ. დუბროვინი წერს, „ყველა თხოვნაზე გრაფი გუდოვიჩი ერეკლეს პასუხობდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს კიდევ ბევრი წინააღმდეგობისა და სიძნელის გადალახვა მოუწევდა საქართველოს მიმართ ჩანაფიქრის განხორციელებამდე, რომ იმერეთისა და ქართლის შეერთებული ძალები საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ მათ ჰყავთ კიდევ მესამე მოკავშირე – შუშის ხანი იბრაიმი, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აღა-მაჰმად-ხანის მოგერიება. ამის შესახებ ელაპარაკებოდა და აიმედებდა კიდეც ერეკლეს. გრაფი გუდოვიჩი ქართველ მეფეს ურჩევდა არ დაეშვა სპარსთა შემოჭრა ქვეყნის შიგნით“ (137:20). გუდოვიჩი ერეკლეს იმაშიც არწმუნებდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისაგან თავი შეიკავა არა მარტო ავარიის ხანმა, არამედ ლეკებიც შეითანხმა მან, რომ არ დაძრულიყვნენ ერეკლეს წინააღმდეგ (83:100) და ამის გამო მათ საკმაოდ ძვირფასი საჩუქარი მიართვა.

შუშის ხანმა მართლაც საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია საჭურისს და იგი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა. ამ ფონზე მართლაც საცოდავად გამოიყურება თბილისი, რომელსაც, ფაქტიურად გააჩნდა საჭირო საშუალებანი თავდაცვისა, თუმცა მისი გამოყენება ვერ შეძლეს. როგორც ვ. პოტტო მიანიშნებს, ამ დროისათვის თბილისს 35-მდე ზარბაზანი ჰქონდა, აღა-მაჰმად-ხანს ზარბაზნები საერთოდ არ მიუტანია თბილისთან, ამიტომ ქალაქს შეეძლო საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა და დიდი ხნით მტრის გარემოცვაში ყოფნაც. „მაგრამ შინა აშლილობა ხელს უშლიდა განსაკუთრებით ასეთ მომენტში საჭირო ერთსულოვნებას. უფლისწულები, რომლებიც თანადგომას არ უცხადებდნენ მამას, არ მიჰყვებოდნენ მოწოდებას და არ ჩქარობდნენ საუფლისწულოებიდან დედაქალაქში წასვლას. ქალაქში კი დედოფლის გაუფრთხილებლობით დაიწყო პანიკა. სასახლის მოედანთან შეკრებილი ხალხი ეევედრებოდა მეფეს

არ მიეტოვებინა უპატრონოდ და მზად იყვნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ. მეფემაც, თავის მხრივ, პირობა მიცა თავის ხალხთან ერთად დაღუპულიყო. ამის დასტურად დააყენეს მცველები, რომლებიც არავის არ უშვებდნენ ქალაქიდან, მაგრამ დედოფალმა, ახლობლების რჩევით, ითხოვა საკუთარი და ათამდე საპატიო ოჯახებით ქალაქიდან გასვლა. ამ მოქმედების შედეგად ხალხმა ივარაუდა, რომ მეფე თავს ანებებდა ქალაქის დაცვას და იწყეს სხვადასხვა მიმართულებით ქალაქიდან გაქცევა თავის გადასარჩენად. ეს იყო უკვე პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობა, რომელმაც უარი თქვა ქალაქის დაცვაზე (72:290). მიუხედავად ცალკეული, თითქმის საარაკო გმირობისა და თავდადებისა, მტერმა შეძლო მიწასთან გაესწორებინა ყველაფერი.

ვ. პოტტო კიდევ ერთ, თითქმის დაუჯერებელ, ამბავზე ამახვილებს ყურადღებას. თბილისის ძარცვისა და რბევის დროს ორმოცდაათი მცხოვრები, რომლებმაც გაქცევა ვერ მოახერხეს, თავი მამადავითს შეაფარეს, დაახლოებით იქ, სადაც გრიბოედოვის განსასვენებელია. ქალაქის ძარცვა–გლეჯით გართულ სპარსელებს, ერთჯერაც კი არ შეუვლიათ თვალი მამა დავითის გორისთვის, რომელიც ძველი მონასტრით იყო დამშვენებული. ხარბ მძარცველებს ხელიც კი არ წასცდენიათ მის გასაძარცვად. იქნება ამ ადგილებში მტერი ფარულ საფარზეც ფიქრობდაო,– მიანიშნებს აეტორი, და ამიტომაც აერიდა იქ მისვლას, რაც უნდა ყოფილიყო, ფაქტი ისაა, რომ წმინდა სავანემ ხელშეუხებლად იხსნა ყველა, ვინც იქ თავი შეაფარა (72:293).

იმ უამრავ წერილებში, რომლებიც რუსეთის იმპერატორის კარს ეგზავნებოდა კრწანისის ტრაგედიამდე და ტრაგედიის შემდეგ ერეკლე მეორე და დედოფალი დარეჯანი გამოთქვამდნენ დიდ გულისტკივილს მომხდარის გამო. გენერალმა გუდოვიჩმა ზედმიწევნით იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა და რაც უნდა მომხდარიყო ჩვენს ქვეყანაში. მას საამისოდ არა მარტო ქართული სამეფო კარიდან მიღებული ინფორმაციებით შეეძლო ამისი გაგება, არამედ იმ წერილებიდანაც, რომელსაც უშუალოდ აღა–მაჰმად–ხანისა და მისი წრის წევრებიდან ღებულობდა და

აგზავნიდა დანიშნულების ადგილზე. ფაქტი ერთია, რუსეთს პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ ჰქონდა სურვილი ყოფილიყო საქართველოს ღირსეული პარტნიორი. იგი კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს ელოდებოდა. თუმცა ერეკლე თავის მეფურ სიტყვას არ ღალატობდა და კვლავ იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს რუსეთთან მიმართებაში.

ვფიქრობ, ყველაზე ნათლად ერეკლე II-მ თავის აზრი რუსეთთან ურთიერთობისა და საკუთარი პოზიციის შესახებ ჩამოაყალიბა 1795 წლის 15 სექტემბრის წერილში, რომელიც მთიულეთიდან გაუგზავნა პეტერბურგში მყოფ თავის შვილს მირიანს. „მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, –წერდა ერეკლე, – რომ აღა-მაჰმად-ხანს ჰქონდა თბილისში შემოსვლის განზრახვა. ამის შესახებ არა ერთჯერ ვწერდი გენერალ-ანშეფ გუდოვიჩს და ვთხოვდი დახმარებას. ამის შესახებ შენც გწერდი, რომ მე მუდამ ვფიქრობდი ტრაქტატზე და დახმარებაზე, ამიტომ თანადგომაში დარწმუნებულმა ვერ მივიღე საჭირო ზომები“ (83:105). შემდეგ ერეკლე მირიანს აწვდის ცნობებს მომხდარი ტრაგედიის შესახებ და გულისწყვეტით ალნიშნავს, რომ დაკარგა ყველაფერი, რაც წინაპრებისა და მშობლებისაგან გააჩნდა. მათ შორის მთელი ინვესტიტურა, რომელიც რუსეთის იმპერატორისაგან მიიღო: დაკარგა თბილისის მთელი სიმდიდრე და ხალხი, რომელიც ახლა აღა-მაჰმად-ხანის ხელთაა. თვითონ კი იმყოფება მთიულეთში იმ ხალხთან ერთად, ვისი გადარჩენაც შესაძლებელი გახდა. „მე ყველაფერი დაუყოვნებლივ ვაუწყე გუდოვიჩს, ვთხოვე, მას დახმარება, მაგრამ არ ვიცი შეძლებს თუ არა. მირიან და გარსევან! დადგა დრო ყველაფერი გააკეთოთ თქვენი სამშობლოსათვის, ეკლესიისა და ხალხისათვის. ჩვენ უკვე აღარაფერი აღარ დაგვრჩენია, ყველაფერი დავკარგეთ. თქვენ ყველაფერი იცით, მე რომ რუსეთის კართან ფიცით არ ვყოფილიყავ შეკრული და აღა-მაჰმად-ხანს მოერიგებოდი, ეს ამბავი არ დამემართებოდა“–ო (83:106). ასეთია მეფის დიდი სულიერი მღელვარება და გულისტკივილის მიზეზი მომხდარი ტრაგედიიდან რამდენიმე დღის შემდეგ. სწორედ ასეთ ვითარებაში ერეკლე მეორე აღა-მაჰმად-ხანისგან ილებს წინადადებას დაზაეების

შესახებ. 1795 წლის 17 სექტემბერს ამის შესახებ აცნობა კიდეც გენერალ გუდოვიჩს. ერეკლეს, როგორც რუსეთის ხელდებულს, უფლება არ ჰქონდა შეთანხმება დაედო უცხო სახელმწიფოსთან. გუდოვიჩმა ინფორმაცია გადაუგზავნა იმპერატორს. აღა-მაჰმად-ხანი დაზავების პირობით ერეკლესგან მოითხოვდა: ერთ-ერთ ვაჟიშვილს მძეელად; საქართველოში მოსულ ყარაბაღის მცხოვრებლებს, რომლებიც ერეკლემ მოასწრო და მთებში გახიზნა, აზატ-ხანის ალმასს და პოტიომკინის მიერ სულხან თუმანიშვილისათვის ნაჩუქარი ძვირფასი საათის მიცემას (83:107). ერეკლემ მომხდარი ფაქტის შესახებ, როგორც აღენიშნეთ, აცნობა გუდოვიჩს, ხოლო მან რაპორტი გაუგზავნა იმპერატორს. გუდოვიჩი ანალიზს უკეთებდა მომხდარს და იმპერატორს აცნობებდა, რომ ერეკლემ ვერ შეძლო ყველაფერი გაეკეთებინა თბილისის გადასარჩენად. მომხდარის მთავარ მიზეზად გუდოვიჩი მიიჩნევდა უთანხმოებას სამეფო კარზე და უფლისწულებს შორის; ერეკლეს არა საკმარის კავშირს იმერეთის მეფესთან და შუშის ხანთან; თბილისის დასაცავად გატარებული ღონისძიებების არასაკმარის დონეს. გენერალი ამასთანავე იმპერატორს მოახსენებდა საკუთარ მოსაზრებას აღა-მაჰმად-ხანის საზავო პირობებზე და აცნობებდა, რომ მან ურჩია ერეკლეს დაეკმაყოფილებინა აღა-მაჰმად-ხანის ყველა მოთხოვნა, გარდა მძეელის მიცემისა. გუდოვიჩის აზრით, ამ საკითხში ერეკლეს თავი იმით უნდა ემართლებინა, რომ, მომხდარი ამბების გამო, მისთვის უცნობი იყო მისი გახიზნული შვილების ადგილსამყოფელი (83:111–112; 134:125).

ამდენად, გუდოვიჩი ეთანხმებოდა ეკრეკლესთვის შემოთავაზებულ საზავო პირობებს. იგი იმპერატორს აცნობებდა აგრეთვე ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას და ამაზე ბრალს მის ხელმძღვანელებს სდებდა. ერეკლეს მისამართით რაპორტში აღნიშნული იყო: „როცა მისი კავშირები არ იყო საიმედო, როცა მის ხელქვეითებს არ ანაღვლებდათ არც მეფე და არც საკუთარი ქონება, ისინი საჭირო სიმტკიცით კი არ იცავდნენ თავს, არამედ როგორც მე ის მწერდა, იმყოფებოდნენ მხოლოდ რუსეთის იმედად, როცა იმერეთის მეფის ლაშქარი

ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი რომ ქალაქს მოუახლოვდა, გაიქცა; როცა თვით იმერეთის მეფე მასთან მყოფი ჯარით ამის შემდეგ მალე გაეცალა ბრძოლის ველს, როცა მეფე ერეკლეს შეკრებილი არ ჰყავდა საკუთარი ლაშქარი და მასთან, მისივე სიტყვებით, სულ მხოლოდ 1500 კაცი იმყოფებოდა, მაშინ როცა მისთვის და მთელი საქართველოსთვის ოთხ თვეზე მეტი ხნის წინ იყო ცნობილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შესახებ; როცა თბილისის დამცველები, რომელთაც 35 ზარბაზანი ჰქონდათ თავდაცვის ნაცვლად თავდამსხმელის გამოჩენისთანავე გაეცალნენ ქალაქს, ასეთი მოულოდნელი ვითარება ბუნებრივია გახდა აღა-მაჰმად-ხანის წარმატებისა და თბილისის დაკარგვის საფუძველი“ (83:112).

ასეთი იყო გენერლის დასკვნა თბილისში დატრიალებული ამბების შესახებ. მართალია, ბევრი რამ ჭორის დონეზე გაგონილი იყო ამ რაპორტში ჩაწერილი, მაგრამ ვითარების სურათი და მთავარი მოვლენების გამომწვევი მიზეზები, ძირითადად სწორად იყო გაანალიზებული.

დიდმა ქართველმა პოეტმა და რუსეთის პირველი ელჩის ღირსეულმა მემკვიდრემ ალ. ჭავჭავაძემ გულისტკივილით ამცნო რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს: „აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და თბილისის აოხრებამ 1795 წელს გადაწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ მზერა მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს, რომელიც მანამდეც ეგულებოდა თავის მომხრედ... გარეშე მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, რამაც დაასუსტა საქართველო, სამეფო სახლის მრავალრიცხოვან წევრთა ქიშპობამ ტახტისა და საუფლისწულო მამულების გამო და მთელმა ამ დავიდარაბამ საქართველოს უკანასკნელი ძალები გამოაცალა“ (138:84-85).

ამრიგად, კრწანისის ველზე დატრიალებულმა ტრაგედიამ მრავალმხრივ წარმოაჩინა ქართული სინამდვილე. არა მარტო მტრის სიმრავლემ, ჩვენი ქვეყნის ბედი საშიშროებისადმი იმ გულგრილმა დამოკიდებულებამ უფრო გადაწყვიტა, რაც მაშინ ულისწულებმა, დედოფალ დარეჯანის კაპრიზმა, მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლობამ და რუსეთის იმედად საქართველოს ყოფნამ გამოიწვია.

ჯერ იყო და ერეკლე II რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებს თითქმის საღვთო საქმედ მიიჩნევდა და ტრაქტატით აღთქმული პირობიდან გადახვევას ღვთისადმი ფიცის გატეხვის ტოლფასად თვლიდა. ამას დაემატა ისიც, რომ ტრაქტატის შესაბამისად „მეფე ვალდებულია არ ცნოს არაეითარი სხვა უმაღლესი ხელისუფლება გარდა რუსეთისა. რუსეთი პირობას დებს დაიცვას საქართველო“ (34:172). მეფე ზედმიწევნით იცავდა თავის სიტყვას და თავისი სახელოვანი პაპის მსგავსად თვით უკიდურეს მომენტშიც არ დაეიწყებია პირობისადმი ერთგულება. ამ პირობებში ერეკლე II მზად იყო ყველა სიძნელეზე პირადად ეგო პასუხი, რუსეთთან ურთიერთობას რომ ჩრდილი არ მიყენებოდა. სწორედ ასეთი ერთგულება გახდა იმ დიდი ტრაგედიის მიზეზი, რომელიც 1795 წელს დატრიალდა. სპარსეთი და ოსმალეთი ცალ-ცალკე მრავალგზის თხოვდნენ უარი ეთქვა ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობაზე და აღუთქვამდნენ არა მარტო პოლიტიკურ დახმარებას, დაკარგული და ახალი ტერიტორიების გადაცემასაც.

ერეკლე II ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგომის“ მთელ იმედებს რუსეთზე ამყარებდა. მას მართალია ჰქონდა გარკვეული ეჭვები რუსეთთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ერთმორწმუნეობა აძლევდა განსაკუთრებულ სტიმულს და დიდ იმედს სრულიად საქართველოს ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად. მართლაც, ცალ-ცალკე არც სპარსეთს და არც ოსმალეთს საშუალება არ ჰქონდა საქართველო იმ გეოგრაფიულ სივრცეში აღედგინა, მეფის ტიტულში რომ მოიხსენიებოდა. სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა, რომელსაც დარეჯან დედოფლის „დიდი ზრუნვით“ საუფლისწულოებლად დანაწილებაც დაერთო, რეალურად იყო განწირული დაშლა-დაქუცმაცებისთვის. ასეთ პირობებში ერთადერთი ძალა, რომელსაც ერეკლე მფარველ-მოკავშირედ მიიღებდა ისეთი ქვეყანა უნდა ყოფილიყო, რომელიც საჭიროებისას დაძლევდა როგორც სპარსეთის, ისე ოსმალეთის წინააღმდეგობას და არა მარტო სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქართულ ტერიტორიებს გააერთიანებდა, არამედ იმ ნაწილსაც შეიერთებდა, რომელიც სამცხე-საათაბაგოს, აჭარასა და აფხაზეთსაც მოიცავდა. აი,

სწორედ ეს მთავარი პირობა რჩებოდა მიზნად, როცა ერეკლემ არ ისარგებლა იმ ერთი შანსით, რომლის შესახებაც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მინიშნებული.

ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო გარემოება. ჩვენი ქვეყანა არ იყო პოლიტიკურად, ეკონომიურად და სამართლებრივად ერთიანი სივრცის მქონე. ძალიან ხშირად არა თუ მთელ ტერიტორიაზე, იქაც კი არ სრულდებოდა მეფის გადაწყვეტილება, სადაც იურიდიულად მეფედ ითვლებოდა. ამან განაპირობა არა მარტო ერთიანი, ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება, ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, არამედ მის გაფორმებამდე და გაფორმების შემდეგაც ცალკეული სამთავროების მიერ დადებული პირობები, რომლებიც რუსეთის მფარველობაში შესვლასა და რუსეთის მფარველობის მიღებას ადასტურებენ. ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში ტოტლებენის ყოფნის დროს, 1770 წელს, აღიარეს რუსეთის მფარველობა სამეგრელოს მთავარმა კაცია დიდიანმა და აფხაზეთის მთავარმა ლევან შარვაშიძემ (34:123; 124:689). შემდეგში ეს პროცესი კვლავ გაგრძელდა და პ. პოტიომკინისადმი გაგზავნილ წერილებში 1784 წელს იმერეთის დედოფალმა ანამ ითხოვა რუსეთის მფარველობის ქვეშ იმერეთის შეყვანა (139). შესაბამისად მიიღო კიდეც დადებითი პასუხი პ. პოტიომკინისაგან, სადაც ეკატერინე II იმერეთის მეფეს აღთქმას აძლევდა მფარველობის შესახებ (140). 1785 წლის 27 დეკემბერს გაიგზავნა გიორგი გურიელის მოხსენება პოტიომკინთან გურიისათვის რუსეთის მიერ მფარველობის გაწევის შესახებ (141). 1797 წლის 5 მაისით არის დათარიღებული რაჭის ერისთავის გიორგის მოხსენება პავლე პოტიომკინისადმი, რომელიც გამოხატავს ერთგულებას რუსეთისადმი (192). 1784 წლის 21 დეკემბერს განმეორებითი მოხსენებით მიმართა პ. პოტიომკინს კაცია დადიანმა და თავისი ერთგულება გამოხატა რუსეთისადმი (143).

როგორც ვხედავთ, არა მარტო გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა, არამედ საქართველოს თითქმის ყველა სამეფო-სამთავროს მესვეური დამოუკიდებლად ითხოვდა რუსეთის მფარველობას. მხოლოდ შედეგი იყო დამოკიდებული იმაზე,

როდის მოისურვებდა მფარველი მიცემული სიტყვის აღსრულებას და რეალურად იქცეოდა მფარველად.

ვფიქრობ, აღნიშნული იმ დასკვნის გაკეთების საშუალებასაც და შესაბამისად იმისი თქმის საფუძველსაც იძლევა, რომ ერეკლე II–ს თუნდაც უარი ეთქვა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებაზე, რუსეთს მაინც რჩებოდა საფუძველი თავისი პრეტენზიების განცხადებისა და საჭიროებისას უარს არ იტყოდა მხარი დაეჭირა (უფრო ზუსტად თეითონ გადაეწყვიტა) რომელიმე ან თუნდაც ყველა სამთავროსათვის „მფარველობა“ გაეწია. საამისოდ მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი დრო იყო საჭირო და არავის წინაშე უკან არ დაიხევდა, გასაკეთებელს გააკეთებდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

როგორც ჩანს, ქართულ სამეფო–სამთავროებს რუსეთზე ორიენტაციის გადაწყვეტილება უკვე გააჩნდათ და მხოლოდ ერეკლე მეორის მიერ ტრაქტატის გაფორმებით არ ამოწურულა ეს დიდი პრობლემა.

XII. „მოთქმით ტირილობი“ გადმოცემული ღვაწლი

კრწანისის ტრაგედიის შემდეგ მხოლოდ სამი წელი იცოცხლა მრავალ ბრძოლაგამოვლილმა და ქვეყნისათვის თავდადებულმა მეფემ–ერეკლე მეორემ. მძიმე ტრაგედიამ, როგორც ჩანს, თავისი ქნა. იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, დიდ საქვეყნო საქმეებზე ფიქრს დაერთო აგრეთვე მისი ოჯახური პრობლემებიც. როგორც ა. ნატროევი წერს: „დაუსრულებელმა ლაშქრობებმა, აღა–მაჰმად–ხანის მიერ თბილისის აოხრებით გამოწვეულმა მწუხარებამ და საკუთარ ოჯახში არეულობამ დააუძლურეს მეფის ძლიერი ორგანიზმი, რომელიც დასუსტდა და სიცოცხლის ბოლოს მძიმედ დაავადდა. თითქოს ამ შფოთს გრძნობდაო, ერეკლე II–მ დაავალა თავისი დიდი ბიძის კათედრაზე ასულ კათალიკოს ანტონ უმცროსს, ელოცა მისი დაუძლურებული სამეფოსთვის, რომელიც თავის შვილს, საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგის გადასცა. დაავადება მეფისა, რომელმაც

ხანგრძლივად მიაჯაჭვა ლოგინს და ბოლოს სამარის კარამდეც მიიყვანა, წყალმანკი იყო“ (147:30). იგი გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს თელავში, სწორედ იმ ოთახში, სადაც დაიბადა. ჰოი, განგებაე! საქართველოს დიდი მეფის კუბოს 20 ათასი ქართველი მიაცილებდა.

ერეკლე II–ის ღვაწლი და დამსახურება, მის მიერ გადახდილი ბრძოლებისა და მოპოვებული გამარჯვებების ექო შორს გაცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ჯერ კიდევ სიცოცხლეში ხვდა წილად ქართლ–კახეთის მეფეს უდიდესი აღიარება. მის შესახებ წერდნენ ცნობილი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები, მაგრამ მისი ღვაწლის მთლიანი და ლაკონური შეფასება–გადმოცემის ცდად მაინც სოლომონ ლიონიძის „მოთქმით ტირილი“ უნდა მიეიჩნიოთ.

სოლომონის შესანიშნავ ნიჭსა და მის ორატორულ ხელოვნებას თუ შეეძლო დიდი ქართველი მეფის სახისა და სახელის, ნაქმნარ–განაკეთების ამ დონეზე გადმოცემა თანამედროვეთა მოსასმენად და მომავალი თაობებისათვის გასაცნობად.

რჩეულთა ხვედრი ყოველთვის იყო მადლიერი შთამომაელობის მიერ მათი დაფასება და არდავიწყებისათვის გაწეული ღვაწლი. მეფე ერეკლეს ხვედრი მის უდიდეს სახელთან ერთად ისიც არის, რომ ამ განსაკუთრებული ბედისა და ღვაწლის ადამიანს შთამომაელობისათვის მოსახსენიებლად არა მარტო მემატიანეთა, მწერალთა და პოლიტიკოსთა ნაღვაწი, არამედ გულიდან ცრემლად დაღვრილი მოთქმით ტირილიც დარჩა, სადაც ბრწყინვალედ არის წარმოჩენილი დიდი მეფე და მისი დამსახურება. სწორედ კამკამა ცრემლებივით იღვრება დანაღვლიანებული მოღვაწის მიერ უდიდესი სახალხო გლოვის დღეების დასასრულს წარმოთქმული სიტყვები. სიტყვები, რომელიც შეუძლებელია ისე ამოიკითხოს ნებისმიერმა მკითხველმა, რომ არ შეუძრას მას გული და გონება, არ ჩააფიქროს ქვეყნის წარსულსა და მის მომავალზე.

ამიტომაც დაიწერა მეფე ერეკლეს გარდაცვალებიდან ასი წლისთავზე: „თუმცა მრავალმა ღირსეულად დაიტირა მეფე, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებით გამოირჩეოდა: მეფე ერეკლეს

მსაჯული, კანცლერი სოლომონ ლიონიძე და ერთი უბრალო ქიზიყელი ქერივი ქალი. ეს უკანასკნელი როცა მოვიდა და დაიწყო ხმამაღლა მეფის დატირება, იხსენებდა რა ამბებს მისი ცხოვრებიდან, ისე ზუსტად და სულისშემძვრელად გადმოცემდა მათ, რომ ყველას,—ამ ამბის მხილველს, აღარ შეეძლო რა თავის შეკავება, გულამოსკვნით ტიროდა“ (147:35). ასევე დიდი გრძნობითა და ერთგულების ნიშნად მოთქვამდა მეფე ერეკლეს მსაჯულიც.

სოლომონი, თითქოს ქვეყანა დაიქცაო, ისე მიმართავს ყველას და აცხადებს: „ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა–ძალი, ბრძენთა–გონიერება, ერთა–გვირგვინი, მხედართმთავართა–სარდლობა და თვითმპყრობელთა–სახელმწიფო ზრდილობა“ (144:35). როგორც ვხედავთ, არ დარჩენილა არავინ, სულით ხორცამდე რომ არ შეეძრა მომხდარს. ეს არის ზარი, რომელმაც თანაბრად შეუძრა სული დიდსა და პატარას, დიდ მფლობელებსა და დიდ იმპერატორებს, რომლებმაც სათანადოდ უნდა გაიაზრონ თავსდატეხილი უბედურება არდასაიწყარი და მარადჟამს სახსოვარი:

„მოკუდა ღერკულეს უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე, და იხილეთ და ყოელი ამაო!“ (144:35). სოლომონი მიმართავს ყველას, სარკინოზთაგან უძლეველ ქართლოსიანთა მხედრებს, ვისაც წინ უძღოდა უძლეველი მეფე, ვისაც ესმოდა პატრონის დიდებული ხმა, სადავითო სახლის ლომი, რომელიც ლაშქრავდა სამ იმპერიას: „ოსმანთა, სპარსთა და კაეკასიისა ერთა“ (144:36), ზეციურ ძალებს შეერთო; ყველა–ძლიერნი ამაქვეყნისანი ჰერკულესი და აქილევსი მოკვდავნი იყვნენ, თქვენი პატრონი, მეფე უკვდავი ციურ ძალებს ძლევდა თავისი უკვდავი ძალითა და განელო მან ციური სამყარო. მეფემ იცხოვრა თქვენს სადიდებლად „ვიდრემდის იყო იგი, და საიგაო აქა ადიდა სახლი, ადიდა გვარი თვისი, ადიდა სიმხნე თქვენ ქართველთა ცათამდე და აწ აღვიდა ანგელთა ღმთისა თანა, გარნა აქაცა და მუნ ცხოველ არს იგი“ (144:36).

ცრემლმორეული სიტყვებით გადმოსცემს სოლომონი დიდი მეფის დაბადების ამბავს, ანუგეშებს მამისაგან ობლად დარჩენილ

მემკვიდრეებს და იხსენებს დიდ წინაპრებს, სამეფო სახლის ბრწყინვალე წარმომადგენლებს: მეფე ალექსანდრეს, თეიმურაზ პირველს, წმინდა ქეთევან დედოფალს, რომელმაც საკუთარი სისხლის ფასად ადიდა სამეფო სახლის სახელი. ახსენებს თეიმურაზ მეორესა და დედოფალ თამარს, ერეკლეს მშობლებს. სოლომონი ადიდებს ოჯახს, სადაც ერეკლე იზრდებოდა, მისი ხელმწიფური დარბაისლური ხუმრობა იფრქვეოდა და მისი სადღეგრძელო ისმოდა.

სოლომონი არა ერთგზის მიმართავს სადავითო სახლს, სახლს დამწუხრებულსა და მტირალს, რომელსაც ახსოვს მეფის დიდი გამარჯვებები.

სოლომონი გამოყოფს ერეკლეს დიდ ბრძოლებს, მისთვის დამახასიათებელი ვაჟკაცობისა და ბრძოლის მაგალითებს. ადიდებს მეფეს, რომელმაც ხერთვისთან და ასპინძასთან მტრის სისხლში გამოწრთობილი ხმლის მფლობელმა ხვანთქარს სპარსეთის ხელმწიფესთან ქერიმ-ხანთან საჩივარი მიაწერინა: „მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო". ქერიმ-ხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო" მაშინვე უძლეველობის ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა" (144:38).

სოლომონი განაგრძობს ერეკლეს გმირობის ამსახველი ფაქტების გადმოცემას და კვლავდაკვლავ მიმართავს „რად სტირი, სადავითოვ სახლო?!" ეს შეძახილი ხშირად გაისმის სოლომონის მოთქმით ტირილში დასტურად იმისა, რომ ამ მართლაც დიდებულმა სახლმა გაზარდა მეფე ერეკლეც, რომელმაც საქართველო გამოიხსნა ნადირ-აშარისაგან, ფათალი ხანისა და აზატ ხანისაგან, ასახელებს იმ დიდ გამარჯვებებს, რომლის გამოც პრუსიის მეფე ფრიდრიხმა ბრძანა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში ღერკულეს უძლეველი, საქართველოს გეორგიანთ მეფეო" (144:38).

სოლომონი კვლავ აგრძელებს ერეკლეს დიად საქმეთა ჩამოთვლას და ანუგეშებს სადავითო სახლს, რომ არაფერი აქვს სატირალი და სამგლოვიარო, ვიდრე ერეკლე საქართველოს მხედრობას მიუძღვის, დიდი რუსეთიდან მოჰყავს ლაშქარი,

ციმბირიდან მოჰყავს სამხედრო გუნდი არავის შეუძლია ამ სახლის დამდაბლება, რადგან როცა ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება დაღესტნელები ლაშქარში მორბიან, ოსები და ჩერქეზები სისხლის დათხევას ხალისობენ.

სოლომონი განადიდებს სადავითო საბლს, რომელსაც ერეკლეს სამეფო ტახტზე ჯდომა ელირსა, ყველა წინა საუკუნეებზე მეტად ამაღლდა და გაბედნიერდა, ცად ქუხდა მისი დიდება და დედამიწის სფერო ფეხთა ქვეშ ბრწყოდა. მაგრამ სოლომონს მეფის გარდაცვალების გამო დიდი საწუხარი გაუჩნდა, რადგან ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მოსალოდნელი იყო მრავალ პრობლემას ეჩინა თავი და ყველაფრის მიზეზი ის გახდებოდა, რომ მისი ძლიერი, შორსმჭვრეტელი თვალები, რომელიც ზეცას და მიწას ორ ფურცლად კითხულობდა შეიძლება დაელულოს. "ვაი თუ უძლეველი ხელები, რომლისაც ხმლის ვადაზე დადება სიკუდილს მახარობლობდა ტრფიალთ სატკივრად გულზე დაკრეფილ იყოს!" (144:40).

სოლომონი დიდი გულისწუხილით გადმოცემს იმის გააზრებას, რომ ანგელოზთა სამწიგნობრო სახელი—მეფე ერეკლე, რომელიც ქვეყნის დამპყრობთ ფხიზლად აძინებდა, მძინარეთ საშიშრად ესიზმრებოდათ, ამ სახელის მოხსენება ქართულ ეკლესიებს არ შეეძლოთ. სახელი, რომელიც ერეკლემ მოიპოვა, სოლომონს უკვდავად და მარადსახსოვრად მიაჩნია ცისა და ქვეყნისთვის, რადგან მზე და მთვარე ხანდაზმული შეიქმნენ მის ლაშქრობებში. სიმბოლურად წარმოაჩენს სოლომონი ერეკლეს ხანგრძლივ და უამრავ ლაშქრობებსა და ბრძოლებს, რომელიც არასოდეს შემოფარგლულა დღე-ღამის არც ერთ მონაკვეთში და დაუსრულებლად გრძელდებოდა დღითა და ღამით. ამიტომ: „დღისით მზე იყო მეწინაე სარდალი და ღამით მთოვარე მეფის ერეკლეს გამარჯვებულს დროშას წინა უძღოდა; სისხლით მტერთათა შეღებილი მთა და მინდორი მეფეს ერეკლეს მოუთხრობენ" და ყველას გასაგონად საკუთარ თავსა და სხვას ეუბნება „ვის შეუძლიან დავიწყება?!" მართლაც შეუძლებელია ხალხი ივიწყებდეს მეფეს, რომელმაც ასეთი განუზომელი საქმე აკეთა ქვეყნისთვის, თუმცა სოლომონს არ ავიწყდება ის,

რაც უკვე მოხდა და რასთან შეგუებაც, სამწუხაროდ ყველას ვალია. ამიტომაც შედეგი მძიმე და სამწუხარო კი არის, მაგრამ, თუმცა დიდია გულის ტკივილი, ამ ქვეყნიდან წასულს სათანადოდ უნდა მიეგოს. სოლომონი ყველას გასაგონად ამახვილებს ყურადღებას იმ საშინელებაზე, რაც გარდაცვალებასთან არის დაკავშირებული და გარდაცვლილის მხოლოდ მოგონებებში, წარმოდგენებში გახსენების შესაძლებლობას იძლევა, სამარე ყველაფერს ფარავს, რჩება ქვეყნისათვის გაკეთებული საქმეები და ის არის მოსაგონარი, ამიტომ მიმართავს სოლომონი: „იგლოვდი, ქვეყანავ, რომელიც უძვირფასესითა სპეკალითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობადთა და საცნაურთა—მეფე ერეკლე—შენს სილრმეში დაჰფარე!

განკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკულავეთაცა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!

დაბნელდი, მზევ, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჭირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა—მეფე ერეკლე—შენს ბრწყინვალებას ველარ ჰხედავს!

ზეციერნო ძალნო! აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენი სამღთო სტუმარი—მეფე ერეკლე გესტუმრათ“ (144:41–43).

შემდგომ სოლომონი მიმართავს ღმერთს, მიმართავს დამწუხრებული და სურს მას შეთხოვოს პირადი და ქვეყნის შვება, რადგანაც „დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა. ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ვსტირით, და მეფე ერეკლე: თავი განმგებელი ერისა, ხელი–მზრდელი ობოლთა, მკლავი—მომგერებელი მტერთა და გვამი—შრომის მოყვარე მისი საფლავში ირღვევა. შენ გეეედრებით: იესოს სისხლით ცხებულს მეფის ერეკლეს კაცთმოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე!“ (144:42).

ერეკლეს გმირობის, ქვეყნისათვის სამსახურის, ხალხის ერთგულების შემდეგ სოლომონი მოთქვამს სამეფო ოჯახის

უბედურებაზე და დაქვრივებული დედოფლის ბედზე. დედოფლისა, რომელიც დაქვრივდა. ქმრითა და შვილებით ბედნიერი მძიმე განსაცდელში ჩავარდა, ტირილი და გლოვა გახდა მისი ხვედრი.

საყოველთაო წუხილის გამოხატვის, ქვეყნისა და სამეფო ოჯახის მძიმე განცდების გადმოცემის შემდეგ სოლომონი საკუთარ, პიროვნულ დამოკიდებულებასაც არ იჟინწყებს, მიმართავს რა გარდაცვლილ მეფეს, ცოცხლების გასაგონრად ამბობს: „ქვეყანას უკვირდა: „სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო, არ დაიჩაგრაო“. ჩემი სიამაყე პირველად სიმართლე და მეორედ მეფის ერეკლეს სიმრთელე იყო. მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი—მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მიმაჩნდა. ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკუდილით სოლომონის გული დაიჩაგრა“ (144:44).

მართალია, სოლომონი მთელი თავისი არსებით მგლოვიარე იყო და მეფის გარდაცვალებით გამოწვეული მღელვარება უკიდურესობამდე ჰქონდა მისული, მაგრამ მაინც მოახერხა ეთქვა: „ჩემი სიამაყე პირველად **სიმართლე** და მეორედ მეფის **ერეკლეს სიმრთელე იყო**“–ო და კიდევ „ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკუდილით სოლომონის გული დაიჩაგრაო“.

სოლომონის ეს სიტყვები არც უადგილოა და არც საფუძველს მოკლებული. მისი ერეკლესადმი განსაკუთრებული ერთგულების მიუხედავად, ერეკლეს ირგვლივ შეკრებილთ შური და მტრობა არ ასვენებდათ. ავი ენების პატრონებმა და ავისმოსურნეებმა მიაღწიეს იმას, რომ 1796 წელს ერეკლესა და სოლომონს შორის ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც მოჰყვა მათი გათიშვა. სოლომონს დაჰკირდა თავის მართლება მეფის წინაშე. ჩვენამდე მიღწეულია სამი წერილი სოლომონისა, რომელიც მეფის წინაშე თავისმართლების დასტურია. ორ წერილში სოლომონი ღმერთს იფიცებს, რომ მას არ ეკუთვნის სიტყვები: „რუსს უყუროთ და მერე აღა-მაჰმად-ხანს წიგნი მივწეროთო და ვეყმნეთო, ბატონი კახეთს ბრძანდებოდეს და იქ იბატონოსო, ბასტამაშვილი ჯანყურათ მელაპარაკაო“ (145:370–371). სოლომონი შემდეგი წერილით

ადასტურებს, რომ არც ერთი აღნიშნული სიტყვებიდან მას არ ეკუთვნოდა, ამიტომ თხოვდა მეფეს გიორგისთვის მიტანილი წერილის ასლს გაცნობოდა: "მე რაც ბატონიშვილისთვის წერილი მიმირთმევია, ასლი მოატანინეთ, ჩემი სიმართლე და სიმტყუნე იმითი გამოჩნდება და ჭეშმარიტება მაღლად იქადაგებს" (145:371). მესამე წერილში სოლომონი კელავ იმეორებს და ადასტურებს თავის გულწრფელობასა და სიმართლეს, ამიტომ მეფეს თხოვს სულგრძელად საქმის გამოძიებას „რადგან ღმერთი არა და მეფე ბრძანდები, ვინ როგორის გონებისაა, არ იცით: მოწმეებს მოგახსენებთ და სამართალში რომ არ მოუწოდოთ, მგონია საშინელი ცოდვა მოხდეს". მაგრამ თუ დასახელებულ მოწმეებს დაიბარებდნენ და მათ მოუსმენდნენ „მზესავით ნათლად გამოჩნდება და ცოდვა ალარ მოხდება. ესენი ჩემის გამართლების მოწამენი არიან და, თუ არ მოიყვანთ, ის სხვა იქნება და ნება თქვენია" (145:371). გამოჩნდა თვით ბატონიშვილის დასტურიც მომხდარ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მეფეს აცნობებდა სოლომონის უდანაშაულობის შესახებ. გიორგი მეფეს წერილობით უდასტურებდა: „...სოლომონის წიგნის პირი ეს არის, მთელი ჭეშმარიტი და უნაკლულო. თქვენის უმაღლესობის მზემან, დამიჯერეთ, ამაზე არც მეტი წერებულა, არც ნაკლები. თუ ან მე დამეკლოს, ან მომემატებინოს, სულით ვიყო მოვალე თქვენთანაც და მოსამართლეებთანაც და მომჩივრებთანაც. თუ მაინცდამაინც არ დამიჯერებთ, იმისი თქვენ იცით, ვინც სიმართლეს არ დაიჯერებს და არ შეიწყნარებს, თავისი ნება ყველას თითონა აქვს ცხონებისაც და არ ცხონებისაც. თქვენი შვილი და მონა გიორგი" (145:369). ასეთია იმ წერილის დასტური, რომელმაც მეფესთან სოლომონის უთანხმოებას წერტილი დაუსვა, ხოლო ყველაზე მძიმე წუთებში კი ათქმევინა: „ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკუდილით სოლომონის გული დაიჩაგრა" (144:44).

მეფემ დროულად შეუნდო და აპატია ყველაფერი. სოლომონი

კვლავ ის მოღვაწე იყო, რომელიც მეფესთან ერთად თანაბრად იზიარებდა ქვეყნისა და ხალხის ტკივილს, ამიტომაც ასე სულის შემძვრელად აჟღერდა მისი მოთქმით ნათქვამი უკანასკნელი სიტყვები: „ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ მეფე ირაკლი! ვის მიესცე შენის უმაღლესის თაეისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება?! ვის დროშას ევმსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკუდე?! ვისთვის ეიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან?!“ (144:46).

ქართველმა ხალხმა მართლაც გულწრფელად დაიტირა საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე—ერეკლე მეორე.

საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, სამშობლოსათვის დიდი ძნელბედობის პერიოდში, სწორედ მან შეძლო ნადირ-შაჰისგან მიეღო დასტური ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე ბაგრატიონები კელავ ქრისტიანებად ასულიყენენ.

მამასთან, თეიმურაზ მეორესთან, ერთად ერეკლემ ყველა პირობა მოამზადა ქართლისა და კახეთის სამეფოების გასაერთიანებლად, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გაერთიანებული ქართული სამეფოს შექმნის გზაზე.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეას ასაზრდოებდა ის გარემოებაც, რომ ღმერთმა ინება და იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა დიდმა სოლომონ I-მა, რომელმაც შეძლო სამთავროთა მესვეურების სეპარატისტული მისწრაფებების აღკვეთა და ერთი მმართველის მტკიცე ხელში მოაქცია მთელი სამეფო. ძალთა ასეთი კონსოლიდაცია საფუძველი გახდა იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც მე-18 საუკუნემ წარმოშვა ქართული სამეფოების წინაშე და შესაძლებელი გახადა ისეთი ისტორიული გამარჯვებების მოპოვება, რომ კელავ წელში გამართა ქვეყანა.

მტერი არ იშლიდა მტრობას, ქართველთა ეროვნული ენერგია კი იშრიტებოდა. ქვეყნის, სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების გადარჩენა გადაჭრით მოითხოვდა მფარველ-მოკავშირის ძიების აუცილებლობას.

მართალია, ქართლ-კახეთის მეფემ მთელი ცხოვრება გაუთავებელ ომებსა და ბრძოლებში გაატარა, მაგრამ სასიკეთო მაინც არაფერი ჩანდა. ბედმაც სწორედ ასეთ მომენტში უმუხთლა, ჯერ ტახტის ღირსეული მემკვიდრე ლევანი გამოეცალა ხელიდან, შემდეგ კი იმერეთის დიდი მეფე სოლომონ პირველიც.

ერეკლე მეორეს ბოლომდე უნდა მიეყვანა მფარველ-მოკავშირის

ძიების დაწყებული პროცესი. ირან–ოსმალეთ–ლეკებს შორის მოქცეული ქვეყნის მეფეს, რომელსაც ტახტის საიმედო მემკვიდრეც კი აღარ ჰყავდა, უკეთესი არჩევანი, გარდა რუსეთისა, აღარ გააჩნდა. აღა–მაჰმად–ხანთან გადატანილმა საშინელმა ტრაგედიამ კი მისი ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის უკანასკნელი იმედიც წაართვა.

თუმცა ერეკლესთვის ყველაზე ტრაგიკულ მომენტში მოკავშირედ აღიარებულ სახელმწიფოს მოვალეობის შესრულებაზე თავი დიდად არ შეუწუხებია, ევროპის ქვეყნების მონარქებიდან დახმარების მიღების უშედეგო ცდების შემდეგ, მისი აზრით, მაინც რუსეთი იყო ის ქვეყანა, რომელთან დაკავშირებაც იძლეოდა ირანისა და ოსმალეთის გავლენის სფეროდან ქართული სამეფოს გამოყვანის იმედს და მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შანსს (სოლომონ I–ის არჩევანიც ხომ იგივე იყო).

ამ რწმენით იღვაწა დიდმა მეფემ და იმ იმედით წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ იგი სამშობლოს ქრისტიანობაშეულახავსა და ტერიტორიულად გამთლიანებულს დაუტოვებდა შთამომაელობას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ., 1981.
2. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952.
3. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ელადიმერ ფუთურიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1969.
4. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894.
5. გ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 4, თბ., 1967.
7. დ. კარიჭაშვილი, როსტომ მეფე, ტფილისი, 1894.
8. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან მე–19 ს–ის დამდეგამდე, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1943.
9. Н. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине 17-го века, Тб., 1968.
10. ე. ბლიაძე, საგარეო ორიენტაციის პრობლემები XVIII ს–ის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ქუთაისი, 2004.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.
12. ი. ტაბალუა, საქართველო–საფრანგეთის ურთიერთობა (მე–18 ს–ის პირველი მეოთხედი), თბ., 1972.
13. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება XVI – XIX სს; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1988.
14. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925.
15. დ. ლანგი, საქართველოს ურთიერთობა საფრანგეთთან ვახტანგ მეექვსის დროს, საქართველოს, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 1999, ტ. 4–5, გვ. 183–200.
16. ე. ბლიაძე, საბედისწერო ნაბიჯი, ქუთაისი, 1998.
17. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე.

იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964.
18. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 6, თბ., 1973.
19. ქართლის ცხოვრება, 4, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
20. ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958.
21. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1968.
22. საქართველოს მეფეები, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2000.
23. ომან ხერხეულიძე მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989.
24. აბრამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დაველიანიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1976.
25. С.Т. Кишмишев, Походы Надир-Шаха в Герат, Кандагар, Индию и события в Персии после его смерти, Тифлис, 1889.
26. იესე ბარათაშვილი, ცხოვრება–ანდერძი, ქართული პროზა, ტ. 5, თბ., 1983.
27. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონითა და შენიშვნებით, თბილისი, 1939.
28. თეიმურაზ მეორე, თავგადასავალი, ქართული მწერლობა, ტომი მერვე, თბ., 1990.
29. დ. ჯანელიძე, საქართველო და აღმოსავლეთი, თბ., 1984.
30. მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988.
31. ალ. გორგაძე, საქართველოს XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები, თბ., 1927.
32. მეფე ერეკლეს სახსოვარი, ცნობის ფურცლის გამოცემა, თბ., 1898.
33. ბ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

34. П.Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. часть третья, хронологические и алфавитные указатели составленные Л. Броссе, Санктпетербург, 1866.
35. ალ. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, წიგნში „ბრძენი აღმოსაველეთისა“, თბ., 1997.
36. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ. ტფ, 1913.
37. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941.
38. გ. ჭიჭოძე, ერეკლე მეორე, სახელგამი, თბ., 1947.
39. Последные годы Грузинского царства, посмертный труд Генерал лейтенанта С.И. Кишмишева, Тифлис, 1898.
40. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII–XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1982.
41. ნ. ასათიანი, გზა გამოხსნა–აღდგომისაკენ, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983.
42. ლ. სანიკიძე, სამას–სამასი, თბ., 1971.
43. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსსა), ფ. 1448, ს.1276
44. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 274; 281; 287; 288.
45. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 273.
46. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 274.
47. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 288, ფურც. 2.
48. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 1036 ფურც. 1.
49. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 1332.
50. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თბ., 1905.
51. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV–XVIII ს.ს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბ., 1940.
52. ი. ანთელავა, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1977.

53. ცსსა, ფ.1449, აღწ. I, ს. 2051.
54. ცსსა, ფ.1449, აღწ. I, ს. 1300.
55. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 121–139.
56. შ. ხანთაძე, ქართული პოლიტიკური აზროვნება XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 12. გვ. 163–169.
57. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.
58. С.Д. Бурнашев, Картинка Грузии, или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896.
59. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1985.
60. აბ. რობაკა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ–კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი. 1950.
61. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941.
62. ს. დოდაშვილი, ქართული ისტორია. მეფობა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ. 9, თბ., 1992.
63. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, Т. II, Вып. I, грузинские тексты с 1768 по 1801г., Санктпетербург, 1898.
64. ს. კაკაბაძე, საქართველო ერეკლე მეორეს დროს (ისტორიული მონოგრაფია), „შეიდი მნათობი“, № 2, 1919, გვ. 133–193.
65. გ. ჯაკობია, წინასიტყვაობა წიგნისა „თეიმურაზ მეორე“, თბ., 1939.
66 ი. ცინცაძე, მასალები რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე № 23–24, თბ., 1970.
67. ვ. მაჭარაძე, მასალები მე–18 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბ., 1968.
68. გ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.
69. П.Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, Часть первая, СПБ, 1869.
70. ი. ცინცაძე, რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვისა და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ.2, 1941, გვ. 87–108.

71. ბლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1936.
72. В.Потто. Кавказская война в отделъных очеркак, эпизодах, Легендах и биографиях, т. I, вып. I, СПБ 1885.
73. აგთ. იოსელიანი, დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატური ურთიერთობის ისტორიიდან, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში თავად როსებ გიორგის ძის მეთაურობით 1736 წ. საისტორიო მოამბე, №2, 1946.
74. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს შესახებ ევროპიელთ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, (ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი), ტფილისი, 1900.
75. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 2, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1972.
76. დავით ბატონიშვილი, მოთხრობა ახალი (შედგენილი ქართლის ცხოვრებისად), თბ., 1941.
77. ბ. ცხვილოელი, მეფე ერეკლე და დემეტრე ამილახვარი, „მოამბე", 1896, № 1, განყ. VI, გვ. 1-20.
78. ცსსა, ძველი საბუთების პირების კოლექცია, ფ. 1449, აღწ. I, ს. 275.
79. ცსსა, ფ.1449, აღწ. I ს. 444.
80. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 508.
81. ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", აკად. რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2005.
82. გრ. ვეშაპელი, საქართველო და რუსეთი, რუსეთისა და საქართველოს ტრაქტატი 1783 წლისა და ქართლ-კახეთის, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს საკავშირო ხელშეკრულება 1790 წლისა, თბ., 1918.
83. Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, т. II, вып. II, под резакцией А. Цагарели, СПБ, 1902.
84. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს გაერთიანების აზრი XVIII საუკუნეში, თბ., 1907.
85. იგ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, წიგნში: „ივ.ჯავახიშვილი, პ.სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები", თბ., 1989.

86. იგ. სურგულაძე, XVIII საუკუნის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ (ერეკლე მეორის მოწოდება), „მნათობი“, 1962, № 12, გვ. 160–162.
87. გ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.
88. О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, Москва, 1966.
89. М. Георгидзе, Граф Тотлебен и царь Грузии Ираклий, "Новое обозрение" 1892, №2821, 7.03; №2824, 10.03.
90. Переписка Российской императрици Екатерины II и господина Волътера, продолжавшаяся с 1763 по 1778 год, Ч., I, Москва, 1805.
91. М. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935.
92. იგ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბ., 1953.
93. П.Григорович, Канцлер кн.Безбородко в связи с событиями его времени, Т. I, СПБ, 1879.
94. ლ. ალექსიძე, საქართველო–რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა XV–XVIII საუკუნეებში, თბ., 1983.
95. საქართველოს სიძველენი, ტ. 2, გამოცემა მეორე, წიგნი I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920.
96. ბ. კარბელაშვილი, ისტორიული მასალა მეფის ირაკლის ცხოვრებისა, გაზ. „ივერია“, 1890, № 232–236.
97. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მეფეთდროინდელი ქართველ რესპუბლიკანელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკური მთავრობის წინაშე, თბილისი, 1917.
98. ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს–ის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, 1979.
99. ი. ტაბაღუა ერეკლე მეორე, ევროპული ცნობები ერეკლე II–ის შესახებ, თბ., 2000.
100. რაფიელ დანიბეგაშვილი, მოგზაურობა ინდოეთში, თბილისი, 1950.
101. ჯ. ღონჯილია, კრწანისის ტრაგედია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 9/IX.
102. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 2, თბილისი, 1962.

103. ლ. ებანოიძე, ნ.ბარათაშვილი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1968.
104. ა.ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968.
105. Воссоединение Украины с Россией, Документы и Материалы в трёх томах, том III, 1651-1654 годы, изд., Акад. н. СССР, М., 1954.
106. №215. 1653 г. Декабря 20. - Отписка послов В Бутурлина и И. Алферьева из Путивля в Посолский приказ о получении ими из Москвы двух царских грамот, печатных записей для приведения в русское подданство насселения Украины, а также знамени, булавы, ферези и шапки для Богдана Хмельницкого и об отъезде их в Переяслав (№105, стр., 501-502) 107№239. 1654 г. Марта 4. - Жалованная грамота царя Алексея Михаиловича Мещанам г.Переяславля, подтверждающая их права и привилегии (№105б стр. 553)
108. №243. 1654 г. Марта 21. - Лист Богдана Хмельницкого, посланный из Чигирина царю Алексею Михаиловичу, с просьбой подтвердитъ права и привилегии украинского народа, быстрее отпуститъ на Украину с царскими грамотами гетманских посланцев, а также с сообщением о "прелестных" универсалах польского короля Яна Казимира и литовского гетмана Яна Радзивилла к украинскому населению (№105, стр. 557-558) 109 №247. 1654 г. Марта 27. - Грамота царя Алексея Михайловича гетману Богдану Хмельницкому и всему Войску Запорожскому о принятии Украины в состав Русского государства, о подтверждении прав и вольностей её населения, об отпуске из Москвы украинских послов С. Богдановича и П. Тетери и о посылке гетману войсковой печати. (№105, стр., 566-567)..
110. З. Аволов, Присоединение Грузии к России, издание второе, СПБ, 1906.
111. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, გამომცემლობა „ნეკერი", 1997.
112. იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბ., 1990.
113. ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი, გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული

სახელმწიფოს მომავალი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 170, 2003 წლის 30 ივნისი
114. ნ. კოკაძე, ფანტასმაგორია ქვეყნის გადასარჩენად? თბ., 2003.
115. М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаиси, 1901.
116. ივ. ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე, გაზ. „საქართველო“, 1919 წლის 4 მაისი.
117. ი. მელითაური, დიდი გარდუვალობა – დიდი შეცდომა დიდი ტრაგედია, „ახალი ქართული გაზეთი“, 1998 წლის 30 ივლისი.
118. Ф. Махарадзе, Грузия в 19-ом столетии, Заккнига, Тб., 1939.
119. ბ. გულეიშვილი, ალექსანდრე ამილახორი, ტფილისი, 1936.
120. ი. ტაბალუა, ტრაქტატი ქართლ–კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი 1784 წლის 24 იელისს, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, საქართველოს, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. IV–V, თბ., 1999, გვ. 245–295.
121. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები, მასალები საკავშირო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც გაიმართა თბილისში 1976წლის ოქტომბერში, თბ., 1979.
122. ისტორიული არჩევანი, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა „მრგვალ მაგიდასთან“, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1983, № 10, გვ. 3–15.
123. ე. შევარდნაძე, მოხსენება გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის გამო, გაზ. „კომუნისტი“, 1983 წლის 28 ოქტომბერი.
124. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1976.
125. К изучению истории,сборник, партиздат ЦК ВКП б, М., 1937.
126. М. Нечкина, К вопросу о формуле "Наименьшее зло", "Вопросы истории", 1951, №4, чтр. 44-48.
127. Л. Максимов, О журнале "Вопросы истории", "Большевик", 1952, №13, стр. 60-70.
128. А. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение, 1947.
129. ს. კაკაბაძე, კრწანისის ომი, თბილისი, 1966.
130. მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის

დაეით გიორგის ძისა და მისი ძმების 1744–1840 წწ. ტფილისი, 1905.
131. საქართველოს ისტორია, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1990.
132. ე. ბლიაძე, ბედის კარნახით, ქუთაისი, 1997.
133 Е. Блиадзе, Грузинское политическое мышление второй половины XVIII века (проблемы внешней ориентации), М., 2001.
134. იასე ციწკაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წ), თბ., 1969.
135. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.
136. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფ., 1902.
137. Н. Дубровин, Георгий –XII последный царь Грузии и присоединение к России, Издание второе, СПБ, 1897.
138. ალ. ჭავჭავაძე, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე, ქართული მწერლობა. ტ.9, თბ., 1992.
139. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I ს. 2100.
140. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 2820.
141. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 2827.
142. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 2828.
143. ცსსა, ფ. 1449, აღწ. I, ს. 2880.
144. ს. ლიონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, თბ., 1957.
145. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1910.
146. ალ. ჯაბაკურ-ორბელიანი, აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, ჟურნ. „მოამბე", 1895 წლის № 8, გვ. 117–165.
147. А. Натроев, Ираклий II, Царь грузинскии, Тифлис, 1888.
148. ლ. სვანაძე, ერეკლე II როგორც დიპლომატი, ქსუ შრომები, ტ. I (35), 1999, გვ. 96–102.
149. ს. ქარიანი, ქართველი ერის ისტორია (XVIII–XIX საუკუნე), ტ. I, ქ. ქუთაისი, 1918.

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 3
I. პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში ერეკლე II-ის გამეფებამდე 5
II. თეიმურაზ II ტყვეობაში. ერეკლეს გაწვევა ნადირ-შაჰთან.
ინდოეთში ლაშქრობა და სამშობლოში დაბრუნება 20
III. ქრისტიანული წესით მეფეთა კურთხევა. დედოფალი თამარი.
ბრძოლა ქვეყნის გადარჩენისათვის. 41
IV. მძიმე სოციალური ყოფა.
კანონიერების დაცვის ღონისძიებები 60
V. გარდაქმნები ქვეყანაში. ღონისძიებანი სამეფო-სამთავროების
შეკავშირებისა და რუსეთთან კავშირის დამყარებისთვის.
ქართლ-კახეთის გაერთიანება. შეთქმულება ერეკლეს წინააღმდეგ 74
VI. ერეკლე II რუსეთ-თურქეთის ომის
(1768-1774) დროს. ურთიერთობა ტოტლებენთან 102
VII. „მორიგე ხარი“ - რეგულარული ლაშქრის
შექმნის წარმატებული ცდა 130
VIII. „განწესებანი სამეფოსათვის საქართველოისა“ 140
IX. ევროპისკენ მიმავალმა გზამ მაინც რუსეთზე გაიარა 152
X. „გეორგიევსკის ტრაქტატი“ - ერეკლეს გაცრუებული იმედები 175
XII. „მოთქმით ტირილში“ გადმოცემული ღვაწლი 224
დასკვნის მაგიერ 229
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 231

წიგნი დაიბეჭდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში.

ნაბეჭდი ფორმა 15
ქაღალდის ზომა 60X84. 1/16

გადაეცა წარმოებას 20. 05. 2007 წ.

ტირაჟი 150